ახალი მოკრძალები

მარტი 2012 №77
ფასი 7 ლარი

ისტორია
გიგი სულაკაური
ანა კორძაია-სამადაშვილი

TEDxTbilisi – შორი ხედვა
თამარ ბაბუაძე

ანდრო ვეკუა
სალომე ჯაში

ინტერვიუ
ჯივან გასპარიანი
კახა თოლორდავა

ესე
ბიბლიოთეკის წმენდა – 2012
ლაშა ბუღაძე

მიმოხილვა
ბერლინალე 2012
გიორგი გვახარია

ДОЖДЬ - OPTIMISTIC CHANNEL
სოფო ბუკია

ფოტოპროექტი
ცხვარ-მეცხვარე
არჩილ ქიქოძე

სტილი
იოგას ძალა
თამარ ალავიძე

ISSN 1512-2220
9 771512 222006

PONTI

DAL 1867

ჯანმრთელობის ფორმულა

დანარჩენი ზედმეტია

Adstation/Ogilvy
The representative agency of Ogilvy & Mather in Georgia and Armenia
35, B. Jgenti St., Tbilisi, Georgia
+995 (32) 2 47 1005
info@adstation.ge

ADstation Ogilvy

"BIG IDEAS ARE USUALLY SIMPLE IDEAS"

"Within every brand is a product, but not every product is a brand"

"Unless your advertising is built on a big idea, it will pass like a ship in the night"

"What you show is more important than what you say"

"Never write an advertisement which you wouldn't want your own family to read"

"The most important decision is how to position your product"

"Advertise what is unique"

"The purpose of a commercial is not to entertain the viewer but to sell him"

"What really influences consumers to buy or not to buy is the content of your advertising, not its form"

"IF IT DOESN'T SELL, IT ISN'T CREATIVE"

"The more informative your advertising, the more persuasive it will be"

"No manufacturer ever got rich by underpaying his agency. Pay peanuts and you get monkeys."

ცხელი შოკოლადი

N77, მარტი 2012

ყდაზე გიგი სულაკაური
ფოტო ლევან ხერხეულიძის

რედაქტორის სვეტი 8 ინფორმაციული ტალღის ქიმზე

ანონსი 12 14 მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც არ უნდა გამოტოვოთ *სალომე აფხაზიშვილი*

საავტორო 18 კვლავ მადონა *ანა კორძაია-სამადაშვილი*

20 თრუსო *გაგა ნახუცრიშვილი*

22 შუქების მოთვალთვალე *რატი ქართველიშვილი*

24 კამოს ველოსიპედი *დათო ტურაშვილი*

ისტორია 26 მე ხომ გიგი ვარ *ანა კორძაია-სამადაშვილი*

არტისტი ახლოდან 32 ვარდისფერ ტალღაზე მონადირე *სალომე ჯაში*

Tedx-ის ქრონიკა 40 TEDxTbilisi – შორი ხედვა *თამარ ბაბუაძე*

ინტერვიუ 46 ნოტებით ხატვა *ზაზა ბურჭულაძე*

52 ინტერვიუ ჯივან გასპარიანთან *კახა თოლორდავა*

თარგმანი 56 გასასვლელი არ არის *ფილიპ გურევიჩი, ინგლისურიდან თარგმნა თამარ სუხიშვილმა*

ფოტოპროექტი 66 ცხვარ-მეცხვარე *არჩილ ქიქოძე*

საავტორო 74 საუთჰემპტონი *აკა მორჩილაძე*

ესე 80 ბიბლიოთეკის წმენდა – 2012 *ლაშა ბუღაძე*

მოთხრობა 84 მინდვრის ყვავილები *ბესო ხვედელიძე*

თებერვალი 2012 94 *მწერალი გურამ დოჩანაშვილი, ფოტოგრაფი იური მეჩითოვი*

97 ხელფასი სამი დღით ადრე *მაშო სამადაშვილი*

მიმოხილვა 98 ბერლინალე 2012 *გიორგი გვახარია*

102 „1000 მეფისა“ და „შვიდნახევარი ქალის“ ამბავი *დავით ბუხრიკიძე*

რეცენზია 106 Дождь – optimistic channel *სოფო ბუკია*

აქცენტი 109 დამკვირვებელი *ქეთი ქანთარია*

წიგნები 110 წიგნების გარდასახვა *ნინო ნატროშვილი*

112 ვის არ ეშინია ეკატერინე გაბაშვილის... *გიორგი ლობჟანიძე*

115 გოგონა დრაკონის ტატუთი *მაშო სამადაშვილი*

116 როგორ ვიკითხოთ რომანივით? *სალომე აფხაზიშვილი, გიორგი გოგუა*

სტილი 122 ფიტნესიდან ჯანსაღი ცხოვრების წესამდე *თამარ ალავიძე*

124 იოგას ძალა *რიჩარდ კორლისი, ინგლისურიდან თარგმნა თამარ ალავიძემ*

132 ინტერვიუ შივა რესთან *თამარ ალავიძე*

138 იოგას ინსტრუქტორები საქართველოში *სალომე აფხაზიშვილი*

დაუვიწყარი შეხვედრები მარიოტში

როდესაც საქმე თქვენი ღონისძიების დაგეგმვას ეხება, მარიოტი უსაზღვრო შესაძლებლობებს გთავაზობთ, თბილისი მარიოტისა და ქორთიარდ მარიოტის ღონისძიებათა დარბაზები იდეალურია თქვენი კონფერენციის, ბანკეტისა თუ საქმიანი შეხვედრისათვის.

დარბაზის წყობა და გაფორმება, ინდივიდუალურად შექმნილი მენიუ და უახლესი აღჭურვილობა უზრუნველყოფს თქვენი ღონისძიების წარმატებას. მარიოტის გამოცდილი გუნდი კი მუდმივ მზადყოფნაშია თქვენი და თქვენი სტუმრების ნებისმიერი სურვილის შესასრულებლად.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით +995 32 277 91 55

Marriott HOTELS & RESORTS

COURTYARD Marriott

მთავარი რედაქტორი
ნინო ჯაფიაშვილი
აღმასრულებელი რედაქტორი
თამარ ბაბუაძე
„სტილის“ რედაქტორი
თამარ ალავიძე
„ლიტერატურის“ რედაქტორი
რატი ქართველიშვილი
რედაქტორების ასისტენტი
მარიამ სამადაშვილი
ვებგვერდის რედაქტორი
ელენე ასათიანი
არტრედაქტორი
არჩილ თაბუკაშვილი
ფოტორედაქტორი
გიორგი ნადირაძე
დიზაინი
თორნიკე ლორთქიფანიძე
კორექტორი
თამარ ღონღაძე
ნომერზე მუშაობდნენ:
ანა კორძაია-სამადაშვილი, თამარ ბაბუაძე, სალომე ჯაში, კახა თოლორდავა, თამარ სუხიშვილი, ზაზა ბურჭულაძე, თამარ ალავიძე, ლაშა ბუღაძე, არჩილ ქიქოძე, დათო ტურაშვილი, ნინო ნატროშვილი, თამარ კვინიკაძე, გაგა ნახუცრიშვილი, რატი ქართველიშვილი, ქეთი ქანთარია, გიორგი ლობჟანიძე, გიორგი გვახარია, აკა მორჩილაძე, დავით ბუხრიკიძე, სალომე აფხაზიშვილი, გიორგი გოგუა, მაშო სამადაშვილი.
ფოტო:
ლევან ხერხეულიძე, დავით მესხი, მაკა გოგალაძე, ლელი ბლაგონრავოვა, არჩილ ქიქოძე
ილუსტრაცია:
სოფო კირთაძე, თამუნა თათელაძე, ია ნინოშვილი, ეკა ტაბლიაშვილი, თათია ნადარეიშვილი, თაკო ბაქრაძე

ბიზნესის განვითარების მენეჯერი
რუსუდან ფურცელაძე
საზოგადოებასთან ურთიერთობა
ლელა შუბითიძე
კლიენტთა მომსახურების მენეჯერი
ნათია რუსაძე
პარტნიორებთან ურთიერთობის მენეჯერები:
ლევან ჯაბუა, სოფო პაპუნაშვილი, ქეთევან ქავთარაძე, ქეთევან მეგრელიძე, ელენე ხარაზაშვილი, მარიამ მიქელაშვილი, თინა ოსეფაშვილი.
დისტრიბუცია
მიხეილ გედენიძე

DEKOM MEDIA HOUSE
გამომცემლობა:
შპს „მედია ჰაუსი დეკომი“
მისამართი: თბილისი 0183, საქართველო ჟღენტის ქ. 35, ტელ.: +995 32 2471005
სხვა გამოცემები:
„ლიბერალი“, „ბიზნესი-ადამიანები, მეთოდები, სტრატეგიები“, „დიალოგი“.
სტამბა:
„სეზანი“, თბილისი, წერეთლის 140, ტელ.: 2 357002
ჟურნალი გამოდის 2004 წლის 25 დეკემბრიდან
© „მედია ჰაუსი დეკომი“ საავტორო უფლებები დაცულია. ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივი ან მთლიანი გამოყენება გამომცემლობის ნებართვის გარეშე აკრძალულია. „ცხელი შოკოლადის“ რუბრიკის სპონსორი არ ერევა შინაარსის შექმნაში.

ინფორმაციული ტალღის ქიმზე

ის, რაც დღეს ჩვეულებრივი, ყოველდღიური მოხმარების ტექნოლოგიებია, იქნება ეს – მობილური კავშირი, პლანშეტები თუ გლობალური ქსელი, სამიოდე ათეული წლის წინ ფანტასტიკის სფეროს ეკუთვნოდა. იმის პროგნოზირებას, რა მოხდება სულ რაღაც ათი წლის შემდეგ, ცოტა თუ ვინმე ბედავს. ყველაზე მამაცი მეცნიერების შეფასებით, კაცობრიობა ისეთი ცვლილებების ზღვარზე იმყოფება, რომელიც თავისი მნიშვნელობით მოაზროვნე ადამიანის გაჩენას შეიძლება შევადაროთ. ამ ცვლილებების არსი კი ისაა, რომ ტექნოლოგიურ განვითარებას აუცილებლად მოჰყვება ისეთი ინტელექტის შექმნა, რომელიც ადამიანურს აღემატება.

„ვებ 2-ის გაჩენის შემდეგ, ინფორმაცია უფრო მეტად დაემსგავსა ბაქტერიების კოლონიას, რომელიც სწრაფ მუტაციას განიცდის, ახალ გარემოებებს ადვილად ეგუება და ადამიანებს „საკვებად“ იყენებს. ჩვენ ვეღარ ვმართავთ ინფორმაციას, უფრო პირიქით ხდება – ინფორმაცია მართავს ადამიანებს, და ამ ცუნამისთან გამკლავების ერთადერთი საშუალება სერფინგია საინფორმაციო ტალღის ქიმზე“, – მითხრა ამას წინათ ჩემმა მეგობარმა, რომელიც რეი კურცვეილის სინგულარობის თეორიითაა გატაცებული.

„25 წელიწადში ცნობიერებას კომპიუტერში გადავტვირთავთ; უშუალოდ ტვინში ჩანერგილი ნანომანქანები, ვებკამერების მსგავსად, ერთი ადამიანის ცნობიერების მეორეში უწყვეტ ტრანსლაციას შეძლებენ“ – გეჯერათ, რომ ეს შესაძლებელია? და რას ფიქრობთ იმაზე, რომ კიდევ სულ რაღაც „15 წლის შემდეგ – 2045 წელს, სინგულარობის მომენტის დადგომასთან ერთად, ხელოვნური ინტელექტი ადამიანის ინტელექტს გაასწრებს და ტექნოლოგიურ განვითარებას თავის ხელში აიღებს, ხოლო 2199 წლისთვის, თუკი კაცობრიობა სინათლის სხივზე სწრაფი მოგზაურობის გზებს მიაგნებს, ფიზიკის კანონების შეცვლისა და სხვა განზომილებებში მოგზაურობის ხანა დადგება?“

ეს გენიალური გამომგონებლისა და ფუტუროლოგის, რეინოლდ კურცვეილის პროგნოზებია, რომელზეც ის, ისევე აუღელვებლად საუბრობს, როგორც ათეულობით წლის წინ, საინფორმაციო ტექნოლოგიების დივერსიფიცირებასთან ერთად, საბჭოთა კავშირის დაშლას წინასწარმეტყველებდა. კურცვეილი 2009 წელს Ted.com-ზე აღმოვაჩინე – სინგულარობის ინსტიტუტის შექმნაზე საუბრობდა: „როდესაც MIT-ის სტუდენტი ვიყავი, ჩვენ ყველას ერთი კომპიუტერი გვქონდა, რომელიც კამპუსის ბოლოში იდგა და მთელი შენობა ეკავა. ის, რაც მთელი შენობისხელა იყო, ახლა პიჯაკის ჯიბეში მეტევა. ის, რაც ახლა ჯიბეში მაქვს, 25 წლის შემდეგ სისხლის სხეულაკებში გვექნება. საბოლოო ჯამში, ჩვენ აუცილებლად შევერწყმებით ტექნოლოგიებს“, – ამბობს ის Ted.com-ზე გამოსვლისას.

თებერვალში საქართველო Ted.com-ის მასპინძელი გახდა. „ცხელი შოკოლადის“ ამ ნომერში TEDx Tbilisi-ს კონფერენციაზე თამარ ბაბუაძე წერს. მგონი, ჩვენი ამ ნომრის სტატიებს შორის ეს თემა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი უნდა იყოს, რადგან TEDx Tbilisi ცოტათი მაინც გვაახლოებს იმ სამყაროსთან, რომელიც უტრიალებს სრულიად სხვა მასშტაბის თავსატეხებს – იდეებს, რომლებსაც შესწევს ძალა შეცვალოს სამყარო და ჩვენი მომავალი.

ნინო ჯაფიაშვილი

ჩვენს რეგიონში პირველი – ბანკი "ქართუ" გთავაზობთ უნიკალურ სერვისს!

დინამიური პაროლი თქვენი ბარათის უსაფრთხოებისათვის!

უსაფრთხო ინტერნეტ ვაჭრობა

ბანკ "ქართუ"-სთან ერთად

VERIFIED by VISA

ბანკი ქართუ
CARTU BANK

www.cartubank.ge

ტელ. (+995 322) 925592; (+995 595) 925592

კახა თოლორდავა

როდესაც მე და გია ხადურმა ჯივან გასპარიანის, დუდუკზე მსოფლიოში, ალბათ, ყველაზე მნიშვნელოვანი შემსრულებელის, სახლის ზღურბლს გადავაბიჯეთ, იმ დროს ჯერ კიდევ არ ვიცოდით, თუ როგორ დასრულდებოდა ჩვენი შეხვედრა. იმ დროისათვის მანაც არ იცოდა ის, რომ ჩვენ უკვე სამი წლის განმავლობაში ვცდილობდით მასთან შეხვედრას და ეს მცდელობა ლამის დაჭერობანას თამაშივით იქცა, – ის ხან გამოჩნდებოდა, ხან კი უკვალოდ ქრებოდა და ყველაფრის დაწყება თავიდან გვიწევდა. ის ფაქტი, რომ რეგიონის ყველაზე მნიშვნელოვან მუსიკოსს თბილისში ჯერ არ დაუკრავს, ცალკე საუბრის თემაა, მაგრამ ის, რომ მასზე ან ძალიან ცოტა, ან კი სულაც არაფერი იციან საქართველოში, მართლაც რომ, ჩვენი შეუდრეკელი იდიოტიზმის ნაწილია. ყველგან, სადაც გასპარიანს დაუკრავს, მის მუსიკას და მისი ცირანაპოხის (დუდუკის) ბგერას, ადამიანების ცხოვრება შეუცვლია. ქით რიჩარდს ერთხელ ნათქვამი აქვს, საკუთარ კერპებს არასდროს შეხვდეთო და, გარკვეული თვალსაზრისით, ეს მართლაც რომ, ყურადსაღები რჩევაა, რადგანაც ხშირად ასეთი შეხვედრები გულაცრუების მიზეზი შეიძლება გახდეს. გასპარიანის შემთხვევაში, მადლობა ღმერთს, ასე არ მოხდა. ძია ჯივანი (რომელიც ჯიუტად გვთხოვდა ასე მიგვემართა მისთვის) ყველაზე კარგი ადამიანი აღმოჩნდა იმ მუსიკოსთაგან, ვისთანაც უკანასკნელი წლების განმავლობაში მომცემია საუბრის საშუალება. წინამდებარე ტექსტი, რომელიც მხოლოდ მოკლე ფრაგმენტია ჩვენი საუბრისა, სწორედ ძია ჯივანს ეძღვნება, ყველაზე მარტივი და მგრძნობიარე ინსტრუმენტის მომთვინიერებელს.

ცირანაპოხის მბრძანებელი

გვ. 52

ანა კორძაია-სამადაშვილი

ოთხი თვე გიგი სულაკაურის შესახებ დაწერას ვცდილობდი. დავასრულე და ვაღიარებ: ასე არაფერი გამძნელებია – და ასეთი სიამოვნებაც იშვიათად მიმიღია. ისევ გიგიმ გადამარჩინა – ის, რაც მე ვერ ჩავიწერე, თავად დაწერა. თუკი წაიკითხავთ, აღმოაჩენთ, რომ ფრიად უჩვეულო ტექსტებია, რომლებიც არავის ნაამბობში არ აგერევათ.

მე, თავხედი: – აქ მძიმე რად უნდა?

გიგი: – უნდა.

შეწინააღმდეგებას ვეცადე. გიგიმ გაოცებით ამომხედა:

– ანა, მე გიგი ვარ!

გიგის პორტრეტის შექმნის არც პრეტენზია მქონია და არც სურვილი – არ მიმაჩნია, რომ ჟურნალისტი სხვის სულში უნდა იქექებოდეს, და არც ტრილოგიების ტრფიალი გახლავართ. უბრალოდ, ძალიან მიყვარს გიგი სულაკაურის ლექსები და მოთხრობები, და ვეცადე, ავტორი თქვენთვისაც გამეცნო, ოდნავ მაინც. ბოლომდე არც მე ვიცნობ, და ალბათ, არც არავინ იცნობს – ის ხომ გიგია.

... მესამე წელია, ფრანც კაფკას „ციხესიმაგრეს“ ვთარგმნი. ვფიცავ, გენიოსებს აღარ გავეკარები: კაფკამ არასრულფასოვნების კომპლექსი გამიჩინა. თუმცა, ცოდვა გამხელილი სჯობს: თუ ოდესმე დავამთავრე, ალბათ, ჩავთვლი, რომ მეც გენიოსი ვარ.

მე ხომ გიგი ვარ

გვ. 26

თამარ ბაბუაძე

მოლდოველი გოგონა, მაშა ჩეპრაზოვა იმეილით გავიცანი. ახლა პოლონეთში მუშაობს. დეკემბერში ხუთ მეგობართან ერთად, ვროცლავის პირველი TEDx კონფერენცია მოაწყო. „სტარე მესტო“ – ღონისძიებას მათ ქალაქის ისტორიული უბნის სახელი დაარქვეს, ძველი რაიონი გამოიყენეს TED-ის, ამ ყველაზე ახალი იდეების პლატფორმის, გასაშლელად. ასევე მიმოწერით გავიცანი TEDx-ის ერევნის კონფერენციის ორგანიზატორი, კრისტინ სარგსიანი. მან მიამბო, რომ თავის ქალაქში TEDx-ის ღონისძიების მოწყობა შვილის გამო გადაწყვიტა. სურდა, მისთვის ყველაზე ძვირფას ადამიანსაც განეცადა ის შთაგონება, რასაც TED-ი მსოფლიოს გარშემო მილიონობით ადამიანში აღძრავს.

იმის შესახებ, თუ რატომ მგონია TED-ი ასეთი მნიშვნელოვანი სივრცე და როგორ ჩაიარა პირველმა TEDx კონფერენციამ საქართველოში, სტატიაში გიამბეთ. სვეტისთვის კი ასეთი სურვილი შემოვინახე: მინდა, მაშა ჩეპრაზოვასა და კრისტინ სარგსიანისთანა აქტიური, გაბედული და საკუთარ თავში დარწმუნებული ადამიანები საქართველოშიც გავიცნო. მინდა, გავიცნო, ქართველი ახალგაზრდები, რომლებიც მოქმედებენ და მაშასავით გარედან აფასებენ საკუთარ თავს: „ჩვენ, განვითარებადი ქვეყნების მოქალაქეებს, გვიჭირს დავაღწიოთ თავი პრობლემებს, არა იმიტომ, რომ ცუდები ვართ, არამედ იმიტომ, რომ ბოლო ოცი წლის განმავლობაში რაც კოლექტიურად გადაგვხვდა თავს, ძალიან მძიმეა დასავიწყებლად. თუმცა, თუ გვინდა, წარსულს გავცდეთ, ჯერ ჩაკეტილი გონება უნდა გავათავისუფლოთ, TEDx-ი კი ჩვენისთანა ქვეყნებში ზუსტად ამას აკეთებს“. მოკლედ, მინდა, შევხვდე ქართველებს, რომლებიც TED-ის თბილისში უკვე გახსნილ „სეზონს“, მის საქართველოს სხვა ქალაქებში გასავრცელებლად გამოიყენებენ.

TEDxTbilisi – შორი ხედვა

გვ. 40

პირველი ქართული ღვინის გზამკვლევი
უკვე იყიდება

“ლიტერატურული კაფეების” ქსელში:
“წიგნის სახლი” - პეკინის #31
“ლიტერატურული” - ბამბის რიგი #7
“ლიტერატურული” - აბაშიძის #22
“ლიტერატურული” - თარხნიშვილის #2

წიგნის მაღაზიებში:
“სანტა ესპერანსა” - სანკტ-პეტერბურგის #12
“ლიგამუსი” - ჭავჭავაძის გამზ. #32
“წიგნები ვაკეში” - ფალიაშვილის #66
“პროსპეროს ბუქსი” - რუსთაველის #34
“დიოგენე” - აფაქიძის #9

ღვინის მაღაზიებში:
“la Maison de vin” - შარდენის #18
“ვინოთეკა” - კოტე აფხაზის #33
“ღვინის სახლი”
- პეკინის #45
- ლესელიძის #55

“ხარება” - რუსთაველის #50
“ხოხბის ცრემლები” - სიღნაღი, ნიკოლოზ ბარათაშვილის #18
“ღვინის სამყარო” - ლაღიძის #2
შატო მუხრანის ღვინის მაღაზია - მეიდანზე

სასტუმროებში:
“რჩეული”
- ბათუმი, ჟორდანიას #31
- სიღნაღი, აღმაშენებლის #6
- ქუთაისი, გრიგოლ ხანძთელის #21ბ
- თელავი, ჭავჭავაძის გამზ. #154

“შერატონი “
- თბილისი, თელავის #20
- ბათუმი, რუსთაველის #28

“სიტადინი” - თავისუფლების მოედანი #4

მაღაზიაში:
“შემოქმედებითი სტუდია ემელი” - თუმანიანის #15

გალერეები:
წიგნის გალერეა, რუსთაველის #11
ცისფერი გალერეა, რუსთაველის #11
ეროვნული გალერეა, რუსთაველი #3

“საქართველოს ფოსტის” ჯიხურების ქსელში

დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით:
ტელ: + 995 32 2471005
მედია ჰაუსი დეკომი

2012

ქართული ღვინის გზამკვლევი

Georgian Wine Guide

მალხაზ ხარბედია
Malkhaz Kharbedia

კადრი ფილმიდან „ჩემი კვირა მერლინთან ერთად“

14 მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც არ უნდა გამოტოვოთ

ავტორი სალომე აფხაზიშვილი

გამოფენა

მერაბ აბრამიშვილის ნამუშევრები

სად *ახალი გალერეა*
თარიღი *16.03–31.03*
გახსნა *18:00*
მისამართი *ბესიკის ქ. №26*

ახალი გალერეა დამთვალიერებელს ქართველი მხატვრის, მერაბ აბრამიშვილის ნამუშევრების გამოფენას სთავაზობს. ეს ექსპოზიცია მხატვრის 55 წლის იუბილეს ეძღვნება. გალერეაში მერაბ აბრამიშვილის ფერწერული და გრაფიკული ნამუშევრები გამოიფინება.

„მაფიოზები, კარდინალები, ბრენდები“

სად *გალა-გალერეა*
თარიღი *15.03–25.03*
გახსნა *19:00*
მისამართი *ათონელის ქ. №27*

ქართველი მხატვრის, მიშა შენგელიას ფერწერული ნამუშევრების გმირები გასული საუკუნეების გავლენიანი პერსონაჟები – კარდინალები და მაფიოზები არიან. ნახატებზე რეალური, ისტორიული პირებია გამოსახული, რაც ეპოქისა და ვინაობის მითითებითაც დასტურდება. მათ ტანსაცმელზე კი, ცნობილი კომპანიებისა და ბრენდების ლოგოებია გამოსახული, რითაც, მხატვარი ძველ და ახალ დროს შორის კონტრასტის გავლებას ცდილობს.

„ორმაგი ექსპოზიცია“

სად *კავკასიური სახლი*
თარიღი *15.02–25.03*
გახსნა *19:00*
მისამართი *გალაკტიონის ქ. №20*

კავკასიური სახლი ახალგაზრდა ლიტველი ფოტოგრაფის, აუსტეა ტავორაიტეს ფოტოექსპოზიციას მასპინძლობს. აუსტეა იმ არცთუ მრავალრიცხოვან ფოტოგრაფთა რიცხვშია, რომლებიც ფირიანი კამერით მუშაობენ. მის გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება მულტიექსპოზიციის მეთოდით შესრულებული 23 ფერადი და შავ-თეთრი ფოტონამუშევარი, რომლებიც ერთ კადრში ინტეგრირებულ რამდენიმე გამოსახულებას წარმოადგენს. ექსპოზიციას აუსტეას ერთი კონკრეტული იდეა უდევს საფუძვლად: მისთვის არ არსებობს ცალმხრივი ჭეშმარიტება, მის რეალობაში ორგანულად უკავშირდება ერთმანეთს თითქოს სრულიად განსხვავებული ფაქტურები და მოცემულებები, ვთქვათ, ოკეანე და ქვაფენილი. სწორედ ამ მიდგომით, იგი ცდილობს, საკუთარი შინაგანი

AHMAD TEA
LONDON
ყოველი ჩაი ახალი ყოს
შეიძენეთ სიცოცხლის ძალა!
AHMAD TEA
ENGLISH · TEA · No.1
EXCLUSIVE · QUALITY · TEA
100 TEA BAGS
NET WT · 200g · POIDS NET
AHMAD TEA
AHMAD TEA

წარდგენა
ილუსტრატორთა სახელოსნო „ვირგამი“

„ვირგამი“ (ვირტუალური გამომცემლობა) 2009 წელს ოთარ ყარალაშვილმა დააარსა. თავდაპირველად, სახელოსნოში ხუთი ადამიანი მუშაობდა, ახლა კი უკვე ცამეტნი არიან. „ვირგამის“ დაარსებისას ილუსტრატორები სამხატვრო აკადემიაში სწავლობდნენ, დღეს უმაღლესი განათლება ყველას მიღებული აქვს, თუმცა სწავლას ისევ აგრძელებენ და კვირაში ერთ დღეს ტიპოგრაფიის კურსს უთმობენ. ძირითადად ხელით ხატავენ, – წიგნი საბეჭდ კონდიციამდე მიჰყავთ, შემდეგ, გამომცემლობებს სთავაზობენ და დაინტერესების შემთხვევაში, საავტორო უფლებებს გადასცემენ. სულ ახლახან „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობამ“ „ვირგამის“ მიერ დასურათებული ხუთი წიგნი გამოსცა, მათ შორის „ზოლემია“ და „პატარა ობობას საათი“. ხუთივე წიგნი უკვე ითარგმნა ინგლისურ ენაზე და ახლა მათ გამოცემაზე უცხოურ გამომცემლობებთან მიმდინარეობს მოლაპარაკება. სულ მალე „რამ შეჭამა ვენახი“ და „მიუნჰაუზენის თავგადასავალიც“ გამოიცემა. „ვირგამი“ ახალ ნამუშევრებს ყოველწლიურად წარმოადგენს თბილისის წიგნის ბაზრობაზე. ვირტუალური გამომცემლობა ახალგაზრდა ილუსტრატორების იმ იშვიათ ჯგუფს წარმოადგენს, რომელიც ქართული წიგნის თანამედროვე სახეს ქმნის.

„ვირგამის“ შესახებ მეტი ინფორმაციის შეტყობა ამ ბლოგზეა შესაძლებელი: www.wix.com/bacentrege/bacentre2


გვ. 58

გვ. 62

გვ. 77

გვ. 109


გვ. 113

განწყობები ფოტოფირზე გადაიტანოს და დამთვალიერებლამდე მიიტანოს.

„სახეები“

სად *გალა-გალერეა*
თარიღი *25.03 – 5.04*
გახსნა *19:00*
მისამართი *ათონელის ქ. №27*

„სახეები“ – ეს გახლავთ კოტე ჯინჭარაძის მიერ, შერეული ტექნიკით – თიხით, საღებავებითა და სხვა საშუალებებით შექმნილი ნიღბების სერია, რომელიც ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებულ ადამიანურ სახეებს გვიჩვენებს. ექსპოზიციის პერიოდში, საგამოფენო დარბაზი ჩაბნელდება და ნამუშევრები, სპეციალურად ამ გამოფენისთვის დამონტაჟებული ნათურებით, ლოკალურად განათდება.

„მუსლიმი ქართველები“

სად *საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმი*
თარიღი *11.03-22.03*
მისამართი *კარგარეთელის ქ. №6*

გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება სტამბულის არქივებში დაცული ოსმალი ქართველების მოღვაწეობის ამსახველი ფოტოები და ხელნაწერები. გამოფენა კიდევ ერთხელ გამოავლენს ქართველების როლს თურქეთის კულტურის, მეცნიერებისა და პოლიტიკის ისტორიაში.

ქართველი ქალი-გალერისტები მხატვრის კოლექციაში

სად *ახალი გალერეა*
თარიღი *1.03-13.03*
გახსნა *18:00*
მისამართი *ბესიკის ქ. №26*

„Top-Hop-Gallerists“ – ასე ჰქვია ოლეგ ტიმჩენკოს ნამუშევრების გამოფენას, რომელზეც წარმოდგენილია ცნობილი ქართველი გალერისტი ქალების ნახევრადშიშველი პორტრეტები. ნახატების ამ სერიის შექმნის მიზეზი სწორედ მხატვრისა და კურატორების ხანგრძლივი მეგობრული და საქმიანი ურთიერთობა გახდა. „მინდოდა გალერისტები წარმომეჩინა არა ჩვეულებრივ ამპლუაში, როგორც გამოფენების ორგანიზატორები, არამედ უბრალოდ, როგორც ლამაზი ქალები, საინტერესო პიროვნებები ინტიმურ გარემოში“, – ამბობს მხატვარი და ნამუშევრების ამ სერიას საეტაპოდ მიიჩნევს.

თეატრი

„ფსიქოზი 4.48“

სად *თბილისის ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკისა და დრამის თეატრი*
თარიღი *14 მარტი*
დასაწყისი *19:00*
მისამართი *დავით აღმაშენებლის გამზ. №182*

„ფსიქოზი 4.48“ ბრიტანელი დრამატურგის, სარა კეინის ბოლო, ყველაზე სკანდალური პიესაა. თვითონ ავტორს „გაორებით“ გამოწვეული დეპრესია სტანჯავდა და სიცოცხლე 28 წლის ასაკში თვითმკვლელობით დაასრულა. პიესაში ის თავს, მოგონილ სატრფოს (მკურნალი ექიმის სახით) და ღმერთს ესაუბრება, რომელმაც მას „ზურგი აქცია“. ტექსტი, პიესის გარდა, მისი რეცენზიების ნაწყვეტებითაცაა გაჯერებული.

მაკა ნაცვლიშვილის რეჟისორობით დადგმულ ინგლისურ პიესას ორი გმირი ჰყავს, რომელსაც რუსკა მაყაშვილი და მარი კიტია თამაშობენ. პირველად, სპექტაკლის პრემიერა 2000 წლის 23 ივნისს, ლონდონში, „ROYAL COURT JERWOOD THEATRE“-ში გაიმართა.

„ზვავი“

სად *მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრი*
მისამართი *დავით აღმაშენებლის გამზ. №164*

თურქი დრამატურგის, თუნჯერ ჯუჯენოღლუს პიესა „ზვავი“ თავისუფლებისა და შიშის დაძლევის ადამიანურ ისტორიებზე მოგვითხრობს. კინომსახიობთა თეატრის მსახიობის, რუსუდან ბოლქვაძისთვის კი, ამ პიესის მიხედვით დადგმული სპექტაკლი, პირველი სარეჟისორო ნამუშევარია. სიუჟეტის მიხედვით, ერთ სოფელში ზვავის მუდმივი საშიშროებაა, რაც ხალხში განსაკუთრებულ შიშს ბადებს – არ ლაპარაკობენ ხმამაღლა, აკრძალულია მშობიარობა, ამიტომ ორსულებს ცოცხლად მარხავენ. რამდენადაც დიდია შიში, იმდენად მკაცრი და აბსურდულია წესები. სოფლის საბჭო მთელი

სოფლის მოსპობას, ერთი ადამიანის გაწირვას ამჯობინებს და ფეხმძიმე, ახალგაზრდა ქალს სასიკვდილო განაჩენს გამოუტანს, რასაც მისი ქმარი ეწინააღმდეგება და ამით სოფელში დამკვიდრებულ სტერეოტიპებს ანგრევს. სოფელი ნორმალურ ცხოვრებას მხოლოდ გაზაფხულზე უბრუნდება, როცა თოვლი დნობას იწყებს.

სპექტაკლში, ისევე როგორც სცენარში, აქცენტი სტერეოტიპულ საზოგადოებაში არსებულ ადამიანურ საფრთხეებზე კეთდება. დადგმას მეტ ინტერესს ის გარემოებაც სძენს, რომ დოგმების რღვევის საკითხებზე საუბრობს დრამატურგი, რომელიც საკმაოდ ტრადიციული და ჩაკეტილი თურქი საზოგადოების ნევრია.

ახალგაზრდა რეჟისორის თვალით დანახული „ანტიგონე“

სად *თბილისის ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკისა და დრამის თეატრი*

თარიღი *10.03, 11.03, 15.03, 16:03*

დასაწყისი *19:00*

მისამართი *აღმაშენებლის გამზ. №182*

ახალგაზრდა რეჟისორი პაატა ციკოლია, ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკისა და დრამის სახელმწიფო თეატრის სცენაზე, სოფოკლეს პიესის – „ანტიგონეს“ თანამედროვე ინტერპრეტაციას შემოგვთავაზებს. რეჟისორი, სპექტაკლში გაბედულ შეკითხვებს სვამს ანტიგონეს გმირობის, საზოგადოების მიერ დაწესებული ნორმებისა და სამოქმედო სივრცის მიღმა არსებობის შესახებ. ანტიკური პიესის თანამედროვე ინტერპრეტაცია, თეატრალური ენისა და ხერხების საინტერესო სინთეზით, სოფოკლეს „ანტიგონეს“ განსხვავებული პერსპექტივიდან დაგვანახებს.

„ანტიგონეში ასახული ტრაგიკული ისტორია ამ შემთხვევაში მაინც თანამედროვე კონტექსტში გაიჟღერებს. ვცდილობ, სოფოკლეს ეს ბრწყინვალე და ულამაზესი ტრაგედია მაყურებლამდე ჩემი თაობის ენით მივიტანო“, – ამბობს რეჟისორი, პაატა ციკოლია.

კინო

„ჩემი კვირა მერლინთან ერთად“

სად *კინოთეატრი „ამირანი“*

მისამართი *კოსტავას გამზ. №36*

ბიოგრაფიული დრამის ჟანრში შექმნილი ფილმის რეჟისორი – საიმონ კერტისია, მსოფლიო სექს-სიმბოლოს როლს კი 31 წლის ამერიკელი მსახიობი, მიშელ უილიამსი თამაშობს. ფილმის ფაბულა ასეთია: ახალი ფილმის გადასაღებად მერლინ მონრო ინგლისში მიემგზავრება. არტურ მილერთან ახალდაქორწინებულია, თუმცა მორალურ კრიზისს განიცდის, დიდი რაოდენობა ალკოჰოლი მოიხმარა, ეშინია, ბოლოს ერთ-ერთ ფილმში ბებერ ქალს ითამაშებს, ... ეს ... ბოლოს ... ...

წარდგენა
ნინო ქევხიშვილი
პოეტი

ლიტერატურის მკვლევართა აზრით, თანამედროვე პოეზიიდან მეტაფორა, როგორც მხატვრული ერთეული, თანდათან ქრება და მის ადგილს ინტონაცია იკავებს. იმ ქართველ ავტორებს შორის, რომელთა პოეზიამაც ეს პროცესი თვალნათლივ ასახა, ერთ-ერთი სწორედ ჰექსეა (პოეტური

ფსევდონიმი) – მისი ლექსების მთავარი ხიბლი ინტონაციურ-სინტაქსური თავისებურებაა. აღსანიშნავია, ასევე, კარგად გამოკვეთილი რიტმული პლანი, რომელსაც ქმნის არა მარტო სახეთა დინამიკური „მოძრაობა“, არამედ ისეთი გამომსახველობითი ხერხები, როგორიცაა მარტივი რითმები, მიმსგავსებული ბგერწერა და ინტონაციების მიხედვით უზუსტესად გადანაწილებული, „დატეხილი“ ტაეპები. უჩვეულოა პოეტური სინტაქსიც - წინადადების სტრუქტურიდან „იკარგება“ სიტყვა, რომელიც მკითხველმა უნდა იგულისხმოს.

ნინოს ლექსებში თემატიკა ძირითადად ფონია: მიმართვის ადრესატი წარმოადგენს გარემოს ერთგვარ პროექციას, რომელშიც, როგორც მარადიული და ეგზისტენციალური, ასევე, სოციალურად მნიშვნელოვანი სათქმელიც შეიძლება, ირეკლებოდეს.

ნინო ქევხიშვილი დაიბადა 1979 წელს. პროფესიით გერმანისტია. 2007 წლიდან გამოჩნდა ლიტერატურულ პორტალზე, ფსევდონიმით ჰექსე. ჰქონდა რამდენიმე პუბლიკაცია ლიტერატურულ პერიოდიკაში. მისი ლექსები შესულია კრებულში „ახალგაზრდა პოეტების ასი ლექსი“.

გვ. 78, 83, 93

ნობით ფსიქოტროპულ საშუალებებს იღებს, რის გამოც ფილმის გადაღებებზე ხშირად აგვიანებს, ან საერთოდ არ მიდის. პირადი ურთიერთობების კრიზისის დაძლევაში მას რეჟისორის ახალგაზრდა ასისტენტი ეხმარება, რომელთან ურთიერთობა მსახიობისთვის სასიამოვნო და სტიმულის მიმცემია.

„გასეირნება ყარაბაღში 3“
სად *კინოთეატრები – „რუსთაველი“, „ამირანი“*

ქართველ მაყურებელს პირველი მარტიდან საშუალება მიეცემა ფილმის – „გასეირნება ყარაბაღში“ მესამე ნაწილი ნახოს. ფილმის პირველი და მეორე ნაწილისგან განსხვავებით, რომელიც 1990-იანების ქაოტურ ეპოქაში დაკარგული თაობის სურათს გვიჩვენებს, მესამე ნაწილში მოქმედება თანამედროვე დროში ხდება. საკუთარ სამყაროში ჩარჩენილი მიშა მესხის გმირი უკვე არა საომარი მუხტით დატვირთულ თბილისში, არამედ თანამედროვე დედაქალაქში ცხოვრობს. ის ამ ახალ ყოფას ვერ მოერგო, თუმცა ფაქტია, რომ მხოლოდ პირადი განცდებისა და გადაწყვეტილებების ამარა ვერ დარჩება, მით უმეტეს, მაშინ, როდესაც საქმე უკვე სრულიად ახალ თაობას ეხება, რომელიც მამების მიერ დაშვებული შეცდომების მსხვერპლი ხდება.

ტრაგი-კომედიური ჟანრის ფილმს ახალი შემოქმედებითი ჯგუფი ჰყავს: ირაკლი სიმონიშვილის, უტა ბერაიას და ლევან კორინთელის სცენარით, ფილმის მესამე ნაწილი ზაზა ურუშაძემ გადაიღო.

სხვადასხვა

24-საათიანი თეატრალური ფესტივალი
სად *რუსთაველის თეატრი*
თარიღი *25.03 -26.03*
მისამართი *რუსთაველის გამზ. №17*

„24-საათიანი ფესტივალი“ აშშ-ს საელჩოსა და „რუსთაველის თეატრის“ ერთობლივი პროექტია (ფესტივალის დირექტორი ნინო მაღლაკელიძე-შიიტს). მასში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ დამწყებ დრამატურგებს, რეჟისორებსა და მსახიობებს. კონკურსის საფუძველზე ექვს დრამატურგს შეარჩევენ, რომლებიც 25 მარტის საღამოს 10-წუთიან პიესებს დაწერენ, მეორე დღეს კი მათ რუსთაველის თეატრის ექსპერიმენტულ სცენაზე დადგამენ. შემოქმედებით ჯგუფს რეპეტიციისთვის ერთი დღე აქვს.

გამარჯვებული პიესის და დადგმის ავტორები აშშ-ს საელჩოსაგან „ქინდლის“ რიდერებს მიიღებენ.

ნინო ანანიაშვილი – 30 წელი სცენაზე
სად *თბილისის საკონცერტო დარბაზი*
თარიღი *18.03*
დასაწყისი *19:00*
ბილეთების ფასი *15.20 ლარი*
მისამართი *მელიქიშვილის გამზ. №1*

თბილისის დიდი საკონცერტო დარბაზი გალა-კონცერტს მასპინძლობს, რომელშიც მონაწილეობას, ნინო ანანიაშვილთან ერთად, მსოფლიო ბალეტის ვარსკვლავები – კევინ მაკკენზი (ამერიკის საბალეტო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი), ბლეინ ჰოვენი და მარია რიჩეტო მიიღებენ.

წარმატებული ქართველი ბალერინის სასცენო იუბილეს, ერთმოქმედებიანი საბალეტო დადგმითაც აღნიშნავენ, რომელშიც მონაწილეობას თავად ნინო ანანიაშვილი მიიღებს. წარმოდგენა კონცერტამდე ორი დღით ადრე, 16 მარტს, რუსთაველის თეატრში გაიმართება და 19:00 საათზე დაიწყება.

სად არის კოპელია?
საბალეტო წარმოდგენის ჩვენება-განხილვა
სად *ევროპის სახლი*
თარიღი *28.02*
დასაწყისი *18:00*
მისამართი *შალვა დადიანის ქ.№2*
დასწრება თავისუფალია

ფრანგული ცეკვის ახალი თაობის წარმომადგენლის – მაგი მარენის ბალეტის, „კოპელიას“ ჩვენება, ევროპის სახლის მიერ ორგანიზებული პროექტის – „ერთი და მრავალსახოვანი ევროპა XX და XXI საუკუნეების ბალეტის ფონზე“ – მესამე საღამოს ფარგლებში იმართება. ჩვენებას ფილოსოფოსი და დამოუკიდებელი ჟურნალისტი, ხათუნა მზარელუა უხელმძღვანელებს.

თანამედროვე ცეკვის, თეატრის, პანტომიმისა და კინოს ჰარმონიული ნაზავით შექმნილი წარმოდგენა კლასიკური ქმნილების თანამედროვე წაკითხვის მცდელობაა. სინთეზური წარმოდგენის მთავარი გმირი-გოგონა ისეთივე სექს-სიმბოლოა, როგორც – მერლინ მონრო, რომლით მანიპულირებასაც ბევრი ცდილობდა, თუმცა აღნიშნულ წარმოდგენაში ფრანგი ქორეოგრაფი ქალი ზუსტად იმას უსვამს ხაზს, რომ მანიპულაციის ობიექტი თავად მანიპულატორი შეიძლება გახდეს.

„ცხელი შოკოლადის“ ქართული ფილმების კრებული

საბჭოთა ჯოჯოხეთიდან ბედნიერების მატარებლამდე

დავით ბუხრიკიძე

ნუცა ხუციშვილი-ღოღობერიძე ***„ბუბა“***
ნუცა-ალექსი მესხიშვილი ***„ფელიჩიტა“***

პირველი საბჭოთა ქალი-კინორეჟისორი, ნუცა ხუციშვილი-ღოღობერიძე, თავისი ფილმებით, 30-იანი წლების საბჭოთა ეპოქის დამღით და ტრაგიკული ცხოვრებით, ჩვენი, ბოლომდე გამოუკვლეველი, კინოწარსულის დრამატული შეხსენებაა.

ნოემბერში, ლიტერატურის მუზეუმში ნაჩვენები 40-წუთიანი ფილმი „ბუბა“ კინოაღმოჩენას ჰგავდა. მაყურებელმა მონტაჟურად გამართული და მხატვრული კონტრასტებით გამორჩეული 30-იანი წლების მთიანი რაჭის სოციალური და ეთნოგრაფიული სურათები იხილა. თუმცა, რიონის კაშხლისა და სამთო კურორტის მშენებლობა, ისევე, როგორც ჩქაროსნული ელმავლის კადრები ფინალში, საბჭოთა პროპაგანდის მიმართ კომპრომისს უფრო წააგავდა.

რეჟისორმა სულ სამი ფილმის გადაღება მოასწრო: 1928 წელს მიხეილ კალატოზიშვილთან ერთად – „მათი სამეფო“, 1930 წელს – დოკუმენტური ფილმი „ბუბა“, ხოლო 1933 – წელს მხატვრული ფილმი – „უჟმური“, რომლის სცენარის შექმნაში ნუცა ხუციშვილი-ღოღობერიძის მეგობრები, დიდი რეჟისორები – დოვჟენკო და ეიზენშტეინი მონაწილეობდნენ. ფილმის ჩაბარებისას სამხატვრო-პოლიტიკურ საბჭოზე, ნუცა ღოღობერიძემ ლამის წინასწარმეტყველურად განაცხადა: „თქვენ ჩვენგან აგიტფილმს მოითხოვთ... ჩვენთან ისეთი მდგომარეობაა, რომ ვიმყოფებით გზისგასაყარზე, საიდანაც ყველა მიმართულება სასიკვდილოა“. ეს სიტყვები 30-იანი წლების საბჭოთა ეპოქის ზუსტი შეფასებაა. ძალიან მალე, მისი ცხოვრება მართლაც ჯოჯოხეთად იქცა – დევნა, გადასახლება, ციხე და... დაბრუნება. მოგვიანებით, ტკივილნარევი ღიმილით იტყვის: „არქიპელაგი გულაგი“ – ეს ჩემი ქვეყანაა, მე იქ ათი წელი ვიცხოვრე“!

„ბუბა“ მოსკოვში, გასული საუკუნის 80-იან წლებში „გოსფილმოფონდში“ აღადგინეს. ფილმის DVD ვერსია, რომელსაც „ცხელი შოკოლადის“ მკითხველი გაეცნობა, ფირის ვერცხლის შემცველობის გამო, უდავოდ ინარჩუნებს გამოსახულების სიზუსტეს, მკაფიოობას და უჩვეულო ელვარებას. მხატვარ დავით კაკაბაძის უჩვეულო ხედვა და კადრის ფერწერულობა იმდენად მნიშვნელოვანია, რომ მიხეილ კალატოზიშვილის „ჯიმ შვანთესაც“ კი უწევს კონკურენციას.

ფილმის დასაწყისში გელათის ტაძრის უნიკალური კადრები და ფრესკები მონტაჟურად „ეჯახება“ რიონჰესის მშენებლობის კადრებს. წარსულისა და აწმყოს ამგვარი კონტრასტი, მთელი ფილმის განმავლობაში იგრძნობა. მთიანი რაჭის სოფლების ყოფის ამსახველი სცენები, მთის პეიზაჟებს ენაცვლება, სტიქიისა და ცეკვა „ფერხულის“ ამაღლებული განწყობა – სამხრეთ ოსეთზე გამავალ საცალფეხო სამხედრო გზის პროზაულობას.

ახლახან სპეციალურად ამ ფილმისათვის შექმნილი გიო ცინცაძის მუსიკაც, როგორც საუნდტრეკი, პირველად, სწორედ 80 წლის შემდეგომ პრემიერაზე, ლიტერატურული ისტორიის მუზეუმში აჟღერდა.

დაგვიანებით, მაგრამ საბედნიეროდ, მაინც ვიხილეთ პირველი ქართველი რეჟისორი-ქალის დოკუმენტური ფილმი, რომლის ხარისხი განვლილ წლებთან ერთად კიდევ უფრო დასაფასებელია. ბედის ირონიით, ნუცა ხუციშვილი-ღოღობერიძის ერთადერთი და ჩვენთვის უცნობი მხატვრული ფილმი „უჟმური“, რომელიც ასევე „გოსფილმოფონდში“ აღადგინეს, ჯერ კიდევ მიუწვდომელია... არადა, ათიოდე წლის წინ აღდგენილი ფირის ორიგინალის ყიდვა სულ რაღაც 10 ათას დოლარად შეიძლებოდა.

ნუცა ალექსი-მესხიშვილის რეჟისურას, ბებიისგან, ნუცა ღოღობერიძისგან განსხვავებით, რეპრესიები და აკრძალვა არ შეხებია. სამაგიეროდ, მისი ნახევარსაათიანი ფილმი, ირონიული და პოეტური სახელწოდებით – „ფელიჩიტა“, ცხად სოციალურ და პოლიტიკურ გზავნილს ინახავს. 2009 წელს, ვენეციის 66-ე კინოფესტივალზე „ფელიჩიტას“ საუკეთესო სადებიუტო, მოკლემეტრაჟიანი ფილმისათვის სპეციალური პრიზი გადაეცა. უცხოეთში არალეგალურად წასული ქართველი ქალები კი, ახალი ქართული დოკუმენტური, თუ მხატვრული ფილმების თემად იქცნენ.

ნუცა ალექსი-მესხიშვილის მოკლემეტრაჟიან ფილმს ზომიერება, დისტანციური თხრობა და პერსონაჟებისადმი თანამგრძნობი ირონია გამოარჩევს. ათიათასობით წასული თუ პოტენციური გამქცევის ბედი, თამარის მსგავსად, ერთ წერტილში იკვეთება. თამარის დრამატულ მონოლოგს მხოლოდ ტელეფონით ვისმენთ, სახიფათო მგზავრობისთვის ემზადება კიდევ ერთი ახალგაზრდა ქალი, რომელიც საბერძნეთში მიმავალ ავტობუსში, ყუთებში უნდა დაიმალოს.

„ფელიჩიტას“ წარმატებას არა მხოლოდ კარგი სცენარი განაპირობებს, არამედ, თემის აქტუალობა და მახვილი, თითქმის ტრაგი-კომიკური მზერით გამორჩეული რეჟისურა. არც ოპერატორ გიორგი ბერიძის ნამუშევარი უნდა დავივიწყოთ და არც ეკა მაღალაშვილის კოსტიუმები. გია ყანჩელის მუსიკალური მინიმალიზმი კი, მხოლოდ აძლიერებს ემოციურ შთაბეჭდილებას.

კვლავ მადონა

ანა კორძაია-სამადაშვილი

ფილმი ვნახე, თან ძალიან სასაცილო, თან მაგარი სატირალი, „მხიარულები“ ერქვა. იქ ერთი ნორჩი არსებაა, ტრანსვესტიტი. ის ძალიან ლამაზია, თავი ძალიან მოსწონს და აღტაცებული გასძახის: „მე მადონა ვარ, მე მადონა ვარ!“ მეც ცოტა ასე მაქვს საქმე: როცა რამე კარგად გამომდის – ხან შემთხვევით, ხან დიდი ტანჯვის შედეგად, ვდგები ხოლმე სარკესთან და ჩემს ანარეკლს ამაყად ვეუბნები: „მე ვიყო მადონა!“

ჯერ ბოლომდე არ გავგიჟებულვარ, თავი მადონა არ მგონია და არც იმას ვცდილობ, რომ მასზე მაგარი გოგო ვიყო. უბრალოდ, ბოლო დროს ცოტა დავიწყებული მყავდა და ახლა, მისი 2012 წლის 5 თებერვლის გამოსვლა რომ ვნახე, გულს შემომეყარა: რატომ უნდა იყოს მადონა, 53 წლის მადონა, ასეთი მშვენიერი? ახლა არ მითხრათ, ოპერაციები აქვს გაკეთებულიო. კი, აქვს – მერე? რა, სახე რომ გადავიჭიმო, ასე ვიცეკვებ? ტუჩებს თუ დავიბერავ, საათობით შევძლებ სცენაზე ხტუნაობას? თავიდანაც რომ ამაწყონ, ამდენი ადამიანი ჩემს გასვენებაზეც არ შეიკრიბება, არამცთუ საჯარო გამოსვლის სანახავად. თან, ათი წლის შემდეგ. კარგი, რა...

მაისიდან ნოემბრამდე მადონა ორმოცდაათ კონცერტს გამართავს მსოფლიოს ორმოცდაათ ქალაქში, და როიალთან ჩამომდგარი კი არ იჟღურტულებს – სცენაზე გაგიჟდება, გადაირევა და უზარმაზარ დარბაზებს გადარევს. 7 ივნისს სტამბულში იქნება, და სულ ფეხით რომ მომიწიოს ჩასვლა, მაინც ჩავალ, თუნდაც იმისთვის, რომ საკუთარ თავს დავუმტკიცო: მთლად მადონა ვერ ვარ, მაგრამ რაღაცის შნო მეც შემრჩენია.

ყველა ქალი თავისებურად მშვენიერია; ნაოჭები ძალიან საყვარელია; პატარა ღიპი და ჩამოწელილი მკლავები ორმოცს გადაცილებული მდედრის განუყრელი ატრიბუტებია; სახეს ინტელექტი ასხივოსნებს; ტანგოს თუ ცუდად ცეკვავ და თან ქოშინებ, ყველა მოიხიბლება – ტყუილი! დიდი ტყუილი! ვინ უფრო მოგწონთ: ზემოთ აღწერილი ქალი თუ მადონა?

არადა, სანამ პაატა საბელაშვილი მესტუმრებოდა – არა, თან მეგობარი რომ ჰქვია! – კომპიუტერს სამზარეულოს მაგიდაზე გაშლიდა და ბოროტად, ძალიან ბოროტად მაჩვენებდა მადონას უახლეს გამოსვლას, იანკა დიაგილევას ვუსმენდი და ვფიქრობდი, რომ მოგიყვებოდით პატარა გოგოზე, რომელიც ყველაზე მაგარ სიმღერებს წერდა. ერთის ტექსტი განსაკუთრებით მომეწონა: „იცი, ჩვენ შვილები გვეყოლება, ამქვეყნად ყველაზე ლამაზები, ყველაზე საზიზღრები და ავები, ყველაზე დარტყმულები – ჩვენსავით...“

თვალუწვდენელი ციმბირი, დიდი, ცივი მდინარეები, ინდუსტრიული კვანძების ნანგრევებთან დანთებული კოცონი, თავისუფლება იდიოტურ მხარეში – ეჰ, იანკა... უცებ ვუღალატე. გავცვალე მადონა ლუიზა ჩიკონეში, რომელიც ულამაზეს კაბებში, უზარმაზარ, გაჩახჩახებულ სცენაზე ყოვლად პრიმიტიულ სიმღერებს მღერის. ბურჟუაზიის სამოთხე. მე ვგიჟდები მადონაზე.

იანკა კი... რა ვიცი. ჩემი გამჭირვებია, აღარ მინდა იმის გახსენება, რომ:

От большого ума лишь сума да тюрьма,
От лихой головы лишь канавы и рвы,
От красивой души только струпья и вши,
От вселенской любви только морды в крови...

ვერ ვთარგმნი. პოეტი არ ვარ. თუ ვერ წაიკითხავთ, გული დამწყდება, მაგრამ რა გაეწყობა. მე არაფერზე ვიდარდებ და თავს მივხედავ: მადონაზე ვიფიქრებ, ბევრს ვივარჯიშებ, ვიცეკვებ, ვიხტუნავებ, დავმშვენდები და ავშენდები. ტრამვაის რელსებზე არ ვისეირნებ და ღუმელში ტანსაცმელს არ დავწვავ, და როგორც კი ჩემს სიმართლეში ეჭვი შემეპარება, გავიხსენებ, რომ იანკა 24 წლისა მოკვდა – თუ მოკლეს, კაცმა არ იცის, – 53 წლის მადონა კი, უბრალოდ კი არა, ძალიან, ძალიან ცოცხალია.

ნატურფარმი

გიღოცავთ 3 ლა 8 მარტს!

სიხტრე

თრუსო

გაგა ნახუცრიშვილი

„ჟორპინიადა“. კარვები. ღამე. ფანრები ყველა კარავს ანათებს.

– პადიოოომ! პადიოოომ! – ძია ჟორა გვაღვიძებს. მთაში კი ბნელა. ჯერ არ გათენებულა. მწვერვალი უნდა დავლაშქროთ. ძალიან მარტივი. ის მწვერვალი ლამის ჩლიქოსნებმაც დალაშქრეს, როცა დაჭირდათ. მწვერვალი პატარაა, სურვილი – დიდი. უნდა ვისწავლოთ რაღაც, რაღაც მთავარი, ურთიერთობა რომ ჰქვია.

ჩვენც მწვერვალს მივუყვებით, ჟორა ბერძენიშვილთან ერთად. იქიდან სხვანაირად ჩანს მიწა. როცა თუნდაც პატარა მწვერვალზე ადიხარ, გრძნობ, რომ მთელი ცხოვრება წინ არის...

თრუსოს ხეობა... ლურჯი ტბები და წითელი კლდეები. ტრავერტინებზე მოელვარე წყალი, მზის სხივებით და მთვარის შუქით განათებული. ეს ელვარება თვალს არ გჭრის. პირიქით, გამშვიდებს და ზღაპრულ სიფერადეში მიჰყავხარ. თუნდაც ილუზიური მწვერვალისკენ მიმავალს, გაოცნებებს, შეგაყვარებს.

. . .

შეყვარებაც იოლია მთაში. უბრალოდ, უნდა გიყვარდეს და წყლის მათარა მოგაწოდოს, როცა დაიღლები. შენც, უბრალოდ, უარი უნდა უთხრა, რადგანაც მოგწონს და გიყვარს. შენი ღირსებაც გაქვს, რომ გზა განაგრძო, სადღაც ღრუბლებში თუ ღრუბლებს მიღმა.

. . .

ბანაკში დავბრუნდით. ფეხზე ვერ ვიდექით, ოღონდ უფრო სიხარულისგან, ვიდრე დაღლილობისგან. მწვერვალის აღება უნდა აღგვენიშნა. მე კი დაღლილობას არ ვიმჩნევდი და ერთი-ორი კარგი სასმელიც გადავკარი. თანაც გოგოს ვეპრანჭებოდი.

ცხვარი მოეყვანათ, ჩვენი გამარჯვების აღსანიშნად. მივუჯექი.

– გამარჯობა, როგორ ხარ? – ვკითხე. ცხვარი ჩუმად იყო.

– ჩვენ, ყველანი მოვკვდებით ადრე თუ გვიან, – ვუთხარი ცხვარს. ცხვარი ჩუმად იყო.

– მე გოგო მიყვარს, – ვუთხარი ცხვარს. ცხვარი ისევ ჩუმად იყო.

– მე რომ შენზე ადრე მოვკვდე? – ვკითხე. ის ისევ ჩუმად იყო.

ცხოველები ჩვენზე ღირსეულად კვდებიან. შიშის გარეშე. იმათ თვალებში მხოლოდ სევდა და ტკივილია. სევდა, რომ ამქვეყანას ტოვებენ და ტკივილი, რომ გავიმეტეთ. იმ საღამოს ცხვრის ხორცს ვერ გავეკარე.

მოსაღამოვდა. კარავი თავიდან უნდა გამეშალა და უკუღმართად, პირით ფერდობისკენ გავშალე, რადგანაც ჩემი გოგოსთვის მინდოდა მეცქირა. ვესაუბრებოდი.

– როგორ ხარ? – ის ჩუმად იყო.

– მოგწონს თრუსო? – ის ჩუმად იყო.

– მომწონხარ, – ის ისევ ჩუმად იყო.

მერე კარავში შევედი და დავიძინე. უცნაური სიზმარი ვნახე: მეზღვაური ვიყავი. შეიძლება, კაპიტანიც. გემი კი იღუპებოდა... აქანავებდა ოკეანის ღელვა და ტალღები. გაურკვეველ განკარგულებებს ვიძლეოდი, რადგან დასაღუპად განწირულ გემს ვმეთაურობდი. მერე გამეღვიძა. თავი წყალში მედო. ღამით თოვლი მოსულიყო თრუსოში, რომელიც დილის მზეს გაედნო და ჩემი უკუღმართად გაშლილი კარავი წაელეკა.

ეჰ, მერე მივხვდი, არც ერთი ქალი არ ღირს – ღამით, მთაში დასველებად... ოღონდ, კარავი მაინც უკუღმა უნდა გაშალო.

მერცის სპეციალური დრაჟე

დღეში მხოლოდ 2 დრაჟე!

"უზადოდ ჯიიალა ჯანი"

მერცის სპეციალური დრაჟეს ფორმულა B-ვიტამინების კომპლექსით და B-ჯიოტინით, განაპირობებს ჯანის უჯრედების ყოველდღიურ აღდგენა-განახლებას.

"ჯანსაღი, მბზინავი თმა"

მერცის სპეციალური დრაჟე შეიცავს ვიტამინ A-ს, კალციუმის პანთოთენატს და ფოლის მჟავას, რაც უზრუნველყოფს თმის ძირების კვებას და თმის სტრუქტურის აღდგენას.

"ღამაზი, მტკიცე ფრჩხილები"

მერცის სპეციალურ დრაჟეში შემავალი ბიოტინი, რკინასთანდა ამინომჟავებთან კომბინაციაში განაპირობებს ფრჩხილების სწრაფ ზრდას, ზედაპირის სიგლუვეს და იცავს მათ განშრევებისაგან.

გამოამჟღავნეთ თქვენი სილამაზე

დამზადებულია გერმანიაში

www.abc-pharm.com tel: 2 911 900

გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას. პრეპარატის უკუჩვენებებისა და გვერდითი მოვლენების მესახებ, დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

პატენტექს ოვალი®

არაჰორმონული ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალება

უსაფრთხო კონტაცეპტივი ქალებისათვის, რომლებს:

- იჩენენ საიმედო კონტრაცეპციას
- არ სურთ ჰორმონული კონტაცეპტივების ხანგრძლივად გამოყენება
- სურთ კონტრაცეპტივის გამოყენება მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში
- არ შეუძლიათ ჰორმონული კონტაცეპტივების მიღება

დამზადებულია გერმანიაში

www.abc-pharm.com tel: 2 911 900

გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას. პრეპარატის უკუჩვენებებისა და გვერდითი მოვლენების მესახებ, დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

შუქების მოთვალთვალე

რატი ქართველიშვილი

მამას ყოველთვის უცნაური გატაცებები ჰქონდა. ჯერ იყო და, გაგანია საბჭოთა კავშირის დროს უცხოურ ასანთის კოლოფებს აგროვებდა. ზოგი მეგობრებს და კოლეგებს ჩამოჰქონდა მისთვის საჩუქრად, ზოგი – თავად ჩამოიტანა შვედეთში მივლინების შემდეგ. იმ შორეულ შვედეთში ჟურნალ „თეატრი“-ს დავალებით გაუშვიათ ბერგმანთან ინტერვიუს ასაღებად – მე რომ დავიბადე, სნორედ იმ 72-ში – და მისი ცნობილი მარწყვის მდელოც მოუნახულებია – ფილმში, მოხუცი პროფესორის, ისააკ ბორგის ბავშვობის ზმანების ადგილი. თუმცა, ამაზე, ალბათ, სხვა დროს... ისევ ასანთის კოლოფებს დავუბრუნდეთ. არ ვიცი, რისთვის სჭირდებოდა ისინი, მაგრამ თავისი დანიშნულებით არასდროს იყენებდა. უფრთხილდებოდა. შეიძლება, ეს პატარა სუვენირები ერთგვარი ნოსტალგია იყო იმ თავისუფალ სამყაროზე, „რკინის ფარდის“ მიღმა რომ ეგულებოდა, ან, იქნებ, მათი მრავალფეროვნება და სიჭრელე იზიდავდა, – საბჭოთა ასანთის კოლოფები ხომ, კუბოს მაკეტებივით ერთმანეთს ჰგავდა.

შემდეგ, რატომღაც, ქობულეთის პლაჟზე ზღვის კენჭების შეგროვებამ გაიტაცა. ამ უცნაური კოლექციის ყოველი ეგზემპლარი რაღაცით იყო მისთვის საინტერესო. რა იყო ის, რაც გამოარჩევდა მათ, ერთი შეხედვით, მათივე მსგავსი უამრავი სხვა კენჭისგან, ძნელი სათქმელია; შესაძლოა – ოდნავ განსხვავებული ფორმა, უჩვეულო შეფერილობა, ან, უცხო თვალისთვის თითქმის შეუმჩნეველი წახნაგი. გაზეთის ფურცლებში სათითაოდ გახვეული ეს ავლადიდება ზაფხულის მიწურულს, უკან დაბრუნებისას, ჩემი სათრევი ხდებოდა. მაშინ, წელჩაწყვეტილს, არც

ისე რომანტიკულად მეჩვენებოდა ეს ყველაფერი.

კიდევ, იყო ხის გამხმარი ტოტები – სიცოცხლის უკანასკნელ წამს სიკვდილს გადაყრილები, თითქოს მარადიულ ცეკვაში რომ გაშეშებულიყვნენ მამას ოთახის კედლებზე; წითელ იატაკზე, კუდიანის ხელებივით დაკვრანჩხული, ხავსმოკიდებული, მაგრამ სიცოცხლეს ვეღარ მოჭიდებული ფესვები; და სქელი ხავერდის ფარდაჩამოფარებულ ფანჯარასთან, დიდრონი საწერი მაგიდის კუთხეში, ძველი, ბრინჯაოს ლამპის შუქით განათებული – ბებერი მუხის ყვითელი, ბუთქუნა სოკო. და კიდევ რამდენი ასეთი წვრილმანი და უჩვეულო მისი გატაცება, რაც დრომ და მეხსიერებამ შთანთქა...

მაგრამ ყველაზე უცნაური მაინც ნათურების თვალთვალი იყო.

92 წელი იდგა. იანვარი. არეულობის და სიბნელის დრო. საღამოვდებოდა. მამა აივანზე იჯდა თავის ძველ პალტოში ბეღურასავით შეყუჟული და ქალაქს გასცქეროდა. ჩვენი აივნიდან ქალაქი ხელისგულზეა გადაშლილი. ისიც იჯდა და თითქოს, ამ ხელისგულზე მკითხაობდა. – მამა, რას აკეთებ-მეთქი, – ვკითხე. შუქებს ვითვლიო – მიპასუხა, – ჩაბნელებულ ქალაქში კანტი-კუნტად ანთებულ ნათურებს ითვლიდა.

მას შემდეგ ოცმა წელმა განვლო. მამა 2005-ში გარდაიცვალა. ის აქაიქ განათებული ქალაქი დღეს დიდი სარეკლამო აბრასავითაა აბრდღვიალებული...

ზოგჯერ, საღამოობით, ვზივარ ხოლმე ჩემს აივანზე და ამ განათებულ ქალაქში, ჩაბნელებულ ფანჯრებს ვითვლი.

ბიზნესი

ადამიანები მეთოდები სტრატეგიები

თუ იცი და მოქმედებ – მიაღწევ!

გამოიწერეთ ჟურნალი
“ბიზნესი: ადამიანები, მეთოდები, სტრატეგიები”
და მიიღეთ ნომრის გამოსვლის დღეს,
თქვენთვის სასურველ ადგილას.
დაგვიკავშირდით: +995 32 2471005 “მედია ჰაუსი დეკომი”

კამოს ველოსიპედი

დარწმუნებული ვარ, რომ იმ ადამიანმა (ან ადამიანთა ჯგუფმა), რომელიც ვარდების მოედანზე დადგმული იმ ყბადაღებული ველოსიპედის ავტორია, არცკი იცოდა, რომ სწორედ იქ (სულ რამდენიმე მეტრში) 1922 წელს სწორედ ველოსიპედზე ამხედრებული დაიღუპა ცნობილი სომეხი რევოლუციონერი კამო ტერ-პეტროსიანი.

დათო ტურაშვილი

როგორც ყველა ძეგლის დადგმას, ამ უცნაურ გადაწყვეტილებასაც არაერთგვაროვანი გამოხმაურება მოჰყვა თბილისსა და საქართველოში და ჩემთვის ყველაზე საკამათო, მაინც ამ ძეგლის ადგილია. ყოველ შემთხვევაში, მის ესპანურ ანალოგს ქალაქ გვადალახარაში, ეს ველოსიპედი აშკარად სჯობია, მაგრამ ამ ადგილიდან ძალიან ახლოს, სულ ცოტა ხნის წინ, დავით აღმაშენებელი იდგა და ამიტომაც უამრავი ადამიანისთვის, სახელოვანი მეფის ძეგლი, კამოს ველოსიპედმა შეცვალა. ამ გადაწყვეტილების გამო გაბრაზებული ადამიანების დამშვიდება კი მხოლოდ იმით შემიძლია, რომ კიდევ კარგი ხელისუფლების წევრებს შორის არავის მოაფიქრდა დავით აღმაშენებლის ცხენიდან ველოსიპედზე გადაბრძანება. არადა 1991 წელს, როცა ლიტველებმა ჩვენსავით გამოაცხადეს დამოუკიდებლობის აღდგენა, პირველი, რაც მოიფიქრეს, შუაგულ ვილნიუსში ფრენკ ზაპპას ძეგლის დადგმა იყო. ჩვენ კი, სწორედ იმ წელს, გიორგი სააკაძის მესამე ცხენიანი ძეგლი გავხსენით შუაგულ თბილისში და ახლაც მახსოვს ღვაწლმოსილი ქართველი ისტორიკოსების ისტერიული გამოსვლები და უცნაური მოურავის დიდი ქება. როცა რამდენიმე წლის წინ, ლიტვაში აღმოვჩნდი და თავად ვნახე ცხონებული ზაპპას ძეგლი, მაშინ მივხვდი, თუ რატომ დაადგა ლიტველი ხალხი (ჩვენგან განსხვავებით) ნამდვილი თავისუფლების გზას და ჩვენ კი მხოლოდ დამოუკიდებლობის დეკლარირებით დავკმაყოფილდით. მეტიც, იმ ქვეყანაში, სადაც ხელისუფლება ტელეარხებზე დებატებსაც კი კრძალავს, რა გასაკვირია, რომ რიგით ადამიანებს, არათუ განსხვავებული აზრის, ძეგლებისაც კი ეშინოდეთ. ხოლო იქ, სადაც არ არის დიალოგი, არც საზოგადოება ვითარდება, არც ოპოზიცია და არც ხელისუფლება და ჩვენი ხალხის ნაწილსაც მართლა ჰგონია, რომ ამერიკელები აქ იმიტომ შემოვიდნენ, რომ ჩვენთვის მართლმადიდებლობის წართმევა სურთ. თუმცა დასავლური ფასეულობებისადმი ერთგვარი შიში (და სიძულვილიც კი), რომელიც

საქართველოში თითქმის ყველგან იგრძნობა, რასაკვირველია, ყველაზე მეტად, მაინც ხელისუფლების დამსახურებაა. შესაძლოა, საქართველოს ამჟამინდელ ხელისუფლებას ასეთი მიზანი არასოდეს ჰქონია, მაგრამ ასეთი შედეგი უკვე მივიღეთ და ჩემთვის სამწუხაროდ, საქართველოში საბჭოთა წარსულისადმი დაუფარავი ნოსტალგიაც კი გაჩნდა. ამ ნოსტალგიას თვითონ ხელისუფლების წევრებიც ხშირად ამჟღავნებენ ხოლმე, თუმცა ზემოთქმულს ღიად და ხმამაღლა ისინი არასოდეს აღიარებენ და ამიტომაც არასოდეს აგვიხსნიან საქართველოს რიგით მოქალაქეებს თუ რატომ ჰგავს ჩვენი სასამართლო (დღემდე) რუსულ და საბჭოურ ანალოგს (დამოუკიდებლობის სამწუხარო ხარისხით) ან რატომ აკონტროლებს ქართულ ბიზნესს საქართველოს მთავრობა, ისევე როგორც რუსულ ბიზნესს – რუსეთის ხელისუფლება. აღარაფერს ვამბობთ იმ ტელეკომპანიების კონტროლზე, სადაც საინფორმაციო გადაცემები საბჭოთა ნიუსების სამარცხვინო ანალოგია და პირადად (ამასთან დაკავშირებით) ყოველთვის პოლონური გამოსავალი მახსენდება.

მაშინ, გასული საუკუნის ოთხმოციანი წლების დასაწყისში, როცა საბჭოთა კავშირის ტელეეკრანებზე მთელი დღე ბრეჟნევის გამოსვლებს აჩვენებდნენ, ანალოგიური რეჟიმის მქონე პოლონეთში, მთელი საინფორმაციო გამოშვებები პოლონეთის მაშინდელ ლიდერს, გენერალ იერუზელსკის ეთმობოდა. იერუზელსკიც შეუსვენებლად ლაპარაკობდა პოლონეთის კომუნისტური ხელისუფლების წარმატებებზე და მაშინ პოლონელებმა პროტესტის საოცარი ფორმა მოიგონეს და ტელევიზორები ქუჩებში გამოდგეს. ამას აკეთებდნენ ყოველდღე, მაშინვე, როგორც კი საინფორმაციო გადაცემები იწყებოდა, მაგრამ ეს ხდებოდა პოლონეთში, სადაც ადამიანებს პროტესტის ორგანიზებაც კი ჩვენზე უკეთ შეუძლიათ იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ისინი (ჩვენგან განსხვავებით) მართლა ევროპელები არიან.

ავერსი
AVERSI

ავერსი გილოცავთ 3 და 8 მარტის დღესასწაულებს

1 მარტიდან 15 მარტის ჩათვლით გთავაზობთ ავერსის აფთიაქებში 20-40% მდე ფასდაჯლებას აჰავას, დოლივას და ენვიტას სამკურნალო კოსმეტიკაზე

ავერსი გისურვებთ ჯანმრთელობას და მარადიულ სილამაზეს!

WWW.AVERSI.GE

დავით აღმაშენებლის 148/2

☎ 2-967 227



მე ხომ გიგი ვარ

ავტორი ანა კორძაია-სამადაშვილი
ფოტო ლევან ხერხეულიძე

ჩემი ოთახის ერთ კედელზე ზღვის გამხმარი ვარსკვლავები ჰკიდია. მე მიყვარს ისინი. თუმცა არაფერს გამოხატავენ. ან რა უნდა გამოხატონ?! ეს მამაჩემის ვარსკვლავებია. კიდევ თაროზე ნიჟარები აწყვია. არჩილი აგროვებდა მათ. იყო დრო, როცა ბავშვი ვიყავი, მეც ვაგროვებდი რაღაცებს: ძველებურ მონეტებს, მარკებს... ახლა ეს სრული სიგიჟე მგონია.

მე ვუყურებ ამ ოხერ ნიჟარებს და ვფიქრობ, – სად წავიდნენ მოლუსკები, როგორ გამოიჩიჩქნენ, განქარდნენ, რა დაემართათ. არ ვიცი.

მე ვიცი: მე გამოვძვერი და დავტოვე ჩემი ნიჟარა საკუთარ თაროზე, წავედი. მე არ ვიცი, სად, მაგრამ წავედი.

ახლა ვიცი, სადაც, მაგრამ, არ გეტყვით...

გიგი სულაკაური

უნივერსიტეტის წინ კაცს ველოდი. იგვიანებდა. ვღელავდი და ვფიქრობდი, რომ მას საერთოდ დავავიწყდი მეც და ჩემი სტუდენტებიც და უახლესი ქართული ლიტერატურის კურსის არსებობაც. ძალიან მეზარებოდა მის ნაცვლად მის შემოქმედებაზე ლაპარაკი და ცოტა არ იყოს, ველარ ვიტანდი მასაც და საპროგრამო „მე და ჩემ ლიზასაც“.

მოვიდა. აშკარად სციოდა – სვიტრის საყელო ყურებამდე ჰქონდა აწეული. დადგა, ამათვალიერ-ჩამათვალიერა და მითხრა:

– ცოტა ხანს შევჩერდი ჰეკლბერი ფინთან სალაპარაკოდ.

ასე ვიპოვე ჩემთვის გიგი სულაკაური.

გიგი სულაკაური – პოეტი, მწერალი. გამოქვეყნებული აქვს ლექსების კრებულები: „საგნები თოვლში“, „ზოდიაქოს ბორბალი“, „კედელი“, „ხეები, ბიჭი და სხვ.“, „ქუჩის ბიჭების გასაგონად“, „ხეტიალი“; მოთხრობების კრებულები: „მე და ჩემი ლიზა“, თამაში რევოლვერით“. მიღებული აქვს ლიტერატურული პრემია „საბა“.

გიგი სულაკაური ამბებს ისმენს და ჰყვება. კარგი მსმენელია, მთხრობელი – კიდევ უკეთესი. ის ჰყვება, რა გადახდა, რა ნახა, რა უამბეს, რა იფიქრა, და მე იმას გიამბობთ, რაც მან მიამბო.

მე: – მაგარი ისტორიაა, გიგი!

გიგი: – ვიცი...

. . .

არის თბილისში ასეთი კაფე, რომელსაც გიგი სულაკაურმა „მწვანე“ დაარქვა. იქ უბნის კაცები იკრიბებიან, გეპეის სტუდენტები უშველებელ შაურმას ყიდულობენ და მთლიანად ჭამენ – მართლა, ჩემი თვალით მაქვს ნანახი! ცენტრში პატარა შადრევანია, რომელშიც წყალს არ შევსწრებივარ, მაგრამ იქაურებმა მითხრეს, მოსჩქეფს ხოლმეო, და მაგიდებზე მსუქანი ბელურები დახტიან, – მათ, როგორც იმ კაცებმა, ყვითელ მაგიდებთან რომ სვამენ, იციან თავიანთი საქმე.

კაფეში ყვითელი მაგიდები დგას.

მე: – რატომ – „მწვანე“?

გიგი: – იმიტომ, რომ კედლებია მწვანე.

მე: – სამაგიეროდ, მაგიდებია ყვითელი.

გიგი: – „მწვანეში“ უკეთ ჟღერს თუ „ყვითელში“?

მე: – ჰო, ეგ არ მიფიქრია...

გიგი „მწვანეში“ ამბებს ისმენს, ამბებს ჰყვება და ფიქრობს. „მწვანე“ გიგის კაფეა.

გიგი მაგიდასთან ზის და ჩემთვის ყოვლად გაუგებარ მამაკაცებს ამბებს უყვება. ლაპარაკის დროს ხელებს შლის და სიგარეტის ფილტრს კბილებს უჭერს. ცალ ხელზე ორი ვერცხლის ბეჭედი უკეთია. ერთი ბებიის ნაჩუქარი ყოფილა, მეორე კი ძველი ქართული თეთრია. ძალიან ლამაზი ბეჭედია.

– ძალიან ლამაზია, – ვეუბნები.

გიგი მუშტს უცებ კრავს.

– დამამთავრებინეთ ჩემი მადრიგალი!

გიგი ამბობს, რომ კაცობრიობა უმადურია. ადამიანებმა ძეგლი დაუდგეს ყველა ვიგინდარას, მკვლელს, დამპყრობელს და მოძალადეს, და არ დაუდგეს ძეგლი კაცს, რომელიც ამას ყველაზე მეტად იმსახურებდა. ნახეთ, რა გვაცვია! დიახ, ბატონო! ჯინსები! ყველას ჯინსი აცვია! ლევი შტრაუსს კი ძეგლი არ უდგას.

ლივაი სტრაუს!

მაშ, გაუმარჯოს ლევი შტრაუსს!

კაცები სვამენ. ძალიან ცხელა. გიგი პერანგს იხსნის და მე, კაჭკაჭი, მის მკერდზე საუცხოო ჯვარს ვხედავ.

– ბელა ახმადულინასია. – მეუბნება გიგი. – ჰო, რა იყო?

. . .

ოდესღაც, უხსოვარ დროს, ერთი მეგობარი კაცი ჰყავდა, რომელსაც ძალიან

უყვარდა ზამთრის თბილისი. მოთოვდა თუ არა, გიგის გაუვლიდა ხოლმე და ერთად დადიოდნენ ღამის ცარიელ ქუჩებში, თბილისურ ეზოებში შედიოდნენ – „იცი, რა ლამაზი იყო?! გვციოდა, დალევა გვინდოდა, მაგრამ დასალევი არ გვქონდა, და მაინც გენიალური იყო...“

„ათარბეგოვის ქუჩის მონსტრებში“ გიგი წერს: „ყველაფერი უთოვლო ზამთრის, ძია ვანოსა და ათარბეგოვის ბრალია. თოვლი რომ ყოფილიყო, შინიდან ადრე გამოვიდოდი, „დარიალთან“ მარჯვნივ გავუხვევდი, გიმნაზიის ბაღში შევჩერდებოდი და გავერთობოდი კიდეც. მაგრამ არ თოვდა, შინიდან გვიან გამოვედი, ეზოში კი ძია ვანომ შემაჩერა. მეც აჩემებული ტრასის ნაცვლად, მოკლე გზით – ათარბეგოვით წავედი სკოლაში და თავის ქალას ტრავმაც მივიღე, – ვიღაც ტუტუცმა დედაკაცმა შეშის ნაპობი მოისროლა ქუჩაში.

მერე ძალიან დიდხანს მაწვალებდა ამაზე ფიქრი, ძალიან დიდხანს ვიძიებდი, დედამიწის რომელი სახელმწიფოს, რესპუბლიკის, ტომისა თუ კლანის სპორტულ თამაშებს ეკუთვნის III სართულის ფანჯრიდან მყარი საგნების სროლა. ბოლოს იმ დასკვნამდე მივედი, რომ ეს ჩვენი ეროვნული სპორტის სახეობაა.“

– მერე? – შევიცხადე. – თავი გაგიტყდა?

– ჰო, რა იყო? – მიპასუხა გიგიმ. – იცი, რამდენი „ნაკოლკა“ მაქვს?

ნაკოლკა ანუ ნაიარევი. კი, უამრავია. ერთის „დაბადებას“ მეც შევესწარი, – გიგიმ როკ ენ როლის ცეკვის დროს შუბლი გაიტეხა. მე მგონი, ყველაზე საპატიო იარაა, პაციფისტური. თან როლინგ სტოუნზი, როკ ენ როლი, ლივერპულელი ბიჭები...

მამუკა ხერხეულიძემ მიამბო:

– დილას გიგიმ გამაღვიძა. ციოდა. მივედი კართან მძინარე, გავაღე და – გიგი. არ შემოდის, მწუხარეა. „რა არი, გიგი?“ — „ლენონი მოკვდა.“ თქვა და წავიდა. ჩემთვის ჩეპმენი გიგია.

გიგი: – ეს მამუკამ გიამბო?

მე: – ჰო.

გიგი: – უყურე ამას! რას იცინი, ვირისთავო? – გამიწყრა. – ბნელი ხარ, გაუვალი, უღრანი...

მერე გიგი მოყოლას იწყებს. უკვე ვისწავლე, რომ არ უნდა შევაწყვეტინო მადრიგალი. არც მინდა – ძალიან კარგი მთხრობელია, მე კი ამბები მიყვარს. ნელა ჰყვება, სვენებ-სვენებით. სიგარეტის ფილტრს აღარ ღეჭავს.

– ეს „მწვანეში“ ვღეჭავ, – მიხსნის გიგი. – იქ ყველა ეწევა და სიგარეტი არავის არა აქვს. ვეუბნები, ვერ დაგიტოვებ, ძმაო, დაღეჭილია... ჰა, მომისმენ?

თავს ვუქნევ – აბა, რას ვიზამ?

. . .

– ჩვენ ბალღობაში, როცა ფეხბურთის ან რამე თამაშის მერე ვისვენებდით, მოვიჩხრეკდით ბიჭები ჯიბეებს, ხურდას შევაგროვებდით და სასუსნავს ვყიდულობდით. ამას ერქვა შარაფი. თანაც საღამოვდებოდა და ყველას ჩვენ-ჩვენი ამბავი უნდა გვეთქვა. ასეთი იყო საერთო წესი და ჩვენც ვიცავდით ამ ოხერ წესს.

ამბები საშინელი იყო: – „შავი ხელი“, „ყვითელი სახე“, „მკვდარი ბებო“, „კუბო“ და ა.შ. ფანტაზიის ნიჭი ყველას გვქონდა. მაგრამ ჩვენ შორის ერთი ვერცხლისწყალივით ბიჭი მოძრაობდა, – თაზო. აი, ვინ იყო ფანტაზიის ჭეშმარიტი გენერატორი. მაგრამ თაზოს არ უყვარდა მოყოლა. ის უფრო მსმენელი, ჭკვიანი და ჩვენში ყველაზე განათლებულიც გახლდათ და შესაბამისად, ჩვენ „შავ ხელს“ ძალიან ზედაპირულად და აგდებულად უყურებდა.

მას შემდეგ დიდი დრო გავიდა.

ბევრი მოთხრობა აღარც კი მახსოვს. ან რა საჭიროა. მაგრამ მახსოვს თაზოს მონაყოლი. მოგიყვებით, მგონი, საინტერესოა, თუ ბავშვის შეთხზული დაგაინტერესებთ. თაზო სად არის, არ ვიცი. წერა არასდროს უცდია, გავიგებდი.

აი, თაზოს ამბავიც:

– ბიძაჩემმა აფრიკიდან პატარა ანტილოპა ჩამომიყვანა. ძალიან ლამაზი, ყვითელი და ყვითელთვალება, რომელიც გაიზარდა და გავირდა. ეს ძალიან არ მომეწონა, იმიტომ რომ ჩემ ზიალას...

– ზიალას, ბიჭო, თუ ციალას?

– ზიალას! ჩემი ანტილოპა ბიჭი იყო და იალაღი, ნეკერი, ნაშები და ნავარდი მოუნდა. წავიყვანეთ სოფელში...

– ბიჭო, თაზო, შენ რომ სოფელი არა გაქვს?!

– ბიძაჩემს აქვს და ნუ მეჩრებით საუბარში, აზრი მიწყდება და მეხსიერება მეკარგება. ზიალამ ნეკერი, იალაღი და ნავარდი გამოსცადა, მაგრამ ნაშები ვერ იშოვა, სად იყო ნეხვიჭირიანში ნაშები? რა უნდოდათ იქ ანტილოპებს, სავანას მარტორქებს და გეპარდებს? რა ესაქმებოდათ? არაფერი! ზიალამ თხები, ძროხები და ცხვრები ათვალიერა, არ გამოუვიდა არაფერი. დაჰკრა ჩლიქი და მთაში გაიქცა. და იქცა ჩემი ანტილოპა ჯიხვად, ჩაეხვა რქები, გამუქდა, ძალიან დაგოიმდა და შეიძინა ჰარემი, ბევრი, ძალიან ბევრი ფურჯიხვი...

– ფურჯიხვი რაღა ჯანდაბაა, თაზო?..

– იგივეა, რაც ფურირემი.

– არა მგონია...

– ნეტავი შენ... მაცადე. მივიდოდი მთის ძირას და შევყვირებდი: – ზიალა!

გადმოდგებოდა ჩემი ხარანტილოპა მთაზე, გადმომხედავდა და ვგრძნობდი, ბედნიერი იყო. მის უკან ჰარემის ქალები მოკრძალებით იდგნენ ჩადრებში და მოკრძალებით შესცქეროდნენ ჩემ ზიალას.

მეტი რა ბებიათქვენისა გინდათ, „მკვდარი ბებო“ თუ „შავი ხელი“? ისე, რომ იცოდეთ, ჩვენ მეზობელ გენერალს გენერატორი ჩამოუვიდა. ჩემი გენერატორი, – იძახდა გენერალი, – ჩემი გენერატორის გენერალური დეგენერატორი...

– რა გაცინებს? – უკვირს გიგის. საშინელი დედაკაცია...

– მეცინება და რა ვქნა! – თავს ვიმართლებ.

– მერე, კაია, შეჩემა!

. . .

...იმ დილით გიგი „მწვანეში“ იჯდა, ფიქრობდა და „რაფაელოს“ ჭამდა – ციცქნიდა. მერე პაწაწინა კანფეტის ნახევარი ხელსახოცზე დაეტოვებინა და თავად გასულიყო, „სულ ერთი წუთით!“ – ბრაზობდა გიგი. და როცა მობრუნდა, აღმოაჩინა, რომ მის „რაფაელოს“ ბელურები მიირთმევდნენ. დიახ! ის არ აკმარეს, რომ ლუკმა აეცალეს – მაგიდაზე კრემით მოსვრილ ნისკარტებსაც იწმენდდნენ. „ქშა, ქშა!“ – იძახდა გიგი და ხელებს იქნევდა, მაგრამ რად გინდა...

– რა გაცინებს? ე! დაკორტნეს!

თურმე, ჩიტები, გიგის აზრით, საშინელი არსებებია. აი, მაგალითად, მისი ლიფტის თავზე მტრედები ცხოვრობენ და შუადღისას, ზედ გიგის სამუშაო ადგილთან აუტყდებათ ხოლმე სიყვარული

და ღულუნი. ვინ თქვა, რომ ტკბილად ღულუნებენ? ამას რა უშავს: ქვემოთ, მეზობლის აივანზე, კიდევ ერთი მტრედების ოჯახია, და აი, ორივე მხრიდან რომ იწყებენ ღულუნს, მაშინ უნდა ნახოთ, რა ხდება!

– ვაგდებ კალამს და მივდივარ ზაპოიში! – დაამთავრა გიგიმ და გამომხედა: – რა გაცინებს?!

. . .

– მამა, ჩემი ძმა და მე აეროპორტში ჩვენ დედაკაცებს ვხვდებოდით. რომელიღაც ევროპიდან ბრუნდებოდნენ.

ჩვენ აეროპორტთან არხია, – კარგი არხი, – ბანაობაც შეიძლება და რამე.

ივლისის ბოლოა! სასტიკი სიცხეა და ჩვენც ბანაობა გადავწყვიტეთ. ჩვენთან ოთარაც არის – ჩვენი მძღოლი, ძმა და მეგობარი. ამას არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, მნიშვნელობა აქვს იმას, რომ წყალი სასტიკად ცივია, შესვლა გვიჭირს, მაგრამ ჩვენ ხომ ქართველები ვართ!

არხის წყალმა უბედური ხვლიკი ჩამოატარა. ხვლიკი ლეკვი იყო, ანუ პატარა, გაყინული და გარდაცვლილი. დავიჭირეთ და მანქანის გაღულუნებულ წინა მინაზე დავსვით, – ვიფიქრეთ: – იქნებ, ეშველოს რამე... რას წარმოვიდგენდით?! ხვლიკი გათბა და გალამაზდა, გამწვანდა, ფერი დაიბრუნა და ლოთობა და ბოზობა მოუნდა. ჩვენ ხელი შევუწყვეთ: – ნაშები მოვუპოვეთ, ალკოჰოლი და კიდევ უამრავი, უამრავი...

მამამ თქვა: – ეს ბიჭი სულელია, ღმერთმანი...

ლაშამ: – არა, მამ, ეს, მგონი, ხვლიკი არ არის...

ოთარამ: – ჩვენი ფრი ჩამოფრინდა!

მე: – მკიდია! თქვენი დედაც!..

მამა: – რა გჭირს, ბიჭო?

მე: – არაფერი! გაღიზიანებული ვარ და ვმღერი...

ამასობაში ჩვენებიც დაბრუნდნენ.

ხვლიკი გაიზარდა და საბოლოოდ გალოთდა!

. . .

... გიგის შესახებ ვსაუბრობდით. ლაშა თაბუკაშვილმა თქვა: ეგ სულით ჰიპია, თითქოს ვუდსტოკიდან გოაში წასულიყო და ახლა იქიდან მოდიოდეს – იქაც ვერ გაჩერდებოდა, სულ ხეტიალშიაო. გიგის უახლეს კრებულსაც „ხეტიალი“ ჰქვია. წინასიტყვაობაში პოეტი წერს: „ამ ჩემ ხეტიალებს – მზეებს, მთვარეებს, წვიმებს და ფიქრებს ვუძღვნი მეგობრებს, თუ შეიძლება, საკუთარი ხეტიალი და დანარჩენი „სიგიჟეები“ მიუძღვნა ვინმეს.

ვასწორებ: წიგნს ვუძღვნი იმათ, ვისზეც ხეტიალის დროს ვფიქრობ ხოლმე.

კიდევ იმათ, ვინც ვერ იპოვოს სულის სიმშვიდე.“

ამ კრებულში ერთი ლექსია, Foxtrot, – სწრაფად წასაკითხი პოემა.

მე: – რატომ – სწრაფად წასაკითხი?

გიგი სულაკაური ამბებს ისმენს და ჰყვება. კარგი მსმენელია, მთხრობელი – კიდევ უკეთესი. ის ჰყვება, რა გადახდა, რა ნახა, რა უამბეს, რა იფიქრა, და მე იმას გიამბობთ, რაც მან მიამბო.

გიგი: – იმიტომ რომ დიდია.

გიგი სულაკაურის და მამუკა ხერხეულიძის საუბარი გამახსენდა, როცა მამუკა გიგის სთხოვდა, გრძელი და მოსაწყენი ლექსი არ მინდა, მოკლე და საკაიფო წამიკითხეო...

Foxtrot-ი პოემაა და, ჩემი აზრით, არაჩვეულებრივია. ერთგან გიგი შესანიშნავ ამბავს ჰყვება – უფრო სწორად, ხანას უამბობს:

„ხანას გავანდე ჭეშმარიტი სიყვარულის ნაღდი ამბავი, ცოტა საშიში – მე ხომ ერთხელ შევერკინე 40 000 დევს...

...„კოსმოსში“ ხინკალს „უყურებდა“ ქოსა იობა, დუქნის გვერდით კი მაღაზიაში, გარმონს ჭმუჭნიდა „ბროშკანინო“, ამღერებდა, ამეტყველებდა. (გარმონზე უფრო მეტყველებდნენ მისი თვალები და რა თქმა უნდა, თანაც გულით იხედებოდა) მოდგნენ, მოგროვდნენ, აწრიალდნენ ხვადი დევები, სისხლჩამდგარ თვალებს უშტერებდნენ ერთიმეორეს, ისუნებოდნენ და ძვლისმსხვრეველ ეშვებს აჩენდნენ. ხელად მარები შევერიე დევების ურდოს – ძარღვებში მედგა ვერცხლისფერი ჟიპიტაური, ხმის გაუღებლად გადავწყვიტე, რომ „ბროშკანინოს“ მკერდზე მარტო მე დავიბნევდი. ატყდა ერთი შესვლა-გამოსვლა, ძალიან ახლო ნათესავების ტკბილად ხსენება და „ბროშკანინოს“ გარმონის ხმაზე სხვა დევები დავკბინე და მათაც დამკბინეს. მშვიდობით, ტკბილო „ბროშკანინო!“ (სულ დამავიწყდა, რომ ტეხასში ბანკი მიაქვთ ტეხასელ დევებს) ეჰ, გული მწყდება, ვერ დაგიტოვე ჩემში ველურად მიშვებული ფლორა, ფაუნა, „ვაკრუგ სვეტა“, „ჯიოგრაფიკ“ და სახელმწიფო ზოოპარკები ყველა თავისი გაუმაძღარი, არამარხული მობინადრეთი...“

თურმე, მართლა იყო „ბროშკანინო“, მართლა წელავდა გარმონს, მართლა ეცვა გრძელი კაბა და ჟაკეტიდან მართლა ჰქონდა გადმოყრილი ლამაზი ძუძუები, მართლა, მართლა... ეჰ, ბროშკანინო... სხვა ქალებზეც მიამბობ, გიგი?

. . .

– მყავს მეზობელი ჟანა. მყავდა. ჟანას ჰყავს მეუღლე – ვიტალა. ოღონდ რა რჯულისანი არიან, არ ვიცი. ჩვენში დარჩეს, არც მაინტერესებს. მათ არ ჰყავთ შვილები. ჟანას შეუძლებელია ბალღი ეყოლოს, – ის შემზარავია. თუმცა ღონიერ, სქელ ფეხებზე დგას, თეძოებიცა აქვს და ძუძუებიც. ჟანას პატარა, მელიასერაფენიას თვალები აქვს. ხომ გახსოვთ ვაჟა-ფშაველას მელია-სერაფენია? მელია ჟანასთან შედარებით – გვრიტია. ჰო, დამიჯერეთ, ვიცი, რასაც გიყვებით.

მათი კარი, – შესასვლელი კარი, – დიდი, მძიმე, მასიური მუხისაა. ის უხმაუროდ იღება და კარს მიღმა ჟანა დგას, გიყურებს და გეკითხება:

– დასარეკად მოხვედი?

– ჰო, ჟანა. ჩემი ტელეფონი ხომ ყოველთვის ცალმხრივია...

– მოდი, დარეკე... – ჟანა ვერ მიტანს. ოღონდ ეს ცალმხრივი არ არის. სხვები შინ არ არიან. და მე იძულებული ვარ, ჟანა გავჟიმო, – ანუ მისი ტელეფონით ვისარგებლო. ჟანას ტელეფონი ასევე მასიური, მძიმე, მუხის, წაბლის და მაკაგონის ხისაა. მისი დაძვრა შეუძლებელია, –

10 ტ. და 111 ცენტნერია. ჟანებს მაყუთი აქვთ. მათ ეს შემზარავი აპარატი შეუკვეთეს და მით ამაყობენ. ეს, – აშკარაა! ჟანა – ურჩხულია, – ნაღდი, ალალი. ჩამოგიქროლებს ალალი...

ეს ურჩხული ყოველთვის ორნაირ ყავას ყიდულობს – ოქროს „ნესკაფეს“ და უბრალოს. იმას ლიზას და მის მოსახელე ჟანას ასმევს. მე არ ვემეტები, – რით დავიმსახურე ასეთი პატივისცემა, არ ვიცი. მგონი, ტელევიზორში მომკრა თვალი და ჩათვალა, რომ „დიდი“ კაცი დავდგები, ოდესმე მაინც, რაც ძალიან საეჭვოა.

ერთ მშვენიერ დღეს დარეკვა მომინდა. ჩავედი ოხერ-ტიალ ჟანასთან და რას ვხედავ: – ჟანა ნამტირალევი, დაუბანელი, გაუპარსავი და ნიფხავჩახდილი მხვდება.

მე: – რა იყო, ჟანა?!

ის: – ვიტალიმ მიმატოვა...

მე: – როგორ?.. ადგა და მიგატოვა?..

– ჰო, ადგა და მიმატოვა. მე არ ვიცოდი, სხვა ქალი ჰყოლია.

– შე საწყალო, ჟანა!

– ბიჭო, მოდი, მომეხვიე, იქნებ დავმშვიდდე.

რა მექნა, ჩავეხუტე ჟანას და ორივეს ჩაგვეძინა. მე ცუდი სიზმარი მესიზმრა. ჟანასი არ ვიცი.

მერე გავიღვიძეთ და გავშველდით.

ჟანამ ბინა გაყიდა და სად გადავიდა, არც დავინტერესებულვარ.

მე არც ჟანა მყვარებია.

არც ვიტალა.

მეტსაც გეტყვით – არც ჩემი თავი.

უფრო მეტსაც გეტყვით – მე მიყვარდა წარსული, რომელიც არ მქონდა... ყველა დავკარგე!..

კიდევ მეტსაც გეტყვით – მე არასოდეს მიყვარდა ჩემი თავი.

მე: – რა არი ესა?

გიგი: – რა იყო? ამბავი საშინელი უნდა იყოს, რა, არ იცი?

. . .

– მე მყავს უფროსი მეგობარი – მევლუდი. ის მე მიყვარს, – ძველი მეიდნელი და უბანში პირველი ლოთი. ასე დედაკაცები მოიხსენიებენ მევლუდს, თორემ ჩემთვის მსმელი, დაღლილი კაცია, საინტერესო და საინტერესო ბიოგრაფიის მქონე. მევლუდმა, გარდა იმისა, რომ კარგი კაცია, ძალიან კარგი მოყოლაც იცის. უბრალო ამბავსაც ისე ლამაზად მოყვება, რომ შენ, მსმენელი, სიამოვნებისგან ფეხების ბაკუნს დაიწყებ. ასეა! მევლუდი 70 წლისაა და ჰყავს დედა, მასზე აფრენს და მე იმ ქალს, რა თქმა უნდა, არ ვიცნობ. ალბათ 180 წლისაა. თუმცა ჩემთვის ამას არავითარი გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს, – ის მევლუდის დედაა! და დედა რამდენი წლისაც არ უნდა იყოს, – დედაა! აი, სად ვიპოვე ჩემში ლაბრუერი! ჯანდაბას, სხვა რამე უნდა მოვყვე. ვიწყებ:

მევლუდს ჰყავდა კატა ცუნამი. შავი, როგორც თურქული ყავა და მგზნებარე, როგორც ჯოჯოხეთის ალი. ცუნამი ნაღდი მონადირე იყო, – ჯონ ჰანტერი, ჯიმ კერვუდი და ა.შ. ყოველ საღამოს ვირთაგვები და პატარა ცუგები – ფინიები მოჰქონდა პატრონთან. რა თქმა უნდა, მონადირებული, აბა, ისე რა აზრი ჰქონდა საერთოდ რამეს. წრუწუნებს და მტრედებს, ნაზი ხორცი რომ ჰქონდათ, თავად მიირთმევდა, თანაც დიდი სიამოვნებით. მევლუდი ეტყოდა ხოლმე:

– ცუნამი, აღარ მოგბეზრდა ეს ყველაფერი?

ცუნამი თავის ავაზაკ სახეს იბანდა და ასე პასუხობდა:

– მიდი, რა, შენ არაყს მიხედე! კაცო!

ცუნამის კომპლექსი ჰქონდა – უკანა მარცხენა თათზე სამი თითი თეთრი ჰქონდა და ბიოგრაფიას უფუჭებდა: – ის არ იყო სრულყოფილი შავი კატა, – მას თეთრიც ერია! ამის გამო, ცუნამი ყოველდღე ეზოში ჩადიოდა და ეზოს კატებს სცემდა. საშინლად სცემდა, – იცოდა ჩხუბი – ის ყვერებიანი ბიჭი იყო!

ასე ცხოვრობდნენ, – კატა – კატურად, მევლუდი – ლოთურად. მე მგონი, ბედნიერებიც კი იყვნენ. და აი, ერთ მშვენიერ დილას, ცუნამიმ თეთრი, ძალიან ლამაზი ფისო მოიყვანა შინ. ფისო, ანუ პატარძალი, იმდენად ლამაზი ყოფილა, რომ მევლუდი დაელამდა, ხოლო დედამისი, ლოგინადჩავარდნილი, ფეხზე წამოდგა და საკუთარი ხელით ჩაიცვა შავი, ძველისძველი კალგოტკა, რომელიც საკუბოვედ ჰქონდა გადანახული. მერე იცეკვა, ისევ გაიხადა ის ოხერი ჩულქი თუ რაღაც, და ისევ ჩაწვა.

– ცუნამი, ეგ არ უნდა გექნა! – უთქვამს მაშინ მევლუდს, – ასაკში ხარ, კაცო...

– ჩემი საქმისა მე ვიცი! – უპასუხა იქვე ცუნამმა, – შენ რომ 111 ცოლი გყავდა, ის კარგი იყო?!

– ჰო, ძალიან კარგი იყო!

– მაშინ, მეც შემარგე, რა!..

ამ ამბავს არ მოგიყვებოდით. სევდიანი დასასრული აქვს და მე კი არა ვარ სევდიანი კაცი. შიგნით ვარ, გარეთ – არა. უბრალოდ თეთრი ფისო გაბოზდა, ცუნამი კი – გალოთდა და გადაიკარგა. დამრჩა ჩემი მევლუდი ცუნამის გარეშე და მომაკვდავი დედის ამარა. მე რაღა ვქნა, მე მიყვება მევლუდი სევდიან ამბებს და მე კიდევ არა ვარ ჰანს ქრ. ანდერსენი, სევდიანი ამბები ვწერო ან მოგიყვეთ...

მე ხომ გიგი ვარ.

. . .

მაგიდაზე მაზალო რვეული დევს, გარეკანზე აწერია: “თავისუფალი სივრცე საკუთარი აზრებისათვის“. გიგი აღარ ჰყვება, ხატავს: კუბო ზედ წარწერით „მკდ. ბებო“.

– გინდა, ხელიც გადმოვაგდებინო? – მეკითხება გიგი, – შავი ხელი...

მე მინდა, ლექსებზე და „ხეტიალზე“ ველაპარაკო, მაგრამ გიგის ქათინაურები არ უყვარს. შეიძლება, უყვარს კიდეც, მაგრამ არ იმჩნევს. ახლაც სიტყვას ბანზე მიგდებს:

– შენ ხომ კარგი გოგო ხარ, – მეუბნება გიგი. – მიდი, რა, ჩართე რამე!

მიკ ჯაგერი მღერის, Sympathy For The Devil. გიგი ეკრანს თვალს არ აცილებს, თავი გვერდზე აქვს გადაგდებული, გაშლილ ხელისგულს ატრიალებს.

– ჰო, არა, ვერ იმღერებ... – ბუტბუტებს გიგი.

– ჰო, ვერც შენ წერ ლექსებს, – გავთამამდი.

– ე! – მიყურებს გიგი. – ეს რა მითხრა!?

. . .

– ოდესღაც მყავდა ასეთი მეგობარი, ძმა და პირისზიარება თ.კ. სახელს და გვარს შეგნებულად არ ვასახელებ, – თქვენ ეს არ გეხებათ, მე კი სევდას მგვრის და 100 000 მოგონებას აღმიძრავს...

მყავს მეგობარი გიგიშა. გიგის ფასაანურში ჰყავდა ბებო – ბაბუტა და ჩვენ ძალიან გვიყვარდა მასთან სტუმრად

ჩასვლა. ბაბუტა გენიალურ ხინკალს ახვევდა და გენიალურ ვაშლის ღვეზელს გვიცხობდა ხოლმე. და, როგორც ზეპელინების სიმღერაშია, – მე ეს მაოცებდა. „მოქმედება“ შეშის ფეჩზე ხდებოდა და ალბათ იმიტომ...

თუმცა მე თ.-ზე მინდა მოგითხროთ. იმ წელს ძალიან დიდი თოვლი იდო ფასანაურში. ჩვენ, – თ., მე და გიგიშა 16 წლისანი და ჩვენი წლოვანებით ანუ სრულასაკოვნებით ბედნიერები და ამაყები, ანუ სრული იდიოტები ვართ. რა თქმა უნდა, ცნობილ სასტუმროში ბევრი სისულელე ჩავიდინეთ, ბევრი სასმელიც დავლიეთ და ღამის „პლენერზე“ გამოვედით. ასე იყო საჭირო. სასტუმრო თბილისელებით იყო გაძეძგილი: ვერელები, ვაკელები, საბურთალოელები, ვზროსლები, წრუწუნები, რა ვიცი, ვინ აღარ, მაგათი... ჩვენს მსგავსად ყველა იდიოტი იყო.

თ., გიგიშა და მე საფეხურებზე დავეშვით და იქვე მივაფსით. აბა, შორს ხომ არ წავიდოდით, – ბოცებით ღვინო ჰქონდათ ჩამოტანილი ჩვენებურ ვაჟკაცებს...

ამ დროს ვიღაც ვირგლა ფასანაურელი დაგვეცა, დაახლოებით ჩვენი ასაკის, და გამოგვიცხადა, რომ ჩვენი ქმედება არ შეესაბამება დაწესებულ ნორმებს. და კიდევ, – ახლა სამივეს დედას გვიტირებს.

ვაი, ფასანაურელებო, რა ცუდად იცნობდით თ.-ს!

ის ბიჭი ადგილზე გარდაიცვალა. მერე მკვდრეთით აღსდგა და გაიქცა. ჩვენ სიგარეტი გავაბოლეთ და თამბაქოსთან ერთად ღამის ლამაზ ჰაერს ვისუნთქავდით...

დაბრუნდნენ ორნი. თ.-მ ორივე თითო დარტყმით დაყარა. ისინიც გაიქცნენ. დაბრუნდნენ ოთხნი. თ.-მ ოთხივე ერთ წამში დაყარა... გიგიშა და მე უკვე დროს ვატარებთ, ვერთობით, ვიცინით, – კიდევ რაღაც უნდა მოხდეს... თ. მშვიდია, როგორც ყოველთვის. და მოვიდა ბადრია, – გრუზა, ბიტელსი შავი თმით, ნაჯარალი, ვირგლა და სუნიანი. თუ ვცრუობდე, – უსინდისო ვიყო, – შიშველ ტანზე სალდათური ბუშლატა ჰქონდა მოგდებული, ფეხები კირზის ჩექმებით შეემოსა და იქიდან ყროლი სცემდა. პირზე ავი და ცუდი ღიმილი დასთამაშებდა და ოდნავ ზარხოშიც გახლდათ...

ბადრია გაფრინდა. დიდხანს იფრინა და შორს, ძალიან შორს, თოვლში ჩაეცა. ბუშლატა იქვე ეგდო. თ.-მ მასზე დათოვლილი ბატინკები შეიწმინდა და გვითხრა:

– წამო, იქ დავბრუნდეთ, ტო...

დავბრუნდით. თითო ჭიქა კიდევ დავლიეთ და ამ დროს ფოიეს კარი წიხლით გაიღო. კარში უზარმაზარი მამაკაცი შემოიზლაზნა. 30-35 წლის მაინც იქნებოდა. პუბლიკას თვალი შეავლო და იკითხა:

– ვინ ივაჟკაცა, თქვენი დედა მოვტყან?

ყველა დაიბნა. ჩვენ ხომ ჩხუბის ამბავს არ მოვყვებოდით. არ იყო საჭირო.

თ-მ უთხრა:

გიგის შესახებ ვსაუბრობდით. ლაშა თაბუკაშვილმა თქვა: ეგ სულით ჰიპია, თითქოს ვუდსტოკიდან გოაში წასულიყო და ახლა იქიდან მოდიოდეს – იქაც ვერ გაჩერდებოდა, სულ ხეტიალშიაო. გიგის უახლეს კრებულსაც „ხეტიალი“ ჰქვია.

– მე! მე ვივაჟკაცე და ახლა შენ დედას მოვტყნავ, შე ბოზიშვილო! ვერ ხედავ, აქ ბავშვებიც არიან, ქალებიც... შენი...

კაცი ცუდად დაეცა. ერთი ხელი ტანქვეშ მოყვა და წამოდგომას ცდილობდა და ვერ ახერხებდა. თ-მ უყურა, მერე მოტრიალდა და ჩვენთან დაჯდა.

დარბაზი გასუსული და გაოგნებული იჯდა. ვერ მიხვდნენ, რა ხდებოდა და არც იყო საჭირო.

დილით იმ ვაჟკაცმა ბიჭებმა „დაგვაჭერიეს ციხეში“.

თ. და გიგიშა დუშეთში წაიყვანეს. მე ადგილობრივ სატუსაღოში გამომამწყვდიეს. და მე იქ ძალიან კარგი რამე ვქენი: – კამერაში ვურწყიე... მარტო ვიყავი, თორემ არ ვიზამდი...

ერთ-ერთ ახალწლის ღამეს ჩემი ლამაზი ძმა ალიკა მახარაძე მესტუმრა უცნობ ბიჭებთან ერთად. მთხოვა, მომეთხრო იმ ჩხუბის ამბავი და მეც მოვყევი. ოღონდ მაშინ ძალიან ხატოვნად ვყვებოდი, ახლა ძალა აღარ შემწევს და თ.კ.-ც ცოცხალი აღარ არის და ამბავიც ძალიან ძველია, – 16 წლისა როდის ვიყავი, აღარც კი მახსოვს... და ვიყავი კი, ოდესმე?

. . .

ერთი ლექსი აქვს გიგის, „ზანზიბარული“. ზანზიბარიც, ბროშკანინოს, დევებისა და სხვათა მსგავსად, მართლა არსებობდა. გიგის ძაღლი იყო, ტანდაბალი, ჟღალი, ბომბორა კუდით და მუდამ მოცახცახე ცხვირით – გიგის თქმით, ისუნებოდა. ზანზიბარს ჰქონდა მკერდზე თეთრი ბეწვი – სილამაზე, და ძალიან ცუდი ხასიათი. ზანზიბარი, ანუ ბაზბაზა, ყველას კბენდა – ცხადია, გიგის გარდა. ზანზიბარმა ძალიან დიდხანს იცოცხლა.

და რადგან ამ ამბის ნაწილს მეც ვწერ – აი, ჩემი საყვარელი ლექსიც, „ზანზიბარული“. ვფიქრობ, გიგი სულაკაურის შესახებ საუბრისას უზანზიბრობა არ იქნება, მე კი ბაზბაზას შესახებ გიგიზე უკეთ ნამდვილად ვერ მოვყვები, და გიგის შესახებ თხრობასაც უკეთ ვერ დავამთავრებ...

გაგიღო კარი,
ჩემო ზანზიბარ,
გაგიშვა გარეთ?
მე ხომ ვიცი, ერთი სული გაქვს,
რომ ქუჩაში გაინავარდო,
შეხვდე თანატოლ მაწანწალა,
რწყილიან ცუგებს,
ერთმანეთი დაყნოსოთ და
მთვარესაც
ერთად უყეფოთ.
მაინც რად შეგვხვდა ასეთი ბედი,
ჩემო ზანზიბარ,
ვერა ხედავ, ერთიმეორის ცხოვრებით
ვცხოვრობთ
შენ შინა ხარ გამოკეტილი,
მე მელმოტივით დავეხეტები.
რა დაგიმალო, აღარც კი ვიცი,
ვინ ვინ არის საქართველოში
შენ გიგი თუ მე
ოქროსფერი ზანზიბარი.

OBI

ვარდისფერ ტალღაზე მონადირე

ავტორი სალომე ჯაში
ფოტო დავით მესხი

უსათაურო / UNTITLED, 2011
ცვილი, ხე, რკინა, ძაღოვილი და სხვა მასალები

კითხვაზე, ჩავიდოდა თუ არა სოხუმში, ანდრო ვეკუა ორ, ურთიერთგამომრიცხავ პასუხს იძლევა. სოხუმში ჩასვლით მის ცხოვრებაში რაღაც დამთავრდებოდა, თვითონაც მოეშვებოდა და წერტილს დასვამდა. თუმცა, ამავე დროს, სოხუმის ცხადში ნახვა მისთვის რაღაც მნიშვნელოვანს შეცვლიდა. იმას, რაც სულ თან დააქვს და რაზეც მისი ხელოვნება დგას. ეს ის წარსულია, რომელიც თითქოს იყო და არც ყოფილა. რომელიც ახლა მის ტვინში საკუთარი ცხოვრებით ცხოვრობს და რეგენერირებს.

ანდრო ვეკუა ვიზუალური ხელოვნების განსხვავებულ მედიუმებში მუშაობს – სკულპტურა, მხატვრობა, ვიდეო, ინსტალაცია, ტექსტი... ძირითადად, კოლაჟებს აკეთებს, როგორც ფურცელზე, ისე, საგალერეო სივრცეში.

მოლივლივე ტალღებიდან კადრი ზევით ადის და ნაპირზე ქალაქი მოჩანს, ქალაქში – გორაკი, გორაკზე – სახლი. კადრი ციფრული გრაფიკაა. სიცარიელეა და სიჩუმე. ეს სახლიც შიგნიდან ფუტუროა. ფანჯრის გარეთ, შემაღლებულზე, გაშეშებული თოლია ზის. ფიტულს ჩამოჰგავს. ინტერიერი სტერილურია, ლაბირინთისებური, ხელოვნური ფერებით განათებული. ცარიელ ოთახებსა და დერეფნებში ვიღაც მოძრაობს მექანიკური თოჯინასავით. სახეზე ცვილის ნიღაბი უკეთია, რომელზეც ემოცია და მიმიკა გაქვავებულა. ვერ გაარკვევ, გოგოა თუ ბიჭი. არც იდენტობა აქვს, არც სქესი. თეთრ როიალთან ჯდება და დაკვრას იწყებს. თითქოს ერთი კლავიში მოშლილია. ასე რომ, მელოდიის შეკვრა შეუძლებელია. ცივად, უემოციოდ დაკრული მელოდია სიზმრისეულია, თითქოს გესმის და არც გესმის. მელოდიის დასრულების შემდეგ, სახლში უცხო თოჯინები ჩნდებიან, როგორც ინტრუდერები. ცოცხალმკვდრებს ჰგვანან. მექანიკურად მოძრაობენ. მათ დანახვაზე ანდროგინული გარეგნობის ბიჭი/გოგო სახლიდან გაქცევას ცდილობს. გაქცევა შეუძლებელია. კარს სახელური აღარ აქვს. აღარც ფანჯარა იღება. ყველაფერი ჩაკეტილი და არათანმიმდევრულია.

პროექციისგან ოდნავ მოშორებით, მაგიდაზე, მოზარდი გოგო წევს – ნატურალური ზომის ცვილის სკულპტურა. ხელები გვერდებზე აქვს მიტყუპებული. ფეხზე ვერცხლისფერი ბოტასი აცვია, ალუმინისგან ჩამოსხმული. სახეზე სახლი ადევს. ბოტასი გოგონას მოუსვენარ, ანც ხასიათზე მეტყველებს, არადა, სახლს თავს ვერ აღწევს. იგი აჯადოებს გოგონას.

ანდრო ვეკუას ერთ-ერთი ბოლო ნამუშევარი, მოკლემეტრაჟიანი ფილმი „არასდროს დაიძინო მარწყვით პირში“ და თანმდევი სკულპტურა 2011 წლის მიწურულს ბერლინში, ჰამბურგერ ბაჰნჰოფის მუზეუმში, სამ სხვა მხატვრის ნაწარმოებთან ერთად იყო წარმოდგენილი. ახალგაზრდა ხელოვანები ეროვნული გალერეის პრესტიჟული პრიზის ნომინანტები იყვნენ.

მისი სხვა ნამუშევრების მსგავსად, ან-

გადი ჩემი ოთახიდან, ნაწილი 1 / Get out of my Room, Part 1, 2006
ცვილი, ხელოვნური თმა, ნაჭრები, ტყავი, ცვილის საღებავი, ხე, ბრინჯაო, ემალის საღებავი, 8 შოლკოგრაფიული პრინტი

დროს ეს ნაწარმოებიც თითქმის ავტობიოგრაფიულია და იმ სიზმარს ჰგავს, რომელიც დასიზმრებია: თითქოს სოხუმიდან გასვლა ვერ მოასწრო, არადა, ქალაქის დიდი ნაწილი უკვე აღებულია. შეუმჩნევლად გაპარვას ცდილობს. ხან ქერად იღებავს თმას და სათვალეს ირგებს, გზებს და რუკებს ხაზავს – გაქცევას გეგმავს.

ანდრო ვეკუა დაიბადა სოხუმში 1977 წელს. მისი სახლი გორაკზე იდგა, საიდანაც ზღვა მოჩანდა. ერთ ხანს სამხატვრო სკოლაში იარა. ხანდახან მამამისის მეგობარ მხატვარს სტუმრობდა ზღვის პირას მდგარ დიდფანჯრებიან სახელოსნოში. მამა 1989 წელს მოკლეს აფხაზეთში. პანაშვიდის დროს გადაღებული კადრები ანდრომ მოგვიანებით თავის ფილმში გამოიყენა. მსხვილი ხედია: პატარა ბიჭი სადღაც ოთახში დგას, გვერდით იყურება, ერთდროულად ანცი და დაბნეული თვალებით. ვიღაც ქალი თმაზე გაუთავებლად, მექანიკურად უსვამს ხელს.

მამის სიკვდილიდან მალე ომიც დაიწყო. სკოლაში სწავლა შეწყდა, ამიტომ უმეტესად ქუჩაში იყო და ეს დრო სასიამოვნოდ ახსენდება. ზოგჯერ შეიარაღებულ სამხედრო ფორმიანებს ხედავდა, ბრძოლის ამბები ბუნდოვნად ესმოდა. დაბომბვის ხმაზე ხვდებოდა, რომ შინ უნდა წასულიყო. თუმცა საგანგაშო თითქოს არაფერი ხდებოდა. სადღაც ახლოს ვიღაცები რაღაცებისთვის იბრძოდნენ, წვავდნენ სახლებს, ძარცვავდნენ და ხოცავდნენ ადამიანებს, ამტკიცებდნენ საკუთარ უპირატესობას.

ანდროს ოჯახმა სოხუმი დაცემის წინ დატოვა. ყველაზე ცხადად ომის ერთი სცენა ახსოვს: თვითმფრინავში უმეტესად ბავშვები შეყარეს. უფროსების ადგილი აღარ დარჩა. როგორც უმეტესობა, ანდროც ფეხზე იდგა. „ჩვენი თვითმფრინავი ბოლო იყო. იმის შემდეგი ჩამოაგდეს. მარტო ბავშვები შეგვტენეს. დედაჩემი გემით წამოვიდა, მგონი. თვითმფრინავში ფეხზე ვიდექი. პილოტმა თქვა, მე კი ვცდი, მაგრამ არ ვიცი, რამდენად მშვიდობიანად ჩაგიყვანთო. ეგ მახსოვს. ისეთ ასაკში ვიყავი, რაც უნდა საშინელი და ტრაგიკული ყოფილიყო სიტუაცია, მაინც არაფერი მემძიმებოდა“. მიღებული ტრავმისა და შოკის გაანალიზება ანდრომ გვიან, წლების შემდეგ დაიწყო.

შეეცადე, გადმოსცე ამბავი, რომელიც ოდესღაც გადაგხდა, რომელიც შენს ტვინში ინახება სხვა ამბებთან ერთად. ანდროს შემოქმედება ამის მცდელობაა – მოგონების ინტერპრეტაცია, ბავშვობაში ნანახის და განცდილის ვიზუალიზაცია. ისეთის, რომლის მოქმედების ადგილსაც ველარ დაუბრუნდება და რომლის „განჯადოებაც“ არასოდეს მოხდება.

ანდროს ნამუშევრები კოლაჟის პრინციპით იქმნება. მისი ნაწარმოებები სიზმრად კითხვას ჰგავს. სიტყვებს კი კითხულობ, მაგრამ მათგან გამართული აზრის გამოტანა შეუძლებელია.

„მზის ჩასვლა“ 170 ცალი კერამიკის ფილისგან აგებული ნამუშევარია. მოშავო-მოწითალო მზე მუქ ზღვაში



ვარდისფერ ტალღაზე მონადირე (მთავრობის სახლი) / PINK WAVE HUNTER (GOVERNMENT BUILDING)
ბრინჯაო, ფოლადი, ცემენტი

ჩადის. თითო ფილა (50კვ/სმ) მთლიანი ნამუშევრის ფრაგმენტს შეადგენს. ეს ერთგვარი პაზლია. თუმცა ჯამში ამ ფრაგმენტების ერთობლიობა არათანამიმდევრულია. ნამუშევარი მოგონების რესტავრაციაა. აქ თითოეული ფილა თავისკენ გექაჩება, საკუთარი, დამოუკიდებელი ემოციითაა დამუხტული.

„მზის ჩასვლა“ სააჩის გალერეაში (ლონდონი) იყო გამოფენილი 2008 წელს. გალერისტი წერს: „ნამუშევრის მასშტაბი და მისი კერამიკული მოზაიკა საბჭოთა საცურაო აუზს ჰგავს, ან გიგანტურ დეკორაციას რუსული ბალეტის წარმოდგენიდან. ამ ნამუშევრის ასპექტებს აღმოსავლეთ ევროპის გემო დაჰყვება... რაც მას (ანდროს) წარსულიდან დარჩა – ნანგრევებია, უცნაურად გადაკვეთილი მის ახლანდელ ხედვასთან“.

თუმცა, ანდრო არ თვლის, რომ საბჭოთა ან აღმოსავლეთ ევროპის ხელოვნებას მასზე განსაკუთრებული გავლენის ქონია. არც ქართველ მხატვრად მიაჩნია თავი. საერთოდაც, მისთვის სახლი არ არსებობს: „დღეს ძნელია თქვა, რომ სადმე შინ გრძნობ თავს, იმდენად გლობალურია სამყარო“. სამყაროს გლობალურობა არაა უსახლკარობის განცდის ერთადერთი მიზეზი. მოზარდობისას მიტოვებული სახლი მიუვალია. აღარც სურვილია იქ დაბრუნების. ანდროს იდენტობის შეგრძნება სრულიად გაუქრა.

ნაკლებ მნიშვნელოვანია, საქართველოდანაა თუ აფრიკის რომელიღაც ქვეყნიდან. სოხუმი მისთვის „არსადაა“, რომელიც თან არსებობს, თან – არა. მას არც გეოგრაფიული მდებარეობა გააჩნია, არც პოლიტიკური იდენტობა. ის ზღვისიქითური ქალაქია მოლოდინის რეჟიმში. თეატრის დეკორაციასავითაა, სადაც ცოტა ხნის წინ რაღაც მოხდა და ახლა შემდეგ „აქტს“ ელის.

შინ დაბრუნების შეუძლებლობა სახლის რეკონსტრუირების სურვილს ამძაფრებს – სიზმრებში, წარმოდგენებში, მოგონებებში... ანდროს კომპიუტერში სოხუმის 5 ათასამდე ფოტო ინახება. როდესაც ერთ ნამუშევარს ასრულებს, ერთ თემას ხურავს, თითქოს რაღაცას იშორებს და შემდეგ, მას, როგორც დამოუკიდებელ არსებას, ისე უყურებს.

გასულ წელს ვენეციის ბიენალეზე, კურატორულ გამოფენაზე, ანდრომ სოხუმის თავისებური მაკეტი წარადგინა. „ვარდისფერ ტალღაზე მონადირე“ – ასე ქვია ნამუშევარს, სადაც შენობები მისი მოგონებებისა და მოგვიანებით ნანახი ფოტოების მიხედვითაა რეკონსტრუირებული. ეს შენობები არა ქალაქის არქიტექტურული, არამედ წარმოსახვითი მაკეტია. ფოტოზე შენობის მხოლოდ ერთი მხარე ჩანს. მოგონებაც შენობის მხოლოდ მცირე დეტალს ინახავს. ამიტომაც, თითოეული ნაგებობის მაკეტი – რეალურსა და გამოგონილს, წარმოსახულსა და ნამდვილს შორისაა.

„ჩემს ნამუშევრებში სხვადასხვა კონტექსტიდან აღებული რაღაცები ერთად

უსახელო ქუჩა II / LAMENLOSE STRASSE II
ინსტალაცია ორი ფიგურით და ორი ნახატით, 2004

იყრის თავს. ესეც ჩემი ბიოგრაფიიდან გამომდინარეობს. ჩემს ცხოვრებაში იმდენი შეუსაბამობა იყო, რომ ვერ ვხვდები, ეს ყველაფერი როგორ გადამხდა. ერთადერთი, რაც ამ ამბებს ერთმანეთთან აკავშირებს, მე თვითონ ვარ. თითქოს ცხოვრება კადრებად დაჭრილი ფილმია. რომლის რეჟისორიც შენ არ ხარ. შეიძლება ამიტომ მაინტერესებს კოლაჟის პრინციპი. კოლაჟით თითქოს საკუთარ თავს ხელახლა თვითონ ქმნი“.

სოხუმიდან დევნილ ანდროს ოჯახს თბილისში, სასტუმრო „აჭარაში“ გამოუყვეს ერთი ოთახი. ამ დროს იქ გაჭირვების, გლოვის, იარაღის და ნარკოტიკის სუნი იდგა. დღეს, სადმე, უცხო ქვეყნის სასტუმროში გაჩერებისას, ანდრო ხშირად ამ პერიოდს აღწერს თავის ტექსტებში. ვთქვათ, მაიამის რომელიმე სასტუმროს ნომერში ტექსტს ჯერ ქართულად ან გერმანულად წერს, შემდეგ ვინმეს ინგლისურად ათარგმნინებს. ენობრივი ტრანსფორმაცია ამბებს დეპიროვნულს ხდის. ასე შორდება ავტორი საკუთარ ტექსტებს და ამბებს, რომლებიც თავს გადახდა, თავიდან იშორებს.

სასტუმრო „აჭარიდან“ ანდრო შვეიცარიაში სტიპენდიით მიდის – ანთროპოსოფიულ სამხატვრო სასწავლებელში; რაც მას რეფლექსიის, მშვიდი ანალიზის და ფიქრის საშუალებას აძლევს.

არ უყვარს საკუთარ თავზე ლაპარაკი. არც იმაზე, როგორ მოხვდა თანამედროვე ხელოვნების საერთაშორისო სცენაზე. საერთოდ, ცოტას საუბრობს, წინადადებებს იშვიათად ამთავრებს.

„თავიდანვე დარწმუნებული ვიყავი, რომ ჩემი განცდები გარეთ უნდა გამომეტანა რაღაც ფორმით. ერთი ჩემი მეგობარი ციურიხში, მიტოვებულ სახლში ცხოვრობდა. ბევრი ცარიელი ოთახი იყო და იქ ერთობლივი გამოფენა გავაკეთეთ. ვიღაცამ ნახა ეს გამოფენა და დაინტერესდა.“

დღეს ანდრო ვეკუას ყველა ნამუშევარი გაყიდულია – მუზეუმებსა და კერძო კოლექციებში ინახება. ოცდაათამდე პერსონალურ და ორჯერ მეტ ჯგუფურ გამოფენაში აქვს მიღებული მონაწილეობა. მას ნიუ-იორკის გლადსტონის გალერეა წარმოადგენს.

საკუთარ პირველ მნიშვნელოვან ნამუშევრად ანდროს „უსახელო ქუჩა II“ [2004] მიაჩნია. იდენტურად ჩაცმული, ორი მოზარდი თანატოლი ბიჭი გალერეაში დამთვალიერებლისკენ ზურგით დგას და კედელზე დაკიდებულ მუქი ფერის აბსტრაქტულ ტილოს უყურებს. ბიჭების ფიგურები ანდრომ საკუთარი ბავშვობის ფოტოდან აიღო. ორივე მისი ანალოგია. ან ერთი მეორის ანარეკლია. ისე დგანან, დამთვალიერებელს კედელზე დაკიდებულ ნამუშევართან ახლოს მისვლის საშუალებას არ აძლევენ, გზას უღობავენ. ამავდროულად, თვითონაც მიუვალნი არიან. მათი იდენტურობა და დამთვალიერებლისკენ ზურგით დგომა,

ასევე ფერები, რომლებიც ამ ნამუშევარში დომინირებს, ისეთ შთაბეჭდილებას ქმნის, რომ ბიჭები რაღაცის გამო გაბუტულები არიან, გაბრაზებულნი, ან კედელზე დაკიდებული ტილოს გარდა, არაფერი აინტერესებთ.

იმავე წელს ანდრომ კიდევ ერთი ნამუშევარი შექმნა „რა გქვია, შვილო ჩემო?“ [2004]. ამ ნამუშევარმა კურატორების და კრიტიკოსების განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია. კვლავ მოზარდი ბიჭის სკულპტურა. „ამაყად“ დგას კერამიკის შეუსაბამოდ დიდ, შავ ყუთზე. თითქოს სკოლის ფორმა აცვია. სახე საღებავით, ან შეიძლება, ტორტით აქვს მოთხვრილი. უთვალობა და უსახობა ბიჭის ისტორიას იდუმალს ხდის. თან ორივე ხელი გაშავებული აქვს. რატომ? რას აკეთებდა? რამე დააშავა? რატომ აქვს ხელები შავი? რატომ არ ჩანს მისი სახე? ანდროს არც თვითონ აქვს მზა პასუხი, თუ რას ჰყვება მისი ესა თუ ის ნამუშევარი. სკულპტურის შავი კვარცხლბეკი თვითმფრინავის შავი ყუთივითაა, სადაც ბიჭზე ინფორმაცია უნდა ინახებოდეს.

„ჩემთვის მნიშვნელოვანია, ყველა ნამუშევარი მიუვალი იყოს“. ანდროს არცერთ სკულპტურას არ უჩანს თვალები, რადგან იქ პასუხის და განწყობის ამოკითხვა შეიძლება. მისი თითქმის ყველა ნამუშევარი ერთდროულად გიზიდავს და არ გიკარებს. უხერხულობის, ზედმეტობის განცდას გიჩენს. ამის პირდაპირი მინიშნებაც კი აქვს მის ერთ-ერთ ნამუშევარს – „გადი ჩემი ოთახიდან“ (2006).

ექსპოზიცია მთელი ოთახია – მოზარდ ბიჭს ფეხები მაგიდაზე შეუწყვია. სახე მასაც მოთხვრილი აქვს. მის უკან, კედლებზე კოლაჟები კიდია, რომლებიც, სავარაუდოდ, მისი ცხოვრების ფრაგმენტებს უნდა ასახავდეს.

„ამ ნუმუშევარში თითქოს ხელოვნურად იქმნება დისტანცია მაყურებელსა და ნამუშევარს შორის, რის გამოც, შეიძლება, ნამუშევარი თავის ძალას, უფრო სწორად, თავისი ისტორიის ხელშეუხებლობას ინარჩუნებს“. ეს მკაცრი ბიჭი, რომელსაც ფეხები მაგიდაზე, როგორც მთელ სამყაროზე, ისე დაუწყვია, სრულიად დისტანცირებულია დამთვალიერებლისგან და ამით რაღაცით ნამუშევრის ავტორს ჰგავს.

„აქ, დასავლეთში, უცხოელს რაღაც კატეგორიებში გსვამენ და მერე, ეგზოტიკური მხატვარი ხარ, ვთქვათ, წარმოშობით ქართველი. მაგრამ ჩემთვის უპირველესი ჩემი შემოქმედებაა და არა ჩემი ბიოგრაფია“, – ამბობს ანდრო ვეკუა ფილოსოფოს და ხელოვნებათმცოდნე, ბორის გროისთან საუბარში. საუბრების კრებული სახელწოდებით Wait to Wait 2009 წელს, ციურიხში გამოიცა.

ანდრო ვეკუა: „დიახ, სინამდვილეში არ მაქვს მოთხოვნა, ვიბრძოლო ჩემს ნამუშევრებში. ვიბრძოლო ჩემი ნამუშევრით – ამის მოთხოვნა მაქვს, მაგრამ არა ის, რომ ვიბრძოლო ჩემი ნამუშევრის საშუალებით ან მიზნად დავისახო, რომ მისი საშუალებით რამეს მივაღწიო.“

ბორის გროისი: „ან, რომ იდეოლოგიური მესიჯი გაატარო – შენს ნამუშევრებში ამის მსგავსი არაფერია.“

ანდრო ვეკუა: „თუმცა დღეს ბევრიაპოლიტიკური არტისტია...“

ბორის გროისი: „კი, ნამდვილად, ეს ჩვენი დროის თანმდევი განწყობაა, განსაკუთრებით – ბერლინში, სადაც ცხოვრობ. მაგრამ შენს შემთხვევაში ასე არაა. შენ არ გაქვს მესიჯი კაცობრიობისთვის.“

ანდრო ვეკუა: „არა, არ მაქვს. საბჭოთა დროს მამაჩემი პოლიტიკისთვის თავდადებული ადამიანი იყო. დემოკრატიისთვის და ადამიანის უფლებებისთვის იბრძოდა. მისი წრიდან ბევრი მოელოდა, რომ მის კვალზე დავდგებოდი და პოლიტიკაში ჩავერთვებოდი. შეიძლება, აქედან მოვიდა ის გადაწყვეტილება, რომ პოლიტიკასთან შეხება საერთოდ არ მქონოდა. შეიძლება, პოლიტიკასთან ძალიან ახლოს ვიყავი იმისთვის, რომ პოლიტიკური არტისტი გავმხდარიყავი.“

ნაწყვეტი წიგნიდან Wait to Wait – საუბარი ბორის გროისსა და ანდრო ვეკუას შორის, 2009 წელი.

კრებულის სათაური ანდრო ვეკუას კიდევ ერთი ინსტალაციიდანაა აღებული. ისევ მოზარდი ბიჭი, ისევ მოთხვრილი სახით, გალერეაში, შუშის ყუთში ზის, როგორც ძვირფასი ექსპონატი. ოღონდ, ძვირფასი ექსპონატისგან ერთი მნიშვნელოვანი რამ განასხვავებს. ყუთს, ზოგან, დამცავი მინა აკლია. ანდროსთვის მნიშვნელოვანია არა ფიგურები, არამედ დისტანცია ამ ფიგურებს შორის, მათი ურთიერთმიმართება. სწორედ ეს დისტანცია ქმნის შეგრძნებებს. მაგალითად, სკულპტურის, აგურისგან ნაშენი კვარცხლბეკი, იატაკს არ ეხება, რამდენიმე მილიმეტრითაა დაშორებული. არც კვარცხლბეკის სიმაღლეა სტანდარტული. ოდნავ უფრო მაღალი ან დაბალია. ბიჭი, შუშის ყუთში, ქანქარა სავარძელზე ზის, რაღაცის მოლოდინშია. მინის კუბში ხელის შეყოფა და მასთან მიკარება შესაძლებელია, თუმცა – უსიამოვნო.

ანდრო ბერლინში ცხოვრობს. მისი სახელოსნოს დიდი ფანჯრები მდინარის არხს გადაჰყურებს. სახელოსნოში დღის 2 საათისთვის მიდის. დილაობით გვიანობამდე სძინავს, ყოველგვარი სინდისის ქენჯნის გარეშე. ბევრი ძილი მისი ცხოვრების და სამუშაოს ნაწილია.

„ხელოვნებას არ უნდა ჰგავდეს ის, რასაც ვაკეთებ“, – მეუბნება ანდრო. მის ნამუშევრებში, განსაკუთრებით ფილმებში, ფერები ყოველთვის დაუმუშავებლად, როგორც თვითონ ამბობს, ზედმეტი შაქრის გარეშეა შერჩეული. ხელოვნურობა მის ყველა ნამუშევარშია. ერთგან ბოტასები ალუმინისგანაა ჩამოსხმული, მეორეგან მოტოციკლი რეზინისაა; რაც აგურს ჰგავს, სინამდვილეში რკინაა, რაც რკინას ჰგავს, ის ხისგანაა გამოთლილი. ყველაფერი ყალბია, არანამდვილი.

„ბედნიერი ვიყავი, როცა აღმოვაჩინე, რომ ის სისულელეები, რასაც ვაკეთებ, სხვასაც მოსწონს და ხელოვნებას ეძახის. ძალიან მაგარია. არადა, სხვა დროს და სხვა ადგილას შეიძლება, შენი საქმიანობისთვის დაგიჭირონ“, – ამბობს ანდრო, თან ხელოვნების სფეროს აქილიკებს. „დღეს არტისტად ყოფნა ცხოვრების წესია. მოდაა. ვინმეს რომ გავიცნობ, ვეუბნები, მანქანის რადიოებს ვყიდი-მეთქი.

ბერლინში, ანდრო ვეკუას სახელოსნოში, სამი დიდი ტილო კიდია. სამივე ვარდისფერი საღებავითაა დაგრუნტული, ალაგ-ალაგ სხვა ფერები აქვს გადასმული. ეს სამუშაოს მხოლოდ დასაწყისია. არასდროს იწყებს ხატვას სუფთა ტილოზე. ჯერ სხვადასხვა ფერის ფენებით ფარავს. ასე რომ, რასაც დამთვალიერებელი გალერეაში ხედავს, მხოლოდ ფასადია, რის ქვეშაც რაღაც სხვა ინახება.

TEDxTbilisi – შორი ხედვა

ავტორი თამარ ბაბუაძე
ფოტო ლელი ბლაგონრავოვა

11 თებერვლის ერთ ყინვიან, ქარიან დილას, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახლად გარემონტებულ სააქტო დარბაზში შუქი ჩაქრა, სცენა თეატრალიზებულად განათდა, უზარმაზარ ბანერზე გამოჩნდა დიდი, წითელი ასოებით გამოყვანილი TEDxTbilisi და ლაივსტრიმის რეჟიმიც ჩაირთო. კონფერენცია ერთდროულად დაიწყო დარბაზში და ონლაინ, პირდაპირ ეთერში...

თითქოს, განსაკუთრებული არაფერი – გამომსვლელები ტრიბუნასთან, პუბლიკა – დარბაზში, აპლოდისმენტები და შესვენებები ყავის თანხლებით – ასეთი შეხვედრები ამ შენობას ათასობით უნახავს. თუმცა, 11 თებერვალს გამართულ კონფერენციას ერქვა ასე: TEDxTbilisi, რაც გარემოებას რადიკალურად ცვლიდა. ეს იყო ღონისძიება, რომლის მსგავსიც საქართველოში პირველად ეწყობოდა.

WWW.TED.COM-ზე

არსებობს იმეილების კატეგორია „ნაგავი“. მასში შედის წერილები, რომლებშიც ფასდაკლებების შესახებ გვწერენ, ანდა თვითშეფასების ასამაღლებლად პლასტიკური ოპერაციების გაკეთებას გვთავაზობენ. ზოგჯერ უსარგებლო ხდება წერილები იმ ონლაინ გამოცემის სიახლეების შესახებაც, რომელთა ფოსტით გაცნობაზეც თანხმობა თვითონ გამოთქვით, შემდეგ კი ინტერესი დაკარგეთ, მაგრამ ანონსები მაინც მოგდით და მოგდით.

ამ გადასაყრელად განწირული წერილების ელექტრონულ ტომებში, კვირაში ერთხელ, მილიონობით ადამიანი მსოფლიოს გარშემო იღებს იმეილს კრებითი სახელის მქონე, აბსტრაქტული ადრესანტისგან – TED.COM-ი. თითქოს, ისიც წაშლის ღილაკისთვის განწირული უნდა იყოს, მაგრამ არა – TED.com-ისგან წერილი ნიშნავს, რომ პირველივე თავისუფალ წუთს, თუნდაც სამუშაო დღის ყველაზე დაძაბულ მომენტში, ჩნდება დაუძლეველი ცნობისმოყვარეობა – რა დამხვდება ამჯერად იმეილში?

8 თებერვალს გამოგზავნილი იმეილი მატყობინებდა: „ამ კვირაში TED.com-ის ვებგვერდზე ნახავთ ვიდეოებს:

– ეთიკის სპეციალისტი, სტივენ კოულმენი იკვლევს იმ მორალურ საფრთხეებს, რაც პოლიციელებისა და სამხედრო პირების მიერ ცრემლსადენი გაზის, ელექტროშოკისა და სხვა „არალეტალური“ იარაღების გამოყენებას ახლავს თან.

– როგორ იმახსოვრებთ, სად გააჩერეთ მანქანა? ნილ ბურგესი სწავლობს მექანიზმებს, რომლებიც გარესამყაროს რუკის შედგენაში გვეხმარება და იკვლევს მათ კავშირს ადამიანის მეხსიერებასა და წარმოსახვის უნარს შორის.

– მარტინ ლუთერ კინგის „მე მაქვს ოცნებიდან“ სტივ ჯობსის iPhone-ის პრეზენტაციამდე, ყველა ისტორიულ სიტყვას საერთო აგებულება აქვს. ნენსი დუარტე სწავლობს ისტორიულ გამოსვლებს და გვიხსნის, თუ რამხელა მნიშვნელობა აქვს, შეძლებ თუ არა საკუთარი, უნიკალური იდეა საზოგადოებას ეფექტურად წარუდგინო.

სამი ვიდეოს ანონსი. სამი განსხვავებული თემა. სამი სწავლული და თითოეულ მათგანს სულ 18 წუთი იმისთვის, რომ TED.com-ის მილიონობით ხელმომწერს საკუთარი პრეზენტაცია, იდეა, ენთუზიაზმი და აღმოჩენა არასდროს დაავიწყოს.

ნენსი დუარტეს ვიდეოს ვირჩევ, მაინტერესებს, მაინც რა კავშირია მარტინ ლუთერ კინგსა და სტივ ჯობსს შორის. ზუსტად ასეთივე ცნობისმოყვარეობის მიზეზით, დუარტეს ვიდეო ორი კვირის განმავლობაში 328.792-მა ადამიანმა ნახა.

Ted.com – ეს ვებგვერდი 2007 წლიდან მოყოლებული არასამთავრობო ორგანიზაცია TED-ის სახელით ჩატარებული ყოველწლიური კონფერენციების მთავარი არქივია.

ერთ-ერთი სტატისტიკის მიხედვით, TED-ის გამოსვლები 500 მილიონ ადამიანს უკვე აქვს ნანახი. ისინი მსოფლიოს სხვადასხვა წერტილში ცხოვრობენ – სან ფრანცისკოდან დაწყებული ოკეანიის რომელიმე მივარდნილი კუნძულით დამთავრებული.

რას ეძებენ ასეთი განსხვავებული კულტურის, სოციალური მდგომარეობის, წარსულის, მსოფლმხედველობის ადამიანები TED-ზე? ახალ იდეებს, დამკვიდრებული ჭეშმარიტებების სხვაგვარად აღქმის საშუალებას, სასწაულებრივი ტექნოლოგიური მიღწევების გაცნობის შანსს – ყველაფერ იმას, რაც მოცემული ჩარჩოებისა და რუტინის მიღმა გვახედებს. ამ ადამიანებისთვის – TED-ი ერთგვარი ინტელექტუალური „ტელესერიალია“, რომელშიც, ვიდეოდან ვიდეოში, სწორედ სერიალივით უწყვეტად გრძელდება უნიკალური იდეებისა და ისტორიებისგან მიღებული შთაგონება.

„დღეში ერთი ვიდეო მაინც უნდა ვნახო. სიახლეებს TED-ის გამომსვლელები ისე მსუბუქად მთავაზობენ, რომ ვერც კი ვაცნობიერებ, როგორ მეცვლება წარმოდგენა, როგორ ვხდები მათი აღმოჩენის, მათი ნაფიქრის თანამონაწილე“, – მიყვება განათლების სპეციალისტი, მერი გაბაშვილი, რომელიც TED-ის კონფერენციის თბილისში მოწყობის პროცესში მონაწილეობდა.

ყოველ ადამიანს TED-ის აღმოჩენის თავისი ისტორია აქვს. მერი TED-ზე „დამოკიდებული“ ფსიქოლოგ ბარი შვარცის ვიდეოჩანაწერის მოსმენის შემდეგ გახდა. ამ ამერიკელმა ფსიქოლოგმა პუბლიკას სულ 19 წუთში დაუმტკიცა ის, რომ დასავლური საზოგადოების ყველაზე ხელშეუხებელი მონაპოვარი, არჩევანის თავისუფლება, სინამდვილეში, ადამიანთა ბედნიერების კი არა, უბედურების მიზეზი გახდა. მის სხარტ, სტატისტიკით არგუმენტირებულ, ლოგიკურ თხრობას ted.com-ზე 2.104.596 ადამიანმა მოუსმინა, 41-მა მოხალისე თარჯიმანმა კი, ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე, თავის მშობლიურ ენაზე თარგმნა ერთადერთი მიზნით – ამ ნოვატორული მოსაზრების გაცნობის შანსი იმ თანამოქალაქეებისთვისაც მიეცა, რომელთაც ინგლისური არ იციან.

თავისუფალ დროს, ხშირად, სწორედ TED-ის გამოსვლების თარგმნაში ატარებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი თამარ ჭუბაბრია. მისი ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი გამოსვლა 2011 წლის კონფერენციაზე მწერალ ქეთრინ შულცს ეკუთვნის, რომელიც მახვილგონივრული, მსუბუქი მსჯელობით პუბლიკას არწმუნებს, რომ შეცდომების დაშვება ადამიანური თვისებაა და რომ ურთიერთობები ძალიან იოლდება, როცა შეცდომას აღიარებ. „თარგმნისას სულ ქართული საზოგადოება მახსენდებოდა, დაუსრულებელი, ხშირად ჩიხში შესული კამათი პოლიტიკურად დაპირისპირებულ მხარეებს შორის, რადგან სხვადასხვა მხარეს მდგომი ადამიანები საკუთარ სიმართლეში „იჭედებიან“, – ამბობს თამარი.

გამოდის, რომ TED-ი სოციალურად აქტიური ადამიანების კერძო ინიციატივებს იყენებს იმისთვის, რომ გააღოს ხშირად ყველაზე ჩაკეტილი, საკუთარ კულტურულ ფასეულობებში ჩაფლული საზოგადოებების კარი.

როდესაც ამერიკელ არქიტექტორს, რიჩარდ სოლ ვურმენს 1980-იან წლებში, კალიფორნიაში, პირველი TED კონფერენციის მოწყობის იდეა გაუჩნდა,

ასეთი გლობალური მიზნები თავისი პროექტისთვის არ დაუსახავს. სახელი TED-ი ვურმენმა სამი სიტყვის აბრევიატურისგან შექმნა: ტექნოლოგიები, გართობა, დიზაინი. თუმცა, თანდათან, ამ ვიწრო პუბლიკაზე გათვლილი კონფერენციების საზღვრები გაფართოვდა და 1990-იანი წლებიდან, კალიფორნიაში, ფალმ სპრინგსში შეკრებილები, უკვე ისმენდნენ განათლების, ჯანდაცვის, მეცნიერების წამყვანი სპეციალისტების არატრადიციულ და არააკადემიურ, იუმორსა და პირად გამოცდილებაზე დაფუძნებულ გამოსვლებს. ბილ გეიტსი თუ ელ გორი, პიტერ გებრიელი თუ ენი ლენოქსი ახერხებდნენ საკითხი იმდენად ახლებურად დაესვათ, რომ შეექმნათ მასობრივად გავრცელებულის საწინააღმდეგო, ახალი ხედვების მთელი ნაკადი.

2001 წლიდან TED-ი არაკომერციული ორგანიზაცია გახდა. მას ახალი მფლობელი გაუჩნდა – რამდენიმე ჟურნალის გამომცემელი კრის ანდერსონი. სწორედ ამ დროს საბოლოოდ ჩამოყალიბდა კონცეფცია, რითაც დღეს TED-ი მთელ მსოფლიოშია ცნობილი – პლატფორმა, სადაც მეცნიერების და რიგითი ადამიანების აქტიურობით, ახალი იდეების გენერირება, გაცვლა-გამოცვლა და ტრანსლირება ხდება.

დღეს TED-ის მთავარი, რამდენიმედღიანი კონფერენცია ისევ წელიწადში ორჯერ ტარდება და ცალკეული ვიდეოების სახით, ვებგვერდზე თანდათანობით იტვირთება, მაგრამ პარალელურად, TED-ის სახელით და მისი ძირითადი წესების დაცვით, ასეულობით ასეთივე ფორმატის შეხვედრა მსოფლიოს ყველაზე მივარდნილ რეგიონებშიც კი ეწყობა.

WWW.TEDX.COM-ზე

2011 წლის ივლისში ლარა შტაინმა იმეილი მიიღო თბილისიდან. მას ტედ დერიდ მოროუ, განათლების ამერიკელი ექსპერტი სწერდა, რომელიც საქართველოში გაეროს კონსულტანტად 2007 წლიდან მუშაობდა. ის თბილისში TEDx-ის ჩატარებას ითხოვდა.

ახალგაზრდა, ენერგიული ქალბატონი, ლარა შტაინი TED-ის ნიუ-იორკის ოფისში მუშაობს და ამ ნოვატორული ორგანიზაციისთვისაც კი სრულიად უნიკალურ მიმართულებას უძღვება – TED-ის გავრცელებას განვითარებად და მესამე სამყაროს ქვეყნებში. ლარა ამბობს: „მე ვარ არტისტი, გლობალური სული, იდეების გენერატორი, პერფორმერი, ვებ-გურუ და მოგზაური“. ეს თვისებები კი, თუ პირდაპირი მოთხოვნა არა, დიდი პრიორიტეტია TED-ში სამუშაოდ. მაგალითად, ვებ-ტექნოლოგიების ცოდნა ლარას ისევე ეხმარება საქმის კეთებაში, როგორც – სამყაროს ერთ მთლიანობად, ნაციონალური ნიშნების მიღმა აღქმის უნარი.

TED-ის საკმაოდ პატარა გუნდმა გაფართოების საჭიროება ნელ-ნელა დაინახა: ბევრი ადამიანი TED-ის კონფერენციის მათ ქვეყანაში ჩატარებას ითხოვდა. TED-მა ლიცენზიების გაცემა დაიწყო, სახელით – TEDx, რომელშიც ასო x მათგან დამოუკიდებლად, მთლიანად ადგილობრივი საინიციატივო ჯგუფის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებას აღნიშნავს. ასე დაიწყო ექსპერიმენტი, რომელიც დიდ პროექტად იქცა.

პასუხს TEDx-ის ნიუ-იორკული ოფისიდან ტედ მოროუსთან ერთად, კიდევ სამი სხვა უცხოელი ელოდებოდა – საქართველოში დროებით ჩამოსული, მაგრამ აქ დარჩენილი ბიზნეს-კონსულტანტი, დებორა ფლეარლემი, რომელიც, როგორც თვითონ ამბობს, ნიუ-იორკიდან უოლ სტრიტის „ბეტონის კედლებს“ გამოექცა; მარკ მალენი – NDI-ს ყოფილი ხელმძღვანელი, რომელიც უკვე წლებია, თბილისში ცხოვრობს და საქართველოს შესახებ საკუთარ დაკვირვევებს ჟურნალ „ლიბერალში“ ყოველკვირეულად წერს და ჰანს გუტბროდი – CRRC-ის (კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი) რეგიონალური ბიუროს დირექტორი, რომელიც არა მხოლოდ პირადად აკვირდება კავკასიელთა ცხოვრებას, არამედ მეთოდოლოგიურად იკვლევს კიდეც მას და, თავის გუნდთან ერთად, გასაანალიზებლად საფუძვლიან ბაზას ქმნის.

„საქართველო ერთდროულად იმდენ გზაჯვარედინზე დგას, იმდენი რამ აქვს მსოფლიოსთვის გასაზიარებელი... მაგრამ, თან, ამ ძალიან მნიშვნელოვან პროცესს ყველაზე მთავარი რამ აკლია – ადამიანთა სოციალური ჩართულობა. TEDx-ი სწორედ იმის მაჩვენებელია, რომ მინიმალური ძალისხმევით, სხვადასხვა სფეროდან ადამიანების გაერთიანებით, შეგიძლია, სასარგებლო გამოცდილებას ჩაუყარო საფუძველი“, – მწერს ჰანს გუტბროდი იმის პასუხად, თუ რატომ დაინახეს საქართველოში TEDx-ის ორგანიზების აუცილებლობა.

„ქართველები ძალიან კონცენტრირებულები არიან საკუთარ წარსულზე და ამავე დროს, არ უყვართ შორი გეგმების დასახვა. მომავალზე საუბარი თითქოს ტაბუდადებულია, ზოგჯერ მეჩვენება, რომ რელიგიური ტაბუც კი ადევს, რადგან ადამიანები ფიქრობენ, რომ, როცა რაღაცას ათი წლის შემდეგ გეგმავ, ამით სცოდავ, რადგან შენ ხომ სინამდვილეში ისიც არ იცი, რა მოგივა ხვალ. გვინდოდა სწორედ ეს განწყობა დაგვეყენებინა კითხვის ნიშნის ქვეშ და ამიტომაც შევარჩიეთ TEDx-ის პირველი ღონისძიების თემად – შორი ხედვა“, – მეუბნება მარკ მალენი, რომელიც ერთ-ერთი პირველი იყო იმ უცხოელებს შორის, რომელსაც TEDx-ის თბილისში მოწყობის იდეა გაუჩნდა.

TEDx-ის ნიუ-იორკის ოფისიდან ლიცენზიის მიღების დასტური თბილისში სამი კვირის თავზე მიიღეს. პასუხში ეწერა, რომ საინიციატივო ჯგუფს უფლება ჰქონდა, მოეწყო კონფერენცია მაქსიმუმ 100-კაციანი აუდიტორიისთვის, რადგან ეს პირველი ღონისძიება იყო. ლიცენზიისა და ზოგადი რეკომენდაციის გარდა, რომ TEDxTbilisi-ზე უნდა გამოვლენილიყო TED-ის ფორმატისთვის დამახასიათებელი სულისკვეთება, ნიუ-იორკიდან თბილისში სხვა არაფერი მიუღიათ. ოთხ უცხოელს ახლა თავად უნდა ეზრუნა ყველაფერზე – გამომსვლელების მოძებნით დაწყებული, საორგანიზაციო-ტექნიკური საკითხების მოგვარებით დასრულებული.

2011 წელს გამოქვეყნებულ მოხსენებაში CRRC-ის მკვლევრები წერდნენ: ქართველები პირად და ოჯახურ ურთიერთობებში ერთმანეთის მხარდაჭერას სიცოცხლის ბოლომდე ეყრდნო-

ბიან, ერთმანეთის იმედად ცხოვრობენ, სამაგიეროდ, ძალიან იშვიათად ერთიანდებიან საერთო საზოგადოებრივი მიზნების გარშემო. ამიტომ საქართველოში ერიდებიან ასოციაციების, კლუბების, პროფესიული ორგანიზაციების ჩამოყალიბებას. ამ მაჩვენებლის მიხედვით, საქართველო ბევრ სხვა განვითარებად ქვეყანას ჩამორჩება. ის, რასაც ფორმალიზებული სამოქალაქო აქტიურობა ჰქვია, ქართული მოსახლეობის მხოლოდ 5 პროცენტზე ნაკლებს ახასიათებს.

მეცნიერმა მარკ ჰოვარდმა, რომელმაც აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები გარდამავალ ფაზაში შეისწავლა, ამ სამოქალაქო პასიურობის ასახსნელად სამი მიზეზი ჩამოაყალიბა: 1. სამოქალაქო სფეროს შესაძლებლობების მიმართ მემკვიდრეობით გადმოცემული საყოველთაო სკეპტიციზმი; 2. ამ ფონზე მეგობრული კავშირების აშკარა უპირატესობის აღიარება და 3. საერთო იმედგაცრუება, რაც კომუნისტური ეპოქის დასრულების შემდეგ გაჩენილმა ეიფორიამ მოიტანა.

ამ მიზეზების გამო, ბევრი განვითარებადი ქვეყანა და მათ შორის საქართველო, ჯერ კიდევ რჩება იმ ახალი საზროვნო დისკურსის მიღმა, რომლის გენერირება უკვე წლებია, TED-ზე უწყვეტად ხდება. ქართული კარჩაკეტილი საზოგადოებისთვის ძალიან უცხოა მსჯელობა და აღფრთოვანება იმ სიახლეებით, რომელთა ახსნას და პოპულარიზაციას TED-ის ფორმატი ყველაზე ეფექტურად ახერხებს.

დუბაიში გაზრდილი, 26 წლის ინდოელი გოგონა, მასარატ დაუდი TED-ის ერთ-ერთი გმირია. 2009 წელს ის, დუბაიში გამართულ TEDx ღონისძიებაზე სპიკერად მიიწვიეს. მაყურებელმა მოისმინა ისტორია იმის შესახებ, თუ როგორ ასწავლიდა ბავშვებს წერა-კითხვას დიდი აზიური მეგაპოლისიდან მშობლიურ ინდურ სოფელში დაბრუნებული მასარატი. ამ კონფერენციის შემდეგ მასარატმა თვითონაც შეიტანა განაცხადი TEDx-ის ლიცენზიაზე და თანხმობაც მიიღო. მისთვის ყველაფერი წინაღობად იქცა, პატარა დასახლების მცხოვრებლებისთვის დაუშვებელი იყო ქალის ასეთი აქტიურობა. მას არც სკოლის შენობაში ღონისძიების გამართვის უფლება მისცეს.

„სულ 50 კაციც რომ მოვიდეს, TEDx-ს მაინც ჩავატარებ. ზუსტად იმ მიზეზით მინდა აქ TEDx-ის მოწყობა, რა მიზეზითაც ადგილობრივები მეწინააღმდეგებიან“, – წერდა მასარატი ბლოგზე.

2010 წლის 19 იანვარს TEDxShekhavati მაინც შედგა. მას 1000 ადამიანი დაესწრო, სკამი ყველას არ ეყო და 200-ზე მეტი ადამიანი იატაკზე ფეხმორთხმული უსმენდა გამომსვლელებს, რომლებიც ლაპარაკობდნენ ინდოელ აქტივისტ ქალებზე, თანამედროვე კულტურაზე, წერა-კითხვის ცოდნის აუცილებლობაზე... წელს, 5 თებერვალს, TEDxShekhavati მასარატის სოფელში მესამედ გაიმართა.

„სულ 50 კაციც რომ მოვიდეს, TEDx-ს მაინც ჩავატარებ. ზუსტად იმ მიზეზით მინდა აქ TEDx-ის მოწყობა, რა მიზეზითაც ადგილობრივები მეწინააღმდეგებიან“, – წერდა ინდოელი გოგონა ბლოგზე.

მსგავს ისტორიებში ემოციურად და ეჭვგარეშე ჩანს, თუ როგორ შეუძლია TED-ისთანა სივრცეებს მასობრივად შეანჯღრიოს ტაბუირებული სოციალურ-კულტურული ფასეულობები. თუმცა, სულ არ არის საჭირო ემოცია და პათეტიკა იმისთვის, რომ TED-ის აუცილებლობა საქართველოსთანა საზოგადოებებისთვისაც დაინახო. TED-ის ერთი მაკედონიელი მომხმარებლის ნათქვამი რომ ოდნავ გადავაკეთო, გამოვა: ყველგან, სადაც ადამიანებს ახალი იდეებისგან არ უციმციმებთ თვალები, საჭიროა ისეთი სივრცეები, როგორიცაა TED-ი.

ზაფხულიდან მოყოლებული, თებერვლამდე, TEDx-ის გუნდი წიგნის მაღაზია „პროსპეროს“ ყველაზე დიდ მაგიდასთან იკრიბებოდა. დებორა ფლეარლემი მთავარ სპონსორთან ურთიერთობდა, გიორგი ლომსაძე, მარკ მალენი, უილიამ დანბარი და დანარჩენები სპიკერებს ეძებდნენ, გზავნიდნენ იმეილებს პოტენციურ გამომსვლელებთან, ასევე, ერთად არჩევდნენ ღონისძიების მოწყობის ადგილს.

„არ გვინდოდა, სასტუმროს საკონფერენციო დარბაზისნაირი სტერილური სივრცე აგვერჩია. საბოლოოდ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ავარჩიეთ, როგორც ქალაქის ცენტრში მდებარე შენობა, რომელთანაც ქართველებს ბევრი რამ აკავშირებთ. ისედაც, უნივერსიტეტი ხომ ყველაზე კარგად გადმოსცემს ინოვაციის მთელ არსს“, – ამბობს დებორა ფეარლემი.

2009 წელს პირველი TEDx ღონისძიებაც უნივერსიტეტში ჩატარდა, სამხრეთ კაროლინაში. მას შემდეგ მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქში გამართული 1583 ღონისძიებიდან საკმაოდ სოლიდური ნაწილი სწორედ ასეთ, სასწავლო სივრცეში იმართება.

თბილისის საინიციატივო ჯგუფის სამუშაო შეხვედრებზე ყველაზე „ცხელი“ დისკუსია გამომსვლელთა შერჩევის პროცესმა გამოიწვია. ჰანს გუტბროდმა და დანარჩენებმა იმეილები დააგზავნეს, ილუზია, რომ დიდ გამოხმაურებას მიიღებდნენ, არ ჰქონიათ, თუმცა, პროცესი მაინც იმაზე პასიურად მიდიოდა, ვიდრე წარმოედგინათ. „პირდაპირ უარი არავის უთქვამს, თუმცა ბევრი უდროობას იმიზეზებდა, ზოგი საერთოდ არ გვწერდა. ამიტომ, თავად დავიწყეთ ფიქრი იმ თემებზე, რომელთა მოსმენაც TEDx-ზე ჩვენ თვითონ გაგვიხარდებოდა“, – ამბობს მერი გაბაშვილი და მაგალითად საქართველოს ეროვნული მუზეუმის იმ უნიკალურ აღმოჩენებს ასახელებს, რომელმაც რადიკალურად შეცვალა პირველი ადამიანების ისტორია, – „დავით ლორთქიფანიძე მაშინვე დაგვთანხდა“.

„ასე მივადექით ბაქტერიოფაგის ინსტიტუტსაც და ვუთხარით, გვინდა, თქვენგან ვინმემ ამ უნიკალურ დაწესებულებაზე ილაპარაკოს, ვის გამოუშვებთ? კონფერენციაზე გამოსვლა თვითონ დირექტორმა, რეზო ადამიამ ისურვა“, – დასძენს დებორა ფეარლემი.

ჰანს გუტბროდი TEDx-ზე გამომსვლელებისა და მათი თემების სწორად შერჩევის მნიშვნელობას ასე მიხსნის: „ეს ფორმატი ერთდროულად არის უნივერსალურიც იმ სამოქმედო არეალის მხრივ, რომელსაც გაძლევს და ძალიან ლოკალურიც – თემების, ადგილმდებარეობის, სპიკერების მხრივ. შეგიძლია, ილაპარაკო ისტორიაზე, ხელოვნებაზე, საზოგადოებაზე – ყველაფერზე, იმ კონკრეტულ ადგილას მომხდარი ინოვაციების ჩათვლით“.

ამიტომ, საინიციატივო ჯგუფმა ყველა მხარეს გაიხედა. ბაქტერიოფაგი, აღმოჩენები მუზეუმში, პროექტი „ასწავლე და ისწავლე საქართველოსთვის“ – ეს ის ლოკალური, მაგრამ გლობალური მნიშვნელობის ნოვაციები იყო, რომელიც საქართველოს TEDx-ის საშუალებით მთელი მსოფლიოსთვის უნდა მოეყოლა;

პოლონელი ფოტოგრაფი იუსტინა მელნიკევიჩი და გერმანელი კინოდოკუმენტალისტი შტეფან ტოლცი ქართველებს საკუთარ თავს გარედან დაანახებდნენ და საკუთარი პროფესიების უნიკალურ სპეციფიკაზე უამბობდნენ;

შვედეთის ელჩი, დიანა ჯენსი თავისი თემით – „დიპლომატიის ახალი სახე“ – გლობალურ შინაარსს შესძენდა TEDx-ის ლოკალურ ღონისძიებას და ისაუბრებდა გაბედულებაზე, პირდაპირობაზე, ანუ იმ გამოწვევებზე, რაც ახალმა დრომ მსოფლიოში მიმოფანტულ დიპლომატების კორპუსს მოუტანა;

იგივე მიზანი – გლობალური შინაარსის შემოტანა – ჰქონდა TEDx-ზე „რადიო თავისუფლების“ მენეჯერის, კამილა ჰოუთორნის გამოსვლას თემით – „სამოქალაქო საზოგადოება. გადატვირთვა“.

უნიკალური თემა – კანონიერი ქურდები პოსტსაბჭოთა საქართველოში – ჰქონდა ამერიკელ დოქტორანტ, გევინ სლეიდსაც, რომლის წიგნსაც სათაურით „მაფია გარდამავალ დროში: კრიმინალის სიცოცხლისუნარიანობა და ტრანსფორმაცია პოსტსაბჭოთა საქართველოში“, გამომცემლობა „ოქსფორდ იუნივერსითი ფრესი“ 2013 წელს გამოსცემს;

სიღნაღში წლების წინ ჩასახლებული ამერიკელი მხატვრისა და ახლა უკვე მეღვინის, ჯონ ვურდემანის წამოწყება კი ლოკალური, ინსპირაციული ისტორიების რანგში გადიოდა. ჯონს უნდა ელაპარაკა ქართულ ღვინოზე ისე, რომ წინა პლანზე წამოეწია იმ ტრადიციის ფენომენი, რომელიც კრეატიულობის, რაღაც სუპერთანამედროვე წამოწყების წყარო ხდება.

ერთადერთი ადამიანი, რომელიც დაგზავნილი იმეილებიდან მიიღო თბილისურმა TEDx-მა, კავკასიის უნივერსიტეტის ლექტორი, ანდრო დგებუაძე იყო, Ted.com-ზე განთავსებული ვიდეოების ერთ-ერთი მოხალისე მთარგმნელი.

„ჰანს გუტბროდმა მომწერა, ხომ არ ვიცნობდი ვინმეს, ვინც ამ ღონისძიებისთვის კარგი გამომსვლელი იქნებოდა. მე საკუთარი კანდიდატურა შევთავაზე, რადგან მქონდა თემა, რომელზეც მუდმივად ვფიქრობ და TED-ის გამოსვლების სპეციფიკასაც კარგად ვიცნობდი“, – მიამბობს ანდრო და TED-ისთვის შესაფერისი გამომსვლელის უმთავრეს ნიშან-თვისებას ასე მიხსნის: „ეს ადამიანი უნდა იყოს საქმის გამკეთებელი (doer) და არა „სადღეგრძელოების მთქმელი“.

„მაინც როგორ შეიძლება, იყო კრეატიული“ – ასე ერქვა ანდრო დგებუაძის თემას, რომელზეც, როგორც თვითონ მიამბობს, უკვე წლებია, ფიქრობს სხვადასხვა მხრიდან ფილოსოფიურადაც, პრაქტიკულადაც და როგორც ბიზნესს, ისეც უყურებს.

TEDxtbilisi.com-ზე

საქართველოში პირველი TEDx კონფერენცია საქართველოს ეროვნული მუზეუმის დირექტორმა, დავით ლორთქიფანიძემ გახსნა. თეთრი პერანგით, ხელში პრეზენტაციის სამართავი პულტით და სახეზე ღიმილით, ლორთქიფანიძე სცენაზე სწრაფი, მსუბუქი ნაბიჯებით გამოვიდა და თხრობა ბავშვობის მოგონებით დაიწყო. „ძალიან მიყვარდა დეტექტივების კითხვა...“ – გაიხსენა მან და კრიმინალური თავსატეხების გახსნის სიამოვნება კაცობრიობის წარმოშობის კვლევის პროცესს შეადარა. პირადი მოგონებებისა და არქეოლოგიური გათხრების შედეგების საინტერესოდ შეზავებით, თვალსაჩინოებების – თავის ქალისა და პირველყოფილი ადამიანების ძვლების ხელში ტრიალით – მან, თითქოს, შეძლო პუბლიკის აყოლიება. თუმცა, როცა პრეზენტაცია დასრულდა და ლორთქიფანიძემ სცენა დატოვა, მივხვდი, სათქმელის გადმოცემისთვის საჭირო ეფექტური დრამატურგია იყო ის, რაც მის გამოსვლას დააკლდა.

რეზო ადამიას ფაგებისა და ანტიბიოტიკების შედარებითი დახასიათება საინტერესო, მაგრამ ძალიან მარტივ ენაზე ნაამბობი გამოუვიდა – ამით კი მუხტი, რაც ამ თემას პოტენციურად ჰქონდა, ოდნავ ჩაუქრო. შესვენებაზე გამოსულები, მისი პრეზენტაციის უღიმღამო ვიზუალურ გაფორმებაზეც ლაპარაკობდნენ. მაშინ, როცა ბევრი სპიკერი ფონს იოლად გადის ხოლმე ეფექტური პრეზენტაციების მომზადებით, ბაქტერიოფაგზე მსჯელობისას, ეკრანზე წვრილი ასოებით გამოყვანილი ტექსტი ტრიალებდა, სიტუაციას კი არც ადამიას ხუმრობა შველოდა, – ამას ნუ წაიკითხავთ, მოსაწყენიაო.

თემაც, იდეაც, ტექსტიც, დრამატურგიაც, გარეგნობაც – ყველაფერი შთამბეჭდავი ჰქონდა შვედეთის ელჩს. ლაპარაკობდა გულგრილობაზე, რაც დიპლომატებს ხშირად ახასიათებთ; ლაპარაკობდა იმაზე, რომ საჭიროა, დიპლომატები მნიშვნელოვან თემას ბოლომდე მიჰყვნენ და შემთხვევის ადგილი იმ წუთასვე არ დატოვონ, როცა ტელეჟურნალისტები კამერებს ჩაალაგებენ და წავლენ. თუმცა, დიანა ჯენსი რატომღაც ისე ნერვიულობდა, რომ დაძაბული, გონებაში ვაშველებდი ფრაზებს.

კამილა ჰოუთორნის გამოსვლა, სულ მცირე, მოძველებულ თემაზე იყო. ალბათ, გაუკვირდებოდა ამ

გამომსვლელს, მაგრამ, დარბაზში შეკრებილმა უკლებლივ ყველა ადამიანმა იცოდა, რას ნიშნავს სოციალური მედია და მისი როლი;

ბრიტანეთის ყოფილი ელჩი, დონალდ მაკლარენი შესანიშნავი ორატორია, სცენაზე ნამდვილი სკეჩი დადგა, პუბლიკაც აცინა, მაგრამ თემა – შოტლანდიის მომავალი – მაინც ვერაფრით დავუკავშირე TEDx-ის თბილისურ ღონისძიებას.

მომეჩვენა, რომ ინგლისური ენის მასწავლებელი, ნილ ზიპანჩიჩი გაცილებით უფრო საინტერესო და შინაარსიან პოსტებს თავის ბლოგზე აქვეყნებს; ხოლო მთავარი მიზეზი, რის გამოც ეკრანზე ქეთი მელუას წინასწარ ჩაწერილი ვიდეოგამოსვლა დაატრიალეს, მისი მსოფლიო პოპულარობა იყო. ქეთიმ გამოსვლა სადღეგრძელოთი დაასრულა, პუბლიკაზე ამ გულწრფელმა ჟესტმა აშკარად იმოქმედა.

გევინ სლეიდის კანონიერი ქურდების თემა კარგად ვეღარ მოვისმინე, რადგან უკანასკნელი გამომსვლელი იყო და ვერც სპიკერმა შეძლო პუბლიკა ბოლომდე აეყვანა.

სამაგიეროდ, ეს უდავოდ კარგად გამოუვიდა ჯონ ვურდემანს. ამ ადამიანში დღესაც ის აღმაფრთოვანებს, რაც წლების წინ – შეუძლია, ჩემი ქვეყნის კულტურა და რეალობა იმაზე უფრო ღრმად და საფუძვლიანად, იმაზე უფრო ახლებური პერსპექტივით დაინახოს, ვიდრე – მე. უკან შეკრული თმით, პერანგითა და ჯინსის შარვლით, ჯონი კოვბოის ჰგავდა, მოძრაობებით და ჟესტიკულაციით – ნამდვილ კახელ გლეხს, პრეზენტაციით კი – ძალიან კარგ ორატორს, რომელიც პირადი ისტორიისა და მთავარი სათქმელის საინტერესო ნაზავით, მგონი რომ, TED-ის მთავარ ვებგვერდზე გასვლას იმსახურებს.

გამოსვლებს შორის, შესვენებებზე, TED-ის აუდიტორია თითქმის ერთხმად აღიარებდა, რომ TEDxtbilisi მნიშვნელოვანი იყო, თუნდაც იმიტომ, რომ ანდრო დგებუაძე აღმოაჩინა – ახალი ტექნოლოგიების სპეციალისტი, რომელმაც iPhone-ისთვის შექმნა აპლიკაცია – A-LIVE Guitar და ყველას, ვისაც უნდა დაკვრა და არ იცის, ტელეფონით ამის შანსი მისცა.

კრეატიულობის შესახებ გამოსვლები რომ ეძებოთ, TED.com-ზე ძალიან ბევრ, კარგ პრეზენტაციას იპოვით. ანდრო დგებუაძის ამ თემაზე დაწერილ პრეზენტაციას კი არა იმდენად იდეის ნოვაციურობა, არამედ ამ იდეის გადმოცემის აბსოლუტურად არაქართული ტექნიკა გამოარჩევდა. მისი პრეზენტაცია – აგებულებით, ნარატივით, აზრის, იუმორის და თვალსაჩინოების იდეალური ბალანსით, ასევე, ძალიან კარგი ინგლისურითა და აუდიტორიასთან უშუალო, ექსპრომტებით გაჯერებული კომუნიკაციით – ყველაზე მეტად ჰგავდა TED-ის იმ კლასიკად ქცეულ გამოსვლებს, რომელთაც შემდეგ მილიონობით თაყვანისმცემელი უჩნდება.

მიუხედავად იმისა, რომ თბილისის TEDx–ზე არ უფრენიათ რობოტებს, TED–ის პირველი ღონისძიება საქართველოში მაინც შედგა. პუბლიკამ აშკარად განიცადა რაღაც იმ შთაგონების მსგავსი, რასაც TED–ის ვიდეოებში პოულობს მილიონობით მაყურებელი.

TED.com-ს მთავარ ვებგვერდს, ალბათ, ძალიან მოუხდება თსუ-ს გოგონათა გუნდის ემოციური და ხალისიანი გამოსვლაც. გოგონები ძველ ქართულ ინსტრუმენტებზე გადამდებად უკრავდნენ და ქართული ხალხური სიმღერების პოპურში ლეიდი გაგას ცნობილ ჰიტს ისეთი იუმორით ურევდნენ, რომ დარბაზი ლამის ააცეკვეს.

მიუხედავად იმისა, რომ თბილისის TEDx-ზე არ უფრენიათ რობოტებს; იატაკზე წარმოსახულ ფორტეპიანოს კლავიშებზე არ უხტუნავია ბობი მაკფერინს, და მთელი დარბაზი არ წამომდგარა ფეხზე, მქუხარე აპლოდისმენტებით, იმ აფრიკელი ბიჭის პატივსაცემად, რომელმაც 14 წლისამ ელექტროენერგიის გამოსამუშავებლად, თავის სოფელში ქარის წისქვილი ააგო, TED-ის პირველი ღონისძიება საქართველოში მაინც შედგა. პუბლიკამ აშკარად განიცადა რაღაც იმ შთაგონების მსგავსი, რასაც TED-ის ვიდეოებში პოულობს მილიონობით მაყურებელი.

მალე პირველი TEDxTbilisi-ს ყველა გამომსვლელის პრეზენტაცია, ცალცალკე ვიდეოებად, ვებგვერდზე აიტვირთება. ხოლო, თუ TED-ის მთავარ ოფისში ამ ვიდეოების ნახვის შემდეგ, დარწმუნდებიან, რომ TEDxTbilbisi-ზეც აშკარად გაისმა „უნიკალური ხმები“, ამ ვიდეოებს TED-ის მთავარ ვებგვერდზეც გაიტანენ, სადაც ისევე პოპულარული შეიძლება გახდნენ ქართველი გამომსვლელები, როგორც ნენსი დუარტე, კენ რობინსონი და TED-ის სხვა ვარსკვლავები.

კონფერენციის დასრულების შემდეგ ბევრი ვიფიქრე იმაზე, თუ რა ედო საფუძვლად ჩემს გაორებულ გრძნობას – გადაჭარბებული მოლოდინი, თუ ის პრობლემები, რომლებიც TEDx-მა დაგვანახა. ჩემთვის ორი მნიშვნელოვანი რამ აღმოვაჩინე. პირველი იდეების სივიწროვეა, იმ საკითხების შეზღუდულობა, რაც ქართველებს გვაღელვებს, მეორე კი – ჩვენი აზრების და მიღწევების ძველმოდური პრეზენტაცია. ორივე პრობლემას კი, მაინც დახურული და პასიური საზოგადოების კომპლექსად განვიხილავ. თითქოს ჯერ კიდევ გვეშინია, საკუთარ თავს დავრთოთ ნება გავხდეთ იმ დიდი და ღია, მრავალფეროვანი სამყაროს ნაწილი, რომელსაც TED-ი განასახიერებს.

დებორა მეუბნება, რომ ეს მხოლოდ დასაწყისია. მხოლოდ ბიძგია იმისთვის, რომ საქართველოს სხვა ქალაქებში სხვა ადამიანებმა, სასურველია, აქაურებმა, თვითონ ჩაატარონ TEDxBatumi-ი, TEDxKutaisi-ი თუ TEDxSvaneti-ი.



ნოტებით ხატვა

ავტორი ზაზა ბურჭულაძე

როგორც წესი, თვეში ერთხელ ჩემს აიპოდში შერჩეულ მუსიკას ვაახლებ – ზოგ ალბომს – დროებით, ზოგსაც სამუდამოდ ვშლი. სულ რამდენიმე აუდიო ფოლდერია, რომელიც მერამდენე წელია, უთუოდ ხვდება ჩემ მიერ განახლებულ ყოველ მუსიკალურ ნაკრებში. ერთ-ერთი ასეთია ალვა ნოტოს „For“. შეიძლება მთელი თვე ისე გავიდეს, ამ ალბომს სულაც არ მოვუსმინო, მაგრამ, აიპოდში რომ მაქვს, რაღაცნაირად მშვიდად ვარ. უფრო ზუსტად, რომ არ მქონდეს, გუნება გამიფუჭდება. მაგალითად, შეიძლება დღის განმავლობაში ვალიუმი სულაც არ მივიღო, მაგრამ ჯიბეში უთუოდ უნდა მეგდოს – ყოველი შემთხვევისთვის.

ალბომი „For“, ერთი შეხედვით, მინიმალიზმის შესანიშნავი ნიმუშია. აქ მუსიკალური ფრაზები მინიმალური ვარიაციებით კომპოზიციიდან კომპოზიციაში ისე სადად, მშვიდად და მდორედ მეორდება, გეგონება, თემიდან თემაში მოგზაურობენ და მთელ ალბომში ერთი მოტივი მუშავდება. იმის მიუხედავად, რომ თითოეული მუსიკალური ნაწარმოები ერთმანეთს ჩამოგავს, რეალიზაციის კონცეფციებით – მათში ჩადებული ძირითადი აზრით – ერთმანეთისგან სრულიად განსხვავდებიან. აქ კომპოზიციებს შორის მსგავსებაც და განსხვავებაც იმდენადაა თვალშისაცემი, რამდენადაც პოლ ბილოსა და კაზიმირ მალევიჩის ნახატებს შორის.

აქვე, მსგავსებისა და განსხვავების საილუსტრაციოდ, ალფონს ალეს ლეგენდარული „დიად ყრუს დამკრძალავი სამგლოვიარო მარში“ (1897 წ.) და ჯონ ქეიჯის ცნობილი პიესა „4’33“ (1952 წ.) გამოგვადგება. როგორც ცნობილია, ორივე ეს ნაწარმოები არცერთ ნოტს შეიცავს. ალეს კომპოზიციაში მუსიკოსები არაფერს ასრულებენ. „მარშის“ შესრულებისას მხოლოდ სიკვდილისა და სიყრუის პატივსაცემი სიჩუმე დგას

პოლ ბილო, "ზანგების ბრძოლა ღამით გამოქვაბულში", 1882

კაზიმირ მალევიჩი, „შავი კვადრატი“, 1915

ჯოზეფ კოშუტი, „ერთი და სამი სკამი“, 1965 წ.

იმის ნიშნად, რომ დიდი წუხილი მუნჯია, იგი არ ჰგუობს ზედმეტ ხმებს. ქეიჯის კომპოზიციის პარტიტურაც შემსრულებელს არაფრის დაკვრას თხოვს. 4 წუთისა და 33 წამის განმავლობაში ორკესტრი ამ შემთხვევაშიც გაუნძრევლად ზის. თუმცა, ალესგან განსხვავებით, თავის პიესაში ქეიჯი იმ აზრს დებდა, რომ ყველა ხმა მუსიკაა, სიჩუმეც კი, და რაც ჩვენ გვესმის ან არ გვესმის, არის ხმაური. ანუ სხვაობა აქაც ისევ და ისევ რეალიზაციის კონცეფციებშია. კურიოზი კი ისაა, რომ დღეს სწორედ ეს „კვლავწარმოებული“ ნამუშევრები – მალევიჩის „შავი კვადრატი“ და ქეიჯის „4’33“ გახლავთ საყოველთაოდ აღიარებული და არა მათი პირველწყაროები.

მართალია, ალბომში „For“ მუსიკალური ფრაზები ოპუსიდან ოპუსში მოგზაურობენ და ჯამში ერთი უწყვეტი მელოდიის შთაბეჭდილებას ქმნიან, ყოველი კომპოზიცია თავისთავში ერთგვარად საკუთარი პრეზენტაციის კონტექსტს მაინც ინახავს, როგორც კონცეპტუალიზმის ერთ-ერთი ფუძემდებლის, ჯოზეფ კოშუტის კანონიკურ ინსტალაციაშია. აქ კოშუტი ერთად წარმოადგენს სკამს, ამავე სკამის ფოტოსა და ლექსიკონური სტატიის ასლს სკამზე. ამდენად ეს თვითთემატური ნამუშევარი საკუთარი პრეზენტაციის კონტექსტს შეიცავს – მასში წარმოდგენილი თითოეული საგანი/ელემენტი დანარჩენი ორის მნიშვნელობას განსაზღვრავს.

და მაინც, ალბომს „For“ ტერმინები „კონცეპტუალური“ და „მინიმალისტური“ მაინცდამაინც არ ერგება. ეს ცნებები რაღაცნაირად ჩარჩოებში აქცევს მუსიკას, რომელსაც ჟანრული შეზღუდვები ყველაზე ნაკლებად უხდება. კონცეპტუალურ ხელოვნებაში ხომ ნაწარმოების კონცეფცია მის გამომსახველობით ფორმაზე მნიშვნელოვანია – ხელოვნების არსი იდეის გაჟღერებასა და გადაცემაშია. იგივე კოშუტი კონცეპტუალიზმის მნიშვნელობას ხელოვნების ნიმუშის ფუნქციონირების ძირეულ გადააზრებაში ხედავდა. აქ იდეის ძალაა და არა მასალის. დაბოლოს, კონცეპტუალური ხელოვნება მიმართავს არა ნანახის თუ მოსმენილის ემოციურ აღქმას, არამედ ინტელექტუალურ გააზრებას. „For“ კი, პირველ რიგში, სწორედ ემოციურად აღიქმება, ინტელექტუალური გააზრების გარეშე. წარმოიდგინე, რომ ბნელ ოთახში კატას ეძებ, რომელიც იქ არ არის, გარეთ კი ამ დროს ფერად ფოიერვერკს და ბენგალიურ ცეცხლს გაუნათებია ღამის ცა. თუმცა ოთახში არც ფოიერვერკის ბათქანი ისმის და არც ბენგალიური ცეცხლის შიშინი – შენამდე მხოლოდ დამწვრის სუნი აღწევს. მინიმალიზმს რაც შეეხება, „For“ ერთმნიშვნელოვნად არაა „ავეჯური მუსიკა“ (ავანგარდული ჟანრი, რომელსაც ფრანგმა კომპოზიტორმა – ერიკ სატიმ 1916 წელს ჩაუყარა საფუძველი), რომელიც სრულდება არა მოსასმენად, არამედ იმისთვის, რომ ყურადღება არ მიაქციო. და თუ მაინცდამაინც ჟანრის დადგენაზე მიდგა საქმე, „For“ პოემა უფროა, ვიდრე სხვა რამ. იმ პირობით, თუკი ამ სინთეტიკურ ჟანრს ჰეროიკული, დიდაქტიკური, სატირული, ბურლესკური

ღამის კლუბებსა და საკონცერტო დარბაზებში პერფორმერობის გარდა, ალვა ნოტო ინსტალაციებს

პერიოდულად აწყობს სხვადასხვა პრესტიჟულ გალერეასა და მუზეუმში – ბერლინის ნაციონალური გალერეიდან თუ გუგენჰაიმიდან პომპიდუს ცენტრამდე.

თუ რომანტიკული საფუძვლის გარეშე წარმოვიდგენთ. ელექტრონული მუსიკის მცოდნეები აქ, ალბათ, დააზუსტებენ, რომ „For“ – ესაა გლიჩი, აბსტრაქტი, ექსპერიმენტალი, და ა.შ. მაგრამ ეს ალბომი ოდნავ უფრო მეტია, ვიდრე ზემოჩამოთვლილი მიმდინარეობები. უფრო ზუსტად კი, „For“ მედიტატიური პოემაა – ბგერებით შესრულებული ნახატები, რომლებიც ყოველ მოსმენაზე სხვადასხვა განწყობას ქმნიან მსმენელში – ერთდროულად მინორულსაც და მაჟორულსაც. თან ეს განწყობები თითქმის მუდამ ამბივალენტურნი არიან: ალბომი ერთდროულად ვალიუმივითაც გამშვიდებს და კოკაინივითაც გაგზნებს.

აქვე, ალბათ, სკრიაბინიც უნდა ვახსენოთ. მარტო იმიტომ არა, რომ პირველმა სწორედ სკრიაბინმა ჩართო შუქური კლავიატურის პარტია თავისი სიმფონიური პოემის – „პრომეთეს“ (1910 წ.) პარტიტურაში. იმიტომაც, რომ სკრიაბინის ერთ-ერთი ბოლო, განუხორციელებელი იდეა „მისტერია“ იყო – გრანდიოზული მოქმედება, რომელიც მას არა მარტო ბგერების, არამედ ფერების, სუნების, მოძრაობებისა და ხმოვანი არქიტექტურის სიმფონიად წარმოედგინა – სადაც სამყაროს სული და მატერია ერთმანეთს რაღაც კოსმიურ ეროტიკულ აქტში უნდა შერწყმოდნენ. და კიდევ, როგორც სკრიაბინთან, ისე ალვა ნოტოს კომპოზიციებშიც იკითხება ნევროზულობა, იმპულსურობა, თითქოს უმიზეზო პანიკურობა, და ამავდროულად საოცარი, ღამის მისტიკური სიმშვიდე. არცთუ შემთხვევით, ალბომში „For“ ერთ-ერთი კომპოზიცია ევგენი მურზინს ეძღვნება. საბჭოთა არმიის ლეიტენანტმა მურზინმა 1958 წელს მსოფლიოში პირველი მუსიკალური სინთეზატორი შექმნა, რომელსაც თავისი საყვარელი კომპოზიტორის სახელი დაარქვა: AHC (ალექსანდ ნიკოლაევიჩ სკრიაბინი). ეს მოწყობილობა ხმისჩამწერი ფოტოოპტიკური მეთოდით მუშაობს, რაც ერთდროულად იძლევა საშუალებას სპექტროგრამაც, ანუ ხმოვანი ტალღების გამოსახულებაც მივიღოთ, და პირიქით – ხმოვანი ტალღებიდან ხმის სინთეზირებაც მოვახდინოთ.

ალვა ნოტო ერთდროულად მუსიკოსიცაა და მხატვარიც, და უზარმაზარ ეკრანებზე ტრანსლირებული სპექტროგრამა მისი კონცერტების ისეთივე ორგანული ნაწილია, როგორიც თავად მუსიკა. ალვა ნოტო ან უბრალოდ – ნოტო, კარსტენ ნიკოლაის სასცენო სახელებია.

კარსტენ ნიკოლაი დაიბადა 1965 წელს კარლ-მარქს-შტადტში (აღმოსავლეთ გერმანია). ბგერისა და სივრცის თვისებებით დაინტერესებამდე, 90-იანი წლების დასაწყისში სწავლობდა არქიტექტურას და ლანდშაფტურ დიზაინს დრეზდენში. დღეს ღამის კლუბებსა და საკონცერტო დარბაზებში პერფორმერობის გარდა, ინსტალაციებს პერიოდულად აწყობს სხვადასხვა პრესტიჟულ გალერეასა და მუზეუმში – ბერლინის ნაციონალური გალერეიდან თუ გუგენჰაიმიდან პომპიდუს ცენტრამდე. დგამს გეომეტრიულ სკულპტურებს მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქში, აწყო-

პირველადი იმპულსი და შთაგონება თავად მუსიკაზე მუშაობის პროცესში მოდის, წინა ჩანაწერებიდანაც, ექსპერიმენტების დროსაც შეიძლება რამე იმპულსად იქცეს საინტერესო ბგერების და თემების აღმოჩენისთვის. ბევრი რამ შეიძლება გახდეს ინსპირაციის წყარო.

ბს ფიგურებს სინათლის, ბგერის და არქიტექტურის შერწყმით, საკუთარ მუსიკაზე იღებს კლიპებს (ერთ-ერთი შეგიძლიათ ნახოთ აქ: http://www.youtube.com/watch?feature=endscreen&NR=1&v=5iABNDvZ8IA), და ა.შ. ალვა ნოტო ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და მნიშვნელოვანი ფიგურაა თანამედროვე ელექტრონულ მუსიკოსებს შორის. თავის აუდიონახატებს ნოტო ხშირად კიმატიკის პრინციპების გამოყენებით ქმნის. ასევე ხშირად ხმის და მხატვრობის კონვერგენციას ახდენს. ცხოვრობს ბერლინსა და ჰემნიცში. რიუიჩი საკამოტოსთან ერთად გამოსცა რამდენიმე სტუდიური ალბომი. მას და რიოძი იკედას აქვთ ერთობლივი პროექტი Cyclo. ალვა ნოტოს ასევე აქვს პროექტი ბლიქსა ბარგელდთან ერთად (ANBB), და ა.შ.

აქედან ყველაზე ნაკლებად საკამოტოს ჭირდება წარდგენა. სხვა თუ არაფერი, მას ისეთი ფილმები გაუფორმებია მუსიკალურად, როგორებიცაა „უკანასკნელი იმპერატორი“ (რეჟ. ბერნარდო ბერტოლუჩი), „მოახლე ქალის ისტორია“ (რეჟ. ფოლკერ შლენდორფი), „მაღალი ქუსლები“ (რეჟ. პედრო ალმოდოვარი), და ა.შ. რიოძი იკედას რაც შეეხება, იგი მთავარი მინიმალისტია დღევანდელ ელექტრონულ მუსიკოსებს შორის. თავის მუსიკაში იკედა ხშირად იყენებს სიხშირეებს, რომლებიც სმენითი აღქმის დიაპაზონის კიდეზე არიან. მისივე თქმით: „ამ სიხშირეების არსებობას მსმენელი მხოლოდ მათი გაქრობის შემდეგ უნდა მიხვდეს“. არც ბლიქსა ბარგელდია ბოლო კაცი – გერმანელი მუსიკოსი, მომღერალი, პოეტი და მსახიობი. 1980 წლიდან გერმანული ჯგუფის Einsturzende Neubauten (დაახლოებით ასე ითარგმნება: ნგრევადი ახალაშენებული სახლები) ფრონტმენი. მისი უნიკალური ხმა ფილმ „მუმიას“ შემქმნელებმაც კი გამოიყენეს მუმიის კივილის გასახმოვანებლად. და რაც მთავარია, ბარგელდი მრავალი წლის განმავლობაში „ნიკ ქეივი და ცუდი თესლების“ გიტარისტი გახლდათ.

ასე დაჟინებით რატომ ვუტრიალებ ალბომს „For“? მით უფრო, რომ ალვა ნოტოს ოცდაათამდე CD აქვს გამოშვებული – მათ შორის, როგორც სოლო, ისე კოლაბორაციული. იმიტომ, რომ ნებისმიერი მუსიკოსის დისკოგრაფიიდან შეიძლება ერთი ისეთი ალბომის გამორჩევა, როგორი მობეზრებულიც უნდა გქონდეს იგი, მაინც განსაკუთრებულად რომ გიყვარს და მთელი ცხოვრების განმავლობაში რაღაცნაირად თან დაგყვება თანამგზავრივით. ასევე არის ალბომები, რომელთაც სქესი თითქოს არ აქვთ, ანუ მათში არც მასკულინური საწყისი ჭარბობს და არც ფემინური. არამედ ორივე საწყისი ერთმანეთს თითქოს ემთხვევა და ავსებს კიდეც. ბახის „Goldberg-variationen“ იქნება ეს თუ მაილზ დევისის „Kind of blue“, და ა.შ. ასეთივე უსქესო ალბომია ალვა ნოტოს „For“.

დილის 4 საათი იყო, ბერგჰაინში (ბერლინის პრესტიჟული ღამის კლუბი) ალვა ნოტომ დაკვრა რომ დაასრულა, ლეპტოპი დახურა და სცენიდან ჩამოვიდა, კულისებისკენ დაიძრა... რიოძი იკედაც იქვე იყო. ფოტოებიდან ვერ მიხვდები, რომ კარსტენ ნიკოლაი საშუალო სიმაღლის, ძვალმსხვილი კაცია. იკედა კი ისეთი გამხდარი და გალეულია, მის გვერდით თითქმის სულ არ ჩანს. ძნელი სათქმელია, იმ წამს ორი კურდღლის მადევართან დაკავშირებული ხალხური სიბრძნე გავითვალისწინე თუ მხოლოდ კორექტული ვიყავი, კარსტენს ვკითხე, შეიძლება დავილაპარაკოთ-მეთქი? ძალიან დავიღალე, დამელოდე, მალე გამოვალო. ოდნავ შეშლილი სახე, ანთებული თვალები და სისველისგან გადალესილი თმა ქონდა, სახეზე ოფლის წვეთები ესხა. თითქოს ის-ის იყო აბანოდან გამოვიდა. რადგან ეჭვიანი კაცი ვარ, ვიფიქრე, ხომ არ მაბოლებს-მეთქი. მით უფრო, რომ „მალე“ ძალიან ზოგადი ცნებაა. შეიძლება ნახევარ საათსაც ნიშნავდეს და ნახევარ საუკუნესაც. ეგაა, კარსტენი კულისებიდან 10 წუთში გამოვიდა. წამო, ბარში დავილაპარაკოთო. იქაურობა ხალხით იყო სავსე, ხმის გამაძლიერებლებიდანაც მუსიკა ისე ხმამაღლა ისმოდა (სცენაზე უკვე Delay იდგა – კიდევ ერთი კარგი ელექტრონული მუსიკოსი), რომ ერთმანეთს ყვირილით ვესაუბრეთ. არ ვიცი, კარსტენ ნიკოლაი ჩაკეტილი კაცია თუ მოცემულ შემთხვევაში გარემო პირობებია გასათვალისწინებელი. რაც უნდა იყოს, ეს საუბარი ბერგჰაინის ხალხით გატენილ ბარში ღამით ჩვენი ყვირილის შედეგია.

ჩვეულებრივ ცხოვრებაში ალვა ნოტო ხარ თუ კარსტენ ნიკოლაი?

კარსტენ ნიკოლაი ჩემი ნამდვილი სახელია. ალვა ნოტო ფსევდონიმია. ასე ვთქვათ, არტისტის სახელი. თავდაპირველად მხოლოდ ნოტო იყო. მოგვიანებით, მთელი იმ იდეისთვის, რასაც ვემსახურები, უფრო მეტი მუსიკალობის მისაცემად, ფსევდონიმად ალვა ნოტო ავირჩიე. ნოტო ჩემი ხმისჩამწერი სტუდიის სახელს „Noton“ უკავშირდება, ალვა უბრალოდ სახელია, რაც რატომღაც მომწონდა. თან, მგონი, ანდროგინულად ჟღერს. უფრო სწორად, თავისი ჟღერადობით, ჩემთვის ის არც

ფემინურია და არც მასკულინური. თან, მასში იდენტობის გაქრობის თუ გადღაბვნის იდეაც მომწონს.

საიდან მოდის ხოლმე შენთან შთაგონება?

ვფიქრობ, პირველადი იმპულსი და შთაგონება თავად მუსიკაზე მუშაობის პროცესში მოდის, წინა ჩანაწერებიდანაც, ექსპერიმენტების დროსაც შეიძლება რამე იმპულსად იქცეს საინტერესო ბგერების და თემების აღმოჩენისთვის. ბევრი რამ შეიძლება გახდეს ინსპირაციის წყარო. რთულია ერთი კონკრეტული ელემენტის დასახელება.

რით ანსხვავებ ცოცხალ შესრულებას სტუდიაში მუშაობისგან?

სტუდიაში მუშაობა ბევრად უფრო ხანგრძლივი პროცესია. დიდ დროს ატარებ იქ, თან სულ დაძაბული ხარ. ცოცხალი შესრულებისას შეიძლება რაღაც იდეა სცენაზე დგომისას გაგიჩნდეს, რომელსაც ადგილზევე უნდა შეასხა ხორცი. არადა, ამ დროს მსმენელი გარს გარტყია, დროც შეზღუდული გაქვს... ხასიათების და კონცენტრაციის გარდა, სოციალური ასპექტებიც სხვადასხვაა. სტუდიაში მარტო ხარ, სცენაზე ყოფნისას კი უამრავი ადამიანის ენერგეტიკულ ველში იმყოფები. და კიდევ, ორივე შემთხვევაში სრულიად სხვადასხვა მოწყობილობებს და იარაღებს იყენებ. მოკლედ, სრულიად განსხვავებულ სიტუაციებში გიწევს მუშაობა.

რამდენად მნიშვნელოვანია მუსიკისა და გამოსახულების სინთეზი შენთვის?

რადგან ვიზუალური არტიდან მოვდივარ, დიდი ხანია, ვიზუალური გაფორმების გარეშე პერფორმანსს აღარ ვაწყობ. გამოსახულების და მუსიკის სინთეზი ჩემი პერფორმანსის მნიშვნელოვანი მხარეა. ჩემთვის ეს ძალიან საინტერესო გზაა ხმის შეგრძნების გაღრმავებისთვის. ზოგჯერ პირიქით – ვიზუალის გაღრმავება ხმაზე აპელირებით. ძალიან მაინტერესებს ამ შესაბამისობების და შეუსაბამობების ერთმანეთში არევა და ამ ორივე მედიით მუშაობა.

საიდან მოდიან შენთვის ბგერები?

ბგერები მოდიან... ჩვენ გარშემორტყმული ვართ ბგერებით. ჩვენი ცხოვრების ყოველ წამს ბგერებს ვისმენთ. ეს ერთდროულად ბევრი რამის წყაროცაა და ინსპირაციაც.

ხედავ თუ არა რამე კავშირს შენსა და სკრიაბინის მუსიკას შორის?

ძალიან მაინტერესებს სკრიაბინი, და უნდა ვთქვა, რომ არცთუ ცოტა რამ წამიკითხავს მის შესახებ. მის მუსიკასაც ხშირად ვუსმენ. მაინტერესებს მისეული ხედვა ბგერისა და გამოსახულების შერწყმაზე. სკრიაბინთან კარგად ვხედავ ფერისა და ტონალობის კავშირს. ეს ბევრი არტისტისთვის იყო ასე, ოციან წლებში. მაგალითად, დიდი თემა იყო კანდინსკისთვის, და ა.შ. ეს ხალხი სხვადასხვა მედიის პიონერები იყვნენ, ვთქვათ, გამოსახულებისა და ბგერის დაკავშირებაში.

შენს ალბომში „For“ კომპოზიციებს უძღვნი სხვადასხვა ადამიანს – ანდრეი ტარკოვსკის, ფილ ნიბლოქს, ჰაინერ მიულერს... ვინ არიან ისინი შენთვის?

თითოეული ეს კომპოზიცია შეიქმნა რაღაც კონკრეტული შემთხვევისთვის, კონკრეტული ადამიანისთვის ან ღონისძიებისთვის. მაგალითად, ანდრეი ტარკოვსკისთვის შეიქმნა რუსული mp3 ვებგვერდისთვის მიძღვნილი ალბომისთვის. ჩემთვის ტარკოვსკი მნიშვნელოვანი რეჟისორი იყო, ძალიან გავლენიანი. ნიბლოქის შემთხვევაში ასე თუ ისე მთხოვეს, მისი ნამუშევრის რემიქსი გამეკეთებინა. მიულერი კი ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი მწერალია. მისი არაერთი პიესა მაქვს ნანახი, მის წიგნებსაც ბევრს ვკითხულობდი. რა თქმა უნდა, ის მნიშვნელოვანი ფიგურაა აღმოსავლეთ გერმანიის ლიტერატურულ სცენაზე.

რამდენად მნიშვნელოვანია შენთვის კლასიკური მუსიკა?

კლასიკური მუსიკა ჩემი ცხოვრების ნაწილია. ცხადია, მყავს რჩეულებიც. ძალიან მაინტერესებს ადრეული რენესანსის მუსიკა. მაინტერესებს ასევე ბარტოკი და თანამედროვე კომპოზიტორები. მაგალითად, არვო პერტი ძალიან მნიშვნელოვანი ფიგურაა. ასევე (ჰენრიკ) გორეცკი პოლონური სცენიდან და (კშიშტოფ) პენდერეცკი. და, ცხადია, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სკრიაბინი.

რა მსგავსება და განსხვავებაა შენსა და შენი კოლეგის რიოძი იკედას მუსიკას შორის?

ვფიქრობ, მსგავსება ბევრია, რადგან ერთი თაობა და კარგი მეგობრები ვართ, მსგავსი შეგრძნებები გვაქვს, მიდგომები. მოგვწონს ბგერაზე მუშაობა ძალიან თავისუფლად, ღია გონებით. ხმაზე ექსპერიმენტებს ვატარებთ, თან ორივეს გვიყვარს ვიზუალური ხელოვნება, მუსიკა, ბგერა. ალბათ, მთავარი განსხვავება ისაა, რომ რიოძი თეატრიდან მოდის, სადაც მრავალი წლის განმავლობაში იაპონურ „დამბ ტაიპის“ (Dumb type) ექსპერიმენტულ კოლექტივში მუშაობდა. მე კი უფრო ვიზუალ არტიდან მოვდივარ. ჩვენს მუსიკას რომ მოუსმინო, ცხადია, განსხვავებას შენიშნავ. თუმცა, მსგავსებაც ბევრია. ჩვენ ერთობლივი პროექტი გვაქვს – Cyclo, სადაც გვსიამოვნებს ერთად მუშაობა.

პროექტები გაქვს რუიჩი საკამოტოსთან, ბლიქსა ბარგელდთან და ა.შ. ეძებ თუ არა ახალ კოლაბორაციებს?

მართალი გითხრა, არ ვეძებ. კოლაბორაციები თავისთავად დგება ახალი ნაცნობობიდან ან პირადი კავშირებიდან. კოლაბორაციებს წინდაწინ არასდროს ვგეგმავ. ბედნიერი ვარ ჩემი დუეტებით ამ ადამიანებთან. მართლაც საოცარი კომპოზიტორები არიან. მაგრამ ახლა კონკრეტული არავინაა, ვისთანაც მუშაობას ვისურვებდი.

რა არის ის, რის გარეშეც ვერ წარმოგიდგენია ცხოვრება – ვინ იქნებოდი, რომ არა მუსიკოსი?

არასდროს მიფიქრია ამაზე. არასდროს მიფიქრია მუსიკოსად ან არტისტად არყოფნაზე. ვფიქრობ, რაღაცები ისე ხდება, როგორც უნდა ხდებოდეს. მგონი, არ მაქვს გეგმა B ან ჩემი ცხოვრების ალტერნატიული გზა. ცხოვრებას ვიღებ ისეთს, როგორიცაა, და ბედნიერი ვარ ამით.

ინტერვიუ ჯივან გასპარიანთან
ცირანაპოხის მბრძანებელი

ავტორები: კახა თოლორდავა, გია ხადური

ყველა მუსიკოსი, ვისთანაც ოდესმე გვისაუბრია, გამონაკლისის გარეშე და განურჩევლად იმისგან, თუ რომელ ინსტრუმენტზე უკრავენ ისინი, წამდაუწუმ ხაზს უსვამდნენ იმას, რომ ბგერა ყველაზე მთავარი რამაა მათთვის. როდის მიხვდით, რომ საკუთარ ბგერას მიაგენით იმ მარტივ ინსტრუმენტზე, რომელსაც სომხურად ცირანაპოხი ჰქვია, დანარჩენი სამყაროსათვის კი დუდუკის სახელითაა ცნობილი?

ჩემი ბგერა ისეთია, დუდუკზე ას დამკვრელს რომ მოუსმონო, მერე კი მე, მაინც იმავე წამს გამოიცნობ ჩემს ტემბრს და იტყვი, – ეს ძია ჯივანის ბგერააო. ერთი ნოტიც რომ ავიღო, მაშინაც. ბგერას და ინსტრუმენტის ხმოვანებას, ძალიან დიდ ყურადღებას ვაქცევ. ჩემი დუდუკის ბგერა და მასზე შესრულების ტექნიკა, ჩემი საკუთრებაა, ჩემი სტილია. ყოველთვის ვცდილობდი ხოლმე, რომ დუდუკზე უბრალოდ კი არ დამეკრა, არამედ მ ე მ ღ ე რ ა. მე ეს მოვახერხე და ჩემი ბგერა, ჩემი ტემბრი, ყველასგან განსხვავდება!

რა გზის გავლა უწევს დუდუკზე დამკვრელს იმისთვის, რომ ისე დახვეწოს საუნდი დროის განმავლობაში, როგორც ეს თქვენ მოახერხეთ?

ამის ახსნა რთულია, რადგანაც ეს გრძელი და დამღლელი გზაა. მე ისიც კი არ ვიცი, ვინ ვინ წამოწია წინ, – დუდუკმა ჯივანი თუ ჯივანმა დუდუკი. არ ვიცი, ჩვენ ორიდან უკეთესი რომელია, მე თუ დუდუკი! ერთადერთი, რაც კარგად ვიცი, ისაა, რომ მე მას ძალიან ვუყვარვარ, და ის მე ძალიან მიყვარს! ხუმრობა ხომ არაა, უკვე 65 წელია ვუკრავ როგორც პროფესიონალი, თანაც სხვადასხვა სტილში, ჯაზი იქნება ეს, როკი, ბლუზი, ფოლკი თუ კლასიკური ან აშულების მუსიკა. ის, რაც და ვინც შენ ხარ მხოლოდ შენი საკუთრებაა, მაგრამ საჭიროა, რომ ის რაღაც გამუდმებით ზრდის პროცესში ამყოფო. ვინ წარმოიდგენდა წლების წინ, რომ დუდუკზე როკის დაკვრაა შესაძლებელი? ან სიმფონიური ორკესტრის თანხლებით გამოსვლა? ან ბახის შესრულება? რატომ ვაკეთებ ამას? იმიტომ, რომ მინდა ამ მარტივ ინსტრუმენტს ყველა საიდუმლო დავცინცლო, მერე კი ეს ყველაფერი ახალგაზრდებს გადავცე, რათა ყველაფერი მათ გააგრძელონ. მინდა, რომ ჩემს შემდეგ დუდუკი კი არ დადუმდეს-გაიყინოს, არამედ – განვითარდეს. ამიტომაცაა, ყველას ვეხმარები, ვინც ჩემთან მოდის და დახმარებას მთხოვს. ყველას!

როგორია დუდუკის, როგორც ინსტრუმენტის შესაძლებლობები და შეზღუდვები?

ის მარტივი ინსტრუმენტია, – მისი შესაძლებლობები ერთი ოქტავის ფარგლებშია მოქცეული, და ალბათ ამიტომაცაა მასზე დაკვრა ასე ძნელი. დუდუკს განსაკუთრებული ბგერა აქვს, სრულიად უნიკალური და განუმეორებელი. ერთხელ, იაპონელებმა მთხოვეს ჩამეწერა ჩემი დუდუკის ბგერა სინთეზატორებისათვის საუნდ-ბანკში შესატანად. დავეთანხმე და ჩავწერე, მაგრამ ეს ის არაა, რაც უნდა იყოს. თითქოს ჰგავს, მაგრამ ის მაინც არაა! ყველა დუდუკს თავისი განსაკუთრებული ბგერა აქვს. საერთოდ, ბგერა ინსტრუმენტზეცაა დამოკიდებული და არა მარტო დამკვრელზე თუ სუნთქვის ტექნიკაზე. კარგი ინსტრუმენტი უნდა გქონდეს, კარგად რომ დაუკრა. ახლა სახლში ასამდე დუდუკი მექნება და თითოეული მათგანი გამოცდილი მყავს, ყველაზე დაკრული მაქვს რათა გამერკვია, მათ შორის საუკეთესო რომელია. ინსტრუმენტს თვითონ ვაკეთებ ხოლმე. ჩემს გარდა სხვა ამას ვერც ვერავინ გააკეთებს. უამრავი მასალა გამომიცდია, – მგონი, მსოფლიოში რა ხის სახეობაც არსებობს, ყველა – მაგალითად ხე, რომლისგანაც კლარნეტებს ამზადებენ, ან ხის ფლეიტებს, მაგრამ გარგარს ვერაფერი შეედრება! უცხოეთში არის სპეციალიზებული მუსიკალური მაღაზიები, სადაც ყველა სახის ჩასაბერი ინსტრუმენტებისათვის იყიდება ხის მასალები. როდესაც ხეს ავირჩევ, ინსტრუმენტის მკეთებელ ოსტატებთან მივდივარ და ვუხსნი, თუ სად და როგორ განალაგონ ხვრელები, რამდენი უნდა იყოს მათი დიამეტრი, და ისინი დაზგაზე მიჩარხავენ ინსტრუმენტს ჩემი მონაცემების მიხედვით. მერე კი, დანარჩენს უკვე თვითონ ვასრულებ ხოლმე, რადგანაც მხოლოდ მე ვიცი, რომელი ნოტი როგორ უნდა ჟღერდეს. ვზივარ და ნელ-ნელა ვხვეწ ინსტრუმენტს. დუდუკი ის ინსტრუმენტი არაა, ვინმე მისი მეშვეობით რომ მოატყუო. უბრალოდ, აიღო და მსმენელს გაეთამაშო, თითქოს ვირტუოზი იყო; ეს ყველაფერი ფოკუსია! საცირკო ნომერი! მე შემიძლია მხოლოდ ერთი ნოტის მეშვეობით დავუკრა რამე და ადამიანები მონუსხულივით შემომაჩერდებიან, მაგრამ, როგორც გითხარით, ეს ყალბი ვირტუოზობა იქნება. აი, აქ, გულში თუ არაფერი გაქვს, დუდუკზე ვერასდროს დაუკრავ, რადგანაც ჯიგარზე ვირტუოზი არაფერია! დუდუკში თუ ჯიგარი არ ჩადე, ის დუდუკი ადამიანებს ვერ გამოელაპარაკება! ის ნაზი ინსტრუმენტია და სხვანაირ მიდგომასაც ითხოვს. როდესაც ერთხელ ცნობილი ამერიკელი მწერლისათვის, უილიამ საროიანისათვის დავუკარი, მან მითხრა, – „ჯივან, შენ კი არ უკრავ, შენ ლოცულობ!“ და ეს, ალბათ, იმიტომ, რომ როდესაც ვუკრავ, მთელი სხეულით ვგრძნობ ინსტრუმენტს, გულით, ტანით, ფეხებით, თმის ღეროებით... ჰო, როდესაც ვუკრავ, ვერაფერს ვხედავ! დავხუჭავ თვალებს და არავის ვუყურებ. ამ დროს არც არავის დანახვა მინდა! არ მაინტერესებს რას აკეთებენ ისინი, როგორ სხედან დარბაზში, როგორ მისმენენ. დაკვრისას დარბაზში მსხდომ მსმენელს რომ ვუყურო, ეს მუსიკა კი არა, საცირკო ნომერი იქნება! ასე მე არ შემიძლია, ამიტომაც დავხუჭავ თვალებს და მხოლოდ მუსიკაზე ვფიქრობ, მხოლოდ მუსიკას მივყვები!

რახან უილიამ საროიანი ახსენეთ, ჩვენ ვიცით, რომ ის იქ იყო, როდესაც ერთი ამერიკელი პირდაპირ სუფრაზე გარდაიცვალა თქვენი დუდუკის ბგერის თანხლებით...

ჰო, ეს 1971 წელს მოხდა. იმ დროს ამერიკაში ვიყავით გასტროლებზე. კონცერ-

ტის დროს ერთი ხანში შესული კაცი მოვიდა ჩემთან და მთხოვა, – ჯივან, ძალიან გთხოვ, „დლე-იამანი," ძველი სიმღერაა ასეთი, დაუკარიო. – ხათრი ვერ გავუტეხე და დავუკარი! კონცერტის შემდეგ იქაურმა სომხებმა სუფრა გაგვიშალეს, ცოტა ღვინო და საჭმელი მოიტანეს. უილიამ سارويانიც იქ იყო და ის კაციც. მდიდარი კაცი იყო სხვათა შორის, ძალიან მდიდარი. ცოტა ხნის შემდეგ წამოდგა ის კაცი და სომხურად დაიწყო იმის მოყოლა, თუ როგორ გამოექცა ბავშვობაში თურქებს, როგორ მოუკლეს დედ-მამა და ასე შემდეგ, მერე კი მომიბრუნდა და კიდევ ერთხელ მთხოვა, ჯივან-ჯან, ერთი რამეც დაუკარიო! დავუკარი და სწორედ იმ დროს, მე რომ ვუკრავდი, აიღო და მოკვდა! პირდაპირ იქვე, სუფრაზე! ძალიან ცუდად გავხდი! ცრემლიც კი წამსკდა! უილიამ سارويانمა კი მერე მითხრა, – ჯივან, ისე კი, რა დაგიმალო და მეც მინდა შენი დუდუკის ბგერის თანხლებით რომ მოვკვდეო!

ჰო, ლამაზ მუსიკას ისეთი მსმენელი ჭირდება, მუსიკას ლამაზად რომ მოუსმენს, არა?

ის კაცი, ეტყობა, ზედმეტად ლამაზად მისმენდა! ისე კი, კარგი მსმენელი მუსიკოსის ძალისხმევას მეტ ელფერს სძენს. მსმენელზე ბევრია დამოკიდებული! დაკვრისას, თუ დარბაზში ხმაურია, არაფერი გამომდის. ამ დროს ოთხმოც პროცენტს ვკარგავ, დარჩენილ ოც პროცენტს კი, სასწრაფოდ, მოვალეობის მოხდის მიზნით გავცემ და კონცერტს ვამთავრებ. ეს მუსიკა არაა! მუსიკას სმენა სჭირდება. თუმცა, მთავარი მაინც ისაა, რომ თვით შენ უნდა უკრავდე ისე, ხალხმა რომ მოგისმინოს! ეს მთავარია! ისე უნდა უკრავდე, ადამიანს, ვინც მუსიკის სმენის განწყობაზე არაა, მუსიკის მეშვეობითვე აიძულო, მოგისმინოს. აი, ესაა მუსიკის ძალა! ისე კი, მუსიკის მოსმენა ყველაზე ლამაზად მაინც იაპონელებმა იციან! ერთხელ, ტოკიოში ვუკრავდი ბრაიან ინოსთან ერთად. პირველ მოქმედებაში ის და მისი ბენდი უკრავდა, მეორეში მე. დარბაზში სკამები არ იყო, მაყურებელი ხალიჩაზე იჯდა. ისხდნენ ადამიანები თავჩაქინდრულნი, და მისმენდნენ. კონცერტის შემდეგ მსმენელი მუსიკოსს ტაშს უკრავს, ასე არაა? იმ საღამოს კი სცენა ისე დავტოვე, კაციშვილს ტაში არ შემოუკრავს! ვიფიქრე, ნუთუ ჩემი მუსიკა ვერ გაიგეს მეთქი? ორმოცდახუთი წუთის განმავლობაში ვუკრავდი, მერე მოვრჩი და ისე დავტოვე სცენა, დარბაზიდან ჩამიჩუმიც არ გამიგონია. მერე კი, იცით, რა მოხდა? ორი თუ სამი წუთის შემდეგ გაისმა პირველი ტაშის შემოკვრის ხმა, ჯერ ერთი, მერე მეორე, მერე მესამე, მერე კი კინაღამ დაინგრა იქაურობა! სცენიდან აღარ მიშვებდნენ! რახან იაპონია ვახსენე, კიდევ ერთ ამბავს მოგიყვებით მსმენელზე: ერთხელ ტოკიოში უნდა დამეკრა. კონცერტის წინ საშინელი წვიმა წამოვიდა; ასეთი თქეში მას შემდეგ, მგონი, არც კი მინახავს! საზაფხულო დარბაზი იყო, სახურავის გარეშე. სცენიდან ცარიელი თეთრი სკამები ჩანდა. დარჩა თხუთმეტი წუთი კონცერტის დაწყებამდე; დარბაზში კაციშვილი არაა. ვზივართ საგრიმიოროში და ჩაის მივირთმევთ. ამ დროს დარბაზის ადმინისტრატორი მოდის ჩემთან და მეუბნება, – „ბატონო გასპარიან, თხუთმეტ წუთში ვიწყებთ." გავიფიქრე, გაგიჟდა თუ რაა, რა კონცერტზე ლაპარაკობს-მეთქი ეს კაცი? ქვეყანა ინგრევა, მართალია, სცენა გადახურულია, მაგრამ 3 000 კაციანი დარბაზი ხომ ღიაა? „ყველა ბილეთი გაყიდულია, ბატონო გასპარიან! – გამიღიმა მან. – კონცერტი აუცილებლად შედგება!" კარგი. ჩავიცვი, მოვემზადე, გავდივარ სცენაზე და რას ვხედავ! დარბაზი გადაჭედილია, ადამიანები, გაშლილი, თეთრი ქოლგებით ხელში, თეთრ საწვიმრებში, დგანან და მელოდებიან! ორი საათის განმავლობაში, იმ თქეშში, ფეხმოუცვლელად იდგნენ და მისმენდნენ. ერთ კაცსაც კი არ დაუტოვებია დარბაზი! სომხეთშიც არ მომხდარა ასეთი რამ!

მე ისიც კი არ ვიცი, ვინ ვინ წამოწია წინ, – დუდუკმა ჯივანი თუ ჯივანმა დუდუკი. არ ვიცი, ჩვენ ორიდან უკეთესი რომელია, მე თუ დუდუკი!

რამდენად მნიშვნელოვანია თქვენთვის იმპროვიზაციის იდეა და ზოგადად, მუსიკოსის უნარი, სპონტანურად მოახდინოს რეაგირება სხვადასხვა აკუსტიკურ სიტუაციებზე?

ყველაზე მნიშვნელოვანი! მინდა გითხრათ, რომ მე ვუკრავ კლარნეტზე, საქსოფონზე, სალამურზე, ზურნაზე; ერთხელ ჩემთვის უცნობი ჩასაბერი ინსტრუმენტიც კი მქონდა, ხელში რომ ავიღე, იმავე წამს დავუკარი. პირველივე ნოტით ავუღე ალღო. იმპროვიზირების უნარი ჩემში თავიდანვე იყო ჩადებული, ჯერ კიდევ ბავშვობაში, ქუჩაში რომ ვუკრავდი ლუკმა-პურისთვის. პროფესიონალი რომ გავხდი, 1949 წელს, იმ დროისათვის უკვე თათულ ალთუნიანის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლში სოლისტი ვიყავი. იმ ანსამბლში სოლისტობა კი ადვილი საქმე არ იყო, მაგრამ უკვე იქ ვუკრავდი ისე, როგორც ამას გუმანი მკარნახობდა. კომპოზიტორი მუსიკას წერდა ანსამბლისათვის, მე კი ისე ვასრულებდი, საკუთარ ნაწარმოებს ვეღარ ცნობდა. კომპოზიტორები მეჩხუბებოდნენ, ამბობდნენ, ასე არ დაგვიწერიაო, მე კი ვპასუხობდი: ჰო, გეთანხმებით, თქვენ ასე არ დაგიწერიათ, მაგრამ მე ასე ვგრძნობ თქვენს მუსიკას, თუმცა კი შემიძლია ისე დავუკრა, როგორც თქვენ ისურვებთ! ალთუნიანი კი ეუბნებოდა, – „ჯივანი მართალია! მისი ინტერპრეტაცია უკეთესია!" მას უხაროდა ასე რომ ვიქცეოდი, რადგანაც გრძნობდა, რომ იმპროვიზაციის მეშვეობით მუსიკა უფრო ლამაზი ხდებოდა. ასეთია მუსიკისადმი ჩემებური მიდგომაა. ეს ჩემი სულია! იმროვიზაცია ისეთი რამაა, ერთხელ რასაც დაუკრავ, იმას მეორედ ვეღარ გაიმეორებ. „თბილისო" რომ ასჯერ დამაკვრევინო, ასჯერვე სხვადასხვანაირად დავუკრავ და არასდროს გავმეორდები. ყოველთვის ასე ვუკრავდი! რატომ მიწოდებენ მსოფლიო მუსიკის ლეგენდას? ვინ შემარქვა ასე? ადვილი ხომ არაა ასეთი პატივისცემის დამსახურება? ასე კი, მსოფლიოს საუკეთესო მუსიკოსებმა შემარქვეს, – პიტერ გაბრიელმა, ბრაიან მეიმ, ბრაიან ინომ, ანდრეს ვოლენვაიდერმა, ალან პარსონმა, ყველა გაიძახის „ლეგენდაო!" ეს კი იმიტომ, რომ ჩემთვის არავითარ სირთულეს არ წარმოადგენს ნებისმიერ სტილში დაკვრა. შემიძლია, ჩემთვის სრულიად უცნობ ორკესტრთან ერთად გამოვიდე სცენაზე და რეპეტიციის, საერთოდ ყოველგვარი მომზადების გარეშე დავუკრა. ერთხელ, ამერიკულ ფილმზე, „რუსულ სახლზე"

რომ ვმუშაობდი, ჯერი გოლდსმითის, ფილმის მუსიკის ავტორის და სახელგანთქმული კინო-კომპოზიტორის მოსვლამდე, პარტიტურები დაგვირიგეს. ჩავხედე და რას ვხედავ, სულ ორი ტაქტია, სადაც დუდუკს შეუძლია დაკვრა, მერე კი უბრალოდ ნოტები აღარ მყოფნიდა. დუდუკი საქსოფონი ხომ არაა მეორე და მესამე პოზიცია ჰქონდეს?! მას ხომ მხოლოდ ერთი ოქტავა აქვს?! რა ვქნა, როგორ მოვიქცე? მოდის გოლდსმითი. აიქნია ჯოხი და დავიწყეთ. მე ვუკრავ იმ ორ ტაქტს, მერე კი იმპროვიზაციას ვიწყებ. სათვალის ზემოდან მიყურებს, მაგრამ მაინც აგრძელებს. რომ დავასრულეთ მთელი ორკესტრი ჩემკენ მობრუნდა და ყველამ ტაში დამიკრა. ჰოდა, ვეუბნები ერთ ჩემ იქაურ მეგობარ კოლიას, „კოლია, ეხლა მაინც აუხსენი ამ ხალხს, რომ დუდუკს არა აქვს იმის საშუალება მეორე პოზიციაში და მესამე ოქტავაში რომ დავუკრა!“ კოლიამ ყველაფერი ეს გოლდსმითს მოუყვა. რომ შევეკითხე, რა გიპასუხა მეთქი, მომიგო: „ის ამბობს, ეს კაცი ისე უკრავს, თითქოს ამ მუსიკის ავტორი მე კი არა ის არისო!“ შევეკითხე, – ასევე გავაგრძელო მეთქი? – ის კი მპასუხობს, – ო’ქეი, ო’ქეი, ყველაფერი გავიგე, ასევე გააგრძელეო! იგივე მოხდა „გლადიატორის“ მუსიკის ჩაწერის დროს. ჰანს ზიმერმა თავის სტუდიაში პირველად რომ დამპატიჟა, ჯერ, ფილმისთვის დაწერილი თავისი მუსიკა მომასმენინა, მერე კი გადაღებული მასალ მიჩვენა და მითხრა, აი, ამა და ამ ეპიზოდებში მჭირდება შენი მუსიკაო. შევეკითხე, შეიძლება კიდევ ერთხელ მოვუსმინო შენ დაწერილ მუსიკას-მეთქი? რა თქმა უნდაო! სამჯერ მოვუსმინე იმ თემას და ვუთხარი: „შეიძლება ჩავწეროთ?“ „რა, შეგიძლია უკვე ჩაწერო?“ – მკითხა გაკვირვებულმა. ჰო, ჩავწერ-მეთქი! სასწრაფოდ მოვარდნენ ინჟინრები, ტექნიკოსები, ყველა, მე კი ამოვიღე ჩემი დუდუკი უბის ჯიბიდან და დაკვრა დავიწყე. პირდაღებული მიყურებდა. დაკვრას რომ მოვრჩი, მითხრა, ჯივან, ახლა მინდა ის დაუკრა, რასაც და როგორც შენ ისურვებო. დავუკარი და ამის შემდეგ, მან თავისი დაწერილი 45 წუთიანი მონაკვეთი თავიდან გადაწერა, მხოლოდ იმიტომ, რომ ჩემი დაკრულიასათვის მოერგო!

ძია ჯივან, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, „კარგი კაცის“ იდეა ყველაზე მნიშვნელოვანი რამაა თქვენთვის. თქვენ ხშირად იმეორებთ ხოლმე, რომ თუ კარგი ადამიანი არ ხარ, დუდუკზე ვერასდროს დაუკრავ, თუმცა არიან კარგი მუსიკოსებიც (ჩვენ ასეთებს ვიცნობთ), ვიზეც ნამდვილად ვერ იტყვი, კარგი ადამიანიაო...

ერთ რამეს გეტყვით, – ნერვიული, არასუფთა სულის ადამიანები და მუსიკალური სპეკულაციით დაკავებული უტიფრები მუსიკოსები არ უნდა იყვნენ! არ უნდა არსებობდნენ ასეთი არტისტები! როგორ უნდა დადგეს კაცისგან, ვინც წამდაუწუმ შეურაცხყოფას აყენებს სხვას, კარგი მომღერალი? ასეთ კაცს იმის სითამამეც არ ყოფნის, სხვისი შენიშვნა რომ მიიღოს და ეს იმიტომ, რომ ის ნაღდი მუსიკოსი არაა! მკითხავთ, თვითონ თუ მიგიღია შენიშვნაო? დიახ, ჩემთვისაც მოუციათ შენიშვნა, არა ერთხელ და ორჯერ, და მიმიღია ეს შენიშვნა! კაცს რომ რამე არ გამოსდის სხვას კი არ უნდა გადააბრალოს, მხოლოდ საკუთარ თავს უნდა მოსთხოვოს, საკუთარ შეცდომებზე ჩაფიქრდეს. მუსიკას რომ ვუსმენ, სახეზეც კი არ მჭირდება მუსიკოსისათვის შეხედვა, იმან დაუკრას, მე კი მოვუსმენ და გეტყვით, როგორი ადამიანია!

და ბოლოს, გვითხარით რამე ისეთი თქვენზე, რასაც ყველა ინტერვიუში არ ამბობთ ხოლმე?

არის პერიოდები, როდესაც დაკვრა არ მინდება ხოლმე! არა, მე კი არა, გულს არ უნდა დაკვრა. ამ დროს ინსტრუმენტს არ ვეკარები. გადის დრო და ვფიქრობ, – ჯივან, დაუკარი, მეცადინეობა გჭირდება! თითქოს მინდა კიდეც დაკვრა, მაგრამ ვერ ვუკრავ, ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს დუდუკებმა გამაბრაზეს. არ ვიცი, მე გავაბრაზე ისინი, თუ მათ მე! ასეც ხდება, ზოგჯერ ერთმანეთს ვერ ველაპარაკებით! თითქოს ჩემი სული, გული და ჯიგარი ვიღაცამ მომპარა! ამ დროს დუდუკიც წყვეტს ჩემთან ლაპარაკს! ინსტრუმენტსაც შეუძლია ტირილი, თუ მას არ ეხები და სიყვარულს არ უმჟღავნებ! მასაც წყინს ხოლმე! მერე კი, დაკვრას რომ იწყებ, და ისევ ეფერები, სასიამოვნო ტემბრით, სასიამოვნო მუსიკით, ისევ უყვარდები და ისევ იწყებს შენთან საუბარს. ინსტრუმენტი თუ არ მელაპარაკება, ის ჩემი არაა და მე მასზე ვერ დავუკრავ! ისიც უნდა დამეხმაროს ხოლმე! ჩვენ ერთმანეთს უნდა დავეხმაროთ!

ფოტო: REUTERS

გასასვლელი არ არის

გაუძლებენ თუ არა ნიკოლა სარკოზი და საფრანგეთი ევროპის კრიზისს?

ავტორი ფილიპ გურევიჩი
ინგლისურიდან თარგმნა თამარ სუხიშვილმა

პირველად დაიბეჭდა ჟურნალ „ნიუიორკერში“, 12 დეკემბერი, 2011

საფრანგეთის პრეზიდენტს – ნიკოლა სარკოზის ღვინო არ უყვარს; არ უყვარს არც ყველი და არც ტრიუფელი. უყვარს დიეტური კოკა-კოლა, შაქარყინული და დიდი ჰავანური სიგარები. ასეთი უგემოვნო გემოვნება საფრანგეთში უჩვეულოდ ითვლება, მაგრამ სარკოზი ამის გამო ბოდიშს არ იხდის. ის საკუთარი გულახდილობით ამაყობს. მერე რა? – ასეთია მისი რეაქცია, როცა უხერხულ სიტუაციაში ჩავარდება. არ მალავს, რომ უყვარს ფული. რატომაც არა? ფული ვის არ უყვარს? საფრანგეთში ადამიანს უფრო კეთილშობილური მიზნები უნდა ამოძრავებდეს, თუმცა წაიკითხეთ ბალზაკი, სტენდალი, ფლობერი, ზოლა, პრუსტი... ფრანგული ლიტერატურა და ბურჟუაზიული საზოგადოების მლიქვნელობა გადაგვეშლება თვალწინ: საიდუმლოებები და ტყუილები, მახინჯი სურვილები და სიმწარე, ფულისადმი ლტოლვა... და მაინც, დღეს ფულზე საჯაროდ ლაპარაკს, თანაც ისეთი სიყვარულით, როგორითაც ამას სარკოზი აკეთებს, საფრანგეთში ვულგარულად მიიჩნევენ, ცოტა ამაზრზენადაც კი. „ეს ტაბუა“, – მითხრა ფილოსოფოსმა პასკალ ბრუკნერმა. სარკოზის ეს სასაცილოდაც არ ჰყოფნის.

საუბრის თვითკმაყოფილი მანერისა და კიდევ იმის გამო, რომ ის ჯორჯ ბუშს აღმერთებდა, მას სარკო ამერიკელი შეარქვეს. „მათთვის ეს შეურაცხყოფაა, ჩემთვის კი – კომპლიმენტი“, – ასეთი იყო სარკოზის კომენტარი. სარკოზიმ საკუთარი კანდიდატურა ასეთნაირად შესთავაზა ამომრჩეველს: ახალი მოდელი საფრანგეთის მოქალაქისა, რომელსაც მომავლის შენება შეუძლია და რომლისთვისაც მომავლის კეთილდღეობა წარსულის იდეალიზაციაზე უფრო მეტია. ფრანგებისთვის ეს უჩვეულოც იყო, თანაც ამაღელვებელი და მას შანსი მისცეს.

სარკოზი პირად ცხოვრებაშიც და პოლიტიკაშიც ძალიან თავისებურია. კარიკატურისტებს მისი კარიკატურის შესაქმნელად დიდი თავის მტვრევა არ სჭირდებათ. ბევრი რამის დამატებაც კი არ არის საჭირო. სარკოზი არ ცდილობს, თავი წარმოაჩინოს ესთეტიკური და ინტელექტუალური სრულყოფილე-

გალერეა

სოფო კირთაძე
„რეცეპტი“, ლინოგრავიურა, 2009 წელი

ბის განსახიერებად, რაც საფრანგეთის პრეზიდენტებისთვის დამახასიათებელი სტილია. პრეზიდენტად არჩევის შემდეგ, 2007 წლის მაისში, მას „მაღალი საზოგადოების პრეზიდენტი“ შეარქვეს, რისი მიზეზიც სარკოზის ტაბლოიდური ცხოვრების სტილი გახდა: სენსაციური განქორწინება და არანაკლებ სენსაციური მეორე ქორწინება, მუდმივი ლტოლვა მდიდართა საზოგადოებისაკენ... მისი პოპულარობა თანდათანობით ეცემოდა.

„იტალიური კომედიის გმირი“, – ასე ახასიათებს სარკოზის ბრუკნერი, – „მისთვის არაფერი წმინდა არ არსებობს“: რამდენიმე წლის წინ, პაპთან აუდიენციის დროს, სარკოზი მობილურ ტელეფონს უჩხიკინებდა... პრეზიდენტის ამგვარი მასხარა გამოხდომები დიდ უნდობლობას იწვევს, მის სიმართლეში ეჭვი ეპარებათ და ფიქრობენ, რომ საკმარისად ფრანგი არ არის თავისი საქმისთვის.

თუმცა თავად საქმეც არაა ისეთი ფრანგული, როგორიც ეს ადრე იყო. საფრანგეთი უკვე აღარ არის მთლიანად სუვერენული ეროვნული სახელმწიფო. ის ერთ-ერთი ქვეყანაა იმ 27 ქვეყანას შორის, რომლებიც ევროკავშირს ეკუთვნის. ქაღალდზე საფრანგეთს ძლიერი საპრეზიდენტო ინსტიტუტი აქვს, პრეზიდენტი რესპუბლიკის მეფეა, რომელსაც იმიტომ კი არ ირჩევენ, რომ ქვეყანა მართოს, არამედ იმიტომ, რომ ქვეყანაში იმეფოს. მაგრამ ევროკავშირისთვის ეს მიუღებელია. „პრეზიდენტს თითქმის არანაირი ძალაუფლება აღარა აქვს“, – მითხრა მწერალმა და ეკონომისტმა ჟაკ ატალიმ. რასაკვირველია, გაზვიადებულია, თუმცა დღეს ფრანგები მართლაც ასე მიიჩნევენ, ევროპულმა ინტეგრაციამ მათ თავგზა აუბნია.

საფრანგეთი აღარ აკონტროლებს საკუთარ ვალუტას, საკუთარ საზღვრებს; თავდაცვის საკითხებშიც გარკვეული შეზღუდვები აქვს. „ყველაფერი მულტფილმივითაა. მულტფილმის პერსონაჟმა არ იცის, რომ უფსკრულს უკვე აუარა გვერდი და მაინც გარბის. აი, ეს არის პრეზიდენტი“, – ამბობს ატალი. ის საფრანგეთს „არავის ქვეყანას“ უწოდებს. „უფრო მეტიც, – დასძენს ატალი, – ჩვენ ეს შეგნებულად გავაკეთეთ, ჩვენი სურვილით, ფედერალური ევროპული სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში“. დღესდღეობით კი ევროპის წარმატება სრულიად გაურკვეველია. „საფრანგეთს ეს აწუხებს. ჩვენ დავთმეთ სახელმწიფო, როგორც იდენტურობის დნმ, ახალ იდენტობას კი არანაირი სარგებელი არ მოუტანია“.

ატალი სოციალისტების მრჩეველთა ჯგუფის თავმჯდომარეა. გასაკვირი იყო, რომ ამასვე ამბობდა მარინ ლე პენი, ულტრანაციონალისტური რადიკალური მემარჯვენე პარტიის – ნაციონალური ფრონტის ლიდერიც: „ევროკავშირმა გაანადგურა ყველაფერი ის, რაც ქმნიდა საფრანგეთის დიდებას: დინამიკურობა, ნოვაცია, გახსნილობა“. ლე პენმა საფრანგეთი „დანგრეულად“ გამოაცხადა: „1,6 ტრილიონი ვალი, 140 მილიარდის წლიური დეფიციტი, ოთხი მილიონი უმუშევარი. ექსპორტი აღარაა. საფრანგეთმა საკუთარი ხმა დაკარგა“ (პრობლემა, რა თქმა უნდა, გაზვიადებულია: საფრანგეთი ეკონომიკური განვითარებით მსოფლიოში მეხუთე ადგილზეა). ატალიმ და ლე პენმა საფრანგეთს ერთი და იგივე დიაგნოზი დაუსვეს: ევროპამ დაღუპა საფრანგეთი, თუმცა დასკვნები განსხვავებული იყო: ლე პენს საფრანგეთის ევროზონიდან გამოყვანა სურდა, სანამ ჯერ კიდევ არ იყო გვიან; ატალის კი სჯეროდა, რომ საფრანგეთის გადარჩენის ერთადერთი გზა სრული პოლიტიკური და ეკონომიკური ფედერაციის შექმნა იყო.

„სერიოზულად გეკითხებით, ამაზე უარესი საფრანგეთს რაღა უნდა დაემართოს?“ – კითხულობს ლე პენი. ატალის სჯერა, რომ უფრო უარესიც შესაძლებელია. ის შეგვახსენებს, თუ რა უძღოდა წინ ევროკავშირის შექმნას: პირველი მსოფლიო ომი, ნაციზმი, კომუნიზმი, მეორე მსოფლიო ომი და ა.შ. „ქვეყანა მარტოდმარტო ვერ იარსებებს. ჩვენ ევროპა უნდა ვიყოთ. ეს ასეა“. 90-იანი წლების დასაწყისში ატალი მაასტრიხტის ტრაქტატის შექმნაში მონაწილეობდა: „არ ჩაგვიდია არცერთი მუხლი, რაც უკანდახევის საშუალებას მოგვცემდა. გასასვლელი არ არის. ეს შეგნებულად გავაკეთეთ“.

ლე პენს ეს სიგიჟედ მიაჩნდა, ამბო-

ბდა: „ევროს ბედი კრახით დასრულდება და თუ ეს ასე მოხდა, პოლიტიკური ევროპა ველარ გადარჩებაო“. მისი აზრით, ყველაზე გონივრული იქნებოდა, საფრანგეთს დროზე დაეძვრინა თავი, სანამ ევროპის სიმშვიდე შეირყეოდა. გასულ ზაფხულამდე, სანამ ევროპა ეკონომიკური კრიზისის წინაშე არ დადგა, საფრანგეთის პოლიტიკურ ისტებლიშმენტს ლე პენის მოსაზრებები სასაცილოდ არ ჰყოფნიდა. მაშინაც კი, როცა ყველა საინფორმაციო სააგენტო გადმოსცემდა, რომ საბერძნეთის მიერ ფინანსური ვალდებულებების შეუსრულებლობას შესაძლოა ევროზონის ნგრევა გამოეწვია, წამყვანი პოლიტიკოსები კვლავ უარყოფდნენ ამ ვერსიას. „ჩვენ განწირული ვართ წარმატებისთვის, რადგან არ შეგვიძლია ევროზე უარის თქმა“, – განაცხადა ჟან-დევიდ ლევიტმა, სარკოზის მთავარმა მრჩეველმა საგარეო პოლიტიკის საკითხებში. შემოდგომაზე, როდესაც კრიზისი გაღრმავდა, სარკოზიმ რიტორიკული ტონი კიდევ უფრო გაამძაფრა: „ჩვენი ბედი 10 დღეში გაირკვევა. მათ, ვინც ევროს განადგურებას შეეცდება, დაეკისრება პასუხისმგებლობა ჩვენს კონტინენტზე კონფლიქტის გაღვივებაში“.

იმ დროისათვის ნათელი იყო, რომ ევროს ხსნა მხოლოდ გერმანიას შეეძლო. თავად საფრანგეთი ყელამდე ვალებში იყო ჩაფლული. სარკოზის საუბარი ომსა და მშვიდობაზე იყო ერთგვარი კომპენსაცია იმისა, რომ მას რეალური ქმედება არ შეეძლო; სარკოზი ანგელა მერკელს მიანიშნებდა, რომ გერმანიას სხვა ალტერნატივა არ ჰქონდა. ამავდროულად, სარკოზი საკუთარ საარჩევნო კამპანიას უყრიდა საძირკველს. როცა სარკოზი ხელისუფლებაში მოვიდა, საფრანგეთის ეკონომიკა ყვაოდა. მისი კამპანიის დევიზი ასეთი იყო: „ერთად ყველაფერი შესაძლებელია“. გასაკვირი არაა, რომ ფრანგები იმედგაცრუებული დარჩნენ. ახლა, უკიდურესი მომჭირნეობის პოლიტიკის ხანაში, თითქმის ყველაფერი შეუძლებელია. ასეთი დევიზი კი დევიზად არ გამოდგება...

ის ტანდაბალია, მაგრამ მაღალფარდოვანი, ფიქრობს, რომ საფრანგეთი უნდა მართავდეს ევროპას, ხოლო ევროპა უნდა მართავდეს მსოფლიოს; ის მრისხანე და დაუნდობელია, როდესაც საქმე ძალაუფლებას ეხება, ავტოკრატი, რომელიც თავს გმირად წარმოაჩენს, ექსჰიბიციონისტი და ოპორტუნისტი, ამავე დროს, საქმიანი, ძლიერი და მოხერხებული, ის კონსერვატორადაც გვაჩვენებს თავს და რეფორმატორადაც, მარტო იდეოლოგია კი არა, ინსტინქტები და იმპულსებიც ამოძრავებს, ეს არის ადამიანი, რომელსაც სწამდა თავისი ბედისწერა: ის უნდა შესულიყო ისტორიაში და შეეცვალა ისტორიის კურსი. ამ და ბევრ სხვა მიზეზთა გამო სარკოზის ხშირად ნაპოლეონს ადარებენ. თუმცა ეს კომპლიმენტი არ არის.

თავდაპირველად, ის, მეხუთე რესპუბლიკის დაარსების შემდეგ, ყველაზე პოპულარული ფრანგი პრეზიდენტი იყო, ახლა ყველაზე არაპოპულარულია.

სარკოზი პირად ცხოვრებაშიც და პოლიტიკაშიც ძალიან თავისებურია. კარიკატურისტებს მისი კარიკატურის შესაქმნელად დიდი თავის მტვრევა არ სჭირდებათ.

ეკონომიკური კრიზისის გამო ყველა ლიდერს რთულად აქვს საქმე. მაგრამ სარკოზის პოპულარობა ბევრად უფრო ადრე დაეცა, ვიდრე ეკონომიკა. რატომ შეაქციეს ზურგი ფრანგებმა სარკოზის? ამის მიზეზი უფრო მისი სტილი იყო, ვიდრე მისი პოლიტიკა. ანტიპათია პერსონალურია.

„უპირველეს ყოვლისა, სარკოზის იმიტომ ვერ იტანენ, რომ მან ხალხს გიჟური იმედები ჩაუსახა, ქვეყნის განახლებისა და გარდაქმნის იმედები. და ახლა ეს ილუზიები იმსხვრევა“, – ამბობს სეიდ მაჰრეინი, ჟურნალ „ლე პუენის“ პოლიტიკური მიმომხილველი.

„მე მიყვარს სარკოზი, – მითხრა მისი გუნდის ერთ-ერთმა წევრმა, – მაგრამ ძალიან იმედგაცრუებული ვარ მისი პრეზიდენტობით. ხალხს ბევრ რამეს დაჰპირდა და მერე თავისი პროგრამა აღარ შეასრულა. სინამდვილეში, ალბათ, არც აპირებდა ამის გაკეთებას. საბოლოოდ, გამოვიდა, რომ ის ძველი სკოლის პოლიტიკოსია, კამპანიების, ომისა და ძალაუფლების კაცი... მას არაფერი გაუკეთებია – საერთოდ არაფერი“.

პასკალ ბრუკნერიც ბევრს აკრიტიკებს სარკოზის, მაგრამ, ამავდროულად, იმასაც აღნიშნავს, რომ „ფრანგების დიდი ნაწილი საერთოდ ყველაფრით უკმაყოფილოა. მათთვის სარკოზის გარეგნობაც კი მიუღებელია. სადღაც ანტისემიტიზმიც გამოსჭვივის, თუმცა ამას, რაღა თქმა უნდა, ხმამაღლა არავინ ამბობს. კოლექტიური ცნობიერებისათვის სარკოზი უცხოელია, ის აქაური არ არის“.

სარკოზის მამა ლტოლვილი იყო, უტიტულო უნგრელი არისტოკრატი, პარიზში რომ ჩავიდა, ჯიბეში ერთი გროშიც არ ედო, ღამეს მეტროს სადგურში ათენებდა. მერე მუშაობა დაიწყო, ქალაქგარეთ, ნოი-სურ-სენში დასახლდა. ბოლოს საკუთარი სარეკლამო სააგენტოც გახსნა. საფრანგეთის მოქალაქეობა მხოლოდ 1975 წელს მიიღო.

გასულ წელს 82 წლის ასაკში პოლ სარკოზიმ მემუარები გამოაქვეყნა. აღტაცებით ჰყვება საკუთარ სექსუალურ თავგადასავლებს: როგორ გააბა რომანი 11 წლის ასაკში თავის ძიძასთან, როგორ დასდევდა ქალებს და შანსს არ უშვებდა ხელიდან... ამის მიუხედავად, ის საშინლად განრისხდა ქორწინების ღამეს, როდესაც მისი საცოლე ანდრე მალა ქალწული არ აღმოჩნდა. ანდრე ბერძენი ებრაელისა და ფრანგი კათოლიკეს შვილი იყო. პოლსა და ანდრეს სამი ვაჟი შეეძინათ, 1959 წელს, როცა შუათანა ნიკოლა 4 წლის იყო, ისინი გაიყარნენ.

„ასეთი რომ ვარ, ბავშვობაში მიღებული ტრავმის შედეგია“, – იგონებს სარკოზი. განიცდიდა, რომ დაბალი ტანის იყო და უცხო სახელი ჰქონდა, იმასაც განიცდიდა, რომ მშობლები დაცილდნენ... მამას იშვიათად ნახულობდა, დედას მატერიალურად უჭირდა. „მამა ჩვენზე არ ზრუნავდა. სწავლის ფული

რომ შემეგროვებინა, იძულებული ვიყავი მემუშავა“, – გაუმხილა ჟურნალისტებს. თუმცა მშობლებმა ეს ბრალდებები უარყვეს.

ერთხელ, როცა პატარა იყო, მამას უთხრა: რომ გავიზრდები, პრეზიდენტი უნდა გამოვიდეო. მამას უთქვამს: მაშინ ამერიკაში უნდა წახვიდე, რადგან ასეთი სახელით – სარკოზი, ამას აქ ვერასოდეს მოახერხებო. „უნდა დამემტკიცებინა, რომ ეს ასე არ იყო“, – ამბობს სარკოზი.

ფრანგი დრამატურგი იასმინა რეზა საარჩევნო კამპანიის დროს, მთელი ერთი წლის განმავლობაში, დაჰყვებოდა სარკოზის. მასზე წიგნიც დაწერა: ახირებული კაცი, რომელიც გამუდმებით ცდილობს ხალხის მასების სიყვარულის მოპოვებას და ყველაფერს აკეთებს „უზენაესი ძალაუფლების“ ხელში ჩასაგდებად. თავის საკამპანიო წიგნში – „მტკიცებულება“ – სარკოზი წერს: „არ ვაპირებ წინ წამოვწიო რამე ახალი თეორია ან ახალი ინტელექტუალური ჩარჩო. უბრალოდ, მინდა გიამბოთ ამბავი ცხოვრებისა, რომელშიც დიდ როლს თამაშობს გადამწყვეტი მოქმედებისა და შედეგების მიღების სურვილი“.

22 წლის ასაკში სარკოზიმ, ნეოგოლისტური პარტიის ახალგაზრდა აქტივისტმა, ნუის მუნიციპალიტეტის საბჭოში ადგილი მოიპოვა. ხუთი წლის შემდეგ, როდესაც ნუის მერი გარდაიცვალა, დე გოლის პარტიის თავმჯდომარემ მერის არჩევნებისთვის მზადება დაიწყო და საარჩევნო კამპანიის ხელმძღვანელობა სარკოზის სთხოვა. ამ პერიოდში კანდიდატი ავად გახდა, სარკოზიმ მისი საარჩევნო კამპანია მიატოვა და მერის პოსტზე საკუთარი კანდიდატურა წამოაყენა. არჩევნებში გაიმარჯვა. 19 წლის განმავლობაში ნუის მერი იყო. ეს იყო ბრწყინვალე პლატფორმა პოლიტიკური კავშირების დასამყარებლად.

ამ დროისათვის პარიზის მერი ჟაკ შირაქი ოპოზიციის დეფაქტო ლიდერი იყო. სარკოზის თხოვნით, შირაქი მისი მენტორი გახდა, ისინი ძალიან დაახლოვდნენ და ბოლოს შირაქმა სარკოზი თავის პოლიტიკურ მემკვიდრედაც აღიარა. ამ პერიოდში სარკოზი ბიზნეს-იურიდიული საქმიანობითაც იყო დაკავებული, ამ საქმიანობის წყალობით დაუახლოვდა გავლენიან პირებს და კარგი შემოსავალიც ჰქონდა. მის კლიენტებს შორის იყო სილვიო ბერლუსკონიც, თუმცა სარკოზი ჯერ მაინც ჩრდილში რჩებოდა.

საზოგადოებამ სარკოზი 1993 წელს გაიცნო, მაშინ, როდესაც ნუის საბავშვო ბაღში ვიღაც კაცი შეიჭრა, რომელიც თავს „ადამიან-ბომბს“ უწოდებდა, ბავშვები მძევლად აიყვანა და აფეთქებით იმუქრებოდა. სარკოზიმ პოლიციის კორდონი გაარღვია, შენობაში შეიჭრა და ცოტა ხანში რამდენიმე ბავშვი გამოიყვანა, მერე ისევ უკან შებრუნდა დანარჩენების გადასარჩენად. 46 საათის განმავლობაში რვაჯერ შევარდა საბავშვო ბაღის შენობაში, სანამ პოლიციელებმა ტერორისტი არ მოკლეს.

პრეზიდენტობის პირველივე დღიდანვე სარკოზი ცდილობს, მჭიდრო პარტნიორული ურთიერთობა დაამყაროს გერმანიის კანცლერთან, როგორც ევროპული ეკონომიკური პოლიტიკის თანამმართველმა.

„მერკოზი“ – ასე უწოდებენ გაზეთები მათ თანამშრომლობას.

საპრეზიდენტო კამპანიის დროს ფილოსოფოს მიშელ ონფრესთან ინტერვიუში სარკოზიმ განაცხადა, რომ ზოგჯერ კათოლიკურ მესას ესწრება, რათა შვება იგრძნოს. „რელიგია ირაციონალური კონცეფციაა“, – სიტყვა შეაგება ონფრემ. სარკოზი არ შეეპუა: „და თქვენი ფილოსოფიური ხედვა როგორიღაა? carpe diem, რა დროს ხვალინდელზე ფიქრია?“ „მე მჯერა, რომ ადამიანის შეცნობა შეიძლება“, – უპასუხა ონფრემ. „ეს აბსურდია, ამის შეცნობა შეუძლებელია, – არ დაუთმო სარკოზიმ და საბავშვო ბაღის ისტორია გაიხსენა. რვაჯერ შემეშინდა და ყოველ ჯერზე ეს შიში სხვადასხვაგვარი იყო. არავინ იცნობს ბოლომდე საკუთარ თავს“.

ამასობაში სარკოზი ბიუჯეტის მინისტრი გახდა, პრემიერ-მინისტრ ბალადურის დროს. მის წინსვლას შირაქმა შეუწყო ხელი. მაგრამ 1995 წელს, როდესაც შირაქი პრეზიდენტის პოსტზე იყრიდა კენჭს, სარკოზიმ ბალადურს დაუჭირა მხარი. შირაქმა მას მოღალატე უწოდა.

როცა შირაქი მეორე ვადით იყრიდა კენჭს, მან სარკოზი შინაგან საქმეთა მინისტრად მიიწვია, თუმცა ძველი ღალატი არ დავიწყებია და ბოლომდე მაინც არ ენდობოდა. ნერვიული, იმპულსური და ამბიციებით სავსე, – ასე ახასიათებს შირაქი სარკოზის, თუმცა იმასაც აღნიშნავს, რომ ის მისი თაობის ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი პოლიტიკოსია.

ადამიანი, რომელმაც ერის მღელვარების დაცხრომა საკუთარ თავზე აიღო – ასეთნაირად წარმოაჩენდა თავის თავს სარკოზი საპრეზიდენტო კამპანიის დროს. „საფრანგეთი ნდობის კრიზისშია, – წერს „მტკიცებულებაში“, – უიმედობა ჩვენი საზოგადოების ძირითადი მახასიათებელია; არადა, პოლიტიკის ძირითადი მიზანი იმედის გაღვივებაა. მე არ ვიზიარებ გარდუვალობის ცნებას, ვერ ვიტან ამ სიტყვას, მის არსსა და მის თანმდევ მოვლენებს“.

სარკოზის მუშაობა ნამდვილ შვებას ჰგვრიდა. ყველა ხედავდა, რომ შრომისმოყვარე პოლიტიკოსი იყო და ბევრს მუშაობდა. ამბობდა, ფრანგები უფრო მეტს რომ მუშაობდნენ, საფრანგეთი უფრო ძლიერი ქვეყანა იქნებოდაო. ეს იყო განსხვავება მასსა და სოციალისტებს შორის. „დროთა განმავლობაში ჩვენ რესპუბლიკას ბუნებრივი სახე დავუკარგეთ, შევამკეთ ის ეგალიტარიზმით, სოციალური თანასწორობითა და ქველმოქმედებით... საფრანგეთმა ზურგი უნდა შეაქციოს მიზერაბილიზმს. მე მინდა ვიყო პრეზიდენტი, რომელიც იღვწის კაპიტალიზმის სრულყოფისათვის“.

იასმინა რეზა აგვიწერს, თუ როგორ ემზადებიან სარკოზი და მისი რეფე-

რენტი ანრი გუენო გამოსვლისათვის: „საფრანგეთი მხოლოდ ნოსტალგიად არ უნდა იქცეს. წარსულის განდიდებამ მომავალი არ უნდა დაჩრდილოს... კარგი, კარგი, კარგი! ჩემთვის ორი რამაა მთავარი: ერთი, რომ ეს არ არის საფრანგეთის დასასრული და მეორე, რომ საჭიროა მუშაობა“.

პრეზიდენტობის სამზადისის დროს სარკოზი თავის თავს უწოდებდა ლიდერს, რომელიც გარდაქმნებისკენ მიისწრაფვოდა. ის ჰპირდებოდა ამომრჩევლებს, რომ გარდატეხას მოახდენდა; თავს მხსნელად წარმოაჩენდა, იხსენებდა საფრანგეთის გმირებს, რომლებმაც „მე, შერეული სისხლის ფრანგს, საფრანგეთის სიყვარული მასწავლეს. მე ვამაყობ, რომ ფრანგი ვარ და ეს მათი დამსახურებაა. დიდი ხნის განმავლობაში ჩემი გულის სიღრმეში საგანძურივით ვმალავდი ამ გრძნობას, ვფიქრობდი, რომ ძლიერი კაცი საკუთარ ემოციებს უნდა გაუმკლავდეს. მაგრამ მოგვიანებით მივხვდი, რომ ძლიერი ადამიანი თავისი სიმართლით ცხოვრობს. მე შევიცვალე. ძალაუფლებამ შემცვალა და მაგრძნობინა საშინელი მორალური პასუხისმგებლობა პოლიტიკისა. მე არ მაშინებს სიტყვა „მორალი“. და, რა თქმა უნდა, სარკოზიმ ესეც თქვა: „საქმე საფრანგეთს ეხება“.

მიუხედავად იმისა, რომ ხშირად ახსენებდა დე გოლს, სარკოზი არ აგრძელებდა დე გოლის პოლიტიკურ ტრადიციას, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე საგარეო პოლიტიკას ეხებოდა. 60-იან წლებში დე გოლმა საფრანგეთი ნატოდან გამოიყვანა. ასეთი გეგმა ჰქონდა: გლობალურ საკითხებში საფრანგეთი დამოუკიდებელი ძალა უნდა გამხდარიყო და დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის მედიატორის ფუნქცია ეკისრა. ცივი ომის შემდგომ შირაქმა და მისმა საგარეო საქმეთა მინისტრმა დომენიკ დე ვილპენმა დაუმორჩილებლობა გამოუცხადეს ჯორჯ ბუშის პოლიტიკას სადამ ჰუსეინის წინააღმდეგ. სარკოზიმ დე გოლის ხაზიდან გადაუხვია. მართალია, არასოდეს დაუჭერია მხარი ერაყის ომისთვის, მაგრამ მთავრობის ასეთი კამპანია მაინც გააკრიტიკა: „შირაქმა და ვილპენმა ბუშს კუნთები დაანახვეს“, – უთხრა მან ჟურნალისტებს – „საკუთარი თავით კმაყოფილი დარჩნენ, მაგრამ შედეგად რა მიიღეს? – არაფერი, ნული“. „სამაგიეროდ, – ამტკიცებს სარკოზი, – საფრანგეთის შესვლა ნატოში და ამერიკასთან მჭიდრო კავშირი გააძლიერებს საფრანგეთის როლს მსოფლიო არენაზე“.

ამავდროულად სარკოზი აკრიტიკებდა ფრანგი პოლიტიკური ისტებლიშმენტის კორუფციას. ის „უნაკლო დემოკრატიის“ მომხრე იყო. საარჩევნო კამპანიის პირველ რაუნდში მის მიზანს ნაციონალური ფრონტის დამარცხება წარმოადგენდა. მუდმივად საუბრობდა კანონსა და წესრიგზე, არალეგალი იმიგრანტების დეპორტაციაზე... აცხადებდა, რომ რესპუბლიკაში არ იყო ადგილი იმ ლეგალური იმიგრანტებისათვის, რომლებსაც არ სურდათ ფრანგული იდენტობის მიღება: „ვერ დავუშვებ, რომ საფრანგეთში იცხოვრონ იმ ადამიანებმა, რომლებსაც არ უყვართ საფრანგეთი და არ სცემენ პატივს ამ ქვეყანას“. „ჩემი საფრანგეთი იმ ფრანგების საფრანგეთია, რომლებიც ხმას აძლევენ რადიკალებს არა იმიტომ, რომ მათი იდეების სჯერათ, არამედ იმიტომ, რომ არა აქვთ იმედი, რომ მათ ვინმე მოუსმენს. მე მინდა, რომ ამ ადამიანებს ხელი გავუწოდო“.

პირველ რაუნდში მან დაამარცხა ნაციონალური ფრონტი. მეორე რაუნდში კი მემარცხენეებს მიმართა: „ჩემი საფრანგეთი არის მუშების საფრანგეთი, რომლებსაც სჯეროდათ ჟორესისა და ბლუმის მემარცხენე იდეებისა“. სარკოზიმ მაგალითად მოიყვანა ფრანგული სოციალიზმის პატრიარქები, რომელთათვისაც „უცხო იყო მემარცხენე იდეები მოქმედების გარეშე“.

უკანასკნელი საკამპანიო გამოსვლის შემდეგ, როდესაც გაზეთებში დაიწერა, რომ სარკოზის გამარჯვება გარდუვალი იყო, სარკოზიმ მოულოდნელად განაცხადა: „მე მექნება სასახლე პარიზში, კოშკი რამბუიეში, და ციხესიმაგრე ბრეგანსონში. ასე იქნება“, – იგონებს რეზა. რას აკეთებს? ზეიმობს? აკვირვებს ხალხს? თუ აბნევს? რეზა კომენტარს არ აკეთებს. ადრე ის ამბობდა, რომ თუ გაიმარჯვებდა, ცოტა ხნით მონასტერში განმარტოვდებოდა: „ვიფიქრებ, დავისვენებ, განვმარტოვდები“, – გაენდო რეზას, – უნდა მოვემზადო ამ პოსტის დასაკავებლად, სიმშვიდე და სიწყნარე მჭირდება“. ამის ნაცვლად მან არჩევნების ღამით დიდი დროსტარება მოაწყო მდიდარ მხარდამჭერებთან ერთად ფუკეში, მდიდრულ ბარში, შანზ-ელიზეზე. მეორე დილას კი ოჯახთან ერთად მალტაზე გაემგზავრა თავისი მეგობრის – მილიარდერი ვინსენტ ბოლორის იახტით.

ფუკე და იახტა... დღეს, როცა ფრანგები ამბობენ, რომ სარკოზის პატივს არ სცემენ, სწორედ ეს მაგალითები მოჰყავთ: იხსენებენ, თუ როგორ წარდგა ახლად არჩეული პრეზიდენტი საზოგადოების წინაშე, სიმდიდრის დემონსტრირებითა და ექსკლუზიურობით. მისი მომხრეები ამტკიცებენ, რომ სარკოზის არაპოლიტიკური საქციელი მისი ოჯახური პრობლემებით იყო განპირობებული. ასე იმიტომ მოიქცა, რომ თავისი ქორწინება გადაერჩინა. 2005 წელს მის ცოლს – ცეცილიას პროდიუსერი რიჩარდ ატიასი შეუყვარდა და სარკოზი მიატოვა. „ჩემი თავი პირველი ლედის ამპლუაში ვერ წარმომიდგენია. ეს მოსაწყენია“, – განაცხადა მან. „სარკოზი ეხვეწებოდა დაბრუნდიო. მას ცოლის შენარჩუნება უნდოდა. ფეხებზე ეკიდა ფუკეც, ბოლორის იახტაც, ეს ყველაფერი ცეცილიას გულის მოსაგებად გააკეთა“, – მითხრა მისმა ერთმა ახლო მრჩეველმა. „ეს მისი ადამიანურობაა, მისი სისუსტეა. და ამით რაღაცით მოგწონს კიდეც. ის ჩვეულებრივი ადამიანია“, – ამბობს მისი ძველი გუნდის წევრი.

მაგრამ პრეზიდენტი სხვებს არ ჰგავს. როცა საქმე მისი ქორწინების მოგვარებას ეხება, თავის ცოლს რომანტიკული რეპერტუარის მიღმა მღელვარე თავგადასავალსაც სთავაზობს. 2007 წლის ივლისში, სარკოზის პრეზიდენტად არჩევიდან 2 თვის შემდეგ, ფრანგულმა პრესამ გვაცნობა, რომ ცეცილია ლიბიაში გაემგზავრა, როგორც თავისი ქმრის წარმომადგენელი. ცეცილია იქ კადაფისთან შესახვედრად ჩავიდა, ბენღაზის ექვსეულის გათავისუფლების საკითხზე.

მძევლების გათავისუფლება ახალი პრეზიდენტის ტრიუმფი იყო. სარკოზის პოპულარობამ პიკს მიაღწია. ამის მერე ცეცილიამ სარკოზი მიატოვა და

გალერეა

თამუნა თათელაძე
„კომპოზიცია 3“, ოფორტია - ამობეჭდილი, 2010 წელს

რიჩარდ ატიასს დაუბრუნდა. ელისეს სასახლემ განქორწინების შესახებ ოქტომბრის შუა რიცხვებში განაცხადა. მალე სარკოზიმ კარლა ბრუნისთან გააბა რომანი. სარკოზი-ბრუნის რომანტიკული ინტრიგის გაღვივებას კადაფის ჩამოსვლა დაემთხვა. დაიწყო დიდი დებატები იმის შესახებ, დანებდებოდა თუ არა სარკოზი ტერორისტს. „კადაფის უნდა ესმოდეს, რომ ჩვენი ქვეყანა არ არის ფეხსაწმენდი ტილო, რომელზეც შეუძლია თავისი დანაშაულის სისხლი შეიწმინდოს“, – განაცხადა რამა იეიდმა, სახელმწიფო მდივანმა ადამიანის უფლებების საკითხებში. კადაფიმ ელისეს მახლობლად დიდი ბედუინის კარავი დასცა და დიპლომატიურ პროტოკოლს დასცინა. მან სარკოზიც გააქილიკა, უთხრა, არაფერი გესმის ადამიანის უფლებების შესახებ და ჩვენ ამ საკითხში საფრანგეთისგან ვერაფერს ვისწავლითო.

„კადაფი ათამაშებდა სარკოზის“, – მითხრა ერთ-ერთმა თანამდებობის პირმა, – „ეს შეურაცხყოფა იყო. აქ პირველად გამოჩნდა სარკოზის სისუსტე. და ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა სარკოზიმ ქულები დაკარგა. რაღაცა უნდა ეღონა. ჰოდა, ადგა და პირველად გამოვიდა საჯაროდ ბრუნისთან ერთად „ევროდისნეიზე“. თუმცა ეს კიდევ უარესი იყო: ცნობილი ფატალური ქალი და ამავე დროს საშინელი იმიჯის მქონე „ევროდისნეი“... ფრანგი ხალხის გონებაში ეს ყველაფერი ერთად დაგროვდა: ფუკე, იახტა, ცეცილიასა და კადაფის ისტორიები. სარკოზის ულმობლად აკრიტიკებდნენ. ეს ვინ ავირჩიეთო? – ამბობდნენ. ორ თვეში სარკოზი და ბრუნი დაქორწინდნენ, მაგრამ საზოგადოების გულგრილობა არ განელებულა. ქორწილიდან რამდენიმე კვირის შემდეგ სარკოზი სოფლის მეურნეობის გამოფენაზე გამოჩნდა. როდესაც ერთმა ფერმერმა პრეზიდენტს ხელი არ ჩამოართვა, სარკოზიმ კბილებში გამოსცრა: Casse toi, pauvre con. ნამდვილად შეუფერებელი გამონათქვამი იყო, დაახლოებით ასე ითარგმნება: „წადი შენი, შე საცოდავო გამოსირებულო!“ სარკოზის ეს უხეშობა დიდი მსჯელობის საგნად იქცა. „იმ დროს ის ძალიან დათრგუნული იყო. ადამიანებთან ურთიერთობის დროს უამრავ შეცდომას უშვებდა. მართალია, ეს ოთხი წლის წინანდელი ამბავია, მაგრამ საოცარია, რომ იმ შეცდომების გამოძახილი დღესაც ჩრდილს აყენებს მის რეპუტაციას“, – ამბობს მისი მრჩეველი.

2010 წლის ივლისში გრენობლში პოლიციამ მოკლა ჩრდილოაფრიკული წარმომავლობის მამაკაცი, რომელსაც კაზინოს გაძარცვაში დასდეს ბრალი. ამ მკვლელობამ ორდღიანი პროტესტი გამოიწვია. იმავე კვირას ცენტრალური საფრანგეთის ერთ-ერთ სოფელში პოლიციამ მოკლა იმიგრანტი მუშა ბოშათა ბანაკიდან, რომელმაც არ გააჩერა მანქანა გზაგასაყარზე, სადაც პასპორტებს ამოწმებდნენ. ამ ინციდენტსაც დიდი გამოსვლები მოჰყვა, დემონსტრაციის მონაწილეებმა პოლიციის სადგური გადაწვეს. სარკოზიმ ასობით მოხეტიალე რუმინელს საფრანგეთის ტერიტორიის დატოვება მოსთხოვა. ამის შემდეგ გრენობლში ჩასულმა სარკოზიმ კიდევ ერთხელ ისაუბრა რუმინელთა გასახლების გეგმაზე და ახალი ომი გამოუცხადა დანაშაულს: „ძალადობის მთავარი მიზეზი შემწყნარებლობაა“, – თქვა მან და დასძინა, რომ თუ უცხოეთში დაბადებული საფრანგეთის მოქალაქე თავს დაესხმოდა საჯარო მოხელეს, მას მოქალაქეობა ჩამოერთმეოდა. „ის ადამიანები, რომლებიც სამართალდამცველებს ესვრიან, არ იმსახურებენ იმას, რომ ფრანგებად იწოდებოდნენ“.

პრეზიდენტის განცხადებას დეპორტირების თაობაზე უარყოფითი რეაქცია მოჰყვა. „ეს იყო ლაქა ჩვენს დროშაზე“, – აღნიშნა დომენიკ დე ვილპენმა.

მართალია, ფრანგები წლების განმავლობაში დიდი ენთუზიაზმით უჭერდნენ მხარს რუმინელების დეპორტაციას, მაგრამ ამ სპექტაკლმა, როდესაც ბოშათა ოჯახები მატარებელში შეყარეს და ქვეყნიდან გაამგზავრეს, მსოფლიო აღშფოთება გამოიწვია.

ფრანგულმა პრესამ გრენობლის გამოსვლასა და რუმინელების წინააღმდეგ კამპანიას ასეთი შეფასება მისცა: ამ განაცხადის მიზანი ნაციონალური ფრონტის შეჩერება იყო, რათა ფრონტს მასობრივი პროტესტი თავისი პოლიტიკური მიზნებისთვის არ გამოეყენებინა. ამ დროს სარკოზის რეიტინგი ეცემოდა და, როგორც პრესაში წერდნენ, მან იგრძნო იმის საჭიროება, რომ საკუთარი ძალა გამოეჩინა. სარკოზის თანაშემწენი ამ მოსაზრებას არ უარყოფენ,

მაგრამ ასევე ამტკიცებენ, რომ ნაციონალური ფრონტის გამოწვევა უფრო დიდ გამოწვევაზე მიანიშნებს: ძნელია შეინარჩუნო დემოკრატია, როდესაც პოლიტიკურად ევროკავშირის მითითებებზე ხარ დამოკიდებული. „ხალხმა უნდა გაიგოს, რატომ ხარჯავს ამდენ ძალისხმევას პრეზიდენტი უსაფრთხოების საკითხების მოგვარებაზე. იმიტომ, რომ ეს ზუსტად ის საკითხია, რომლის გადაწყვეტაც მთლიანად შენს ხელშია. როცა საქმე ქუჩებში ჩადენილ დანაშაულზე მიდგება, ეს უკვე ევროპას აღარ ეხება“, – მითხრა ერთმა მრჩეველმა.

ხავიერ მუსკა, სარკოზის გუნდის უფროსი, იმიგრაციის საკითხზე ასეთ კომენტარს აკეთებს: „ჩვენი სახელმწიფოს კეთილდღეობა უკიდურესად მიმზიდველია იმ ადამიანებისთვის, რომლებიც ჩვენი საზღვრის სიახლოვეს ცხოვრობენ. ეს ჩვენი ერთ-ერთი პრობლემაა“. იმიგრანტები, რომლებსაც მოქალაქეობა არა აქვთ, ბევრი იმ შეღავათით სარგებლობენ, რითიც საფრანგეთის მოქალაქეები. ზოგჯერ ის იმიგრანტები, რომლებიც სახელმწიფოს ხარჯზე ცხოვრობენ, ღარიბ მუშებზე მეტ დახმარებას იღებენ. ფრანგები სიხარულით შეეგებნენ სარკოზის დაპირებას, რომ ამ უსამართლობას ბოლო მოეღებოდა, მაგრამ როდესაც გაირკვა, რომ ერთისთვის დახმარების შეწყვეტა ამ დახმარების საყოველთაო შეწყვეტას ნიშნავდა, ეს უკვე აღარ მოეწონათ. „ძალიან სწრაფად ვერ წავალთ წინ. ფრანგები ამ რეფორმისთვის მზად არ არიან. არ მინდა რამე გავაფუჭო; მინდა, რომ კიდევ ამირჩიონ“, – ამბობდა ხოლმე სარკოზი. როდესაც მასობრივი წინააღმდეგობის საფრთხის წინაშე დადგა, სარკოზიმ უკან დაიხია და ხალხის გულის მოსაგებად სხვადასხვა კამპანია წამოიწყო, რაც კანონაღსრულების, უკანონო იმიგრაციისა და ქონების მითვისების საკითხების მოგვარებას გულისხმობდა. რა განსხვავებაა სარკოზისა და ნაციონალური ფრონტის პოლიტიკას შორის უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით? – ვკითხე მუსკას. „ორივე არარეალისტურია“, – მიპასუხა.

სარკოზის პოლიტიკით რუმინელების მიმართ უცხოელთა მოძულე ლე პენიც კი არ აღფრთოვანებულა, ის ლე პენი, რომელმაც პარიზის ქუჩებში მომლოცველი მუსულმანების მცირე ჯგუფები ჰიტლერის საოკუპაციო ჯარებს შეადარა. როდესაც ლე პენს გრენობლის გამოსვლასთან დაკავშირებით კომენტარი ვთხოვე, მან თითები პირთან მიიტანა, ვითომდა სტვირზე უკრავსო და წაიმღერა: „პი-პო-პი-პო. პრობლემა ისაა, რომ სარკოზი ბევრს ლაპარაკობს, მისი სიტყვები გრძელია, მაგრამ ხელი აქვს სუსტი“.

ერთხელ, როცა პატარა იყო, მამას უთხრა: რომ გავიზრდები, პრეზიდენტი უნდა გამოვიდეო. მამას უთქვამს: მაშინ ამერიკაში უნდა წახვიდე, რადგან ასეთი სახელით – სარკოზი, ამას აქ ვერასოდეს მოახერხებო.

„უნდა დამემტკიცებინა, რომ ეს ასე არ იყო“, – ამბობს სარკოზი.

როგორც ამბობენ, მომავალ არჩევნებში ლე პენი სარკოზის დიდ პრობლემებს შეუქმნის. რაც უფრო მეტს აკრიტიკებს მას სარკოზი, მით უფრო მართალი ჩანს ლე პენი და მან ეს კარგად იცის. ლე პენი ამბობს, რომ სარკოზისა და სოციალისტებს შორის მხოლოდ რამდენიმე უმნიშვნელო განსხვავებაა, ევროპის ერთგულებით გამორჩეულნი უცხონი არიან ფრანგი ხალხისთვის. „ჩვენეული ხედვა საფრანგეთის ადგილზე მსოფლიოში დე გოლის ხედვას ემთხვევა“, – მითხრა ლე პენმა – „სიმართლე ისაა, რომ დღეს საფრანგეთში არ არსებობს მემარცხენე ფრაქცია“. პოლიტიკური საზღვარი მისთვის გლობალისტებსა და ნაციონალისტებს შორის გადის, ასეთი დაყოფა სარკოზის მყარ პოზიციას არ უტოვებს...

სარკოზიმ ტუჩები დამანჭა და გაიღიმა. წარბები ასწია, შუბლი შეჭმუხნა, მერე თვალები მოჭუტა და შუბლიც გახსნა. ნიკაპი ასწია, ჯერ მარცხნივ, გაიხედა, მერე მარჯვნივ. ცქმუტავდა. სექტემბრის დილა იყო, გაეროს გენერალურ ასამბლეაზე ჩასული სარკოზი ნიუ-იორკის პორტში თავისუფლების ქანდაკებასთან იდგა. გუნდი „მარსელიოზას“ მღეროდა, ცოტა ხანში ნისლი გაიფანტა და განათდა, მაგრამ სარკოზის სახე ისევ მოქუფრული იყო. ამაღელვებელი სიტყვით გამოვიდა, გაიხსენა 11 სექტემბრის ტრაგედია, მეორე მსოფლიო ომის დროს საფრანგეთში დაღუპული ამერიკელი ჯარისკაცები... სარკოზის სიამოვნებს ასეთი გამოსვლები. ასეთ დროს საკუთარ თავს საერთაშორისო სახელმწიფო მოღვაწედ წარმოაჩენს, თუმცა ფრანგ პოლიტიკურ მიმომხილველებს ამჯერად მისი სიტყვისთვის ყურადღება არ მიუქცევიათ; მათი გონება სხვა ახალი ამბისკენ იყო მიმართული: პარიზში პოლიციამ სარკოზისთან დაახლოებული რამდენიმე პირი დააკავა, რომლებსაც 90-იანი წლების ცნობილ სკანდალში ედებოდათ ბრალი. ეს სკანდალი პაკისტანთან წყალქვეშა ხომალდებით ვაჭრობასა და კორუფციას უკავშირდებოდა. ამ დროს სარკოზის ბიუჯეტის მინისტრის თანამდებობა ეკავა.

ეს მოხდა გაეროში სიტყვით გამოსვლამდე ერთი ღამით ადრე. „ღმერთო ჩემო, – თქვა „ლე მონდის“ წარმომადგენელმა, – ნუთუ ეს სარკოზისაც შეეხება? არ ვიცი. უნდა დაველოდოთ და ვნახოთ“.

ეს წელი საფრანგეთში სკანდალების წელი იყო: პაკისტანის წყალქვეშა ხომალდის ამბავი, დომენიკ სტროს-კანის სექსუალური თავგადასავალი, 2002 წლის ყარაჩის ტერაქტი, რომელიც პაკისტანის ზემოხსენებულ კორუფციულ გარიგებას უკავშირდებოდა და სარკოზის გარკვეულწილად ჩირქს

ცხებდა, თუმცა არანაირი სამხილი არ არსებობს, რაც სარკოზის ამ საქმესთან კავშირზე მიანიშნებს. თავად სარკოზი ყარაჩის ბრალდებას ზღაპრებს უწოდებს. ჯერჯერობით მას იმუნიტეტი აქვს, თუმცა როცა ლისაბონში ნატოს სამიტზე ჟურნალისტებმა ამასთან დაკავშირებით შეკითხვა დაუსვეს, სარკოზი ძალიან გაბრაზდა: „ეი, შენ!“ – დაუყვირა ერთ-ერთს, – „როგორც ჩანს, პედოფილი ხარ. მტკიცებულება არა მაქვს, მაგრამ ვიცი, რომ ასეა. არ გეტყვი, საიდან. აბა, თავი იმართლე! პედოფილი ხარ და მორჩა..“. დიდხანს იჩხუბა, ასე ათ წუთს, მერე გაიარ-გამოიარა და ჟურნალისტებს დაემშვიდობა: „აბა, ხვალამდე, ჩემო პედოფილო მეგობრებო!“

როდესაც იმედგაცრუებული ამომრჩევლები დაიჩივლებენ, სარკოზიმ გვიღალატაო, მწერალი და აქტივისტი ბერნარ ანრი ლევიც პასუხს არ დაახანებს: ხომ გეუბნებოდითო. ლევიც ნოიში გაიზარდა. ის ექვსი წლით უფროსია სარკოზიზე. როცა ერთმანეთს შეხვდნენ, ლევი უკვე ჟურნალისტი იყო, კერპად ქცეული ინტელექტუალური „პლეიბოი“. ლევი იხსენებს: „როდესაც სარკოზი მერი გახდა, ის ახალგაზრდა იყო, მგზნებარე, იმედით სავსე და ძალიან მომხიბვლელი“. ტემპერამენტით საგრძნობლად განსხვავდებოდნენ: ლევი, რომელსაც დიდძალი ქონება ერგო მემკვიდრეობით, მემარცხენე იდეებით იყო ანთებული, თვითნაბადი და უკიდურესად მიზანდასახული სარკოზი მემარჯვენე იყო. მაგრამ ისინი დამეგობრდნენ, ერთად კარგ დროს ატარებდნენ და გარკვეულ სერიოზულ საკითხებზე ერთნაირი შეხედულებებიც კი ჰქონდათ. სრებრენიკას სისხლისღვრის შემდეგ ორივემ აღშფოთება გამოთქვა ბოსნიაში საფრანგეთის უმოქმედობის გამო; 1994 წელს ორივეს სჯეროდა, რომ საფრანგეთის ინტერვენცია რუანდის გენოციდის საფუძველზე უაზრობა იყო...

სარკოზის პრეზიდენტად არჩევიდან ნახევარი წლის შემდეგ ლევიმ წიგნი გამოსცა, რომელშიც თავისი ძველი მეგობარი ასეთნაირად დაახასიათა: „უკიდურესი ოპორტუნისტი და ცინიკურად ინდიფერენტული პიროვნება“. მან „პარიზში კადაფის გროტესკული მიღების ეპიზოდი“ გაიხსენა, პრეზიდენტს „უორჰოლის პერსონაჟი“ უწოდა და დასძინა, რომ „ახლა სარკოზის პიროვნება მხოლოდ ფოლკლორისტებს ან პოლიტიკით დაინტერესებულ სტუდენტებსღა თუ დაინტერესებს“.

უცნაური იყო, რომ წლის დასაწყისში, ლიბიაში საერთაშორისო სამხედრო ინტერვენციის პერიოდში, ლევი გვერდში ედგა სარკოზის. საფრანგეთის მთავრობამ ამ ომში საფრანგეთის ჩარევა ჰუმანურ ქმედებად განიხილა, იმ ადამიანთა ერთგულებად და დახმარებად, რომლებიც მმართველთა მიერ არიან შევიწროებულნი. ლევიც ამ აზრს იზიარებს. მაგრამ ის ადამიანები, ვინც იცნობდნენ სარკოზის, პრეზიდენტის ინტერესებს პიროვნულ და საშინაო დონეზე განიხილავდნენ: ომმა ის გამოაცოცხლა; მას უყვარდა ქმედება, უყვარდა გადაწყვეტილებების მიღება; სიამოვნებას ჰგვრიდა ის ფაქტი, რომ ამ ომმა მის პოლიტიკურ აღზევებას შეუწყო ხელი, საერთაშორისო დიპლომატიურ არენაზეც და ისტორიულ ჭრილშიც.

მაგრამ კადაფის რეჟიმის დამხობას სარკოზის რეიტინგზე არ უმოქმედია. სარკოზი პირველი სახელმწიფოს მეთაური იყო ნაპოლეონ I-ის შემდეგ, რომელსაც შეეძლო განეცხადებინა: მე ომი მოვიგე. მაგრამ სარკოზის ეს არ უთქვამს. ის უფრო დიდი ბრძოლის შუაგულში იმყოფებოდა: ყველაზე გადამწყვეტი რაუნდი ევროზონის კრიზისის გადაჭრა იყო.

„ჩვენი ქვეყანა და მთელი ჩვენი კონტინენტი დათრგუნულია, სრულიად დეპრესიულია“, – ამბობს მეთიუ პიგასი, სოციალისტური პარტიის ქომაგი, საინვესტიციო ბანკის მთავარი აღმასრულებელი და მედიამაგნატი. დეპრესიაში ის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას გულისხმობს, რომელიც დიდ გავლენას ახდენს ევროპის ქვეყნების უმეტესობაზე. ხუთი წელია ეკონომიკა ჩიხშია, არც მოსახლეობის მატება შეინიშნება, არც წარმოებაშია წინსვლა... ეკონომიკურ დაქვეითებას თან სდევს სოციალური დაძაბულობა და კიდევ ის, რაც ჩემთვის რაღაც ძალიან ახალია – პოლიტიკური არასტაბილურობა“.

„შეხედეთ ევროპას, – ამბობს პიგასი, – ბელგიას ბოლო 19 თვეა მთავრობა არ ჰყავს; არადა, ბელგია ევროკავშირის შტაბია, ეს ხომ თავზარდამცემია?! ლონდონში კოალიციაა. ირლანდია? აქაც იგივე... მგონი, ჩვენ გზაჯვარედინზე ვართ და ეს ყველამ იცის, მაგრამ არავის უნდა რეალობას თვალი გაუსწოროს“. პიგასის აზრით, „ერთადერთი გზა ევროპისკენ სწრაფვაა, თანაც რაც შეიძლება სწრაფად... უნდა შეიქმნას ერთიანი საბიუჯეტო და ეკონომიკური პოლიტიკა. ერთადერთი გზა სრული კრახის თავიდან ასაცილებლად ვალის გადანაწილებაა“.

ეს დიდწილად სარკოზის პოზიციაცაა. მაგრამ ეს არ ყოფილა მერკელის პოზიცია. პრეზიდენტობის პირველივე დღიდანვე სარკოზი ცდილობს, მჭიდრო პარტნიორული ურთიერთობა დაამყაროს გერმანიის კანცლერთან, როგორც ევროპული ეკონომიკური პოლიტიკის თანამმართველმა. „მერკოზი“ – ასე უწოდებენ გაზეთები მათ თანამშრომლობას.

მაგრამ ეკონომიკურმა კრიზისმა ეროვნულ ინტერესებსა და საერთო ევროპულ საქმეს შორის ბზარი გააჩინა. ამ შემოდგომაზე ევროპული პრესა უკვე საუბრობდა „მერკოზის“ დაშლის ალბათობაზე...

ევროზონის სხვა ლიდერების მსგავსად, მერკელიც ითვალისწინებდა თავისი ამომრჩევლის ინტერესებს, არ უნდოდა ევროს გადასარჩენად ისეთი ნაბიჯი გადაედგა, რაც გერმანიას მძიმე ტვირთად დააწვებოდა. ერთხელ ხმამაღლა ისიც კი განაცხადა, რატომ უნდა დარჩეს ამ სავალუტო კავშირში გერმანიაო. და, აი, აქ ჩაერია საქმეში სარკოზი. მან ეკონომიკური კრიზისი ისე განიხილა, როგორც ომისა და მშვიდობის საკითხი. თქვა, რომ ევროპას ათი დღის ვადა ჰქონდა. ამ ათ დღეში ან წააგებდა, ან იზეიმებდა. ცხრა დღის შემდეგ, 27 ოქტომბერს, ბრიუსელში გამართულ შეხვედრაზე დაიდო გარიგება საბერძნეთის გადასარჩენად. რამდენიმე კვირის შემდეგ კი უკვე აღინიშნა, რომ ევროზონა ასეთი სანდო არასოდეს ყოფილა.

სარკოზი ბრიუსელიდან ტრიუმფით დაბრუნდა და ფრთხილად დადგმული სატელევიზიო ინტერვიუ შემოგვთავა-

ზა. რვა თვის განმავლობაში ეს მისი პირველი საჯარო გამოსვლა იყო. სოციოლოგიურ გამოკითხვებში ეს გამოსვლა დადებითად აისახა. სარკოზიმ განმარტა, რომ ძალიან დაკავებული იყო გადაწყვეტილებების მიღების პროცესით და ამის გამო ვერ მოიცალა მედიასთან სალაპარაკოდ. პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ „შეცდომა“ იყო ევროზონაში საბერძნეთის მიღება და ისაუბრა იმ სიძნელეებზე, რაც ევროკრიზისმა მოუტანა საფრანგეთს. ამავდროულად, მან დიდი დრო დაუთმო სოციალისტების კრიტიკას. „ლე მონდის“ შეფასებით, სარკოზიმ კიდევ ერთხელ აუტსაიდერად წარმოაჩინა საკუთარი თავი.

პოლიტიკა კომპრომისების განხილვაა და ეს სულაც არ არის მიმზიდველი საქმე. მაგრამ ფრანგ პოლიტიკოსებს სჩვევიათ ილაპარაკონ კრიზისის, ულტიმატუმებისა და საბედისწერო ბინარული არჩევანის ენაზე. მუსიკალური ფონი ყოველთვის „მარსელიოზაა“. თუმცა ახლა, როდესაც გასული ნახევარი საუკუნის ყველაზე მკაცრ ეგზისტენციალურ კრიზისს ეხება საქმე, პოლიტიკური დებატები შიშნარევმა სიფრთხილემ მოიცვა. სარკოზის მხოლოდ იმის გაკეთება შეუძლია, რომ მერკელს გული გაუწყალოს. გასულ კვირას მან პირობა დადო, რომ გერმანიასთან ერთად იმუშავებდა ახალი ევროპული წესრიგის დასამყარებლად და ევროს დაიცავდა. სარკოზიმ ხოტბა შეასხა გლობალიზაციას. „ევროპა უკვე აღარ არის არჩევანი“, – თქვა მან, – „ეს აუცილებლობაა. მაგრამ კრიზისმა გამოამჟღავნა თავისი სისუსტეები და წინააღმდეგობები. ჩვენ ხელახლა უნდა გავიაზროთ ევროპა. ევროპა ხელახლა უნდა დაფუძნდეს. თუ ის საკმარისად სწრაფად არ შეიცვალა, ისტორია ევროპის გარეშე დაიწერება“. თუმცა სწრაფი გზა არ არსებობს. ევროკავშირის 27-ვე ქვეყანა თანახმა უნდა იყოს რეფორმებზე. მხოლოდ ლე პენი გვთავაზობს დაუყოვნებელ ქმედებას – ევროზონიდან გამოსვლას. თუმცა გამოკითხვებში მისი რეიტინგი უკვე დაეცა, სარკოზის რეიტინგმა კი წამოიწია.

ალენ მინკი, სარკოზის არაოფიციალური მრჩეველი, ამბობს: „ოთხი წელია თითქოს ერთი მსახიობის თეატრში ვართ: ხალხს ყელში ამოუვიდა სარკოზი. ახლა კი ორი თეატრი გვაქვს. ექვსი თვის მერე ვნახავთ, თუ როგორ დაიღლება ხალხი სოციალისტური პარტიის შიდა კინკლაობებით. სარკოზის საწინააღმდეგო განწყობა ოპოზიციისთვის ზურგის ქარია. წინასწარი გამოკითხვები ოლანდის სასარგებლოდ მეტყველებს. მაგრამ სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელობაში ერთიანობა არ არის. ამიტომ თუ სარკოზი ვერ მოიგებს, სოციალისტებმა შეიძლება მაინც წააგონ“.

თავდაპირველად, ის, მეხუთე რესპუბლიკის დაარსების შემდეგ, ყველაზე პოპულარული ფრანგი პრეზიდენტი იყო, ახლა ყველაზე არაპოპულარულია. ეკონომიკური კრიზისის გამო ყველა ლიდერს რთულად აქვს საქმე. მაგრამ სარკოზის პოპულარობა ბევრად უფრო ადრე დაეცა, ვიდრე ეკონომიკა.

ფრანსუა ოლანდი საზოგადოებაში მოწონებით სარგებლობს, კარგი იუმორის გრძნობა აქვს, არ უყვარს მდიდრები და ამას ხშირად იმეორებს. მას ბატონ ნორმალურს ეძახიან, რადგანაც ის გვპირდება, რომ მის დროს „ნორმალური პრეზიდენტობა იქნება“.

როდესაც „ლე პუენის“ ჟურნალისტმა ჰკითხა სოციალისტური პარტიის სპიკერს, არის თუ არა ევროპის კრიზისი სარკოზის საუკეთესო შანსიო? მან ასეთი პასუხი გასცა: „სარკოზი თაღლითობის განსახიერებაა და ამ თაღლითობას ის მთავრობის მეთოდად მიიჩნევს. ის არის პრეზიდენტი, რომელიც ყველას თავგზას უბნევს. მისგან განსხვავებით, ოლანდის შეხედულებები, მისი კურსი პატიოსანია“. წინასწარი გამოკითხვა გვიჩვენებს, რომ სარკოზის გამოცდილებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ. მისი რეიტინგი უფრო მაღალია, რადგან მას იმ სახელმწიფო მოღვაწედ მიიჩნევენ, რომელსაც შეუძლია თავი გაართვას კრიზისს. ალენ მინკმა შენიშნა: როდესაც ოლანდი ცდილობდა თავისი თავი „ნორმალური კანდიდატის“ იარლიყით გაეყიდა, სარკოზიმ მაშინვე ამოიცნო მეტოქის შეცდომა და ეს მის საწინააღმდეგოდ მოატრიალა: „ეს კაცი ფიქრობს, რომ პრეზიდენტობა ნორმალური სამუშაოა“.

დომენიკ დე ვილპენი სარკოზის ქონდრისკაცს ეძახის. უფრო ლირიკულად თავის შეხედულებებს ასე გამოთქვამს: „სარკოზიზმი სიურეალიზმია. ეს ყველაფერი მომაჯადოებელია. ესაა უნარი, რომ თქვა ყველაფერი და ამ ყველაფერს შეეწინააღმდეგო კიდეც“. „სარკოზი რომ შეიცვალოს, ეს ყველაფერი მოგვარდება. ის უფრო მეტად უნდა ჩაუღრმავდეს საკუთარ თავს, მას შინაგანი სამყარო აკლია, უფრო მეტი კონცენტრირებაა საჭირო და უფრო მეტი საიდუმლოება“, – ამბობს ვილპენი.

სარკოზი და საიდუმლოებით მოცული? ეს ვერ გადაარჩენს საფრანგეთს. პირიქით, ის ყოველთვის ამბობდა, რომ მას საიდუმლო არა აქვს და სწორედ ამაშია მისი ძალა. ელისეს სასახლეში გადასვლიდან ცოტა ხნის შემდეგ ჟურნალისტთან საუბარში თავისი პოლიტიკური ოპონენტები ასეთნაირად შეაფასა: „გინდათ, გაიგოთ განსხვავება ჩემსა და ამ ხალხს შორის? (და რამდენიმე მეტოქე დაასახელა). ეს ძალიან მარტივია. მათ ანებივრებდნენ და ლამის აკვნიდანვე ეუბნებოდნენ: შენ ყველაზე მაგარი ხარ, ყველაზე სიმპათიური, ყველაზე ჭკვიანი. ისინი მაგარ სკოლებში სწავლობდნენ, შეხედეთ, როგორ უყვართ მათ საკუთარი თავი. მე სხვა ტიპის ვარ – მაგარი ნაბიჭვარი ვარ. მაგრამ ასეა, ეს მაგარი ნაბიჭვარი რესპუბლიკის პრეზიდენტია“.

ცხვარ-მეცხვარე

ავტორი არჩილ ქიქოძე

„ძაღლები გაწიე, თუ ჩემი ძმა ხარ!“, „ჯალ ბურია, ითი გიოთურ!“ (დაახლოებით იგივე, აზერბაიჯანულ ენაზე) – რაც მართალია, მართალია, მეცხვარეების ნაწილი მართლა სცოდავს – განგებ ნელა მოდის საკუთარი ავი ნაგაზებისგან შენს დასახსნელად და გიხანგრძლივებს უსიამოვნო წუთებს, რომლებიც, ალბათ, გამოუცდია ყველას, ვისაც ფეხით უბოდიალია ზაფხულში აღმოსავლეთ კავკასიონზე ან ჯავახეთში (სადაც ტრადიციულად თრიალეთის გავლით დადის კახეთის ცხვარი), ხოლო ზამთარში – ჩვენი ქვეყნის სამხრეთ აღმოსავლეთის ნახევარუდაბნოებში, დავით-გარეჯიდან დაწყებული, შირაქის და ელდარის ველით დამთავრებული. ვაშლოვანის ნაკრძალს რკალივით გარს არტყამს ცხვრის საზამთრო ბინები.

ძაღლების მიუხედავად, მე მაინც მიყვარს მეცხვარეებთან სტუმრობა, მათთან ლაპარაკი და ფოტოების გადაღება. მათი მონაყოლი ამბებიც ბევრი მახსენდება, ძირითადად, ნადირთან ან ყაჩაღებთან შეხვედრაზე. ყველაზე ფანტასტიკურ ამბებს მაინც ერთი პატარა კახელი კაცი, სახელად კარლო, ჰყვებოდა, რომელსაც მთელი დღე და მოსწრება ცხვარში ჰქონდა გატარებული. მწყემსებად და მწველავებად შვიდი მგლისთვალება და მგლისმუხლა ქისტი ჰყავდა და შვიდივეს სულ იოლად მართავდა. იმ დღეს, მთელი ღამე სადღაც შორიდან მისი ერთ-ერთი ძაღლის ყეფა და ყმული ისმოდა. კარლო ამბობდა: მაგას ლენინ-

ზე მეტი ჭკუა აქვს, ეტყობა, ბატკანია ზევით დარჩენილი და იმას არ ტოვებსო. დილით ეგრეც აღმოჩნდა, როგორც ამ კაცის მოყოლილი სხვა ამბები აღმოჩნდა სიმართლე. მე მას 2006 წელს შევხვდი უკანა ფშავის მთებში. რამდენიმე წელია, კარლოს ცხვარი ხევსურეთში, როშკის სიახლოვეს უდგას. შარშან მივაკითხე და სურათიც გადავუღე. მე ის ოდნავ მოტეხილი მეჩვენა, მან კი ვერაფრით გამიხსენა...

თუ ქართველების ბინაზე აღმოჩნდი, ადრე თუ გვიან ლაპარაკი აუცილებლად მივა ქალებამდე, რადგან ეს უქალო ბინებია. ქალები – ცოლები, საყვარლები თუ წარმოსახვითი საყვარლები სადღაც შორს, ბარში არიან. ამიტომ ქართველი მეცხვარეების მომთაბარეობა არ არის კლასიკური დედაბუდიანი მონაცვლეობა ერთი ადგილიდან მეორეზე. ყოფა კი უფრო დრამატულია.

აზერბაიჯანელ მწყემსს ბინაზე ცოლი, სადილი და შვილები ელოდება. ქალები და გოგოები ჩემი აპარატის ობიექტივს სახეს არიდებენ, პატარა ბიჭები კი თამამად და ოდნავ ველურად უსწორებენ თვალს. ცხვრის ბინა და გზა ერთადერთი სკოლა და განათლებაა, რომელსაც ისინი გადიან, თუმცა ბავშვობიდან იციან, რომ მშობლების წვალებაც და ხეირიც მათ საკეთილდღეოდ, საქორწილოდ თუ სამზითვოდ ხდება.

ამ ფოტოების ნაწილი ერთი კვირის წინ ივრის ნაპირთან, დალის მთის სიახლოვეს გადავიღე. დოლი იყო, ბატკნები პირდაპირ ქარსა და ყინვაში გზადაგზა იბადებოდნენ. მწყემსის ძაღლები, კაჭკაჭები და სვავები ველად გაბნეულ მომყოლს ჭამდნენ. დილას და საღამოს დედებზე მიშვებული ათასობით ბატკანი კიკინით დაეძებდა და პოულობდა მშობელს. ამ ყველაფერს ჩემი მეგობარი ვიდეოკამერით იღებდა და მაგარი მასალაც გამოუვიდა. მგონი, ორი რამ არის ამქვეყნად ფოტოგენური – ბედნიერება და გაჭირვება. მეცხვარეების ყოფა კი ნამდვილად გაჭირვებაა და მძიმე, წელშიგამწყვეტი შრომა, რომელიც ჩემთვის რაღაცნაირად მნიშვნელოვანს და საინტერესოს ხდის ამ ადამიანებს.





საუთჰემპტონი

აკა მორჩილაძე

იმ დღეს პარკ როუდზე მოვხვდი. დღე კი არა, კაი დაბნელებული იყო უკვე, რახან ზამთარია და ადრე ბნელდება. ჰოდა, გამოჩენილი ადამიანის დაფა დავინახე. აქ ეგეთი დაფები მრგვალია და ცისფერი და მაღლაა ხოლმე მიკრული, არა – ჩვენსავით, სადარბაზო კარის გვერდით.

პარკ როუდი ბეიკერ სტრიტიდან შემავალი ფართო ქუჩაა, რიჯენტ პარკის კიდეს განზე იტოვებს და მიდის თავის გზაზე. ბეიკერ სტრიტი კი, მოგეხსენებათ, მარტო იმით არ არის ცნობილი, რომ 221/ბ-ში მისის ჰადსონი ბინას აქირავებდა. ის 221/ბ-ც ახლა მოხერხებულ ადგილასაა ჩასმული, სულ დასაწყისში.

ბეიკერ სტრიტისა და მერილებონის გადაკვეთაზე ძევს მეტროს სადგური, რომელიც უძველესია მსოფლიოში, შორიახლო კი არის მადამ ტუსოს მუზეუმი, ეგ მუზეუმი კიდევ უფრო ადრინდელია, ვიდრე მეტროს სადგური. მადამ ტუსო მაშინ დასახლდა ბეიკერ სტრიტზე, როცა შერლოკ ჰოლმსი ჯერ კიდევ არ არსებობდა. იქავეა ლორდსის კრიკეტის მოედანი, ასევე უხსოვარი დროისა, და რიჯენტ პარკიც ხომ იქავეა და იქავე. მოკლედ, ასეთი ადგილია.

ჰოდა, ამ პარკ როუდზე რომ მოვდიოდი, დაფა დავინახე და ვიფიქრე, ნეტავ, კიდე ვინ ცხოვრობდა აქ-მეთქი. გამოდგა გენერალი სან მარტინი.

ეს სან მარტინი არგენტინის და მთელი სამხრეთ ამერიკის უგანთქმულესი გმირი იყო ბარე ორასი წლის წინათ, მერე საქმეები დააგდო და ევროპაში დასახლდა.

ლონდონისთვის იმდენ განთქმულ ადამიანს შეუფარებია თავი თავისი ცხოვრების ძნელ წლებში, რომ იმათი დათვლა ძნელია და გასაკვირიც არ იყო, რომ გენერალი სან მარტინიც აქა ყოფილა, ოღონდაც უფრო ახალგაზრდობაში. სიბერეში კი საფრანგეთში დამკვიდრებულა და ბოლოს მაინც ლონდონში გადმობარგებას აპირებდაო, მაგრამ ვეღარ მოუხერხებია. შიგადაშიგ ეხვეწებოდნენ, თურმე, მობრუნდი, ჩამოდიო და წასულა კიდეც, მიდგომია ბუენოს აირესს, მაგრამ ვითარება არ მოსწონებია და გემიდან გადმოუსვლელად მობრუნებულა უკან.

ის იყო დიდ ომთა დროება სამხრეთ ამერიკაში, დიდ გენერალთა და მოხეტიალე არმიათა დროება, და მგონი, მაშინ რაც ჩამოიქნა, იმას მოჰყვა მერმინდელი სამხრეთის ამერიკა.

ეს დაფა სულაც არ გამიკვირდებოდა, მაგრამ მახსოვდა, რომ ამ ადგილიდან ორასიოდ ნაბიჯში, ბეიკერ სტრიტზე, სხვა არგენტინელის დაფაც იყო.

ეგ მეორე დაფა ოდესღაც ვნახე, აღარც კი მახსოვს, როდის. შერლოკ ჰოლმსის მუზეუმის შორიახლოს, ჯერ კიდევ შერლოკ ჰოლმსამდე ერთხანს უცხოვრია გენერალ ხუან როსასს, დიქტატორსა და სასტიკ კაცს, რომელიც, საბოლოოდ, დაუმარცხებიათ 1852 წელს და გამოუცურავს იმასაც აქეთკენ. როსასი რომ ლონდონში ჩამოსულა, სან მარტინი ისედაც ორი წლის მკვდარი ყოფილა და ისიც საფრანგეთში. აგრე რომ, მეზობლობა სიმბოლური გამოუვიდათ, თუმცა, ეგებ, საბინაო საგენტო კი ერთი ჰყავდათ და ადგილიც ხომ მაშინაც საუცხოოდ ითვლებოდა შეძლებული გადამდგარი კაცისთვის, პარკი და კაი ჰაერი მთლად გვერდით ექნებოდა.

ოღონდ კი, როსასი წასულა და საუთჰემპტონში ფერმერობისთვის მიუყვია ხელი და იქავე მომკვდარა მრა-

ვალი წლის შემდეგ. ბოლო დრომდე იქურ სასაფლაოზე ესვენა, მაგრამ ჩვენს დროში გულმობრუნებულ არგენტინელებს გადაუსვენებიათ სამშობლოში.

სან მარტინი როსასის წინა თაობისა იყო, მასზე ბარე ოცი წლით უფროსი, ოღონდ კი თავის დროზე სწორედ როსასისთვის გადაუცია საბრძოლო ხმალი, როგორც მის შემდეგ ყველაზე ნამდვილი გენერლისთვის. ასე ჩაუთვლია, რა ვიცი.

ეს, ალბათ, ერთი ჩვეულებრივი, წარსულის ამბავია, ამ ადამიანების ცხოვრება გადასარევადაა აღწერილი დომინგო სარმიენტოს გრძელსათაურიან წიგნში, რომელიც ვითომდა კაუდილიო ფაკუნდო კიროგას ცხოვრებას აღწერს, სინამდვილეში კი მთელი არგენტინის შექმნის ამბავი გამოდის.

სარმინეტო სან მარტინის არმიასაც მოესწრო და როსასსაც ებრძოდა, მერე კი ერთხანს არგენტინის პრეზიდენტი იყო. მაგრამ, რაც არ უნდა ჩვეულებრივი ამბავი იყოს ეს ჩვენი ამბავი, უფრო სწორად, დროისგან მიფინდიხებული და ძალაგამოცლილი იყოს, ისტორიის სურათები ისეთია ხოლმე, რომ ერთი წამი უნდა მოულოდნელ ფიქრებთან რომ მაიგდოს კაცი.

არტურ კონან დოილს კი კარგადაც შეეთვალიერებინა ბეიკერ სტრიტის მიდამო და ეგებ ისიც გაეგონა, აქა ცხოვრობდა სისხლიანი გენერალი როსასიო.

საქმე ეს არის, რომ კონან დოილი კრიკეტის კარგი მოთამაშე იყო, მერილებონის კლუბის წევრიც, მერილებონის კლუბი კი, სწორედ რომ, ლორდსის კრიკეტის მინდვრის პატრონია ასევე უხსოვარი დროიდან დღემდე. ჰოდა, კონან დოილი იქ სათამაშადოც დაიარებოდა და საყურებლადაც.

თავის გვიანდელ ჰოლმსებში, ერთი დონ მურილიოც გამოიყვანა, ლათინური ამერიკიდან გამოქცეული დიქტატორი, სან პედროს ვეფხვად ცნობილი. ბევრის მკითხველი კაცი კი იყო კონან დოილი და ლათინური ამერიკის ამბებიც მოეხსენებოდა, მაგრამ, ეგებ, ამ მის ცოდნას იმდენად არ უმოქმედია, რამდენადაც, ბეიკერ სტრიტზე როსასის ცხოვრების ამბავს.

ძალიან საინტერესო წარმოსადგენია, ამ ქუჩაზე რომ აივლ-ჩაივლიდა კონან დოილი და ფიქრობდა, აბა, რომელი სადარბაზოდან გამოვლენ უფრო მოხდენილად ჰოლმსი და უათსონიო. როსასის ამბავსაც იმ თვალიერების დროს გაიგებდა. მერილებონი მის უბნადაც ჩაითვლებოდა, რახან იქაურ კლუბში თამაშობდა და ბარე თერთმეტ საკრიკეტე ტესტშიც მთელი გაქანებით ევარგა.

ეს ლონდონი ისედაც იმგვარი ქალაქია, რომ იქ ლამის ყველას უცხოვრია და გადამდგარი დიქტატორები რაღა იქნებოდა. ერთი-ორი ახლაც მოიძევება, თუ კარგად მოქექავ.

დიქტატორი იქეთ იყოს და იტალიის ამბები რომ იყო, ლონდონს უცებ ჩამოადგა უცნაურად ჩაცმულ-დახურული ჯუზეპე გარიბალდი. რახან სამხრეთ ამერიკაში ნამყოფ-ნაომარი და იქური მოდის ამღები კაცი გახლდათ, წითელ პერანგსა და პონჩოში გამოწყობილი დადიოდა.

ვიქტორია დედოფალი თურმე მშფოთვარედ კითხულობდა, როდის წავა ეგ საშინელი კაცი აქედან, რა უნდა ჩემს სამეფოშიო, თუმც კი, ხალხი მტრედის გუნდივით დასდევდა ქუჩებში, როგორც ჩვენში მის თანამედროვე არსენას და პრემიერ-მინისტრმაც დიდი პატივით მიიღო.

გარიბალდი საერთოდ არ არის გასაკვირი, როცა ერთ ქუჩაზე ორი არგენტინელი გენერალი ცხოვრობს და საერთოდ, ამ ამბავმა გასაკვირობის გამო არ წამიღო.

აი, ჩვენ ხომ გვაქვს შარდენის ქუჩა, კაფეებით და ამბებით. ჰოდა, ლონდონშიც არის შარდენის ქუჩა. სწორედ იმ ჩვენი შარდენის სახელობის.

ეგ ჟან შარდენი ინგლისის სასარგებლოდ ჯაშუშობდა და ბოლოს საფრანგეთიდან გაქცევაც მოუხდა. ინგლისელებმა საქმენი დაუფასეს, სერის ტიტულიც ზედ მიარტყეს და იმხანად სოფელ ჩიზიკში მამულიც უბოძეს.

ახლა ჩიზიკი ლონდონის ერთი პატარა და გამორჩეული ადგილია დასავლეთ კიდეზე, ძველად იქ ბევრ გამოქცეულ ფრანგს უცხოვრია და შარდენიც იმათ შორის ბოლო არ იყო.

სადაც ცხოვრობდა, იმ მიდამოში მისი სახელობის ქუჩა შემორჩა. ალბათ, ამანაც მშვიდად გალია დღენი, ჯაშუში იყო, თუ ვინც იყო.

ეგეთი უთვალავია, რომ დასახლდნენ და დამშვიდნენ.

ჰოდა, სწორედ მაგას ვფიქრობდი.

ეგრეც ვერ გავიგე ამ ხალხის.

აი, გარიბალდის გავიგე. დემოკრატიის კაცი იყო, თან მეომარი, მთელი სიცოცხლე ამხელა საქმეში გაატარა, მე გავაერთიანე იტალია და ახლა ისევ მე უნდა ვიყო და იტალიაც ჩემ ჭკუაზე უნდა იყოსო, ამისთვის აღარ უბრძოლია. ძალიან კარგი კაცი იყო საამისოდ.

წავიდა იმ თავის კუნძულზე და თუ ერეოდა რამეში, ისე, როგორც რიგითი დეპუტატი გაერევა. რომ კვდებოდა, ისეთ ადგილას გაიტანეთ ჩემი საწოლი, ზღვას რომ ვხედავდეო, ერთი-ორი ცოტასმთქმელი რომანიც დაწერა, მაგრამ უარესიც რომ დაეწერა, ვინ ოხერი, აბა, როგორ დაძრახავ. რა აქვს შენი დასაძრახი გარიბალდის.

ისე, „კლელია“, მისი რომანი ქართულადაც არსებობს. ეგ არაფერი.

იმ სამხრეთ ამერიკაშიც ნაომარი ჰქონდა, თან სერიოზულად. მთელი მსოფლიოსთვის სიმბოლო იყო. იმედიც კი. აგერ, თბილისშიც ყველა ოდნავ მაინც რუსის ეპოლეტს იქით გამხედავ კაცს კედელზე მისი სურათი ეკიდა. თუ იშოვიდა, რა თქმა უნდა.

ჰოდა, გავიგე.

სიბერეც ასეთი ჰქონდა, რასაც მთელი ცხოვრება მისდევდა, იმას გაჰყვა, ოღონდ პატიოსან კაცს რომ შეეფერება ისე, ნაკლები ჯაჯგურით და თავგამოჩენით. აღარ გაქაჩულა, ბოლოს მაინც მე მკითხეთ ყველაფერი, იმიტომ, რომ გარიბალდი ვარო.

ამ როსასის კი მე ვერაფერი გავიგე და როსასისნაირების, საერთოდ.

მთელი ცხოვრება ამ ომში, სახელის და ხელისუფლების მოპოვებისთვის ბრძოლაში რომ გაატარო, არგენტი-

ნის მიწებს აერთიანებდე, ისევე როგორც, გარიბალდი იტალიის მიწებს აერთიანებდა, ოღონდ გარიბალდისგან განსხვავებით, აუცილებლად იმ პირობით, მე შემოვიერთე პროვინციების კაუდილიოები და აწი მმართველიც სულ მე უნდა ვიყოო. მოაჯდე მერე ტახტს ბარე ოც წელიწადს, მანამდე, სანამ აჯანყებულები არ მოგერევიან და როცა მოგერევიან, გამოიქცე, ცხრა მთას იქით გადაიკარგო, არ მომწვდნენო, რაც სავსებით გასაგებია, და იმის შემდეგ, მთელი დარჩენილი ცხოვრება, კიდევ ოცდაშვიდ წელიწადს ფერმერობას მისდევდე საუთჰემპტონში.

განა როსასი უბრალო კაცი იყო?

რაც მაგან იომა, ჯერ მარტო ევროპულ ჯარებთან. მაგრამ, დალოცვილო, თუ შეგიძლია, რომ ამდენ წელიწადს ფერმერი იყო, შენი ქვეყნიდან ძალიან შორს და იქაური ამბებისა, ეგებ არცთუ ბოღმის გარეშე, მაგრამ მაინც მშვიდად და იშვიათად შეიტყო ხოლმე, ან სულაც არ შეიტყო, მაშინ რა გინდოდა, რატომ ხოცავდი ამდენ ხალხს?

რომ მოეკლათ ან დილეგში ჩაეგდოთ, კიდევ ჰო, მაგრამ არ მესმის, ასეთი კაცი, ამდენი ქონება რომ წამოზიდა, ადრევე წამოსულიყო ამ თავისი ქონებიანად. ერთი-ორ კაცს უთქვამს ჩემთვის, ხელისუფლებიდან წამოსვლა ძნელიაო, მეთაურის კი არა, რიგითი კაცისაცო. ძნელი ყოფილაო.

მე მაინც ვერ გავიგე.

გარიბალდისთვის არ იყო ძნელი და... იმისთვის არის ძნელი, ვისაც წამოსვლა არ უნდა.

გარიბალდისგან განსხვავებით, როსასს თავისთვის უნდოდა, ეგ გასაგებია, მე-ს კაცი იყო.

გარიბალდი ამბობდა, იტალია თქვენიაო, როსასი ალბათ ამბობდა, არგენტინა ჩემიაო, მაგრამ, მერე ხომ იყო იმ არგენტინის და იმ ძალაუფლების გარეშე. თან რამდენ ხანს. ოთხმოცს გადაცილებული გარდაიცვალა. ერთი-ორი ეგეთი ფერმერი და მგონი, მსოფლიო დაწყნარდებოდა. დღევანდელზე ვამბობ. მაგრამ, აი, ეს მიკვირს, თუ ეგეთი ხარ, ეგრე იოლად როგორ გადადიხარ სხვანაირ ცხოვრებაზე. ასეთ ცხოვრებაზე გადასვლა რომ არ გინდოდა, იქ სისხლის გუბეები დააყენე. ბოლოს მაინც მოგერიენ და აჰა, დამშვიდდი, დაწყნარდი, თავსაც მოერიე, წახვედი იმ შენს საუთჰემპტონში, თუ სხვის საუთჰემპტონში და ქვეყანა არ დაქცეულა.

თუ ასე შეგეძლო, იქ რაღას იკლავდი თავს.

აი, ეგ არ მესმის. ეგრე მახსოვს, რომ მარტოობის ას წელიწადში, ეგეთი წინადადებაა: პოლკოვნიკმა აურელიანო ბუენდიამ სამოცდაჩვიდმეტჯერ წამოიწყო აჯანყება და სამოცდაჩვიდმეტჯერვე დამარცხდაო.

გასაგებია, რომ როსასმა ვერ წამოიწყო, მოხვია ხელი ქონებას და წავიდა. გაუჩინარდა სასტიკი მბრძანებელი და დიდი სარდალი, ფერმას მისდია. ვის რა მოაკლდა ამით, ძნელი სათქმელია. მაგრამ, მგონი, ისეა, რომ როსასისნაირი ტიპები აღარ ბრუნდებიან. არ უღირთ. იმიტომ, რომ, საბოლოო ჯამში, მთელი იმათი ხელისუფლება, მთელი ეგ სიმხეცე, თუ ხვრეტები, იმისთვისაა, რომ რაც შეიძლება მეტი ქონება იშოვონ და მერე ის ქონება დაიცვან. ეგენი თავისას და სხვისას ბოლოსკენ ვეღარც ანსხვავებენ. ქვეყანაც ხომ თავისი ჰგონიათ. დიქტატორებისთვის მთავარი ქონებაა.

გალერეა

ია ნინოშვილი

„ისინი“, ლითოგრაფია, ლინოგრავიურა, 2009 წელი

ახლა არ მითხრათ სტალინი ერთ კიტელში დაბერდაო. ყველა ლიმონათის გრაფინზე გასაღები ჰქონდა და ჩექმებშიაც ელექტროგამათბობლები, მთელი ქვეყანა მისი არ იყო? აგყრიდა და გადაგასახლებდა.

დიქტატორები ხო ცდილობენ რო ძველ მეფეებს დაემგვანონ. ჰოდა, როცა გასაქცევად გაუხდებათ ხოლმე საქმე, თავის წარმოსახვით ქონებას, ანუ ქვეყანას, უფრო იოლად თმობენ, თუკი პირადი ოქრო-ვერცხლი საიმედოდ გაუპარებიათ. მართლა მეფეები ხომ არ არიან, რომ ქვეყნის დაკარგვას ვერ შეეგუონ, იმიტომ, რომ ქვეყანა მართლა მეფეების იყო.

მგონი, ამიტომ არ ბრუნდებიან როსასები და არც ჯანყდებიან, თუკი საიდანმე გააძევეს, მაგრამ თუ ქონება ვერ წაიღეეეეს, მაშინ იცოცხლე. მობრუნდებიან კი არა, სულსაც ამოხდიან. ისე იბრძოლებენ, რომ უკან და-

პოეზია

კლაუსტროფობია

იქნებ ამ უცნაურ ყველაფერში
ჩვენი წილი უფრო მეტია, ვიდრე გვეგონა —

იქნებ ეს შეხვედრა,
გადამრავლებული ჩვენი ქალაქის
კვადრატულ მეტრებზე და მტვრიან ნაბიჯებზე,
არის ყველაზე უცვლელი სიდიდე მათ შორის,
რაც საერთოდ არსებობს.

იქნებ ადგილები, რომლებსაც ვახსოვართ,
უკვე შეერთდნენ ამ პატარა კაფედ, და შორიდან
მართლა ვგავართ ვიღაც ორს, დაღლილებს, რომლებსაც
სათქმელი კიდევ დარჩათ, მაგრამ წასასვლელი
აღარ აქვთ არსად.

ზამთრისპირული

მანძილი ველარ შემცირდება, მაგრამ ისე ვქნათ,
რომ არ გვეტკინოს —
დაიწყე ათვლა და იქ შეჩერდი,
სადაც იგრძნობ, რომ ჩრდილოეთის ქარმა დაბერა.
სადაც გჯეროდეს – ძნელი არის, როგორც არასდროს.
სადაც ზამთარი ნაადრევად დგება და მერე
ყოველ ნაბიჯში მზის სხივების სურნელს დაეძებ,
და თუ ამაოდ – მაინც იცი, რომ აქ მოხვედი –
და ესე იგი, გჭირდებოდა,
და გ ზების მიღმა
საკუთარ თავში ამოძერწე თავშესაფარი.

აქედან უკან დასახევი არ გეგულება –
მით უკეთესი.
გახელილი ფართოდ თვალები
დაგრჩება ნიშნად, რომლითაც სულ ამოგიცნობენ
და რომლის გამოც არაფერი გეპატიება.

და მერე რა, რომ გადარჩენა გადაიფიქრე –
არც ისე შორს, რომ დაგივიწყონ,
და კიდევ კარგი –
არც ისე ახლოს, რომ ადვილად ვინმე შეგეხოს –
ეს მანძილია შენი სიმართლე.

ნინო ქევხიშვილი

სახევსაც არ დაიტოვებენ.

მაგრამ, დალოცვილო, ფერმერობა თუ შეგიძლია, მიდი რა, მიხედე და ეს ხალხი უშენოდ გაარკვევს. თუმცა, ეგრე სად არი. ფერმერობის შეძლება, მერე ირკვევა, ვითომ ის ოქროს ეპოლეტები არც ყოფილა, აი, ნახეთ, რა კარგი კაცი ვარო.

არ ვიცი, როგორ ექცეოდა მოჯამაგირეებს იმ თავის ფერმაში, მაგრამ ხელქვეითებს კი ღონიერ საქმეებს ავალებდა. ქალაქში რომ შეხვალთ, ჯერ გალსტუკიანები გაამწკრივეთ და დახოცეთ, ლიბერალები ეგენი არიანო. ერთი გამხეცებული კაპიტანი ჰყავდა, პერეს სანტოსი, იმან ბავშვებიც კი ჟლიტა, და კი ელანდებოდა ხოლმე ის ბავშვებიო, მაგრამ აღარ გაჩერებულა, მიაწვა და მიაწვა და ამ როსასმა კი გამოასწრო თავისი ზანდუკებით, მაგრამ პერეს სანტოსი კი დაიჭირეს და დასახვრეტად რომ გამოიყვანეს, მღვდელს მიაფურთხა და თქვა, დანა რო მქონდეს, თქვენი ასე და ისეო.

ამან ბეიეკრ სტრიტამდე ვერ მოაღწია, უფროსები გარბიან, უმცროსები რჩებიან. ეგ უხსოვარ დროიდან ეგრე ყოფილა.

მაინც ვერ გავიგე ამ როსასისნაირი ხალხის. რასაც მთელი ცხოვრება აკეთებენ, უიმისოდ შეუძლიათ? ირკვევა, რომ შეუძლიათ. როსასზე ასჯერ უარესებსაც. ეგ მთელი იდი ამინები და პოლპოტები.

რამდენი ეგეთია. იდეური რო გგონია და მხოლოდ იმიტომ რომაა დიქტატორი, რომ გაუვიდა, ბრძოლაში იღბალი წაეხმარა, პერეს სანტოსები შემოაკილაპრამახნულსენ და რა ვიცი, რამდენი. უცებ კი გაირკვეა, რომ ერთად ვცხოვრობთ ძველ ფერმაში, ია ია, ო.

მააშორე.

ლონდონში კი მართლა ყველაფერს ნახავ, უამრავ მოულოდნელსაც.

იმ დღეს მეტროში სკამზე მიგდებული გაზეთი ავიღე. მეტროს გაზეთები უფასოა.

ქალაქში მცხოვრები სხვადასხვა ერების თემები ფასიან გაზეთებსაც უშვებენ თავიანთ ენებზე და უფასოსაც. ფასიანები მიწის ზევით იყიდება, უფასოები მეტროსთან აწყვია ხოლმე საგანგებო ყუთებში.

ეს გაზეთი კი ავსტრალიური საზოგადოებისა გამოდგა, შიგ რაგბის და სერფინგის ამბები ეწერა და სხვა რაღაც სახალისო ისტორიებიც. ჰოდა, იქ ბევრი რეკლამაც იყო,

ერთი მთელგვერდიანი რეკლამა კი, მეტად კულტურული იერისა, იუწყებოდა:

გიწვევთ სამუშაოდ ავსტრალიის სადაზვერვო სამსახურში. საინტერესო ხელობა, კარგი ანაზღაურება, მრავალფეროვანი საქმე, უზრუნველყოფილი მომავალი. იქვე საიტი და ტელეფონის ნომერი.

არ ვიცი, ჟან შარდენმა ნახა თუ არა ეს გაზეთი, ან მისავე აჩრდილმა. ლონდონში აჩრდილები ბლომადაა, არა მხოლოდ წიგნებში.

აი, შარდენის კი მშვენივრად მესმის. ჩიზიკში, გადამდგარ შპიონად ვინ არ დაწყნარდება.

FM
ცნობი
98.0

ბიბლიოთეკის წმენდა – 2012

ავტორი ლაშა ბუღაძე
ილუსტრატორი ეკა ტაბლიაშვილი

მართალია, ბებიაჩემი დღემდე უარყოფს ამ ფაქტს, მაგრამ ოდესღაც, თურმე, წიგნებს უმალავდა მამაჩემს. მამაჩემს ზუსტად ახსოვს ამ წიგნების სია: მოსე გოგიბერიძის „ფილოსოფიის ისტორია“, გურამ თევზაძის „კანტი და მისი ცხოვრება“, ჰეგელის „ესთეტიკა“, სპენსერის „ფსიქოლოგია“ და სავლე წერეთლის „ანტიკური ფილოსოფიის I ტომი“. თავად მამაჩემი მის საქციელს ასე ხსნის: „მაშინ 17 წლის ვიყავი, დღე-ღამეში ოთხი საათი მეძინა, ხორცს არ ვჭამდი და ნებისყოფის საწრთობ ვარჯიშებს ვაკეთებდი – მაგალითად, ვცდილობდი, ფეხზე მდგომს მეკითხა რაც შეიძლება რთული წიგნები. ჰოდა, ეტყობა, შეეშინდა, იფიქრა – ალბათ, წიგნები აგიჟებენო“. აკრძალული წიგნებისთვის მას ძველი კარადის თავზე მოწყობილ სამალავში მიუგნია.

გამოვტყდები, ძალიან მიჭირს ამ ამბის დაჯერება (მიუხედავად იმისა, რომ ვიცი, სიმართლეა), რადგან თუკი ვინმე რამეს მიკითხავდა ბავშვობაში, ყმაწვილობისას და მოწიფულობის ჟამსაც კი, სწორედ ბებიაჩემია (მეტსაც ვიტყვი – ზოგჯერ დღესაც მიკითხავს ხოლმე!); ღამეები გვითენებია ერთობლივ კითხვაში და არ მახსოვს, ოდესმე მკაცრი ცენზორივით მომქცეოდა. ნუ, ჰა, შეიძლება ღრმა ბავშვობაში – და ისიც იმიტომ, რომ არ შემშინებოდა – ბებიაჩემი ოსტატურად ახტებოდა იმ ადგილებს, სადაც მიცვალებულებს, განსაკუთრებით საშიშ მოჩვენებებს, დების მჭამელ ძმებს, შვილების მომხარშველ დედებსა და თაროებზე შემოდებულ მოჭრილ თავებს ახსენებდნენ (სწორედ ამიტომ, ფაქტობრივად, არასდროს ვკითხულობდით ქართულ ხალხურ ზღაპრებს). მაგრამ რაც ნაკლებად გვაშინებდა, იმას ათ-ათჯერ ვკითხულობდით. ხოლო გორბაჩოვის ხელისუფლებაში მოსვლასთან ერთად, წიგნებს სკანდალურად თამამი ჟურნალ-გაზეთებიც მიემატა და ძილისწინა საკითხავ რეპერტუარს პოლიტ-ლიტერატურა შეერია. მაგალითად, პირველად სწორედ ბებიაჩემმა წამიკითხა იმპერატორ ნიკოლოზ მეორის ოჯახის ტყვეობისა და დახვრეტის ამბავი (თითქმის ქართული ხალხური ზღაპრის მსგავსი), რომელიც, თუ არ ვცდები, სრულად დაიბეჭდა შედარებით გაგულადებულ საბჭოურ ჟურნალ „ოგონიოკში“. მართალია, ზოგჯერ თვლემა ერეოდა კითხვისას, მაგრამ გამოღვიძებულზე, ორმაგი ენერგიით აგრძელებდა დეკლამირებას და თან, ჯარიმის სახით, ხელახლა კითხულობდა თვლემის მომგვრელ აბზაცს („ჰო, აბა, სად ვიყავი!“).

ის, რაც დღეს უნდა ჩავიდინო, ადრეც არაერთხელ მიქნია და ჩემი წამოწყების მთავარ მოწინააღმდეგედაც სწორედ ბებიაჩემი გამოსულა; არასდროს მიწონებდა (და არც ახლა მიწონებს) ბიბლიოთეკის წმენდას. განდევნას დაქვემდებარებულ წიგნებს, არ ვიცი, როგორ, მაგრამ პედანტურად აბრუნებს თაროებზე და დაუღალავად მომიწოდებს: „კიდევ მოქექე, ნუ გეზარება“. ამიტომაც ვამბობ, იმის წარმოდგენა მიჭირს-მეთქი, რომ ეს ადამიანი ოდესღაც წიგნებს მალავდა. არც არავის ვიცნობ ისეთს, ვისაც წიგნები დაემალოს შვილისა თუ შვილიშვილისთვის. თუმცა ვიცი, არსებობს ხალხი, ვისაც წიგნებზე ეჭვიანობა სჩვევია; უფრო სწორად, იმ ადამიანზე, რომელიც ეჭვიანისთვის მიუღებელ ავტორს ეტანება. არ ვიცი, რა ეტაკა, მაგრამ ერთმა ჩემმა მეგობარმა ფანჯრიდან გადაუგდო თავის შეყვარებულს ადგილობრივ მაღაზიებში ბესტსელერად აღიარებული რომანი. თან ერთხელ კი არა, სამგზის! ესეც, ეჭვიანის ჯინაზე, ყოველ ჯერზე ხელახლა ყიდულობდა ფანჯრიდან გადასროლილ რომანს და ყველაზე გამოსაჩენ ადგილზე დებდა: „დაინახოს, რომ არ ვნებდები!“. თუმცა იმის მოსვლა და წიგნის ფანჯრიდან გადატყორცნა ერთი იყო. შეიძლება სწორედ ამიტომაც იქცა ეს რომანი ბესტსელერად – მარტო ამ წყვილმა ნახევარი ტირაჟი გაცალა! არსებობს პიროვნება, რომელიც უშუალოდ შეესწრო ხსენებულ წიგნთაცვლას: „ტაქსის ვაჩერებდი და რას ვხედავ: მაღალი კორპუსიდან დ.-ს წიგნები მოფრინავენ... ერთი, მეორე, მესამე... მეთქი, რა ხდება, გამომცემლობა თუა საქმის კურსში? აი, თურმე, რა დღეში ყოფილან ქართველი მწერლები!“.

წიგნებზე გაბრაზება ძველი ამბავია. სად აღარ წვავდნენ და ვინ აღარ აგდებდა! აგერ, ამხანაგი სტალინიც კი დარწმუნებული იყო, რომ ცოლმა „ერთი ფრანგული რომანის“ წაკითხვის შემდეგ გადაწყვიტა თავის მოკვლა. „სულელურ წიგნებს კითხულობდა, მავნე ზეგავლენა იყო, აბა რა!“ – იხსენებდა ცოლის გარდაცვალებიდან ოცი წლის მერე.

ცოლიც კი დაუჭირა მოლოტოვს – პოლინა (ქმარი პოლიტბიუროში ესვა, ცოლი – ლუბიანკაზე), და ვინ იცის, იქნებ სწორედ ამ წიგნების გამო? სტალინს კარგად ახსოვდა, როგორ მოჰქონდა პოლინას მათ სახლში ფრანგული რომანები. ჰოდა, ცხადია, ნადეჟდა ალილუევას თვითმკვლელობა წიგნებს დააბრალა და არა საკუთარ თავს (ეგონა, ცოლიც მასსავით დაივიწყებდა დახვრეტილ ნათესავებს). „პოლინას, პოლინას ბრალია“, – ამბობდა სტალინი. მოლოტოვს კი ახალი ცოლი მიუჩინა (ბერიას შერჩეული კადრი): რომ არ მოიწყინოსო...

თუმცა განა მხოლოდ დესპოტები ბრაზობენ წიგნებზე, წიგნებზე განრისხება ისეთ სათნო და პატიოსან მკითხველებსაც სჩვევიათ, როგორიც, თუნდაც, ჰერმან ჰესეა. „ბიბლიოთეკის წმენდა“ – სწორედ ასე ჰქვია ჰესეს ერთ შესანიშნავ პუბლიცისტურ ჩანახატს, სადაც მწერლის ბიბლიოთეკის ყოველწლიური რევიზიაა აღწერილი.

მწერალი-ბიბლიოფილი დაუნანებლად ცლის თაროებს „ზედმეტი“ წიგნებისგან და არც იმის ახსნით იწუხებს თავს, რატომ აღარ სჭირდება (ან რატომ აღარ მოსწონს) ესა თუ ის განდევნილი წიგნი.

ასეა, ზოგი წიგნი სამუდამოდ გვიკვდება, ზოგი დროებით, ზოგიც -არასდროს. ჩვენც ვიცვლებით – მკითხველები (აგერ, ბებიაჩემი, ამის ნათელი მაგალითია); ის, რაც ათი, თხუთმეტი, ოცი წლის წინ გვაღელვებდა, დღეს ნაკ-

ლებად, ან საერთოდ აღარ გვაღელვებს – გვიკვირს კიდეც, როგორ შეიძლებოდა, რომ ამ წიგნით აღვტაცებულიყავით ოდესღაც!

ჰესემ დამარწმუნა: დროდადრო აუცილებელია პირადი ბიბლიოთეკის წმენდა. თუნდაც, პრაქტიკული მოსაზრებებიდან გამომდინარე – რამდენი ისეთი წიგნი გვაქვს, რომელიც მათზე ბევრად უფრო საინტერესო (და ჩვენამდე ვერმოღწეული) წიგნების ადგილს იკავებენ.

ჰოდა, მოდით, ერთად ვნახოთ ჩემი ბიბლიოთეკის რომელმა წიგნებმა შეინარჩუნეს აქტუალობა 2012 წელს?

ჰესეს მსგავსად, მეც ფრანგი კლასიკოსებით დავიწყებ და ამ ჯერზე, მხატვრული ლიტერატურით შემოვიფარგლები.

ზევიდან ბალზაკის ოცდაოთხი ტომი დამყურებს. მახსოვს, ოდესღაც ბეჯითად ჩავიკითხე მისი „შაგრენის ტყავი“, მაგრამ ვარ კი ახლა ამის წამკითხავი? იქნებ გავანახევრო? განა თავადვე არ ითხოვდა სიკვდილის წინ – მარტო ოცდაოთხი საათი მომეცით, ჩემი წიგნების გადასაწერად, ეს დროც მეყოფაო... უნდა შეემცირებინა, გადაწერა რას უშველიდა!

ვტოვებ მარტო „შაგრენის ტყავს“.

სტენდალი? „წითელს და შავს“ კიდევ გავიმეტებ, მაგრამ ბიოგრაფიებს ვერა. ასე არავის მოუყოლია როსინისა და ნაპოლეონის ცხოვრება! „ესაა კაცი, რომლის სახელსაც ბონაპარტზე ხშირად ახსენებენ ევროპაში,“ – როსინიზე თქვა 1816 წელს. ვტოვებ.

რომენ როლანი. „ჟან-კრისტოფი“. ჯანდაბამდე გზა ჰქონია! არ მინდა!

მაგრამ ხელები შორს ანატოლ ფრანსისგან! დარჩეს. გახსოვთ, მისი მოხუცი პილატე? თავისი ცხოვრების მთავარი ამბავი რომ ვერ გაიხსენა? „იეშუა ღა ნოცრი? არ გამიგია“.

პროსპერ მერიმეზე ვჭოჭმანობ. „კარმენს“ მხოლოდღა თუ მოვისმენ. დარჩეს. დონ ხუან დე მარანიას ხათრით. „სულნი სალხინებელისანნი“!

არაფერში მჭირდება გენერალ დე გოლის მემუარები! მემუარებიდან რეშელიესა და ჩერჩილისას ვიტოვებ. „ჰიტლერმა ჩემი გაცნობის შანსი გაუშვა“ – ჩერჩილის სიტყვებია.

ვტოვებ რაბლეს, რუსოს, ვოლტერს, მოლიერსა და ბომარშეს. ცხადია, დიდროსაც. კუნდერას ხათრით წავიკითხე „ჟაკი-ფატალისტი“ (ჩვენში დარჩეს, დიდი ვერაფერი). მარკიზ დე სადს, ბუნებრივია, არც ვეხები! თავისი ეპოქის ყველაზე გულჩვილ და პატიოსან ადამიანს...

რა ვუყო დიუმას? „სამი მუშკეტერისადმი“ ინტერესი ჯერ კიდევ ბავშვობაში ჩამიკლეს ამ რომანის ულევმა ეკრანიზაციებმა, თუმცა, რა სათქმელია, მაინც დავიტოვებ, იქნებ საპენსიო ასაკში შემომეკითხოს.

ველევი ჰიუგოს. მთლიანად.

ფლობერს ვერა! მწერალს უნდა უყვარდეს. ასეთი წესია. და, მგონი, ასეცაა – ემას ამბებს დღეს მარტო მწერლებიღა თუ კითხულობენ. ფლობერის სტიილი... წაგიკითხავთ ჯულიან ბარნსის „ფლობერის თუთიყუში?“ თუ არა, ნახეთ. ორიოდე წლის წინ გადავაგდე და ახლა ისევ დავიბრუნე. ერთი კია, ქართულ თარგმანში ემა ბოვარი მეტისმეტად ასექსუალურია. და თუკი ვუდი ალენს ვენდობით, ინგლისურ თარგმანშიც.

ვიტოვებ კამიუს „უცხოს“, „შავ ჭირს“ ვაგდებ. ვიტოვებ სარტრს („სიტყვებისა“ და „ბუზების“ გამო). სტალინისტია, მაგრამ მაინც. ანუ დავტოვო? იყოს, ჰა.

მორუა, ჟიდი, მორიაკი – შორს, შორს, შორს ჩემი ბიბლიოთეკიდან!

პრუსტი – არა. ესეც სიბერისთვის.

კოქტოც ჟიდის გზას ხომ არ გავუყენო? ვისი ხათრით უნდა წავიკითხო? წავიდეს!

ცხადია, სიწმინდეს ვერ შევეხები (ძველ ბერძნებს ვგულისხმობ)!

მაგრამ არაფერში მჭირდება ვინმე ა. კუნის ვეება წიგნი „ბერძნული მითოლოგია“! მოვიშოროთ!

აჰა, მივადექი ანგლოსაქსებს. უპირველეს ყოვლისა, მოემი მომცილდეს! მართალია, კარგად აღწერს დაბერების პროცესს, მაგრამ ამ მხრივ ოდნავადაც ვერ შევადარებ ეჟენ იონესკოს „ბებრის დღიურს“. ასე არც ერთ წიგნს არ შევუშინებივარ...

მომაშორეთ ეს გოლსუორთი თუ გოლსუორსი! დრაიზერიც – შორს ჩემგან! ქართული ტრაგედიებიც მეყოფა. ვყრი ჰემინგუეის რომანებს. მოთხრობებს ვიტოვებ.

არ ვეხები ფოლკნერს. ვიცი, აღარ წავიკითხავ, მაგრამ არც გადავყრი. რა მნიშვნელობა აქვს, წაიკითხავ თუ არა – ამბობენ, რომ ნებისმიერ შემთხვევაში ახლოს უნდა გყავდეს.

ვემშვიდობები დიკენსს! საკმარისად მტანჯა ბავშვობაში.

შექსპირს, ბუნებრივია, სრულად ვტოვებ. ვყრი ფსევდოშექსპირების ბიოგრაფიებს. მეყო ზღაპრები.

ვტოვებ უაილდს, თუმცა ნაწილობრივ. ჯოისს არ ვეხები. ბეკეტი კიდევ უფრო საპატიო თაროზე გადამაქვს (სხვათა შორის, ჯოისის ქალიშვილს ეარშიყებოდა). იონესკოსთან ერთად.

რა ვუყო ჩესტერტონს? ვჭოჭმანობ. ვტოვებ „ასიზელის“ ხათრით.

ცხადია, მთლიანად ვტოვებ გოეთეს (გოეთეში „ეკერმანთან საუბრებს“ და შილერთან მიწერ-მოწერასაც ვგულისხმობ). შილერს ველევი. რა წამაკითხებს ახლა „ვალენშტაინს“!

ვტოვებ ჰოფმანს. ვაგდებ ჰაინეს. ვტოვებ თომას მანს (ამბობენ, კარგი რომანია „იოსები და ძმანნი მისნი“, იქნებ ოდესმე გავცდე მეათე გვერდს!). სიამოვნებით შევამოკლებდი „დოქტორ ფაუსტუსსაც“. ფავორიტი, ცხადია, „ჯადოსნური მთაა“.

ვტოვებ ჰესეს (აჰა, მოგადექი?). ვყოყმანობ – ხომ არ მოვისროლო „პეტერ კამენცინდი“? არა, არა...

ცვაიგს რა ვუყოთ? მეცოდება, დარჩეს. საწყალმა ცოლთან ერთად მოიკლა თავი არგენტინაში... ეგონა, ნაცისტები იქაც მიაგნებდნენ...

ბრეხტს ვამცირებ. კაფკას – არა.

არც ბიოლს.

გრასს ვტოვებ. ვტოვებ დიურენმატს. ფრიშისას მარტო „ჰომო ფაბერს“ – პიესებს ვყრი.

მივდივარ რუსებთან: თეოდორ მიხეილის ძევ, თქვენ როგორ შეგეხებით!

დოსტოევსკი სრულად რჩება. ცოლის მემუარებიანად.

ვყრი ლერმონტოვს. ვიტოვებ პუშკინს, ვიტოვებ გოგოლს.

ტოლსტოის ვანაწევრებ (თუკი აქამდე არ წაგიკითხავთ, აუცილებლად გადახედეთ ბუნინის მოგონებებს რუსი მწერლების შესახებ; ნახეთ, რა კაცი ყოფილა და რა ხმით ლაპარაკობდა ტოლსტოი).

ვტოვებ ჩეხოვს. ვტოვებ ნაბოკოვს (ამ კაცს მარტო „ლოლიტა“ კი არ დაუწერია!). ცხადია, ვტოვებ დანიილ ხარმსს. ეგონა, ომს შიზოფრენიის სიმულირებით გადაურჩებოდა... ლენინგრადის ბლოკადის დროს მოკვდა. შიმშილით.

ვაგდებ გორკის (არც ვიცი, ჩემთან როგორ მოხვდა!).

ვტოვებ სამხრეთ-ამერიკელებს. არ ვეხები არც რულფოს, არც ბორხესს, არც მარკესს, არც ლიოსას... რაღაც გალაკტიონის „შოთა-ილია-აკაკისავით“ გამომივიდა...

კორტასარზე ვჭოჭმანობ. შევუნდოთ ჭარბი სნობიზმი? კარგი, მაინც დავიტოვებ. „კლასობანას“ ხათრით.

დანტეს, ბუნებრივია, არ ვეხები. არც ბოკაჩოს, ცხადია. არც გოცის და გოლდონის.

დ’ანუნციოს ვაგდებ.

ვტოვებ ბუცატის. კალვინოს ვიშორებ – ბევრი ვეცადე, მომწონებოდა, მაგრამ უშედეგოდ...

ველევი ეკოს „ბაუდოლინოს“. „ვარდის სახელს“ – არა.

...დამღლელი ყოფილა.

ამ დროს, წინ „ქართული თარო“ მაქვს...

შევუტიოთ?

„ვეფხისტყაოსნის“ რამდენიმე გამოცემა შემომცქერის. ერთ-ორს ველევი.

არ ვეხები სულხან-საბას. არც გურამიშვილს. არც „კალმასობას“.

არ ვეხები რომანტიკოსებს. რაღაც ხომ უნდა დამრჩეს XIX საუკუნის ქართველი არისტოკრატებისგან!

სრულად ვტოვებ გალაკტიონის ზემოთ მოყვანილ ლექსში ჩამოთვლილ ლიტ-ჯგუფს...

ვტოვებ „ცისფერყანწელებს“.

ბუნებრივია, ვტოვებ დავით კლდიაშვილს, მიხეილ ჯავახიშვილსა და ნიკო ლორთქიფანიძეს.

ვაგდებ გრიგოლ რობაქიძეს. შეუძლებელია ამ ტრაგიკული კაცის წიგნების კითხვა! კონსტანტინე გამსახურდიადან მარტო „ლანდებთან ლაციცს“ ვიტოვებ. იშვიათად წამიკითხავს ამაზე სასაცილო წიგნი.

ვაგდებ გოთუას.

ცხადია, არ ვეხები პოლიკარპე კაკაბაძის ორ ტომს!

ვტოვებ რეზო ინანიშვილის მოთხრობებს. ვტოვებ ჭილაძეებს. ვტოვებ დოჩანაშვილს. ოღონდ, არა ახალ რომანებს. ვტოვებ ქარჩხაძის ნაწილს. ვტოვებ ჭაბუა ამირეჯიბის „დათა თუთაშხიას“ და „გორა მბორგალს“ (ეს უკანასკნელი პირველს მირჩევნია, ის ძალიან გაწელილია, თან ზედ საფლავის ქვასავით ადევს ძველქართული ტელე-ეკრანიზაცია...).

უახლესებს ჯერჯერობით არ ვეხები.

ამ დროს, რომ იცოდეთ, როგორ დამიმძიმდა მათი თარო...

მგონი, ამ სეზონისთვის საკმარისია.

შევსება შემდეგისთვის გადავდოთ.

პოეზია

ზედხედი

ყოველთვის, როცა ეს ქალაქი
დაძრწის საკუთარ ქუჩებში და
საკუთარივე ფანჯრებიდან ხმებს და სურნელებს
ისრუტავს – გეძებს მათში, უნდოდ შეგავლებს მზერას,
რაიმეს ფრთხილად ჩაგჩურჩულებს, დაგიმახსოვრებს –
უბრალოდ უნდა დაივჯერო: არაფერია
აქ საიდუმლო, როდესმე რომ არ გაგიცხადდეს –
რაც უფრო გვიან, მით უარესი.

ეს ქალაქია –
განათებულ კაპილარებად
მხოლოდ თავისთვის გასაგები რიტმით და ფერით
ფეთქავს, კანკალებს, იკუმშება, დაიკლაკნება –
ზოგჯერ ზემოდან გადმოჰყურებ, და არცთუ ძნელი
არის მიხვედრა, რომელი გზა საითკენ მიდის,
ვინ რა გზას ადგას.

ამ ქალაქს იქნებ – საკუთარი სივიწროვიდან
რომ არ უშვებენ მთები, ზოგი წმინდა, ზოგი კი
კალთაში ტბებად წყალჩამდგარი – ამ ქალაქს იქნებ
წარსულიც ზუსტად ისე ახსოვს, როგორც შენი ხმა,
მტვრიან ქვაფენილს ნაწყვეტ-ნაწყვეტ შემორჩენილი –
და წუხანდელი ნაბიჯებიც ისე სტკენს, როგორც
თავისი მდორე, ჭუჭყისფერი მდინარის ფსკერზე
ნალექი სევდა თვითმკვლელების, სასოწარკვეთით
რომ შეემსხვრივნენ მის მშობლიურ უსივრცეობას,
რომ ამოიწვეს უხმოდ გულები.

ეს ქალაქია – გარეთ გასვლას სადაც გადაწყვეტ,
ყველგან დაგხვდება,
იქნებ სულაც გადაგაფიქროს –
ისევ ისეა: უამრავი ამბავი იცის
არდაბრუნების.

ნინო ქევხიშვილი

მინდვრის ყვავილები

ავტორი ბესო ხვედელიძე
ილუსტრაცია თათია ნადარეიშვილი



წელიწადის დროთა აქაურ გარეგნულ იერ-სახეს ვერასდროს ვერაფერი არღვევს. შემოდგომას ის მუდამ თავისი აქვს – ფოთოლცვენა, ქარიანი ამინდები... ფოთოლცვენა ბავშვობიდან შენი მოკეთეა, ქარი კი ყოველთვის თმას გიწეწავს და ლამის ქუსლებითაც გრძნობ – ერთადერთი ხარ დედამიწის ზურგზე, ვინც ამ წუთას ქარის მომგონს ხმამაღლა უთვლის სხვანაირ მოკითხვას. ქარი სანაპიროს გასწვრივ სიმეტრიულად ჩარიგებულ, დაძარღვულ ხეებსაც აჩხრიალებს. ყვითელ ფოთლებში მძიმედ მიხრაშუნებ და მოაჯირს მიღმა გაკლაკნილ, ჭუჭყიან მდინარეს გასცქერი.

ჭუჭყი ხაკისფერია. ხაკისფერია შენი თვალებიც, მდინარის მოაჯირზე ანკესით გადაყუდებულ ჩია ბერიკაცს რომ ამჩნევენ. მისგან შორიახლოს შეყოვნებული, მოაჯირს იდაყვებით ეყრდნობი და ხაკისფერ მდინარეს იმ გრძელვადიანი ფურთხით ამდიდრებ, შენს მიერ აქამდე განცდილი წამები, წუთები, თვეები, წლები დიდსულოვნად რომ მიაქვს და წარსულისგან ბოლომდე დაცლილს, ახალშობილივით სუფთად გაღიმებს.

ბერიკაცი შენკენ ატრიალებს თავს. მის დანისლულ თვალებში თეთრი გემი ცურდება და მკრთალ ჰორიზონტს ერთვის. ბერიკაცი შუბლშეკრული გზომავს და ისევ ანკესს უბრუნდება.

ჯიბიდან სიგარეტს იღებ.

– მომიკიდებ? – კითხულობ ხმამაღლა.

ის ჰაერს ღრმად ისუნთქავს და მცირე პაუზის შემდეგ, ისე, რომ შენკენ არც იყურება, სადღაც ფილტვებიდან გიბრუნებს პასუხს:

– აღარ ვეწევი.

შენ სიგარეტს ჯიბეში იდებ. ორივენი მდინარეს გასცქერით. დინებას ნაგავი მიაქვს.

– ამ მდინარეში კიბოები არიან? – კითხულობ წყნარი ხმით და ბერიკაცს შესცქერი.

ის თითებს ითვალიერებს.

– ამ მდინარეში კიბოები არ არიან? – უტრიალებ კითხვას.

ბერიკაცის თვალებში ცხელი მდინარე ჭრელ ხოხობს ხარშავს.

– კიბო მე მაქვს. – გპასუხობს მშვიდად.

ორივენი ისევ მდინარეს გასცქერით. შენ ჯიბიდან უკვე ტუჩის გარმონს იღებ. ბერიკაცი ანკესს ასწორებს და შენკენ იხედება.

– არ გინდა.

– რატომ?

ბერიკაცის თვალებში ანერვიულებული კომანჩები ხარირემს მისდევენ.

– თევზი დაფრთხება.

გარმონს ჯიბეში იბრუნებ. ჯიბიდან ნაქსოვ ქუდს იღებ, თვალებზე იფხატავ და ბერიკაცს ხელს დამშვიდობების ნიშნად უწევ.

– წავედი აბა...

ბერიკაცის თვალებში თეთრი წეროები თბილი ქვეყნებისკენ მიფრინავენ.

– ფრთხილად იარე, – გეუბნება და ისიც ხელისგულს გაჩვენებს. შენ ყოვნდები.

– ფრთხილად?

– ეგრე სჯობს, – ამბობს და მის თვალებში მარიხუანას თვალუწვდენელი პლანტაცია იწვის.

შენ ადგილიდან მოწყვეტით იძვრი და ბერიკაცს ხრაშუნით უახლოვდები. სწორედ ამ დროს ყურებში ტელეფონის ზუმერი გერთვება. თავს ანჯღრევ, მაგრამ ხმა არ გტოვებს. ბერიკაცის თვალებში მაიაკოვსკი თავისი ლექსის გამოთქმით კითხვას იწყებს, შენს ყურებში კი კვლავ ზუმერია.

– მაინც, როგორ? – კითხულობ ჯიუტად.

– აი, ეგრე! – გპასუხობს ბერიკაცი და მარჯვენა ხელის ორი თითით მოსიარულეს ბაძავს.

– ვერ გავიგე. – ამბობ მხრების ჩეჩვით.

პასუხად, ბერიკაცი შენკენ მკვეთრად ბრუნდება, დამჭკნარ ხელებს სწრაფად გავლებს სვიტერის საყელოში, თეთრწვერა სახე შენთან ძალიან ახლოს მოაქვს და ხედავ, რომ მის თვალებში ოცდათერთმეტი დეკემბერი უკანასკნელ წუთებს ითვლის.

***

იანვარს მოურთავი ხეების სევდა, მარილმოყრილი ქუჩები და დაფიფქული ფიქრები მოაქვს.

დათოვლილ გზას ყვითელი სახლისაკენ ფეხსაცმელების ღრაჭუნით მიჰყავხარ და ხედავ კოცონს, რომელსაც ირგვლივ, თბილად შეფუთნილი ბავშვები უსხედან. შენს დანახვაზე მაშინვე იფანტებიან და თვალს ეფარებიან. მხოლოდ ერთი რჩება – თეთრქუდიანი გოგო, ხელში რკინის წვეტიანი სარით, რომელზედაც კოცონზე შემწვარი, გაფარჩხული ვირთხაა წამოგებული. გოგო ვირთხიან სარს დამნაშავის სახით გიწვდის და მის თვალებში თეთრ დათვებს საახალწლო შუშხუნებს ურიგებენ.

– ნამდვილია?

– ბუნკერში იყო.

– ბუნკერში ნაგავი აღარაა და...

– მაინც იყო. – გპასუხობს ჯიუტად და მის თვალებში ზანგი მოთხილამურე აცემინებს.

– ცოცხალი?

– ხო.

– ნაგავი კაი ხანია აღარაა და როგორ?

– რა ვიცი. დარბოდა. ამოხტომა და გაქცევა უნდოდა.

– ესენი რაღას დაიმალნენ?

– ბიჭები?

– აქ რომ იყვნენ.

გოგოს თვალებში ორსული ქალები შოკოლადს ჭამენ.

– გაკვეთილები გვაქვს ხვალისთვისო... თან გვიანიაო... თან...

– ჰო...

– თან შენიც ეშინიათ.

– ეგ ვიცი... და რატომ?

– დიდები ეუბნებიან, არ დაელაპარაკოთო.

– მერე, შენ რატომ არ გაიქეცი?

– მე... ობოლი ვარ... და თან ხვალ კვირაა. – ამბობს გოგო მშვიდად და მის თვალებში ზოოპარკიდან გაქცეული მაიმუნები ტროლეიბუსით მგზავრობენ.

გოგოს თავზე ხელისგულს ადებ. ცოტა ხანი გაყურსული დგახარ. მერე ტრიალდები და სადარბაზოში შედიხარ.

***

თებერვალს "ხეში წყალი", მაღალი წნევები და სამი თვის გაუხდელი კალსონები მოაქვს.

კიბეზე ასული, რკინის კართან ჩერდები და ზარს სამჯერ რეკავ. კარს წითელ კიმონოში გამოკვართული, მოვლილი დამა-ქალი გიღებს და შენს დანახვაზე, თვალები უფართოვდება.

– ვაიმე! – იძახის წამოკივლებით და მის თვალებში პლანეტა იუპიტერი უკუღმა იწყებს ტრიალს.

– გამარჯობა.

– შემოდი, შემო...

– როგორ ბრძანდებით?

ქალის თვალებში ახალდაქორწინებულ ლოკოკინებს თაფლობის თვე აქვთ.

– სად დაიკარგე?!

– რა ვიცი... ანა არ არის?

– ანა აერობიკაზეა. საღამომდე არ იქნება.

– მაშინ, ეს ყვავილები თქვენ.

ქალის თვალებში კორდებალეტი ცეკვავს.

– რა კარგი სუნი აქვს!.. გაიხადე, გაიხადე... შენთვის ამბები მაქვს.

– მოხდა რამე?

– მომეცი, მე დავკიდებ. როგორ გასუქებულხარ. დაჯექი, რატომ დგახარ?

– ისედაც სულ ვზივარ და...

ქალის თვალებში სპილოს დაავადებით შეპყრობილს აცრას უკეთებენ.

– აღარ მუშაობ?

– რომანს ვწერ.

– რა რომანს?

– რომანს.

ქალის თვალებში თოვლის ბაბუები დამდნარი ლოლუებით ვაჭრობენ.

– რაზე?

– პარასკევაზე. ვიდრე რობინზონთან მოხვდებოდა.

– მაშაყირებ?

– დედას გეფიცებით.

ქალის თვალებში არქივარიუსი შობაზე დასაკლავი ღორის ანდერძს კითხულობს.

– თქვენობით ნუ მელაპარაკები. სხვა?

– სხვა თქვენ მითხარით. ამბებიო...

– თქვენობით ნუ მელაპარაკები-მეთქი... რა ამბები და გაგიჟდები – ანა უკვე მეორე თვეა, ხმას არ მცემს.

– რატომ?

ქალის თვალებში ცისფერთვალება მულატების კვარტალი იწვის.

– რატომ და მაშინ, თურმე, კარი თავისი გასაღებით გაუღია. ჩვენი ხმა რომ გაუგია, ოთახთან ფეხაკრეფით მოსულა, ყველაფერი თავისი თვალით დაუნახია და ჩუმად გაპარულა.

– მერე?

– რაღა მერე. პირში მითხრა – დედა, იმ ამბის მერე თვალებში როგორ გიყურეო?!

– ჩემზე რას ამბობს?

ქალის თვალებში კოლიზეუმს დონბასელ მეშახტეთა დელეგაცია სტუმრობს.

– რა უნდა თქვას. თან შენც დაიკარგე. მე კი ავუხსენი, ყველაფერი სრულიად შემთხვევით მოგვივიდა, ნასვამები ვიყავით, მაპატიე-მეთქი, მაგრამ არაფრის გაგონება არ უნდა.

– ახლაც ხომ არ მოვა?

– გაგიჟდი?

– მომენატრე...

ქალის თვალებში პიგმეები სპილოს ხორთუმის სუპს ხარშავენ.

– უცებ რომ მოვიდეს?.. გასაღები აქვს.

– თან ფანჯარაში იყურე.

– რომ ვერ მოვასწროთ?

– მოვასწრებთ.

ქალის თვალებში უჯავშნო კუები ტყემლის საკრეფად მიდიან.

***

მარტს ტალახშემხმარი ფეხსაცმელები, თეთრი ყვავილები და უხერხემლო წვიმები მოაქვს.

თეთრ საწოლში, ზამთრის მზისგან უზომოდ გაშავებულ გოგოს ზემოდან აწევხარ.

– იცი, მე ბავშვობაში მეგონა, რომ ადამიანები პირიდან მშობიარობდნენ, – ამბობ ღიმილით.

გოგოს თვალებში მოხუცი გრაფინიები დამჭკნარ ტუჩებზე პომადას ისვამენ.

– ჩემი სულელი! – გეფერება გოგო.

– მერე, ქუჩაში, ბიჭებმა ამიხსნეს სინამდვილეში როგორცაა და ყველანი შემზიზღდნენ.

– სულ ყველანი?

– ორსული ქალები განსაკუთრებით.

– რატომ?

– რომ არ რცხვენოდათ...

– რისი არ რცხვენოდათ?

– ორსულად რომ იყვნენ.

გოგოს თვალებში თეთრალაყაფიან კლინიკასთან ალბინოსი დონორების რიგი დგას.

– მერე?

– მერე გავიზარდე და მივხვდი, რომ პირიქითაა.

– პირიქით როგორ?

– ახლა ორსულად ვინც არ არის, ის მეზიზღება.

– რატომ?

– ორსულად რომ არაა.

გოგოს თვალებში კუბელი ლტოლვილები მათემატიკის

რვეულებს ყიდიან.

– აშავებენ რამეს?

– როგორ არა.

– რას?

– ორსულად არ არიან და...

გოგოს თვალებში პენსიაზე გასული კოსმონავტები ალუბლის კომპოტს მიირთმევენ.

– მეც გეზიზღები?

– ძალიან.

– მერე, ჩემს გვერდით რაღას წევხარ?

– რომ დაგაორსულო.

გოგოს თვალებში ქაჩალი ვეტექიმი შიდსის ვაქცინას იგონებს.

– მერე, ჩემები?

– შენები?

– მერე, ჩემებს როგორ შევხედო თვალებში?

– ამაყად.

გოგოს თვალებში ქრიზანთემების ყანა ღელავს.

– ამაყად?

– იმიტომ, რომ ბედნიერი იქნები, ვიღაცას სიცოცხლეს რომ ჩუქნი.

– ვიღაცას?

– თუ ძალიან მოვინდომებ – ვიღაცეებს.

– შენ რატომ უნდა მოინდომო?

– ზემოდან მე ვარ და...

გოგოს თვალებში მოქიშპე მხარეები ტყვეების გაცვლაზე რიგდებიან.

***

აპრილს მოკლე სახელოები, სურდოები და „დღეს პირველი აპრილია“ მოაქვს.

სარწეველაში მჯდომი სქელ წიგნს კითხულობ. აშლილ საწოლზე გადაწოლილი გოგო მოდების ჟურნალს ფურცლავს და წელზევით შიშველს მხოლოდ ჯინსის ცისფერი შარვალი აცვია.

„რომელმა დედაკაცმა მოაჯადოვა შენი გონება?.. ალბათ, ისეთმა, რომელმაც კაბის ჩაცმაც კი არ იცის!” – ხმამაღლა კითხულობ წიგნიდან ფრაზას და უეცრად, წიგნს გოგოსკენ მთელი ძალით ისვრი.

ის განზე გაწევას ასწრებს და წიგნი კედელს ენარცხება. იქვე, სარწეველადან ხტები და გოგოსკენ გაფითრებული იყურები.

– რა გჭირს?! – გიყვირის გოგო გამწარებით და მის თვალებში საპანაშვიდე მიხაკების სურნელი ტრიალებს.

შენ საცეკვაო პას ასრულებ და ირინდები.

– შენ მგონი რაღაც ვერა ხარ! – ამბობს გოგო ბრაზით და მის თვალებში ესკიმოსი ქალები სელაპის მაწონს ტანზე ისვამენ.

სარკესთან მისული მაშინვე წყნარდება და საკუთარ ანარეკლს ყურადღებით ათვალიერებს. მერე ძუძუებს ერთმანეთს ატოლებს და ენას ყოფს.

– კაცებს მსუქნები უფრო მოგწონთ თუ გამხდრები?

– კაცებს?

– ხო. შენ.

– მეე?.. მე მომწონს... შენი სუნი... და... კიდევ... ტუჩებზე პომადას რომ არ ისვამ, ისიც მომწონს.

გოგოს თვალებში დახუჭობანა ოლიმპიურ სახეობებში შეაქვთ.

– და თვალებს რომ ვიღებავ?

– და კიდევ... მომწონს... შენი... ხალი.

– რომელი?

– კუდუსუნთან რომ გაქვს.

გოგოს თვალებში ინდური კინოს დღეებია.

– კუდუსუნი რა არის?

პასუხად შენ კიდევ ერთ საცეკვაო პას ასრულებ და გოგოს მკვრივ საჯდომზე ხელს უტყლაშუნებ.

– დებილო! – იძახის განზე გამხტარი.

შენ გოგოს სვიტერს იღებ და მისკენ გამეტებით ისვრი. გოგო სვიტერს ჰაერში იჭერს და შიშველ ტანზე იფარებს.

– ჩაიცვი!

გოგოს თვალებში მიწისძვრით დაზარალებულებს ძველმანებით ეხმარებიან.

– რატომ?

– რომ არ მომბეზრდე... და წადი!

– რატომ?

– რომ არ მომბეზრდე!

გოგოს თვალებში სტიუარტების დინასტიის უკანასკნელ წარმომადგენელს შპიცბერგენზე ასახლებენ.

გოგო სწრაფად იცვამს სვიტერს.

– დეგენერატი! – იძახის გამოთქმით და ბინიდან კარის

ჯახუნით გადის.

***

მაისს სველი მზეები, მოკლე კაბები და მზემოუკიდებელი წვივები მოაქვს.

სარკის წინ შიშვლად მდგომს, ფიქრებიდან ტელეფონის ზარი გარკვევს. ხელს ზანტად სწევ განზე და ყურმილს იღებ.

– გისმენთ. – ამბობ და თან ისევ სარკეში იყურები.

– გამარჯობა.

– ვინ გნებავთ?

– შენ მნებავ.

შენს თვალებში წითლები ზამთრის სასახლეს იღებენ.

– რომელი ხარ?

– რა მნიშვნელობა აქვს.

– რომელი ხარ-მეთქი!!

– არ მიცნობ და რა ვქნა.

შენს თვალებში დარბაზი სიმფონიურ ორკესტრს ცალი ხელით უკრავს ტაშს.

– მერე?

– მერე გაგიცნობ.

– რატომ?

– იქნებ შემიყვარდე.

შენს თვალებში გაზირებული წვიმა მოდის.

– რაღა ჩემთან დარეკე?

– უბრალოდ ციფრები ავკრიფე.

შენ გეღიმება და თვალებში ბრაზილიური კარნავალი გეწყება.

– და ყველა ბილეთი რომ უკვე გაყიდულია?

– რა ბილეთი?

– პარტერში ფეხზე დასადგომი ადგილიც რომ აღარაა?

– ვერ გავიგე?

– თუ გინდა, კულისებში დაგაყენებ...

– შენ ნორმალური ხარ?

– თან ოთხზე დაგაყენებ.

– კარგად იყავი.

– მომიკითხე.

– ვინ მოგიკითხო?

შენს თვალებში წვეტიანი ქლიბები პოსტ-ავანგარდულ ფესტივალს აწყობენ.

– შემდეგი ვინც იქნება.

– შემდეგი აღარ იქნება.

– ყველა გზა რომში მოდის?

– რაა?

– რატომ აღარ იქნება?

– ამიტომ!

ყურმილში გასროლის ხმა გესმის. იქ დაგუბებულ სიჩუმეს გახევებული უსმენ და შენს თვალებში კომენდანტის საათი ცხადდება. მერე სწრაფად ტრიალდები, იცვამ და ქუჩაში გადიხარ.

***

ივნისს დარბილებული ასფალტი, სიცხისგან აქერცლილი ტუჩები და ოფლიანი ხელისგულები მოაქვს.

– რომელი საათია? – ეკითხები გამომწვევად მიმავალ ყავისფერტუჩებიან გოგოს.

– სამი ხდება.

– ვერ მიცანი?

– ვერა.

– მე ის ვარ... მაშინ რომ... ეშმაკის ბორბალზე... დენი რომ გამოირთო... არ გახსოვს?

გოგოს თვალებში ობობები ბუზებს უმიჯნურდებიან.

– ვაიმე... როგორ შეცვლილხარ?

– გავიზარდე. შენ?

– მე გავთხოვდი.

– შენც კაი გაზრდილხარ.

გოგოს თვალებში ალვის ხეებს ჟირაფის ნაკელს უყრიან.

– აქ საიდან მოხვდი?

– ვეძებ.

– ვის ეძებ?

– ვინც უნდა ვიპოვო.

– ვერ გავიგე...

– ისიც მეძებს, ოღონდ ჯერ არ ვიცი ვინაა.

გოგოს თვალებში ყრუ-მუნჯი ყმები ფეოდალს მამათმავლობაში ამხელენ.

– მთვრალი ხარ?

– პირიქით. შენ ხომ არა ხარ, მე ვისაც ვეძებ?

– იცი რა, მე მეჩქარება.

– შვილები თუ გყავს?

– ექვს თვეში.

– მე კიდევ ყოველდღე ვკლავ შვილებს.

– ვის შვილებს?

გოგოს თვალებში ქალიშვილები მკვახე ბანანებს კრეფენ.

– ჩემებს. ხან საწოლში, ხანაც ტუალეტში, ანდა სარკის წინ...

– ძალიან შეცვლილხარ.

– ბიჭი თუ გეყოლა, ჩემი სახელი არ დაარქვა.

– არც მახსოვს!

– შემთხვევით არ დაგერქვას.

– რატომ?

– არ ეყვარები.

– ნახვამდის. – ამბობს გოგო და მის თვალებში ახალი ბედუინი თავის აქლემს კუზების ოპერაციას უკეთებს.

გოგო სწრაფი ნაბიჯით გშორდება. შენ სკვერისაკენ მიემართები.

***

ივლისს შორტებში სიარული, უღრუბლო ცა და გახუნებული თმები მოაქვს.

აგურისფერ სკვერში, ამოჩემებულ სკამზე მჯდომს, გვერდით საწერი კალმითა და გადაშლილი ბლოკნოტით შეიარაღებული, ჭორფლიანი გოგონა გიჯდება.

– შეიძლება, რამდენიმე კითხვით მოგმართოთ? – გეკითხება თვალების სწრაფი ფახულით, სადაც ნაბახუსევი დედალი კოღოები თვლემენ. – ეს მოწმობაა, ვინმე რომ

არ გეგონოთ.

– ვინ უნდა მეგონოთ?

– რა ვიცი. ათასი დაიარება. დაზღვეულები რომ ვიყოთ.

– დაზღვეულები? დაზღვეულები რისგან?

გოგოს თვალებში „ჰერალდ ტრიბუნი“ იბეჭდება.

– იცით, მე უბრალოდ დამავალეს, თორემ ძალიან კი არ მინდოდა. ზაფხულია და რედაქციაში ჩემს მეტი არავინ იყო. რედაქტორმა ანგარიში გამიწიეო და მეც მხოლოდ მაგიტომ, თორემ საერთოდ კულტურის გვერდს ვუძღვები...

გოგოს თვალებში ცარიელ კონტეინერს გადამწიფებული პომიდვრებით ტვირთავენ.

– ქალია?

– ვერ გავიგე?

– ქალია?

– ვინ?

– რედაქტორი.

– დიახ.

– თმები ბორდოსფრად აქვს შეღებილი. ტუჩებზე ხასხასა წითელი პომადა უსვია. ზემოთ, მარცხენა მხარეს, მეექვსე კბილი აკლია და სიცილის დროს ფოსოები უჩნდება ლოყებზე.

გოგოს თვალებში მსოფლიოს ნოქართა სილამაზის კონკურსი ეწყობა.

– ... არა.

– ასე, ორმოცი წლის. პრიალა წიგნებს კითხულობს. ყველას თქვენობით ელაპარაკება.

– ...არა.

– მე ვიცნობდი ერთ ეგეთს. ისიც რედაქტორი იყო. რასაც ხმამაღლა ვიტყოდი, ყველაფერს იმახსოვრებდა და ღამით თავის დღიურში იწერდა. მერე ამით წიგნი გამოუშვა და პარიზში მიიწვიეს. იქიდან გრძელ წერილებს მიგზავნიდა თავის ფოტოებთან ერთად. ფოტოები მხოლოდ ღირსშესანიშნავი ადგილების ფონზე ჰქონდა გადაღებული. მერე შეწყვიტა. ფოტოების ღება კი არა, წერილების გზავნა შეწყვიტა. ვიფიქრე, გაამაყდა-მეთქი. ამას წინათ, მისი შვილი შემხვდა. კარგი გოგოა, აერობიკაზე დადის. ასე მითხრა – სტოკჰოლმში ასფალტისფერმა „ვოლვომ“ გაიტანაო. ისე ავნერვიულდი, დამავიწყდა მეკითხა – გადარჩა თუ არა. ამის მაგივრად, სტოკჰოლმში რა უნდოდა, პარიზში არ იყო-მეთქი? პარიზიდან ვენაში მიიწვიეს ეროტიკულ ტრილერში გადასაღებად, იქ ერთი ბელგიელი სუტენიორი გაიცნო, ერთმანეთი შეუყვარდათ და გათხოვდა, მაგრამ ჯვარი არ დაუწერიათო. მოკლედ, ვერაფერი გავიგე...

გოგოს თვალებში ხმელთაშუა ზღვის დაშრობის პროექტს განიხილავენ.

– დიახ.

– ხო და, იმის მერე ვეძებ, თქვენც რაღაცას მეკითხებოდით... რედაქტორიო, კითხვებიო...

– დიახ.

– თუ გნებავთ, კითხვები წერილობით გადმომეცით და წერილობითვე გაგცემთ პასუხს. ყოველ შუადღეს, ამ დროს აქ ვზივარ.

გოგოს თვალებში სპირტიანი სასმელებით ვაჭრობა იკრძალება.

– ყოველ შუადღეს?

– თუ არ გცალიათ, ახლავე დავიწყოთ.

– ...დიახ.

– აბა, გისმენთ.

გოგოს თვალებში სამას არაგველს ერთი დედა ჰყავს.

– ...ისა, უკაცრავად, წყალს დავლევ და ერთ წუთში მოვალ.

გოგო სწრაფი ნაბიჯით მიდის და თვალს ეფარება.

***

აგვისტოს ცხვირის ცემინებები, მაყვლის სუნი და სველი იღლიები მოაქვს.

მეტროპოლიტენის ცარიელ ბაქანზე მდგომი, მოღლილი სახით მარმარილოს სვეტს ხარ მიყუდებული და ელექტრონულ საათს შესცქერი. ბაქანზე მასწავლებელი ქალის თანხლებით პროვინციელი ბავშვების ექსკურსია შემოდის. ქალს გულზე ფოტოაპარატი ჰკიდია.

– ჩვენ ვიმყოფებით მეტროპოლიტენის სადგურის ბაქანზე! – იწყებს მასწავლებელი ენერგიული ხმით და მის თვალებში ბავარიელი მეტალურგების გაფიცვაა. – მეტროპოლიტენის ხაზებზე მოძრავი მატარებლების საშუალებით ხდება მგზავრთა გადაყვანა ერთი სადგურიდან მეორემდე უმოკლეს ხანში.

მასწავლებლის თვალებში ობოლი მერცხლები ეიფელის კოშკზე ბუდეებს იკეთებენ.

– მეტროპოლიტენის პირველმა სადგურმა ჩვენს დედაქალაქში ფუნქციონირება დაიწყო 1960 წელს. გახსნის დღიდან მოყოლებული, მას დღეში დაახლოებით მილიონი მგზავრი გადაჰყავს.

ბავშვები ერთდროულად ასცქერიან ჭერს.

– ახლა კი, ვიდრე მატარებელი მოვიდოდეს, ჩვენ სამახსოვროდ გადავიღებთ ფოტოს.

მასწავლებელი შენკენ ტრიალდება და მის თვალებში გაუჩოები პამპასებში ტანგოს ცეკვავენ.

– ახალგაზრდავ, თითს ხომ ვერ მოგვახმარდით?

მორჩილად ართმევ ფოტოაპარატს.

– აბა, დავეე-წყოთ! – ბავშვები ორ რიგად მწკრივდებიან. მასწავლებელი მწკრივების უკან დგება და გულისპირზე ღილს იხსნის. – გავიღიმოთ და ერთად ვთქვათ სიტყვები – სიმინდი, გვირისტი, მინისტრი, მისისიპი...

– სიმინდი... გვირისტი... მინისტრი... მისისიპი!! – იმეორებენ ბავშვები გუნდად და მასწვალებლის თვალებში მალაიზიელი მარგალიტის მაძიებლები ზღვაში გადიან.

შენ ფოტოაპარატის ღილაკს თითს აჭერ. მერე, აპარატს თვალიდან იშორებ და მასწავლებელს უბრუნებ. ბაქანზე ცარიელი მატარებელი დგება და კარებს ხმაურით აღებს.

მასწავლებელი პირველი შედის ცარიელ ვაგონში. ბავშვები რიგრიგობით მიჰყვებიან უკან.

– ფრთხილად კარები იკეტება! – ისმის ამ დროს დიქტორის ხმა, ყველა კარი მართლაც ერთდროულად იკეტება და ბავშვებიდან ერთ-ერთი – ცეცხლისფერთმიანი გოგონა,

გარეთ რჩება. მატარებელი იძვრის და გვირაბისკენ მიემართება. გოგონა შენკენ დაბნეული სახით იხედება და შენ მის თვალებში საერთოდ ვერაფრის დანახვას ვერ ასწრებ, რადგან ის უეცრად ლიანდაგებზე ხტება და გვირაბში შემავალ მატარებელს თავქუდმოგლეჯით მისდევს.

ბაქანზე მარტოდმარტო რჩები.

***

სექტემბერს მზემოკიდებული წვიები, სკოლის ზარები და თმაში ჩარჩენილი ზღვის სუნი მოაქვს.

– და ეგვიპტეზე რას გვეტყოდით? – გეკითხება მერხთან მჯდომს, მკაცრად ჩაცმული ახალგაზრდა ლექტორი ქალი.

– ეგვიპტე, ეს არის პირამიდების, მუმიების და აქლემების ყვითელი ქვეყანა. მისი დედაქალაქია კაირო.

ქალის თვალებში ტაქსოპარკში მძღოლები თოჯინურ მულტფილმებს უყურებენ.

– თქვენ თუ გემასხრებათ, მე თქვენთვის არ მცალია!

– და კიდევ, ეგვიპტეში ჰყვავის ერთი ეკლოვანი მცენარე რძიანი ფოთლებით, რომლებსაც ადრე ეგვიპტელი ქურუმები ღეჭავდნენ და თვალდახუჭულები, დიდ და პატარა ამბებს წინასწარმეტყველებდნენ. მათ ისიც კი იცოდნენ, რომ ჩვენ დღეს აუცილებლად უნდა შევხვედროდით ერთმანეთს.

ქალის თვალებში ხელმოცარულ მაკლერთა მსოფლიო კონგრესი ეწყობა.

– თქვენ საერთოდ არ მომზადებულხართ!

– როგორ გეკადრებათ. გუშინ სიზმარშიც კი გნახეთ, ოღონდ შავ-თეთრად. ალბათ, იმიტომ, რომ ტელევიზორი მაქვს შავ-თეთრი და სიზმარმა თქვენზე ძალიან ბევრი რამე გამიმხილა...

– დატოვეთ აუდიტორია!

ქალის თვალებში სემიპალატინსკის კოსმოდრომს არემონტებენ.

– მაგალითად ის, რომ ეგ ვარცხნილობა ვერასოდეს გახდება თქვენი, რადგან თავის დროზე, ნეფერტიტის ჰქონდა ზუსტად ეგეთი.

– თუ შეიძლება, გაბრძანდით!

ქალის თვალებში ტრანსკავკასიური მაგისტრალი გაჰყავთ.

– ხომ გესმით, მე ქურდობას გწამებთ, თქვენ კი – უცოდველ უცოდინარობას.

– თუ არ გახვალთ, გავალ მე!

ქალის თვალებში სარაევოს გარეუბნებს ბომბავენ.

– და კიდევ, სიზმარმა მითხრა, რომ ძალიან გინდათ გათხოვება, ოღონდ რატომ – არ იცით. უბრალოდ, ასეა მიღებული, მოსაპარი უნდა მოიპაროს, მოსაკლავი უნდა მოიკლას, მოსატყ... უკაცრავად... და მოქმედებთ იმით, რომ საერთოდ არ მოქმედებთ.

– გაეთრიეთ!

ქალის თვალებში მესამე მსოფლიო ომის სამზადისია.

– ნებისმიერ ქალს შეუძლია, თავის ცხოვრებაში მინიმუმ ერთი სიკეთე მაინც ჩაიდინოს, მინიმუმ ერთი ვინმე მაინც გააბედნიეროს იმით, რომ სიცოცხლე აჩუქოს... გაიღიმეთ... მე ხომ მომავალ დედას ველაპარაკები!

– კრეტინი!!

აწითლებული ქალი ქუსლების მწარე პაკაპუკით ტოვებს აუდიტორიას და კარს მთელი ძალით იჯახუნებს.

***

ოქტომბერს ყვითელი ფოთლები, გრძელი პალტოები და ნაქსოვი ქუდები მოაქვს.

– ლალი!.. ლალი!! – აჰყვირი ხუთსართულიან სახლს.

– რა გაყვირებს!

– ჩამო რა.

– რა გინდა!

– ჩამო, გავისეირნოთ.

– არ მცალია!

ქალის თვალებში საშემოდგომო ფეხსაცმლის მაღაზიებს ლუქავენ.

– ლალი, რაღაც მინდა გითხრა!

– მითხარი.

– აქ ვერა. სკვერში გავიდეთ. იქ გეტყვი!

ქალის თვალებში პიანინოს ამწყობთა დემონსტრაცია შიმშილობას აცხადებს.

– ხომ გითხარი, აღარ მოხვიდე-მეთქი. შენი ბოდიშები აღარ მაინტერესებს!

– ბოდიშის მოსახდელად არ მოვსულვარ!

– აბა, რა გინდა!

– სიზმარში გნახე, ლალი. სარკის წინ იდექი და იღლიებს იპარსავდი. ნეტავ რას უნდა ნიშნავდეს?

– იდიოტო!

ქალის თვალებში უპატრონო ძაღლები ერთმანეთს ეღ-

ლაბუცებიან.

– მართლა კი არა. უფრო კაი რამე უნდა გითხრა, ლალი!

– იცოდე ქმარს დავუძახებ!

– სახლში არაა. ახლა გავიდა, დავინახე. როგორ გამელოტებულა. ლალი, გახსოვს ჩემი ოთახი?

– თავი დამანებე!

ქალის თვალებში საგადასახადო ინსპექციები ხორცკომბინატებს დახურვით ემუქრებიან.

– კატა შევუშვი ჩემს ოთახში და მაინცდამაინც იქ დაწვა, სადაც ათი წელი საწოლი მედგა.

– არ მაინტერესებს!

– ათი წელი ცუდ ადგილას მძინებია, ლალი. იმიტომ იყო, დღე ჩემთვის მზის ამოსვლით რომ არ იწყებოდა.

– მეზობლებს გინდა დავუძახო?!

ქალის თვალებში სირდარია და ამუდარია ბამბის პლანტაციებს აღარ რწყავენ.

– შენთან ძილი მომენატრა, ლალი. შენი ხალების თავიდან დათვლა მომინდა, ლალი!

– გაეთრიე აქედან!

– თან გუშინ ბოლო სიბრძნის კბილი ამომივიდა. დავსრულდი, ლალი!

– იცოდე, ამ ქოთანს გესვრი!

– ეგ ალოე ხომ მე გაჩუქე? დაბადების დღეზე, ლალი. საჩუქრებს არ ისვრიან. წავედი. ერთ წყალში მართლა მეორედ კი არ შევალ. ხელისგულზე მიმკითხავეს ამასწინათ. დიდ სითეთრეში შედიხარო. იქ მირჩევნია.

მკვეთრად გატრიალებული პირველ ნაბიჯს დგამ.

ფანჯარაში გადმოყუდებული ქალის თვალებში ნიურნბერგის პროცესი სრულდება.

ქალი რაფაზე მდგარ ქოთანს ორი ხელით იღებს და შენკენ გამწარებით ისვრის.

ქოთანი კეფაში გხვდება და ასფალტზე იშხლართები.

***

ნოემბერს თბილი ჯემპერები, სველი ასფალტი და გაქაჩლებული ხეები მოაქვს.

თეთრ საწოლზე მწოლს, მძაღე სითეთრეში გეღვიძება. ოთახს თეთრი კედლები აქვს. ირგვლივ ცარიელი საწოლებია. თავზე ორი თეთრხალათიანი ქალი გადგას და სახეზე გაკვირდება.

– იღიმება. – ამბობს მაღალი.

– იცინის. – აზუსტებს ქერა და ორივეს თვალებში სიცილიური პარტია თამაშდება.

ქერა თეთრ ბლოკნოტში რაღაცას იწერს და მაღალს ლათინურად სისინა ფრაზას უგდებს. ისიც სისინით პასუხობს. კაი ხანს სისინებენ. მერე შენკენ ტრიალდებიან.

– გამოკეთების ნიშნები გეტყობათ.

– გვეგონა, რომ ვერ გადაიტანდით.

შენ უდარდელად იღიმები.

– მეტყველების და აზროვნების უნარი მთლიანად დაკარგული გქონდათ.

– ხვალ წამოგაყენებთ, ცოტას გაგატარებთ. კუნთები სულ დაგისუსტდათ.

შენ მაინც უდარდელად იღიმები.

– ახლა კი, სჯობს თვალები დახუჭოთ. სახეზე ზედმეტად თეთრი ფერი გადევთ.

– გადანერწყვება თუ მოგინდეთ, ღამის ქოთანი საწოლის ქვეშაა.

შენ ისევ უდარდელად იღიმები.

ქალების თვალებში ბოშა ქალები წითელ ფოსფორს ყიდულობენ.

– მე... თქვენ... გიცნობთ. – ჩურჩულებ გარკვევით. – თქვენ დედა-შვილი ხართ და... დებად ასაღებთ თავს.

ქალები ერთმანეთს შეჰყურებენ და მათ თვალებში ინდიელები დედალ მუსტანგებს ხედნიან. მერე მკვეთრად ტრიალდებიან და სწრაფად გადიან ოთახიდან.

***

დეკემბერს წითელი ცხვირები, სახის სუსხიანი ნაკვთები და პირველი თოვლი მოაქვს.

– სიგარეტს ვერ მომიკიდებ? – გეკითხება თავგადახოტრილი გოგო.

– ინებეთ.

– შენს გვერდით რომ დავჯდე? ექიმებმა არ მინდა დამინახონ, რომ ვეწევი. თუ ვინმე გამოივლის, შენ მოგაწვდი, კარგი?

– აჰა...

– ცივა, არა?

– ძალიან.

გოგოს თვალებში მენაყინეობის ფაკულტეტი სტუდენტებს სტიპენდიას უკავებს.

– მე შემოდგომა მირჩევნია. ხეებს რომ ფოთლები სცვივა, – ამბობს გოგო.

– რატომ?

– ფოთლებს ვაგროვებ ხოლმე. და ვთბები.

– თბილი ყველაფერი კარგია. – უქნევ გოგოს თავს და იღიმები.

გოგოს თვალებში აბორიგენები თავიანთ ფეხის თითებს შორის ჩაგროვილ ჭუჭყს დასცქერიან.

– წელიწადის დროებიდან ყველაზე ლამაზი ხომ, მაინც, შემოდგომაა? – არ გეშვება გოგო.

– ყველაზე ლამაზი? – იმეორებ კითხვას. – ყველაზე ლამაზად ამ ორი თვის წინ მითხრეს... მეზობელი მყავს გარეთ ერთი... სონა... ქირომანტობს ხოლმე... ხელისგული მაჩვენეო... ჩემგან რა მიდის-მეთქი?.. არაფერიო... გავუწოდე... ესე კი, არ ციოდა... კაი სითბო იდგა... იმან კიდევ... თუ მოგკლავს, სიცივე მოგკლავს, სიკვდილი კი, არაო... მერე იქვე... ისე, რა მნიშვნელობა აქვს, სიცივე მოგკლავს თუ სიკვდილიო... ორივე შემთხვევაში მკვდარი ხარ და ორივე შემთხვევაში მოთქმით გტირიანო... ორივე შემთხვევაში შენს საფლავს მინდვრის ყვავილებით რთავენ და შენს გადიდებულ, შავ-თეთრ ფოტოსურათს ორივე შემთხვევაში პიანინოს თავზე კიდებენო... ხომ ლამაზად თქვა?

გოგოს თვალებში მსუქანი ქალები გასახდომად ღორის სოლიტერს ყლაპავენ.

– დიდი ხანია, რაც წევხარ? – გეკითხება რიდით.

– არ მახსოვს. – პასუხობ და თითებს იმტვრევ.

– აქაური ხარ?

– არა.

– ჩამოსული?

– არა.

გოგოს თვალებში ატლანტიდის საძებრად წამსვლელი ექსპედიცია ყალიბდება.

– ვაიმე, გამომართვი!

– ვინაა?

– მთავარი ექიმი.

– ისე, რაც ლამაზია, იმას ახსნა-განმარტება სულაც არ სჭირდება. უბრალოდ ლამაზია და მორჩა.

– ვაიმე, როდის წავა? შეყვარებული მყავს თხუთმეტ წუთში დაბარებული იქითა ბლოკიდან.

– ლამაზია?

– ვინა?

– შეყვარებული.

– მესამეზე წევს. გამჭვირვალე თვითმფრინავი ჰყავს. თვითონ ატარებს ხოლმე. იცი, რა მაგრად? ისეთი უცნაური პირუეტების კეთება იცის. ამას წინათ დიდ აკვარიუმს დაეჯახა და თევზები სულ გამოუშვა!

გოგოს თვალებში ლილიპუტ კალათბურთელთა გუნდი მსოფლიო ჩემპიონი ხდება.

– ... კიდევ, თავი აქვს გადახოტრილი და სულ თეთრი ქუდი ახურავს, შუბლის მარცხენა მხარეს შრამი აქვს. არათითზე ჩემი ნაჩუქარი თმის რეზინის ბეჭედი უკეთია.

– ვიცნობ.

– საიდან?

გოგო სახეზე პირველად გაკვირდება და განზე გველნაკბენივით ხტება.

– რა გჭირს? – გეკითხება შეშინებული.

– რა მჭირს?

– სახეზე სიკვდილის ფერი გადევს.

– სიკვდილი რა ფერია?

– თეთრი.

– მესამე სართულიდან ნასროლი თეთრი ქოთანი მომხვდა თავში.

გოგოს თვალებში ადამიანისხელა სარანჩა სიმინდის ყანას ანადგურებს.

– მერე?

– მერე მოვკვდი.

***

სანაპიროს გასწვრივ ჩამწკრივებულ ხეებს საღამოს ქარი აჩხრიალებს.

შენი სვიტერის მკაცრად ჩაბღუჯულ საყელოს ბერიკაცი ხელებს უშვებს და მდინარისკენ ტრიალდება. დინებას ისე ნაგავი მიაქვს.

– იმ გოგოს რა მოუვიდა? – ეკითხები ჩავარდნილი ხმით.

– რომელს?

ანკესი ირხევა. ბერიკაცი გორგოლაჭს ატრიალებს და კაუჭს წყლიდან თევზი ამოჰყავს. ბერიკაცი კაუჭიდან თევზს ხსნის და გაწვდის.

– აჰა.

– რად მინდა?

ბერიკაცის თვალებში შიშველმკლავება ქალები თოკებზე აბრეშუმის საცვლებს ფენენ.

– გამომართვი! – გეუბნება და თევზს ხელებში გაჩეჩებს, – თვალებში ჩახედე, – გარიგებს იქვე, მშვიდად. – ჩაიფიქრე რამე, მერე გაუშვი და აგისრულდება.

შენ თევზს ყურადღებით დაჰყურებ. მის თვალებში წელიწადის თორმეტი თვე გადადინდება და ერთმანეთში უსისტემოდ ირევიან ვირთხიანი სარი, წითელი კიმონო, ზამთრის მზისგან უზომოდ გაშავებული სხეული, ჯინსის შარვალი, ტელეფონის ყურმილი სარკეში, ყავისფერი ტუჩები, ჭორფლიანი სახე, ფოტოაპარატი და ბნელი გვირაბი, აუდიტორიის თეთრი კედლები, ალოე, თეთრი ხალათები, გადახოტრილი თავი...

ხელს მთელი ძალით იქნევ და თევზს მდინარეში ისვრი.

ბერიკაცი ანკესის დაშლას იწყებს. დაშლილს გრძელ ჩანთაში დებს. ჩანთას მხარზე იკიდებს და შენკენ ტრიალდება. მის თვალებში თეთრი წეროები თბილი ქვეყნებიდან ბრუნდებიან.

– აბა, შენ იცი, – გეუბნება წყნარად და მიდის.

შენ თვალს აყოლებ. მისი ფიგურა ნელ-ნელა პატარავდება და ქრება.

ათრთოლებული, სახეზე ხელისგულებს იფარებ და იკუზები. ქარი მაშინვე დგება და სახეზე ხელისგულებაფარებულს უცებ, უზომოდ თბილი ჰაერი გიბერავს.

სახიდან ხელისგულებს სწრაფად იშორებ და ფეხზე წამომართული, აქეთ-იქით იყურები.

მეტროპოლიტენის ცარიელ ბაქანზე, მასწავლებელი ქალის თანხლებით, პროვინციელი ბავშვების ექსკურსია შემოდის. ქალს გულზე ფოტოაპარატი ჰკიდია.

– ჩვენ ვიმყოფებით მეტროპოლიტენის სადგურის ბაქანზე, – იწყებს მასწავლებელი ენერგიულად და მის თვალებში ბავარიელი მეტალურგების გაფიცვაა.

– მეტროპოლიტენის ხაზებზე მოძრავი მატარებლების საშუალებით ხდება მგზავრთა გადაყვანა ერთი სადგურიდან მეორემდე უმოკლეს ხანში.

მასწავლებლის თვალებში ობოლი მერცხლები ეიფელის კოშკზე ბუდეებს იკეთებენ.

– მეტროპოლიტენის პირველმა სადგურმა ჩვენს დედაქალაქში ფუნქციონირება დაიწყო 1960 წელს. გახსნის დღიდან მოყოლებული, მას დღეში დაახლოებით მილიონი მგზავრი გადაჰყავს.

ბავშვები ერთდროულად ასცქერიან ჭერს.

– ახლა კი, ვიდრე მატარებელი მოვიდოდეს, ჩვენ სამახსოვროდ გადავიღებთ ფოტოს. – მასწავლებელი შენსკენ ტრიალდება და მის თვალებში გაუჩოები პამპასებში ტანგოს ცეკვავენ. – ახალგაზრდავ, თითს ხომ ვერ მოგვახმარდით?

მორჩილად ართმევ ფოტოაპარატს.

– აბა, დავეე-წყოთ! – ბავშვები ორ რიგად მწკრივდებიან. მასწავლებელი მწკრივების უკან დგება და გულისპირის ღილს იხსნის. – გავიღიმოთ და ერთად ვთქვათ სიტყვები – სიმინდი, გვირისტი, მინისტრი, მისისიპი.

– სიმინდი... გვირისტი... მინისტრი... მისისიპი!! – იმეორებენ ბავშვები გუნდად და მასწავლებლის თვალებში მალაიზიელი მარგალიტის მაძიებლები ზღვაში გადიან.

შენ ფოტოაპარატის ღილაკს თითს აჭერ. მერე აპარატს თვალიდან იშორებ და მასწავლებელს უბრუნებ. ბაქანზე ცარიელი მატარებელი დგება და კარებს ხმაურით აღებს.

მასწავლებელი პირველი შედის ვაგონში. ბავშვები რიგრიგობით მიჰყვებიან უკან.

– ფრთხილად, კარები იკეტება! – გარკვევს უცებ ფიქრებიდან დიქტორის ხმა.

სწრაფი ნაბიჯით მიდიხარ ვაგონთან და მის კარს ხელით იჭერ.

ბავშვებიდან ბოლო, ცეცხლისფერთმიანი გოგონა ვაგონში შებიჯებამდე წამით გავლებს მადლიერ მზერას და მის თვალებში მინდვრის ყვავილების ჭრელად მობიბინე მდელოს დანახვას ასწრებ, რომელსაც თავზე ჭრელი პეპლები დაჰფარფატებენ.

გოგონა ღია კარში შერბის. შენ კი უმალ უკან დგამ ნაბიჯს და ვაგონის კარიც ხმაურით იკეტება. ვაგონის შუშის მიღმა მასწავლებლის და ბავშვების გაკვირვებული სახეებია. მატარებელი ნელა იძვრის, მერე სიჩქარეს უმატებს და ბნელ გვირაბში კივილით შედის.

ცარიელ ბაქანზე მარტოდმარტო დარჩენილი, გვირაბის სიღრმეში ჩაკირულ სიშავეს მონუსხული მიჩერებიხარ. ნიკაპაკანკალებულს, სახის ყველაზე სველი ადგილი ნელა გევსება მლაშე სისველით და ვიდრე ყელში მომდგარი ტკივილის გორგალი ხმამაღლა დაგღვრიდეს – შესამჩნევს ამჩნევ:

...მარჯვენა ხელში, მინდვრის ყვავილების ჭრელი თაიგული გიჭირავს.

პოეზია

ასე სჯობს

აკი გითხარი, არ მიეჯაჭვო.
ასე სჯობს –
ბარში, სადაც ვსვამთ, ოღონდ მე იმდენს როგორ.
სადაც იმიტომ შემოვედით, რომ რაღაცას ისეთს უკრავდნენ
–
mama, I m coming home–
გვიანია.
ისე ახლოს ვართ –
ვერავინ იტყვის, რომ ერთმანეთს თითქმის არ ვიცნობთ,
თუმცა პირველად კი არა და –
ითქმის, რომ ვხვდებით.

ვსხედვართ კუთხეში –
არავისბიჭი.
არავისგოგო.
ერთმანეთის სხეულებზე მიბჯენილები,
მიყრილები ერთმანეთის მარტოობებზე –
ქალაქში, სადაც აღარავინ არ არის მარტო,
სადაც სუყველა უკან მიითრევს
საკუთარ ჩრდილზე ასხმულ-გამობმულ
ქუჩებს. მოედნებს. შადრევნებს. სახლებს.
მიყრილები ერთმანეთის უძილობებზე –
ქალაქში, სადაც ყველას სძინავს და ერთმანეთს ესიზმრებიან
–
დაბურცული ტუჩებით და
მოშვებული მეჩხერი წვერით.
ჩვენ – დაუდევრად მიყრილები ერთმანეთის სიყვარულებზე,
რომლებზეც – აბა, ვინ დაიჯერებს, რომ არ ვსაუბრობთ –
რომლებიც ვიცით,
და რომლებიც საკმარისია.

ხოლო როდესმე ერთად ვიქნებით ჩვენ,
შეიძლება არც –
უბრალოდ, ასე ვიქნებით.
დავიმახსოვრებთ ერთმანეთის თვალების ფერს და
უსურვილო სხეულის სურნელს.
და მერე წავალთ.
გვიანია.
წავალთ, უბრალოდ.

ნინო ქევხიშვილი

თებერვალი

2012 წელი თვე

მწერალი
გურამ დოჩანაშვილი
ფოტობრაფი
იური მეჩითოვი

ძნელია რომელიმე თვეზე გამორჩეულად მსჯელობა, რადგან ყოველი თვე, მისი ყოველი დღე და რიცხვი – წმიდასამებისეულია, რაცგინდ დიდი, თვალისმიერი განსხვავება ამ თვეებს შორის იყოს; და არამცთუ მათში შემავალი ათობით დღეები და მათი საათები და წუთებიც ღვთის წყალობით როგორი განსხვავებულად თავისთავადნია, რადგან, არამცთუ ამდენის მომცველი თვე და მათი თავისებურებების ქვეშმყოფი ბუნება და ადამიანები, ქვეყნად ყოველი მსხმოიარე ხის მართლაცდა როგორ უთვალავ, აურაცხელ ფოთლებშიაც კი თურმე ორი ერთნაირი არ არსებობს...

მე თებერვალზე საუბარი მხვდა, წილად.

თვალისთვის უფრო აშკარად გამოსარჩევი თვეები როგორ არა გვაქვს:

აპრილი, ჩვენში კვირტობისა და აღორძინების რა მომხიბვლელი, რარიგი შრომის, ხვნისა და თესვის თვე, მისწინა მარტი – ამ განახლების როგორი მზადებისათვის თითქოსდა ძალიან ახირებული, ამინდის რარიგ ცვალებადობით, მესხვადასხვიობით გამორჩეული თვე, – რა ქნას, საღელვი ბევრი აქვს, დიდად; ვარდობისთვე – შემშვიდებულივით სილამაზისათვის რა ამოდ საცქერი, ხილიანობის დასაწყისი; და, უკვე სათიბად და მოსამკალად რარიგი შრომით გადახუნძლული თიბათვე, მკათათვე – ზამთრის თვეების როგორი მაშველი, და გიორგისთვე ხომ...

და,

ამ მადლიანი ქართული მიწისათვის, ისევე როგორც ადამიანებისათვის ღვთით დაწესებული დასვენების დღე კვირა, ასევე ბუნებისათვის სულისმოთქმის თვეები – დეკემბერი, იანვარი, მაგრამ ეს – თითქოს, რადგან ადამიანებისათვის კვირაობით მთავარი ლოცვა იმართება ჩვენს ტაძრებში და ამ თვეებშიც – რა მარადიულ ლოცვასავით მაინც ხომ მარად მწვანობენ მთელი რიგი იმ ნერგებისა, რომლებზეც, სული-ს ახსნისას, რა აქვს ნათქვამი ჩვენი ქართული სიტყვის დიდ პაპას, საბას:

„ნერგნიცა სულიერად ითქმიან, რამეთუ აქუს მათ მოძრაობისა და აღორძინებისა და თესლოვანების ძალიც“.

გლეხებმა, ჩვენმა რა დალოცვილი ლუკმაპურით მარჩენლებმა, განსაკუთრებით იციან ეს, ხოლო ქალაქელებს, ამის რარიგ შესახსენებლად ფოთლოვანი და წიწვოვანი ხეები გვიდგას მიწის არცთუ ხიბლიანი ასფალტით – ამ რა ხელოვნურად დამძიმებული ფერ–უმარილით ამგვარად გადამფარავი, მაგრამ ამ „განვითარებულს“ დროში, თქმა არ უნდა, რომ აი, ესაც კი საჭიროა, მაგრამ, ამ ღვთაებრივი მიწის, ქუე-ყანის მადლი იმითაც მუდამ უნდა გვახსოვდეს ქალაქელებს, რომ, ისევ საბათი:

„ქ ა ლ ა ქ ი – თანამრავლობასა და თანასახლობასა ქ ა ლ ა ქ სახელედების, ვინათგან, კაცი ერთი ვერ კმა ეყოფის თავსა თვისსა, არამედ რათა შევეწეოდეთ ერთიმეორესა და სარგებელსა ვინაყოფდეთ“ – ვასრულებთ კია, ამ რა ჯილდოსი, თავად ბუნების შემყურენი, ამას?

ახლა, თებერვალზე, რომელიც თუმც თითქოსდა დიდად ვერგამორჩეული თვეა, მაგრამ, თუკი დავუკვირდებით, გაზაფხულის დადგომისათვის როგორი მრავლადმომასწავებელი, მოსამზადებელი თვეა მაგრამ ფარულად; მაინც; – რა ჭეშმარიტი ამაგდარობით ძნელშესამჩნევად, მაგრამ რა ცხადი ნაყოფიერებისათვის, როგორ იშმუშნება...

თებერვალს ადრე როგორ შესაფერისად მეტყველი წოდება: „სურწყუნისი“ ერქვა, რაც „სულ რწყვა“-ს ანუ ნაყოფზე „წყლის მიშვება“-ს უნდა ნიშნავდეს; და ზოგან ეს – თებერვალი რა დიდადმყარი ყინულეთობითაც გადაღვსილი თვეა, ჩვენში კი, ან ჩვენს საქართველოში: „თებერვალი დადგაო, ხეში წყალი ჩადგაო“ – არ უნდა ამას დიდი დაკვირვება – როგორის ნელი თანდისთანობით იბზარება შესვენებული, უკვე, ზამთარი.

მაგრამ ნუ გვეგონება რომ ზამთარიც თავისთავისა დამსვენებელი იყოს – ამ – ქალაქელებმაც კი ვიცით, რომ მცენარეულის დარგვა შემოდგომობით უფრო სჯობს, რადგან წინ ის ზამთარი ელით ნერგებს, როდესაც მიწას გაზაფხულობით დასადნობი თოვლი რაც უფრო სქლად აწევს, როგორი შვებით

უხარიათ ეს ჩვენი მიწის რა ერთგულ კაცებს, გლეხებს,

და,

თვით მარცვალიც კი, როგორც ციცქნა, ბუნების რა იდუმალი, დიადი წესით, თუ არ მოკვდება, კენტად იდება მიწაში და, თუკი მოკვდა? ოც და ოცდაათმაგ და სამოცსაც კი თავის მსგავს ნაყოფს ამოიყრის მიწიდან –

რა უცნაური და საკვირველი ჯილდოა ჩვენთვის, ეს,

თვით თავად სახარებაში ნათქვამი,

და,

თუმც „თვეების სიმღერა“-შიც: „თებერვალი უბერავს, როგორც კარგი საბერველი“, რა ქნას იმანაც, ბუნების არამცთუ ღელვა, მრისხანებაც კი რამდენნაირი ვიცით, გაზაფხულის წინ კი სწორედ იმისი მაცნეობა, და შეტყობინებაა, რომ, როგორის ნელი თანდისთანობით იბზარება, შესვენებული კი არა და, იმ რა გატრუნვით დაძაბული, როგორ, ზამთარი,

და, სწორედაც მისით ნაგროვები და შერგებული როგორ, ბოლოს, დამდნარი თოვლით? – რარიგი სიუხვით ამოიყრიან ეს სულიერი ნერგები ყვავილსა და ფოთოლს,

ჩვენ კი, რა ხშირად აღარ გვახსოვს, რომ ყოველი ნაყოფი, საქართველოში კი განსაკუთრებით რა უხვად გვებოძება, და ნუ მივივიწყებთ რომ ყოველი ხილი, რაცგინდ გვიან მოსული, ეს – მთელი ბუნების, 12-ვე თვით რა მწყალობელი სასწაულია,

ნუ გავგულგრილდებით ამ წყალობათა აურაცხელობით,

და ჩვენი გლეხკაცობაც გვახსოვდეს მუდამ, რა უხსოვარი დროიდანვე მიწადმოქმედთან ერთად რარიგ ტევადი, ამაღლებული, და სამშობლოსმიერი სიტყვა – ქუდზე კაცი რომ ერქვა და ამა დიადი მაგალითით – მოუღალავი თვეების მსგავსად, ნიადაგ მშობლიური სამშობლოსა და მიწისათვის რომ იყო შემართული,

და ჩვენი რა მრავალმხრივი, ხალხური შემოქმედების მრავალსახეობასთან ერთად, ჩვენი ურთიერთშეხუმრებებიც, ყოველ კუთხეში რა მადლიანად განსხვავებული, გავიხსენოთ; ერთ მათგანსღა შეგახსენებთ:

მარტს, მოგეხსენებათ, გიჟ-გადარეულ თვეს ვეძახით, მისი უკიდურესი მესხვადასხვიობით და, ერთიც არაჩვეულებრივად განათლებული, კეთილი, თავისი საქმის დიდად ღრმადმცოდნე თანამშრომელი გვყავდა ერთ-ერთ სამსახურში, რომლებიც არცთუ იშვიათად გამომიცვლია; ეს მრავალი სიკეთით დაჯილდოებული პიროვნება კი, თავისი სუფთა და შეუნიღბავი ხასიათის გამო დიდად მძაფრ შთაბეჭდილებებაღძრული (ანუ „ემოციური“) გახლდათ, და, ერთხელაც, დაბადების დღეებზე რომ ჩამოვარდა საუბარი და ვიკითხე, ეს ბატონი (ქალბატონი) ნეტა რომელ თვეშია დაბადებული-მეთქი, ერთმაც თანამშრომელმა ხუმრობით, მაგრამ ძალიან აგდებულად მომაშვირა ხელი:

„შენ ჭკუა გაქვს ამას რომ მეკითხები?.. რომელ თვეში იქნება

დაბადებული ––––კო, რაღა თქმა უნდა, მარტში“-ო და, რა გულიანი სიცილი აგვიტყდა, რადგან, ჩვენ ორნიც მარტში დაბადებულები გახლდით და ასაკისდამიუხედავად, ახლაც ვართ,

ხოლო, თებერვალზე?

თუმც ეს მხოლოდ ხუმრობა აღარაა, რადგან კაი მყარ-მდგრადი სიმართლეც ურევია, მომდევნო მაგალითს; ამ ნათქვამს:

ასევე, თანამშრომლებში რომ ჩამოვარდა ერთხელ „მსჯელობა“ – ნეტავ რომელი თვე სჯობს, სხვებსო? ვინ რომელიღა არ თქვა რომელიმე თვის „დასაწინაურებლად“ და, ერთმა კი, მხოლოდ მან – ერთმა სწორედაც რომ ეს – თებერვალი დაასახელა და თავიდან ცოტა კი არა, კარგადაც გაგვიკვირდა ეს, მაგრამ, ისეთი დასაბუთებული ახსნა მოაყოლა თავის ამ მოსაზრებას, რომ... –

მთლად სუყველანი დავეთანხმეთ; კი;

რატომ სჯობსო და, მთელი სამი დღით თუ არა, ერთი დღით მაინც ხომ უფრო ადრე გვაქვს, ხელფასიო... –

დავეთანხმებოდით, არ?

ხელფასი სამი დღით ადრე

ავტორი მაშო სამადაშვილი

სამსახურში მისვლისთანავე კალენდარს ჩავხედე – თებერავლი, გურამ დოჩანაშვილი და იური მეჩითოვი. მაშინვე ჩამოვწერე კითხვები და გურამთან დავრეკე. ალბათ, სულ ხუთი წუთი ვისაუბრეთ, „არ მიყვარს ჩემი თავის გამომზეურება, რაც დავწერე, სხვებმა შეაფასონო“ – ასე მითხრა.

ბევრი ვიფიქრე თუ ცოტა, ისევ ჩამოვწერე კითხვები და უფრო ვრცელი ინტერვიუს იმედით დავრეკე:

– გამარჯობა, ბატონო იური, „ცხელი შოკოლადიდან“ გირეკავთ, სულ ნახევარი საათით მინდა დაგელაპარაკოთ.

– რასთან დაკავშირებით?

– თქვენი და გურამ დოჩანაშვილის ერთობლივ პროექტთან დაკავშირებით, მაინტერესებს, როგორ შეიქმნა „თქვენი თებერვალი“.

– რედაქციაში ამოსვლას, ალბათ ვერ მოვახერხებ.

– მე ჩამოვალ.

– ახლა პირველია, ორზე მშრალ ხიდთან, სხვანაირად არ გამოვა, მოხვალთ?

– რა თქმა უნდა.

მშრალ ხიდთან

– კარგია, რომ მოხვედით. ბესიკის ქუჩაზე ავდივარ, გზად დავილაპარაკოთ, არა?

– დიახ, – თანხმობის ნიშნად თავს ვუქნევ.

– ნოემბერში დამირეკეს და მითხრეს, რომ რამდენიმე ფოტო უნდა გადამეღო. გულწრფელად რომ ვთქვა, ანაზღაურება ძალიან მომხიბვლელი იყო, პროექტიც საინტერესო მომეჩვენა, რადგან კენჭისყრით უნდა შერჩეულიყო – თორმეტი მწერლიდან რომელთან დამაწყვილებდნენ, მაგრამ, მე მგონი, ჩვენ შემთხვევაში, წინასწარ გადაწყვიტეს „ბებრები“ ერთად იყვნენო. თან, მე და გურამი დიდი ხანია ერთმანეთს ვიცნობთ, კინოსტუდიაშიც გვიმუშავია ერთად, ერთმანეთის შემოქმედებაც ვიცით, რაც საქმეს გაიოლებდა, მაგრამ, მაინც მგონია, რომ „ბებრების“ პრინციპით იმოქმედეს.

გადასასვლელზე, დედაენის ბაღთან

– ფრთხილად, მანქანამ არ დაგარტყას! ლიტარატურის მუზეუმში შევიაროთ, მეგობარს ვნახავ, მანამდე კიდევ რაღაცებს მოგიყვები.

– კი, ბატონო.

– მე და გურამი შევხვდით, დავილაპარაკეთ. მასთან ვიყავი სახლში, გადავიღე კიდეც. შევთანხმდით, რომ თებერვალი კარგი თვეა, მოკლე. ხელფასსაც ადრე იღებ და ზამთრისგან თავმოძულებულს, გაზაფხულის მოახლოება განწყობასაც გიმაღლებს.

რამდენიმე დღის მერე ტექსტი ვნახე, ვფიქრობდი, როგორ გადამეღო თებერვალი. რადგან მოთხრობას სხვა პერსონაჟები არ ჰყავს, ჩემი ფოკუსის ობიექტი თვითონ თებერვალი უნდა ყოფილიყო. სახლში მისულმა, 2005 წლიდან მოყოლებული თებერვალში გადაღებული ფოტოების თვალიერება დავიწყე.

– მოიცა, შენ ყველაფერ ამას იმახსოვრებ?

– დიახ, მაგრამ თუ რამეა, დიქტოფონიც აქ მაქვს.

– მე ისედაც ყოველდღე ვიღებ, თებერვალში გადაღებული ფოტოებიც ბლომად აღმომაჩნდა, რამდენიმე ავარჩიე. ერთი ფოტო ყვარლის მიდამოებში, გრემისკენ გზად გადავიღე – უკან დათოვლილი კავკასიონის ქედია, წინ, გზის პირას გაშენებული ვენახი – თებერვალია, არა?

–კიდევ გაქვს კითხვები?

– დიახ, ვიდეო-კლიპში გურამ დოჩანაშვილი არ ჩანს, ამაზე რას მეტყვით?

– ბევრს ვერაფერს, გურამს კამერები არ უყვარს, არც დამიძალებია. მე მგონი, მარტო ჩვენი ვიდეოა ასე „ცალმხრივი“.

– არც ბურჭულაძე-მესხს უმუშავიათ ერთად – ვახსნებ.

ფოტო: იური მეჩითოვი

ფოტო: ბაია დეისაძე

– აა, ჰო, მართალია, მთლად მარტოც არ ვყოფილვართ.

ისევ გადასასვლელი, ლიტერატურის მუზეუმისკენ.

– გამოიწიე, არ დაგეჯახოს. შემოხვალ?

– არა, მეჩქარება.

– სულ ეს იყო?

– დიახ.

– დაგერეკა და ამ კითხვებზე ისედაც გიპასუხებდი, რას იყინებოდი?

– რა ვიცი, აბა.

– აბა, დროებით! ისე, მაშო, მაგარი სახელია!

ბერლინალე 2012
კლასიკა ამარცხებს მოდას

ავტორი გიორგი გვახარია

ფოტოები: REUTERS

მსახიობი ენდი მაკდოუელი "ბერლინალეს" 62-ე კინოფესტივალზე, 12.02.2012

უჩვეულოდ მხიარული გამოდგა თვითმფრინავის რეისი – ბერლინი-ამსტერდამი, რომლითაც ბერლინის კინოფესტივალიდან, ამსტერდამის გავლით, თბილისში დაბრუნება მომიხდა. კლმ-ის პატარა თვითმფრინავი თითქმის მთლიანად სავსე იყო „ბერლინალეს“ სპონსორის, ჰუგო ბოსის წითელ-ჩანთებიანი მგზავრებით, რომლებიც ჰოლანდიურ ენაზე განიხილავდნენ ფესტივალის საკონკურსო პროგრამას. ჟურნალისტები და კინემატოგრაფისტები ფეხზე იდგნენ და გაცხარებით კამათობდნენ. ყოველი ფილმის ხსენების შემდეგ, მინიმუმ, ერთი მგზავრი მაინც დაიჯღანებოდა ხოლმე. ამის ყურება უაღრესად სახალისო გამოდგა ჩემთვის – ენა არ მესმოდა, მაგრამ ვხედავდი მთელ თვითმფრინავს ბერლინის ფესტივალზე აკრედიტებული ჰოლანდიელი ჟურნალისტებისა, რომლებიც ზუსტად ისე დასცინოდნენ მსოფლიოს ნომერ მეორე კინოფორუმს (კანის შემდეგ), როგორც ჩვენ, ქართველებმა დავცინეთ ფესტივალის დღეებში, ფაქტობრივად, ყოველი სეანსის დასრულების შემდეგ. პრინციპში, სასაცილო არაფერი იყო – ბერლინის კინოფესტივალის დირექტორმა, დიტერ კოსლიკმა, რომელსაც 62-ე ფესტივალის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე, 2017 წლამდე გაუგრძელეს კონტრაქტი (იგი ყველა რეკორდს მოხსნის კინოფესტივალების ისტორიაში – ყველაზე „ხანგრძლივი დირექტორი“ იქნება), შთაგონებულმა შარშანდელი „ბერლინალეს“ წარმატებით, ამჯერად შეარჩია ყველაზე ცუდი საკონკურსო პროგრამა ამ კინოფორუმის ისტორიაში.

იშვიათად ხდება ასე – 62-ე „ბერლინალეზე“ გაბრაზდა ყველა; არ დარჩენილა ავტორიტეტული კინოჟურნალი, ასე თუ ისე ცნობილი კინოკრიტიკოსი, ბერლინის ფესტივალის პროგრამა „ყველაზე ცუდად“, ან „ძალიან ცუდად“ რომ არ მოენათლა. საკონკურსო სეანსებზე, ფესტივალის მიწურულს, ცარიელი სკამი ბევრი იყო ფესტივალის უზარმაზარ სასახლეში, რაც აქ თითქმის წარმოუდგენელი იყო აქამდე. კოსლიკი ამაყობდა იმით, რომ შარშანდელ „ბერლინალეზე“ 300 000 ბილეთი გაიყიდა და რომ შარშანდელი ფესტივალის ლაურეატი, ირანული ფილმი „გაყრა“, ამერიკულ „ოსკარზეა“ წარდგენილი. თუმცა, კრიზისი უკვე შარშანდელ „ბერლინალეზეც“ იგრძნობოდა – უსაშველოდ პოლიტკორექტულ ერთფეროვნებას, სიახლის შიშს, დაემატა ახლა უკვე ღია ბოიკოტი, რომელსაც ცნობილი კინემატოგრაფისტები უცხადებდნენ ბერლინის კინოფესტივალს... თითქმის ყველა დიდი რეჟისორი თავის ფილმებს კანის კინოფორუმისთვის ინახავს, რადგან აღმოჩნ-

და, რომ სწორედ კანში ნაჩვენებ ფილმს აქვს გაქირავების კარგი პერსპექტივა მსოფლიოში. და მართალია, ბერლინის კინობაზრობა ყველაზე მასშტაბურად ითვლება, მართალია, ეკონომიკური კრიზისის მიუხედავად, „ბერლინალეს“ ბიუჯეტი ერთი ცენტითაც არ შემცირებულა, მართალია, ბერლინის კინოფორუმი კვლავ სარგებლობს პოლიტიკური თვალსაზრისით ყველაზე მწვავე ფესტივალის რეპუტაციით, იმ ავტორებს და იმ კინოვარსკვლავებს, რომლებიც მოდას ქმნიან თანამედროვე კინოში, მაინც კანში გამგზავრება ურჩევნიათ.

წელს „ბერლინალეს“ დირექციამ თავიდან თითქოს უკან დაიხია და აღიარა, რომ ბერლინის ფესტივალის „მასშტაბური პროვინციალიზმის“ მიზეზი ის კი არაა, რომ „კინო აღარ ვარგა“ და „კარგ ფილმებს სულ უფრო ნაკლებად იღებენ“ (ასე პასუხობენ ხოლმე „ბერლინალეს“ დამცველები ფესტივალის კრიტიკოსებს), არამედ ის, რომ ცნობილ კინემატოგრაფისტებს აღარ აქვთ სურვილი გაიყინონ დათოვლილ ბერლინში და „შეეჯიბრონ“ სოციალური და პოლიტიკური თვალსაზრისით მწვავე, მაგრამ მხატვრულად საეჭვო კინოპროდუქციის ავტორებს. დიტერ კოსლიკმა 62-ე „ბერლინალეს“ კონკურსგარეშე პროგრამებში ჩართო ფილმები, რომელშიც მთავარ როლებს კინოვარსკვლავები ასრულებენ (რაც ამ ხალხის ბერლინში ჩამოყვანის შანსს ქმნიდა); დიდი ხანია, ფესტივალს ამდენი ვარსკვლავი არ სწვევია. უფრო მეტიც, ჰოლივუდის ვარსკვლავებმა აქ თავიანთი, როგორც რეჟისორების სადებიუტო ფილმებიც ჩამოიტანეს – ანჯელინა ჯოლიმ უჩვენა სურათი, რომელსაც 90-იანი წლების სერბეთში გადავყავართ, მისმა ყოფილმა მეუღლემ, ბილი ბობ ტორნტონმა კი, მთლად კონკურსში მიიღო მონაწილეობა ფილმით „ჯეინ მენსფილდის მანქანა“ – ფაქტობრივად, ერთსერიანი სატელევიზიო ფილმით, რომელიც ორი დიდი ოჯახის ისტორიას ასახავს, თუმცა ავტორს აშკარად არ ჰყოფნის ოსტატობა შეკრას ეს „დიდი სივრცე“. სწორედ რეკლამისა და მაყურებლის მოზიდვის მიზნით ჩართეს „ბერლინალეს“ პროგრამებში წლევანდელ „ოსკარზე“ წარდგენილი ფილმები, ჩამოიყვანეს მერილ სტრიპი, გადასცეს საპატიო „ოქროს დათვი“ და უჩვენეს, ჩემი აზრით, სამარცხვინოდ პრიმიტიული – მარგარეტ ტეთჩერის მხატვრული კინოპორტრეტი, რომელიც, რატომღაც მგონია, მერილ სტრიპის ქართველ თაყვანისმცემლებსაც გულს ატკენს.

დიტერ კოსლიკი სნობი კინოკრიტიკოსების არმიის „მოსყიდვასაც“ შეეცადა – შეარჩია ჟიური, რომელიც ნამდვილად შეიძლება ითქვას, დიდი ხანია არ ყოფილა ასეთი ავტორიტეტული. არც აქ, არც კანში და არც ვენეციის კინოფორუმზე – ჟიურის თავმჯდომარე, ბრიტანული კინოს (და შეიძლება, მსოფლიო კინოს) ერთ-ერთი ლიდერი, მაიკ ლი, ასევე ფრანსუა ოზონი, ირანელი ასჰარ ფარჰადი (შარშანდელი „ბერლინალეს“ გამარჯვებული), მსახიობები: შარლოტ გინზბურგი, ბარბარა ზუკოვა, ჯეიკ ჯილენჰოლი, ალჟირელი მწერალი ბუალემ სანსალი... – იდეალური ჟიურია კინოესთეტების მოსახიბლად!

ამავე დროს, „ბერლინალეს“ დირექციამ სწორედ აქ დაუშვა შეცდომა, რომელსაც სრულიად შესაძლებელი იყო, სკანდალი მოჰყოლოდა; პრინციპულობით, კარგი გემოვნებით და საკმაოდ ჯიუტი ხასიათით ცნობილ მაიკ ლის და მის „რაზმს“ (ჟიურის წევრები აღნიშნავდნენ, რომ შესანიშნავად უგებდნენ ერთმანეთს) შეიძლებოდა, საერთოდ არ გაეცა „დათვები“ იმ 18 ფილმისთვის, რომელიც ჩართული იყო ბერლინის 62-ე კინოფესტივალის კონკურსში.

ჩვენ, ქართველი კინოკრიტიკოსები, მუდმივად ვაკვირდებოდით ჟიურის რეაქციებს ყოველი საკონკურსო ფილმის ჩვენების დროს. შევნიშნეთ, როგორ ჩაეძინა რამდენიმე სურათზე მაიკ ლის, როგორ ამთქნარებდა ბარბარა ზუკოვა და როგორ იძრობდა ხოლმე პროტესტის ნიშნად გახმოვანების აპარატს ასჰარ ფარჰადი. გარწმუნებთ, ეს დაკვირვება ბევრად უფრო საინტერესო იყო, ვიდრე იმის ყურება, თუ რა ხდებოდა საკონკურსო ფილმების აბსოლუტურ უმრავლესობაში; ერთხელ, გავიფიქრე კიდეც, რომ ცდებიან ძმები ტავიანები, რომლებიც თავიანთ ახალ ფილმში „კეისარი უნდა მოკვდეს“ ამტკიცებენ, რომ ხელოვნებას შეუძლია შეუმსუბუქოს ადამიანებს სიცოცხლე და დროებით, მაგრამ მაინც „გადაიყვანოს“ ახალ რეალობაში, სადაც ყველა იგრძნობს თავისუფლების ნეტარებას. ხელოვნებას გააჩნია, რა თქმა უნდა! წლევანდელმა „ბერლინალემ“ დაამტკიცა, რომ გზა, რომელსაც ბოლო ათი წელია დაადგა ბერლინის კინოფორუმი – სოციალური და პოლიტიკური სიმწვავის უპირატესობა „მაგიურ კინოსთან“ შედარებით, ჩიხი აღმოჩნდა; ის კინემატოგრაფისტები, რომლებიც მხატვრულ ფილმებს იღებენ, ვერ შეძრავენ მაყურებელს, ვერ დაიმკვიდრებენ ადგილს მსოფლიო კინოელიტაში და რაც მთავარია, ვერ „დატოვებენ თავიანთ სიტყვას“ კინოს ისტორიაში, თუკი კინოენა არ გაამდიდრეს, გამოსახვის ახალ ფორმებზე არ იფიქრეს... თუკი კინომ დაკარგა თავისი მაგიური ძალა, გადაიქცა ერთგვარ „ენჯეოშნიკურ ხალტურად“, როგორიცაა, მაგალითად, „ბერლინალეს“ გრან-პრით

ფესტივალის დირექტორი დიტერ კოსლიკი
დაჯილდოების ცერემონიალზე, 18.02.2012

ვიტორიო და პაოლო ტავიანები, 18.02.2012

აღნიშნული უნგრული ფილმი „მხოლოდ ქარი“ – უსაშველოდ ხელოვნური და პრეტენზიული დრამა ბოშათა ჰოლოკოსტზე, რომელიც რამდენიმე წლის წინ მოხდა უნგრეთის სოფლებში.

წესით, მაიკ ლის ჟიურის ეს ფილმი უყურადღებოდ უნდა დაეტოვებინა. ისევე, როგორც ფილიპინელი ავანგარდისტის, ბრილიანტ მენდოზას „ტყვე ქალი“, იზაბელ იუპერის მონაწილეობით (ამ სურათს „კაიე დიუ სინემამ“ რამდენიმე ნომერი მიუძღვნა – ფრანგი კრიტიკოსები „სენსაციურ წარმატებას“ უწინასწარმეტყველებდნენ მენდოზას ტრილერს, რომლის ჩვენების დროს სანახევროდ დაიცალა „ბერლინალეს“ კინოდარბაზი). ისევე, როგორც უყურადღებოდ დატოვა ბერძნული ფილმი „მეტეორა“ (ბერძნულ მონასტერში, ბერძენი ბერისა და რუსი მონაზონის სასიყვარულო-რომანტიკულ ურთიერთობაზე), როგორც ინდონეზიური კინოს ლიდერის, ედვინის (ეს, ეტყობა, ფსევდონიმია) სურათი „საფოსტო ბარათები ზოოპარკიდან“, მოდური გერმანელი რეჟისორის, ჰანს-კრისტიან შმიტის „სახლში, შაბათ-კვირას“ და კიდევ არაერთი სხვა საკონკუროსო ფილმი, რომლის ჩვენებების დროს ჟიურის და კინოკრიტიკოსებს ეძინათ. მაგრამ მაშინ რაღა დარჩებოდა? როგორღა გაანაწილებდნენ „დათვებს“, რომელთა რიცხვი ყოველწლიურად იზრდება ბერლინის კინოფესტივალზე?

თავად ვყოფილვარ ჟიურის წევრი რამდენიმე საერთაშორისო კინოფესტივალზე და ვიცი, როგორ მანიპულირებს ხოლმე ფესტივალის დირექცია, როგორ ახერხებს ჟიურიში ჰყავდეს თავისი „აგენტი“, რომელიც ბოლო მომენტში ფესტივალის დირექციის გადარჩენის მიზნით, ცუდი ფილმების „გაქაჩვას“ იწყებს. არ არის გამორიცხული, რომ წლევანდელ „ბერლინალეზეც“ რაღაც მსგავსი მოხდა. ვერ დავიჯერებ, რომ მაიკლ ლი აღფრთოვანდა ჟიურის სპეცპრიზით აღნიშნული, ურსულა მაიერის შვეიცარიულ-ფრანგული კინოპროექტით „ბავშვი მაღლიდან“, ძმები დარდენების საკმაოდ უნიჭო მიბაძვით – თინეიჯერზე, რომელიც შვეიცარიის მაღალმთიან კურორტზე ტურისტებს თხილამურებს ჰპარავს, მერე ჰყიდის და ასე არჩენს თავის უფროს დას (რომელიც, ფილმის მეორე ნახევარში დედამისი აღმოჩნდება). ვერ დავიჯერებ, რომ ფრანსუა ოზონს მოეწონა უნგრული სურათი, რომელმაც პირადად მე, ზოგიერთი ქართველი და რუსი ახალგაზრდა რეჟისორის ფილმი გამახსენა – ზურგიდან გადაღება, შენელებული რიტმი, სიბნელე კადრში... უკვე ძალიან მოსაბეზრებელი გახდა ეს პრეტენზიულობა, პრეტენზიულობა და სიცარიელე. აბსოლუტური სიცარიელე!

ფესტივალის კიდევ ერთი პრემიით, ალფრედ ბაუერის პრიზით აღნიშნული პორტუგალიური ფილმის, „ტაბუს“ ჩვენებიდან რომ გამოვედი, დერეფანში რუსი ტელეჟურნალისტი და კინოკრიტიკოსი, ბორის ბერმანი შემხვდა; „საკონკურსო ფილმებს რომ ვუყურებ, მეც პარანოიული აზრები მიჩნდება ხოლმე; ვიჯერებ, რომ ამ რეჟისორებს რაღაც სხვა დამსახურება აქვთ ფესტივალის დირექციის წინაშე“ – მითხრა სიცილით და პატარა პაუზის მერე დაამატა: „მსოფლიო კინოსამყაროს წინაშე“. რაღა დაგიმალოთ და მეც გამიჩნდა ეს აზრი; უკვე სრულიად გაუგებარია, რა კრიტერიუმებით ხდება სელექცია ბერლინის (და არა მარტო ბერლინის) კინოფესტივალზე, როგორ დაიმკვიდრა საკონკურსო პროგრამებში შერჩეული ფილმების ავტორებმა ადგილი საერთაშორისო კინოსივრცეში? ვინაა, მაგალითად, იგივე ბრილიანტ მენდოზა? ვინ გამოაცხადა პირველად იგი „ფილიპინელ გენიოსად“ და რატომ ხვდება ყველა მისი ფილმი „ა“ კლასის კინოფორუმების კონკურსში?.. ანდა, თუნდაც ნიკიტა მიხალკოვი ავიღოთ. რატომ განიხილავს დასავლეთი მას მნიშვნელოვან ფიგურად რუსულ კინოში, როცა რუსეთში მის ფილმებზე დადებითი რეცენზიის ავტორობა თითქმის ისე აღიქმება, როგორც არცთუ ისე დიდი ხნის წინ, საქართველოში, რეზო ჩხეიძის „რაიკომის მდივნის“ ქება?

ბერლინში ამ თემაზე ბევრი ვისაუბრეთ მოსკოვის კინოს მუზეუმის დირექტორთან, ნაუმ კლეიმანთან ერთად. „ფესტივალების დირექტორებს პატიჟებენ მოსკოვის კინოფორუმზე, ათავსებენ საუკეთესო სასტუმროებში, აჭმევენ ხიზილალას და დაატარებენ უკანასკნელი მარკის მერსედესებით. სხვებს – სხვა მეთოდები აქვთ. ცხადია, პირადი კავშირები ყველაფერს განსაზღვრავს“, – გვითხრა კლეიმანმა.

ამ მხრივ, კინოს სამყაროში მოქმედებს ყველა ის წესი, რაც განსაზღვრავს თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკას. ყოველწლიურად იქმნება უამრავი ფილმი, რომელიც სხვადასხვა მიზეზით ვერ ხვდება დიდ ფესტივალებზე. უფრო მე-

ფოტოები: REUTERS

მსახიობი მერილ სტრიპი, 14.02.2012

ტიც, ვერ ხვდება მაყურებლამდე, რადგან ამ ფილმების ავტორებს არ ჰყოფნით უნარი, გაითავისონ თანამედროვე კულტურის კონიუნქტურა, თანამედროვე კინოს პოლიტიკა. ვინ-ვინ და, მაიკ ლი ის მხატვარი არაა, ეს ყველაფერი გააზრებული რომ არ ჰქონდეს. ამიტომაც თანავუგრძნობდით ამ „პატარა გენიოსს“, როცა ჩაძინებული დავინახეთ ამერიკულ ფილმზე „ჯეინ მენსფილდის მანქანა“, ფილმზე, რომელიც სხვათა შორის, რუსული ფულითაა გადაღებული... თანავუგრძნობდით მთელი ფესტივალის მანძილზე – ადვილი ხომ არაა, მიაგნო, ნაკლებად ცუდს ძალიან ცუდებს შორის? ჰოდა, სწორედ ამ „ნაკლებად ცუდს“ გადასცეს „დათვები“ ფესტივალის დახურვაზე; გამარჯვებულებს შორის დაასახელეს გერმანული ფილმი „ბარბარა“, ჩინური „თეთრი ირმის მინდორი“, უნგრული „მხოლოდ ქარი“...

ბერლინის კინოფესტივალის ბოლო დღეს დაღლა და აპათია, რომელიც ცუდი ფილმების გამო განიცადა თითქმის ყველა აკრედიტებულმა ჟურნალისტმა, გაამძაფრა მოულოდნელმა ინფორმაციამ – 18 თებერვალს, როცა ჟიურის ფესტივალის შედეგები უნდა გამოეცხადებინა, გაიფიცა მეტრო, გაიფიცნენ ავტობუსების, ტრამვაის მძღოლები. ქალაქი საღამომდე პარალიზებული იყო – ფესტივალების სასახლემდე მისვლა გაძნელდა. შესაძლებელია, ამიტომაც სრულიად ცარიელი ჩანდა მარლენ დიტრიხის მოედანი, სადაც სპეციალურად დამონტაჟებულ ეკრანზე ფესტივალის დახურვის ცერემონიას უჩვენებენ ხოლმე; რეალობამ აქაც ავჯობა კინოხელოვნებას. თუმცა „ცუდ კინოხელოვნებაზე“ გამარჯვება მაინცდამაინც რთული არც უნდა ყოფილიყო.

ბერლინის 62-ე ფესტივალის ჟიურიმ კი „ოქროს დათვი“ მოხუც მეოცნებეებს გადასცა; ძმებს, რომელთაც ახალგაზრდობაშიც სჯეროდათ, რომ ხელოვნების მაგია უფრო ძლიერია, ვიდრე რეალობა და რომ ოცნებას, წარმოდგენას, წარმოსახვას, თამაშს – შეუძლია, ადამიანები ყველაზე საშიში განსაცდელისგანაც კი იხსნას. გახსოვთ, „წმინდა ლორენცოს ღამე“? გოგონა, რომელიც წარმოიდგენს რომაელ მხედართმთავრებს, იტალიელ ფაშისტებს რომ გაუსწორდებიან? „მამა-ბატონი“ ხომ გახსოვთ? იქ, სურათის გმირი, სწავლა-განათლებით მოახერხებს მამა-პატრონის ძალადობისგან გათავისუფლებას; ანდა „დილა მშვიდობისა, ბაბილონო“... ფილმის ბოლოს, კინოხელოვნების პიონერები, ძმები-კინემატოგრაფისტები ერთმანეთს იტალიაში, ფრონტზე ხვდებიან. ორივე სასიკვდილოდაა დაჭრილი, მაგრამ ორივეს აღმოაჩნდება თოფზე უფრო ძლიერი იარაღი – კინოკამერა! „მოდი, გადავუღოთ ერთმანეთს. ასე, ჩვენი შვილები ცოცხლად გვიხილავენ“, – ეტყვის ერთი ძმა მეორეს.

ძმები ტავიანების ამ შედევრების გადაღებიდან 30-40 წელი გავიდა. ამ ხნის განმავლობაში იტალიელი ძმები მსოფლიო კინოელიტამ „მოძველებულად“ გამოაცხადა. დღეს სხვა ავტორებია მოდაში. მაგალითად, ბრილიანტ მენდოზა...

მაგრამ, აკი ვთქვი, მაიკ ლი ის კაცი არაა, მოდას და კონიუნქტურას რომ აჰყვეს და „ეგზოტიკური ნარცისებით“ მოიხიბლოს. მიუხედავად იმისა, რომ ძმები ტავიანები დიდი ხანია „ჩამოწერეს“ მსოფლიო კინოსამყაროს სნობებმა, მიუხედავად იმისა, რომ ტავიანების ფილმი იგივე კანში შესაძლებელია კონკურსშიც კი არ ჩაერთოთ, „პატარა გენიოსმა“ კონიუნქტურას შესწირა „ვერცხლის დათვებით“ დაჯილდოებული საეჭვო მხატვრული დონის ფილმები, 62-ე „ბერლინალეს“ ტრიუმფატორად კი გამოაცხადა ერთადერთი კარგი ფილმი წლევანდელ კონკურსში – „კეისარი უნდა მოკვდეს“ – სამხრეთ იტალიის ციხეში გადაღებული კამერული სურათი, რომლის გმირები, ამ ციხის პატიმრები, შექსპირის ტრაგედიას თამაშობენ ციხის სცენაზე – დეკორაციის, გრიმის გარეშე. პრემიერა წარმატებით დასრულდება. პრემიერის შემდეგ კი, პატიმრები – ქურდობისთვის, მაფიასთან კავშირისთვის, უფრო მეტიც, ადამიანების მკვლელობისთვის გასამართლებულები, თავიანთ კამერებს უბრუნდებიან. ოცნება და თამაში სრულდება. სასტიკი სიცოცხლე კი გრძელდება.

ბერლინის ფესტივალზე ნაჩვენები ვერცერთი ფილმი ვერ შეედრება იმ სანახაობას, რომელიც გათამაშდა ფესტივალის საზეიმო დახურვაზე; 81 და 83 წლის ძმები ავიდნენ ფესტივალის სასახლის სცენაზე და „შპარგალკიდან“ წაიკითხეს სამადლობელი სიტყვა. „ჟიურის წევრებს შორის არიან ადამიანები, რომელთა ფილმები ძალიან გვიყვარს“, – აღნიშნა პაოლო ტავიანიმ. ეს იყო გულახდილი აღიარება – მაიკ ლის ჟიურის და ძმებ ტავიანებს მართლაც ბევრი რამ აქვთ საერთო. ამიტომ სრულიად ბუნებრივი იყო იტალიელი კინოკლასიკოსების ეს გამარჯვება.

ბუნებრივი, მაგრამ მაინც მოულოდნელი. ვეტერანებს ფესტივალების პრიზებს დღეს თითქმის არავინ გადასცემს. უხერხულობის თავიდან ასაცილებლად, დიდ კინოფორუმებზე პრიზიც კი მოიგონეს ასეთი – „კინოს სამყაროში გაწეული ღვაწლისათვის“. მაგრამ მაიკ ლიმ ეს წესები დაარღვია. ამიტომ თავისუფლად შეიძლება დავასკვნათ – თუკი 62-ე „ბერლინალეს“ ანტიგმირი ფესტივალის დირექცია იყო, „ბერლინალეს“ გმირად იქცა ბრიტანელი რეჟისორი მაიკ ლი, რომელმაც, აი, უკვე მერამდენედ გაიკვირვა თავისი თაყვანისმცემელი.

ჰოდა „ბერლინი-ამსტერდამის“ იმ რეისზე ჰოლანდიელი ჟურნალისტები არა მარტო 62-ე „ბერლინალეს“ ფილმებს ასახელებდნენ და იჯღანებოდნენ... მათ მაიკ ლიც არაერთხელ ახსენეს – ელიმებოდათ და რაღაც განსაკუთრებული აღფრთოვანებით საუბრობდნენ მასზე.

ჩვენ, ყველანი, მეტ-ნაკლებად ვემორჩილებით კონიუნქტურას. მაგრამ გულის სიღრმეში, ყველას გვიყვარს ადამიანები, რომლებიც კონფორმიზმის ჭაობმა ვერ ჩაითრია. ასეთები ძალიან ცოტანი არიან. მაგრამ სადღაც მაინც ხომ არიან?

„1000 მეფისა“ და „შვიდნახევარი ქალის“ ამბავი

რეჟისორ ბიძინა ყანჩაველის კინემატოგრაფიული ძიებანი

ავტორი დავით ბუხრიკიძე

...შორეული მომავალი. ალბათ, ასე, ასი ათასი წლის შემდეგ. სფეროსებრი ოთახების მიღმა მხოლოდ კოსმოსი ირეკლება. ადამიანები უსქესო არსებებად იქცნენ, რომლებმაც უკან მოიტოვეს გრძნობები და ინდივიდუალობა. ისინი მწერების მსგავს ერთობად ჩამოყალიბდნენ, როგორც, მაგალითად, „გონიერი ჭიანჭველები“ და მათ შორის განსხვავება მხოლოდ სოციალური ფუნქციით განისაზღვრება. მომავლის ადამიანები უსიამოვნო, უჰაერო, მაგრამ უსაზღვრო „სათავსოებში“ ცხოვრობენ და პირველ რიგში, სინათლეს ეძებენ. დიდი რაოდენობის სფეროსებრი ობიექტები სწორედ ამ სინათლის ენერგიას გამოყოფენ, მაგრამ მხოლოდ რჩეულს – გრძნობების მქონე ერთდადერთ არსებას ძალუძს გაარჩიოს რომელი სფეროა ჭეშმარიტად სიცოცხლის მატარებელი.

ერთ დღესაც, როდესაც გამორჩეული არსება გრძნობიერებისა და აღქმის უნარს დაკარგავს, მისი უნიკალურობა ეჭვის ქვეშ დგება. და ის მზად არ არის დათმოს თავისი როლი, ხოლო საკუთარი ეგზისტენციურობა კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენოს...

დაახლოებით ასეთია ბერლინში მცხოვრები ქართველი რეჟისორის, ბიძინა ყანჩაველის ახალი ფილმის სიუჟეტი. გაწელილი სამონტაჟო სამუშაოებისა და რთულად დასამუშავებელი საუნდის შემდეგ (ბულგარული და რუსული ხალხური მუსიკა, თანამედროვე უნგრელი კომპოზიტორი დიორ ლიგეტი), ფილმი უცნაური სახელწოდებით „1000 მეფე“ გაზაფხულზე გამოვა გერმანიაში. ის არ ასახავს და არც გულისხმობს დაღლილი მონარქებისა თუ შეყვარებული პრინცესების ცხოვრებას. არც მრავალტანჯული ისტორიული ჟანრის რეინკარნაციის მცდელობაა.

ფილმი „1000 მეფე“ სამეცნიერო-ფანტასტიკურ ჟანრს უფრო განეკუთვნება და აბსტრაქციისა და სიღრმის თვალსაზრისით, ნამდვილად წინგ-

დადგმული ნაბიჯია. შესაძლოა კრიტიკოსებმა, ან უბრალოდ კინომანებმა, ფილმში სრულიად სხვა სიუჟეტიც ამოიკითხონ, თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში, ფილმი საამოდ აღსაქმელი არ იქნება. ის რთული და ემოციურად საკმაოდ მძიმე საყურებელია. ამ, თითქმის ორსაათიან, უჩვეულო და აბსტრაქციულ-სამეცნიერო ფილმს საკმაოდ მომზადებული პუბლიკა სჭირდება.

გადაღებები გასულ წელს ბერლინის ცნობილ კინოსტუდია „უფა“-ს ერთ-ერთ ყველაზე დიდი პავილიონში, ორი თვის განმავლობაში მიმდინარეობდა, სადაც, თავის დროზე, მარლენ დიტრიხი, ერიჰ ფონ შტროჰაიმი და ფრიდრიჰ მურნაუ მუშაობდნენ. ფილმი გადაღებულია „გრინ სკრინის“ პრინციპით, რაც საკმაოდ იშვიათად გვხდება თანამედროვე კინემატოგრფში (მაგალითად, ფილმებში Immortal, Sky Captain,Casshern).

პირველივე კადრები და ზოგადად, შთაბეჭდილება მაცდური და მომნუსხველია – ეს არის უცნაური ფერებისა და ფორმების სამყარო, სადაც სინათლე და გეომეტრიული სცენოგრაფია არანაკლებ როლს თამაშობს, ვიდრე მსახიობები. უახლესი კომპიუტერული ტექნოლოგიები, ციფრული კინოკამერა და პავილიონის გიგანტური მწვანე სივრცე განსაკუთრებულ ვიზუალურ ეფექტს ახდენს.

მაინც, რა პუბლიკაზეა გათვლილი ბიძინა ყანჩაველის ფილმი? ინტელექტუალებზე, არტ-ჰაუზისა თუ სამეცნიერო-ფანტასტიკის ჟანრის მოყვარულებზე? იქნებ, არც არის საჭირო რაიმე სპეციფიკური მზაობა და მაყურებლის დახარისხება. უბრალოდ სიახლისათვის მზაობა, ინტუიცია და გახსნილი გონება სრულიად საკმარისია აღქმისათვის.

„1000 მეფე“ ძალიან პირადული ესთეტიკის გამოხატულებაა, რომელიც მხოლოდ კონკრეტული ჯგუფის ან შეხედულებების მქონე პუბლიკისთვის არ არის ჩაფიქრებული. ჩემს ფილმებს კრიტიკოსები ხშირად ექსპერიმენტულს უწოდებენ, თუმცა ეს ჩემთვის სულაც არ არის ექსპერიმენტები – მე ზუსტად ვიცი, რასაც ვაკეთებ, ვყვები და ბრმა ცდებს არ ვატარებ... ფილმების ჟანრები ცხოვრებასავითაა, მასაც ვერ მიაკუთვნებ გარკვეულ ჟანრს და ვერც ჩარჩოებში ჩასვამ. ცხოვრების ერთი რომელიმე დღე შეიძლება დაიწყოს კომედიით, შუადღე, შესაძლოა, „ექშენად“ იქცეს, საღამო გახდეს საშინელებათა ფილმი და ღამე კი ეროტიკად...“ – ამბობს ბიძინა ყანჩაველი.

ქართველი კინორეჟისორის სტილიც და სათქმელიც სრულიად განსხვავებულია თანატოლი ხელოვანებისგან. იგი არ ცდილობს, მეინსტრიმი როგორმე ხელოვნებად გაასაღოს, ან პირიქით, არტი კომერციულ სანახაობად აქციოს. მისი ფილმები: „ახალბედა N21“ (1999), „მიმაგრებულები მიწაზე“ (2002), „მუდმივი სამალავი“ (2003), „ექსტრემა“ (2004), „შვიდნახევარი ქალი“ (2006), „6 სურათი სამყაროზე“ (2007) – თითქოს გაბრუნებთ მეოცე საუკუნის 20-იანი წლების კინემატოგრაფის ექსპერიმენტულ და ძიებით სავსე ხანაში, – სიურრეალისტური თხრობით, გამოხატვის სრული თავისუფლებით, თვითკმარი ესთეტიზმით, ვიზუალური ძიებებით, საგანგებო თუ ხაზგასმული არაკომერციულობით...

ქართველ კინორეჟისორს ბერლინის არტ-წრეებსა თუ კინოსამყაროში საკმაოდ კარგად იცნობენ, თუმცა საქართველოში მისი შემოქმედების შესახებ გაცილებით ცოტა რამ იციან. 2009 წელს მისი ნახევარსაათიანი ფილმი „6 სურათი სამყაროზე“ თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალ „პრომეთეს“ არასაკონკურსო პროგრამაში ორჯერ უჩვენეს, ხოლო გოეთეს ინსტიტუტმა თბილისში მოაწყო მისი ყველაზე ცნობილი მოკლემეტრაჟიანი ფილმის – „შვიდნახევარი ქალის“ ჩვენება. 2007 წელს ცნობილი ფრანგულ-გერმანული ტელეარხის – „არტეს“ დაკვეთით რამდენიმე დასავლეთევროპელ რეჟისორთან ერთად, ბიძინა ყანჩაველმაც გადაიღო მოკლემეტრაჟიანი ფილმი. ერთადერთი, რაც ამ პროექტს, ანუ პატარა, 8-10-წუთიან ფილმებს აერთიანებდათ, არის პირველივე ფრაზა – „მე გასაღები დავკარგე“. ყველა მათგანი სწორედ ამ წინადადებით იწყება.

ავანგარდისტების მფარველმა „არტემ“ 2007 წელს ეს საინტერესო პროექტი სამჯერ უჩვენა. ქართველი რეჟისორი კი ერთადერთი აღმოსავლეთევროპელი აღმოჩნდა, რომელიც დასავლელი კოლეგების „მარაქაში“ გაერია. ფილმს კარგი გამოხმაურება მოჰყვა პრესაში, როგორც გერმანიაში, ისე, ევროპის სხვა ქვეყნებში.

ლამაზი, ფერწერული, დეკორაციული მაგრამ უჰაერო და უსასრულო დერეფანი „შვიდნახევარ ქალში“ მოტიტინე შიშველი ქალებისა და მთავარი გმირის – ახალგაზრდა, დეპრესიული მამაკაცის ურთიერთობის „ლაბირინთად“ იქცევა. ლურჯად შეღებილ ლაბირინთში გასასვლელს ვერავინ პოულობს. მამაკაცს, შესაძლოა, კლაუსტროფობია აქვს, ან სხვა ათასი კომპლექსი აწუხებს. იქნებ ამიტომაც ხოცავს საკუთარ სამყაროში მოულოდნელად შემოჭრილ თავხედ ქალებს პატარა და გალესილი ნიჩბით, რაც რეჟისორის შავი იუმორით შთაგონებაზე მიუთითებს.

რეჟისორი ახერხებს ოქროს შუალედის მოძებნას ტრადიციულ კინოთხრობასა და ვიზუალურ ხელოვნებას შორის. ხანმოკლე და მკაცრად განსაზღვრული დროის მიუხედავად, ბიძინა ყანჩაველი სოციალურ გაუცხოებას, აბსურდსა და სექსუალურ ძალადობას იკვლევს...

კინოს ისტორიაში უკეთ გაწაფულები ფილმში „შვიდნახევარი ქალი“, ალბათ, რუსი რეჟისორის, ალექსანდრ ბარნეტის ულამაზესი მუნჯური ფილმების გამოძახილსაც დაინახავენ . მითოლოგიითა და ლიტერატურით შთაგონებულებს უფრო „ლურჯწვერას“ ასოციაციები აღეძვრებათ. კინომანებს აუცილებლად გაახსენდებათ გამომწვევი და ეპატაჟური რეჟისორი ალეხანდრო იოდოროვსკი, რომლის ეროტიზმი და ირონია უსამართლოდ ჩაიკარგა თანამედროვე კინოს ისტორიაში. თავად ბიძინა ყანჩაველიც არ მალავს, რომ მისი შემოქმედების თაყვანისმცემელია და არც მისი ფილმების გავლენას უარყოფს.

მარტივ და საფუძვლიან კითხვაზე – თუ ევროპაში ბიძინა ყანჩაველის ფილმებს სხვადასხვა კინოფესტივალებზე (ობერჰაუზენი, რომი, ზაგრები, ოლდენბურგი, ნანსი, ლუნდი, ბოლონია) წარმატებით უჩვენებენ, რატომ ვერ მოხვდა მისი თუნდაც ერთი ფილმი ქართულ ტელეარხებზე ან რომელიმე კინოთეატრში – ლოგიკური პასუხი ვერც რეჟისორისგან მოვისმინე, ვერც კინოპროდიუსერებისგან და ვერც მახვილი ყნოსვის მქონე კინოგამქირველებისგან.

ბიძინა ყანჩაველი 1974 წელს ქუთაისში დაიბადა. 18 წლის ასაკში მიხვდა, რომ ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი, სადაც მასალათა გამძლეობას სწავლობდა, ხელოვნებასთან მაინც ვერასდროს გადაიკვეთებოდა. ინსტიტუტი მიატოვა და 1995 წელს თეატრალურ ინსტიტუტში, ჯერ კინომცოდნეობის, შემდეგ კი კინოსარეჟისორო ფაკულტეტზე ჩააბარა (რეზო ესაძის ჯგუფი).

მისი პირველი მოკლემეტრაჟიანი, შავ-თეთრი ფილმი „ახალბედა N 21“ 1999 წელს რომის საერთაშორისო კინოფესტივალზე „საუკეთესო მოკლემეტრაჟიანი ფილმისათვის“ გრან-პრით აღინიშნა. „ახალბედა“ უკვე არარსებულ ქარხანაშია გადაღებული, სადაც პოსტსაბჭოთა საქართველოს სამრეწველო-ფანტომური ტკივილები იკითხება. დაბნეული ახალბედა სამხედრო მოსამსახურე თითქოს კაფკასეულ აბსურდში ხვდება – „ქაღალდის კომბინატში“ და გეჩვენებათ, რომ სამოქალაქო თავდაცვის კურსები სამოქალაქო ომში გადაიზრდება...

აბსურდის, თეატრალურობის, შიშისა და ქაოსის ატმოსფერო შემდგომში გარკვეულ რეჟისორულ ხელწერად იქცევა. იგი უფრო დახვეწილ ფორმებს ღებულობს ფერად და დეკორაციულ ფილმში „დამაგრებულები მიწაზე“, სადაც უკვე სამყაროსა და სიყვარულის ნგრევის მოტივები ვითარდება. ფერებით შენიღბული ეს ფილმი-სიზმარი თუ ფილმი-კოშმარი უფრო ექსპერიმენტული კინოსკენ იხრება. პირობითი დეკორაციები და აბსტრაქტული პერსონაჟები რეჟისორის სათქმელს გარკვეულ ბუნდოვანებას ანიჭებს. განზოგადება მაღალემოციური „გრადუსის“ ხარჯზე ხდება, ხოლო გამომწვევი თეატრალურობა და ფერწერულობა სტილს უფრო ნიშნავს, ვიდრე ფორმალობას.

2002 წელს რეჟისორი გერმანიაში მიემგზავრება და იღებს ფილმს „მუდმივი სამალავი“, სადაც დასავლური პრობლემები სამხრეთულ მგრძნობელობას ერწყმის. ბერგმანის ფილმის ენით რომ ვთქვათ, ეს არის „ცოლქმრული ცხოვრების სცენები“, სადაც ახალგაზრდა წყვილი – ქალი და მამაკაცი, ეგზისტენციურ და სექსუალურ კრიზისში ნებით ექცევა. თუმცა კონფლიქტის მიზეზებს სულ სხვაგან ეძებენ. ვიდეოარტისა და კინოს ზღვარზე გადაღებული ფილმი გამოირჩევა გერმანელ მსახიობთა შესანიშნავი ნამუშევრითა და მსხვილი ხედებით. ამას მოჰყვა „ექსტრემა“ – პატარა, მაგრამ საკმაოდ რთული და თეატრალური ხერხით გადაღებული ფილმი, რომელიც იმდენად ექსტრემალური გამოდგა, რომ რეჟისორს თითქმის სამი წელი მოუხდა მუშაობა. ეს არის ადამიანი-მსახიობის, ადამიანი-ნიღბის ბრძოლა სოციალურ გარემოსთან, რომელშიც პიროვნება ერთი შეხედვით მარცხდება, მაგრამ საკუთარ თავისუფლებას იცავს.

2007 წელს ბავარიაში, ლუდვიგსბურგის სკოლაში გადაიღო ფილმი „შვიდნახევარი ქალი“, რომელიც „არტეს“ დაკვეთით შეიქმნა და რომელმაც რეჟისორს სხვადასხვა ჯილდო, პრიზები თუ შემოქმედებითი წარმატება მოუტანა; ერთი წლის შემდეგ კი – ფილმი „6 სურათი სამყაროზე“, რომლის პრემიერამ ბერლინის „თეატერჰაუზში“ წარმატებით ჩაიარა.

„1000 მეფის“ პარალელურად, ახალი ფილმის – „პეპლების მილენიუმის“ სცენარზე მუშაობა ბიძინა ყანჩაველმა თავის პროდიუსერთან, პიერ დურსტთან 2009 წელს დაიწყო, თუმცა ობიექტური მიზეზების გამო, სცენარი რამდენჯერმე შეცვალა. ამჟამად, ფილმზე მუშაობა ინტენსიურად მიმდინარეობს და „თეთრი პეპლებით“ დასახლებული პლანეტა, „1000 მეფის“ შემდეგ მალე ახმაურდება. მთავარია, რომ ახალგაზრდა, მაგრამ უკვე გამოცდილი და სიახლის სურვილით შეპყრობილი რეჟისორი, საკუთარ კინემატოგრაფს არ ღალატობს.

თავად ბიძინა ყანჩაველის ფინალური აღსარება:

„ჩემს ფილმებზე ყველაზე დიდ გავლენას მეცნიერება ახდენს – ასტრონომია, ფსიქოლოგია, ფილოსოფია, ფიზიკა. ეს ერთგვარი ინსპირაციაა, რომელთაც ბოლომდე ვერ ვაცნობიერებ, მაგრამ მხატვრულ ენად გადავამუშავებ და ვიზუალურ ფორმად ვაქცევ. ხელოვნება ამის საშუალებას მაძლევს. კინო არის ფანტასტიკური ქაოსი, რომელშიც სიმართლე ხშირად მოულოდნელად აღმოცენდება. „1000 მეფის“ შემთხვევაში მე ვყვები სამყაროს დაბადებისა და სიკვდილის შესახებ მითს, რომელიც მიუხედავად მისი კოსმოსური და აბსტარქტული გამოხატულებისა, ჩვენს სამყაროსთან უსაზღვროდ ბევრ პარალელს გამოსახავს“.

...ფილმი არის ენერგია, რომელიც მაყურებლის აზრებში და აღქმაში ცოცხლდება. არც კი ვიცი, რა შეიძლება იყოს ამ ენერგიაზე უფრო ცოცხალი და მნიშვნელოვანი“.

Stelzen Haus

SH

ბავარიული სასტუმრო

The old Bavarian beer Weihenstephan in the world. Pork knuckles spare ribs and other delicious dishes from a German chef.

მსოფლიოში უძველესი ბავარიული ლუდი ვაინშტეფანი. კანჭი, ნეკნი და სხვა უგემრიელესი კერძები გერმანელი შეფმზარეულისგან.

ერეკლე II-ს 8/10

8/10, Erekle II

ДОЖДЬ – OPTIMISTIC CHANNEL

ავტორი სოფო ბუკია

„ორ დღეში ერთი წელი სრულდება, რაც ვმაუწყებლობთ. ამ ხნის განმავლობაში წარმოუდგენელი სამუშაო გავწიეთ. ვერ წარმოიდგენთ, როგორ მიხარია, ჩვენთან რომ მოხვედით, დმიტრი ანატოლევიჩ! მაგარია! ჩვენთან სტუმრად პრეზიდენტია!“ – ტელეკომპანია „დოჟდის“ გენერალური დირექტორი პრეზიდენტ მედვედევს ტელევიზიის შენობაში ექსკურსიაზე მიუძღვება და ისე ემოციურად ლაპარაკობს, რომ ცოტაც და – იფიქრებ, ჰაერში უნდა შეხტესო.

ნატალია სინდეევას ფართო, თეთრი პერანგი,მუხლებზე გადახეული ჯინსები და ვარდისფერი „ბალეტკები“ აცვია. დმიტრი ანატოლევიჩი თავშეკავებულია. ამბობს, რომ იქვე, მეზობლად, თათბირზე იყო და შემოიარა.

ტელეკომპანია „დოჟდი“ სრულიად ახალი ფენომენია.

2010 წლის 27 აპრილს რუსმა მაყურებელმა, რომელიც უკვე წლებია მხოლოდ დამონტაჟებულ საინფორმაციო გამოშვებებს, ეთერში გასვლამდე რამდენიმე თვით ადრე ჩაწერილ პროგრამებს და პუგაჩოვასა და გალკინის კონცერტებს მიეჩვია, აღმოაჩინა არხი, რომლის საეთერო დროის ორი მესამედი ცოცხალი, პირდაპირი ეთერია. ამ არხზე, ძირითადად, პოლიტიკაზე საუბრობენ, ფედერალურ არხებზე ტაბუდადებულ სოციალურ თემებს ნონ-სტოპ რეჟიმში აშუქებენ და ეთერში მუდმივად იწვევენ ადამიანებს, რომლებისთვისაც ნაციონალური ტელევიზიები ყრუდაა ჩაკეტილი. ამ არხის უნიკალობა ისაა, რომ აქ კამერები არასოდეს ითიშება – დილის თათბირებიც კი, სადაც მთელი დღის სამუშაო პროცესი იგეგმება, პირდაპირ ეთერშია.

სულ რამდენიმე თვეში, „დოჟდი“ რუსეთის განათლებული საშუალო კლასისთვის ინფორმაციის ერთადერთ სატელევიზიო წყაროდ იქცა. ამ არხს ეთერში გასვლის პირველივე დღეებში ავანსად მიანიჭეს ნდობა და დაუკავშირეს დიდი მოლოდინები. მოგვიანებით, 2011 წლის დეკემბერში, დიდწილად, სწორედ ამ ტელევიზიის წყალობით გაიგო რუსეთმა, რომ საპარლამენტო არჩევნები ტოტალურად გაყალბდა.

წარმოიდგინეთ, როგორ გაუკვირდებოდათ ამ არხის გულშემატკივრებს, როდესაც 2011 წლის აპრილში, „დოჟდის“ სტუდიაში პრეზიდენტი დაინახეს, რომელსაც არხის გენერალური დირექტორი, ნატაშა სინდეევა, მისი 8 წლის შვილი და არხის თანამშრომლები გარს შემოხვეოდნენ და თინეიჯერული ჟრიამულით ეყაყანებოდნენ. ზუსტად ასე იყო ეს ყველაფერი.

შემდეგ, პრეზიდენტი პირდაპირ ეთერშიც მიიწვიეს. ნახევარსაათიანი საუბრის მთავარი თემა იყო: რა მძიმე და დამღლელია პრეზიდენტის ყოველდღიური ყოფა. მედვედევი ისე წავიდა, მისთვის არცერთი სერიოზული კითხვა არ დაუსვამთ. დამშვიდობებისას ნატალია სინდეევა კიდევ უფრო აღელდა, დმიტრი ანატოლევიჩს ჩაეხუტა და ეამბორა.

რუსულ ინტერნეტ სივრცეში დიდხანს მსჯელობდნენ ამ ამბორზე.

ეს ის დროა, როცა მედვედევი ლიბერალი და ნოვატორი მმართველის იმიჯს ირგებდა – ტვიტერზე პოსტავდა და აიპედით ხელში, სურათებს იღებდა. ახალი ტიპის პროგრესულ ტელევიზიასთან ასოცირება მისთვის მშვენიერი პიარი იყო.

მაგრამ, რაში დასჭირდა ნატალია სინდეევას, ჭკვიან და გამოცდილ მედია-მენეჯერს, რომლის ტელევიზიაც ოფიციოზს აკრიტიკებს, ამ

ოფიციოზისვე წინაშე ასე დაუფარავად თრთოლვა და საკუთარი იმიჯის სასწორზე დადება?

„დოჟდის“ ლიბერალურმა აუდიტორიამ სინდეევას ისიც გაუხსენა, რომ მედვედევის სტუმრობამდე ცოტა ხნით ადრე მან ეთერიდან მოხსნა პოპულარული ტელეპროექტი „პოეტი და მოქალაქე“ – პოლიტიკური სატირა, სადაც მედვედევი უიმედო მარიონეტად და პრემიერის ჩრდილად იყო მოხსენიებული. ბლოგერები იმუქრებოდნენ, რომ ამიერიდან აღარასოდეს აკრეფდნენ „მედვედევის ტელევიზიის“ მისამართს www.tvrain.ru

თუმცა, ყველაფერი სხვაგვარად მოხდა. მედვედევის სტუმრობის შემდეგ არხის პოპულარობა ორნახევარჯერ გაიზარდა, ბევრმა თანამგზავრულმა და საკაბელო ტელევიზიამ, მათ შორის HTB + -მა „დოჟდი“ თავის ძირითად პაკეტში შეიტანა, რეკლამის დაკვეთებმა, რომლებიც კრემლის კრიტიკით გამორჩეულ ტელეარხს მანამდე უფრთხოდნენ, „დოჟდზე“ რეკლამის მიტანა დაიწყეს. დღეს „დოჟდის“ ყურება, ინტერნეტის გარდა, რამდენიმე საკაბელო და თანამგზავრულ არხზე შეიძლება.

„როცა „დოჟდს“ ოპოზიციურ არხად მოიხსენიებენ, მაშინ ვეუბნები, მოიცათ, ხალხო, თქვენ აშკარად სხვა რამეზე ლაპარაკობთ. ჩვენ არც ბარიკადებზე ასვლას ვაპირებთ, არც გიჟი რადიკალები ვართ. არასოდეს მქონია სურვილი ოპოზიციური არხი მეკეთებინა. ჩვენ პასუხისმგებლობა გვაქვს მაყურებლის წინაშე, მას ინფორმაცია უნდა მივაწოდოთ“, – ამბობს სინდეევა.

თუმცა, ამავე დროს, მიტინგების პერიოდში „დოჟდის“ ზოგიერთ წამყვანს გულზე თეთრი ლენტი ეკეთა – არჩევნების გაყალბების წინააღმდეგ გამოსულ მომიტინგეთა სიმბოლო. ამის გამო მათ კოლეგებმა უსაყვედურეს – პოზიციის გამოხატვა საინფორმაციო გამოშვებაში დაუშვებელიაო. სინდეევა ამაზე პასუხობს, რომ ვერ ხედავს პრობლემას, თუ მისი თანამშრომლები სამოქალაქო პოზიციას გამოხატავენ: „ეს პოლიტიკა არ არის, ჩვენი მოქალაქეობრივი პოზიციაა და, მგონი, კარგია, რომ ეს პოზიცია გვაქვს“.

მედვედევის სტუმრობის შემდეგ არ შეცვლილა არც არხის კრიტიკული საინფორმაციო პოლიტიკა და ეს გაბრაზებულმა ბლოგერებმა მალევე შენიშნეს. „კომერსანტის“ სასტიკად ნაცემ ჟურნალისტთან, ოლეგ კაშინთან პირველი ვიდეო-ინტერვიუ სწორედ „დოჟდმა“ ჩაწერა, ამ არხის ეთერშივე გააკრიტიკა კრემლი მოსკოვის ყოფილმა მერმა, იური ლუჟკოვმა, რომლის სახელის ხსენებაც კი აკრძალულია ფედერალურ არხებზე.

მედვედევის სტუმრობიდან 6 თვის შემდეგ, დეკემბრის საპარლამენტო არჩევნების დროს, „დოჟდი“ რუსული ტელესივრცის ასობით არხს შორის ერთადერთი იყო, რომელმაც მაყურებელს პირდაპირ ეთერში უჩვენა თუ როგორ გააყალბეს არჩევნები.

„დოჟდს“, ამ სარედაქციო ლავირებების გამო, ნაწილი დღესაც ეჭვის თვალით უყურებს, როგორც ტელევიზიას, რომელიც „არც მწვადს წვავს და არც შამფურს“.

მედვედევის სტუმრობიდან 6 თვის შემდეგ, დეკემბრის საპარლამენტო არჩევნების დროს, „დოჟდი“ რუსული ტელესივრცის ასობით არხს შორის ერთადერთი იყო, რომელმაც რუს მაყურებელს პირდაპირ ეთერში უჩვენა, თუ როგორ გააყალბეს არჩევნები. „დოჟდი“ პირდაპირ ეთერში, უწყვეტ რეჟიმში გადმოსცემდა პუტინის რუსეთისთვის სრულიად ფანტასტიკურ მოვლენას – მრავალათასიან მიტინგებს, რომლებიც არჩევნების გაყალბებას მოჰყვა.

„ამ პატარა ინტერნეტ-ტელევიზიის წყალობით, რუსული რევოლუცია ტელეეთერში მოხდა. „დოჟდის“ წყალობით, ფედერალური არხებიც კი იძულებულნი გახდნენ ეთქვათ, რომ მოსკოვში მიტინგებია“, – წერდა „ნიუ იორკ თაიმსი“. გასული წლის ბოლოს, არჩევნებისა და მიტინგების პერიოდში, „დოჟდის“ აუდიტორია ხუთჯერ გაიზარდა.

თუმცა, სწორედ ამავე პერიოდში არხმა ერთი ცნობილი „მეგობარი“ დაკარგა. პრეზიდენტმა მედვედევმა „დოჟდი“ ტვიტერზე თავისი მეგობრების სიიდან ამოშალა. თებერვლის შუა რიცხვებში კი, არხის გენერალურმა დირექტორმა პროკურატურიდან მიიღო წერილი – ხელისუფლება არხის დაფინანსების საკითხით დაინტერესდა. როცა ორიოდე დღეში „დოჟდზე“ საქართველოს პრეზიდენტის არაპოლიტიკური ინტერვიუ გავიდა, ერთ-ერთმა რუსმა ბლოგერმა ლაივჟურნალში დაწერა: „როცა სამუშაო მაგიდაზე პროკურატურიდან უწყება გიდევს, საკაშვილის ეთერში ჩასმა და მასთან მუსიკაზე საუბარი დიდი გმირობაა. სინდეევა აღარ ხუმრობს“. სააკაშვილთან არაპოლიტიკური ინტერვიუ დიდი ვერაფერი გამოვიდა, თუმცა ეს „დოჟდის“ ბრალი არ არის და არც ამ სტატიის თემა.

აშკარაა, რომ მოხერხებულობით ცნობილ მედია-მენეჯერზე, ლეგენდები ტყუილად არ დადის. სინდეევამ ბევრად უფრო მეტი სარგებელი ნახა მედვედევის 50 წუთიანი სტუმრობისგან, ვიდრე ამ უკანასკნელმა, რომელიც რამდენიმე დღეში აღარ იქნება პრეზიდენტი. და ასევე დეკემბრის მიტინგების შემდეგაც, სინდეევას არხმა უფრო მეტი მხარდამჭერი შეიძინა, ვიდრე რომელიმე ოპოზიციურმა პარტიამ.

თუ ვინმეს ჰგონია, რომ „დოჟდის“ გენერალური დირექტორი, ნატალია სინდეევა ვალერია ნოვოდვორსკაიას

ტიპის ლიბერალია, რომლის მთავარი მიზანი ავტორიტარულ რეჟიმთან ბრძოლაა, ძალიან ცდება. არც პროვინციელი ჟურნალისტია, რომელიც დედაქალაქში ჩამოვიდა და ადგილის დამკვიდრებას ცდილობს.

იმისთვის, რომ „დოჟდში“ საწყისი კაპიტალი ჩაედო 40 წლის სინდეევამ, მდიდარმა მოსკოველმა ლამაზმანმა, მოსკოვური ბომონდის წევრმა და გლამურული წვეულებების ხშირმა სტუმარმა, რუბლიოვსკოე შოსეზე თავისი სასახლე გაყიდა.

ე.წ. რუბლიოვკა ის ადგილია, სადაც პუტინის რუსეთში გამდიდრებული მილიარდერები და მილიონერები ფუფუნებაში ცხოვრობენ და ამქვეყნად არაფერი ედარდებათ.

რამდენიმე წლის წინ სრულიად დაუჯერებელი იქნებოდა რუბლიოვკაზე გაყიდული სახლის ფულით ოპოზიციური ტელევიზიის დაარსების ისტორია, დღეს – არც ისე.

პუტინის მესამედ მოსვლის პერსპექტივამ მდიდრები და წარმატებულებიც არ დატოვა გულგრილი. რუსეთში სულ უფრო არაპოპულარული ხდება მეინსტრიმთან ასოცირება. კვლევითმა ჯგუფმა „W-City community research“ -მა პრესტიჟულ ადგილებში, მათ შორის, რუბლიოვკაზე, უძრავი ქონების მფლობელთა შორის გამოკითხვა ჩაატარა. „პრემიუმ“ კლასის საყვარელი გაზეთების ხუთეულში მწვავედ ოპოზიციური „ნოვაია გაზეტა“ შევიდა, საყვარელი რადიო „ეხო მოსკვი“ აღმოჩნდა, ხოლო საყვარელი ტელევიზიების ხუთეულში კი, სადაც დიდი ფედერალური სამეულის (რტრ, ორტ, ნტვ) არც ერთი არხი არ მოხვდა, „დოჟდია“ დასახელებული.

ცვლილებების ქარი უკვე რუბლიოვკიდანაც ქრის და ამის ლოგიკური გამოძახილია რუსულ ტელეეთერში „დოჟდის“ დაბადება.

„რაღაც მომენტში მოხდა ისე, რომ საზოგადოების გარკვეულმა ნაწილმა ტელევიზორის ყურება შევწვიტეთ. ცენტრალურ არხებზე თრეშის რაოდენობამ პიკს მიაღწია, მოაზროვნე ადამიანებისთვის ამ არხებზე დიდი ხანია აღარაფერი გადის. მაშინ ვიფიქრე, რატომ არ ვსინჯო ისეთი ტელევიზიის გაკეთება, რომელსაც ის ხალხი უყურებს, ტელევიზორის რომ აღარ სჯერა. ეს ნიშა თავისუფალი იყო“, – ჰყვება ნატალია სინდეევა, რომელსაც „დოჟდის“ გარდა რამდენიმე სხვა წარმატებული მედიაპროექტი აქვს: რადიო „სერებრიანნი დოჟდ“, ჟურნალი „ბოლშოი გოროდ“ და ვებგვერდი www.slon.ru.

ვერავინ წარმოიდგენდა, რომ რუსეთში ფედერალური არხებით მონუსხული მოსახლეობა იმდენად იყო მოწყურებული ინფორმაციას, რომ პატარა ინტერნეტტელევიზია მათთვის ინტელექტუალური დასაყრდენი გახდებოდა.

„არ შეგეშინდეთ ტელევიზორის ჩართვის“, „მიეცით ტელევიზიას კიდევ ერთი შანსი“ – ეს „დოჟდის“ მთავარი ლოზუნგებია.

უზარმაზარი ნათელი ოთახი, თეთრად და ვარდისფრად შეღებილი კედლები და ბევრი ფანჯარა – „დოჟდის“ openspace-ს ოფისში ოსტანკინოს მსგავსი ლაბირინთები არ არსებობს, არც დახურული კარები. ამ შენობაში ადრე შოკოლადის ქარხანა „კრასნი ოქტიაბრი“ იყო, რომელიც მთელ სსრკ-ს საკონდიტრო ბრენდებით: „დათუნიებით“ და „ალიონკებით“ ამარაგებდა. ლენინის თაბაშირის ბიუსტი, დიდი მწვანე ქვაბები, სადაც ადრე შოკოლადი იხარშებოდა, საბჭოთა დროინდელი გარმონივით რადიატორები მას შემდეგაც არ მოხსნეს, რაც შენობას კაპიტალური რემონტი ჩაუტარდა. „დოჟდის“ თანამედროვე, ჰაიტეკ აპარატურასთან სინთეზში ეს ძველმანები კრეატიულ გარემოს ქმნის.

„თუ „დოჟდზე“ მუშაობა გინდა – არა აქვს მნიშვნელობა, მემარცხენე ხარ თუ მემარჯვენე, ტელეგამოცდილება გაქვს თუ არა. მთავარია, ნათელი გონების, მოაზროვნე, თანამედროვე და კრეატიული იყო. დანარჩენს აქ ისწავლი. ჩვენ ყველანი ერთად ვსწავლობთ ტელევიზიის კეთებას პირდაპირ ეთერში, მაყურებელთან ერთად“, – ამბობს სინდეევა და „დოჟდის“ კიდევ ერთ ლოზუნგს იმეორებს – „ტელევიზია ჩვენი პროფესია არ არის“. ამ ლოზუნგით „დოჟდი“ რუსეთში უკვე დიდი ხნის წინ დისკრედიტებულ ტელეჟურნალისტიკას ემიჯნება.

თითქოს არ არის ლოგიკური, რომ სივრცეში სადაც ჟურნალისტებს სცემენ და კლავენ, არსებობს სატელევიზიო არხი, რომელიც ხელისუფლების საპროტესტო მიტინგებს პირდაპირ ეთერში გადასცემს. თავიდან, „დოჟდის“ სითამამეს იმას მიაწერდნენ, რომ კრემლში არსებობდა ადამიანი, რომელსაც ახალგაზრდული და ცოტათი ქარაფშუტა „დოჟდის“ რეპუტაციის გამოყენება თავისი იმიჯისთვის აწყობდა. ვერავინ წარმოიდგენდა, რომ რუსეთში ფედერალური არხებით მონუსხული მოსახლეობა იმდენად იყო მოწყურებული ინფორმაციას, რომ პატარა ინტერნეტტელევიზია მათთვის ინტელექტუალური დასაყრდენი გახდებოდა.

„ჩვენც და ჩვენი მაყურებლებიც, არაგულგრილი, აქტიური მოქალაქეები ვართ, რომლებისთვისაც სულ ერთი არ არის, რა ხდება ჩვენს გარშემო“, – ამბობს „დოჟდის“ იდეის ავტორი, ნატალია სინდეევა.

პრეზიდენტმა მედვედევმა „დოჟდის“ ტვიტერიდან ამოშლა დააგვიანა. დღეს ამ არხს აღარ სჭირდება მფარველები კრემლში. ეს ფუნქცია მაყურებლის ნდობამ და მხარდაჭერამ ჩაანაცვლა.

დამკვირვებელი

ავტორი ქეთი ქანთარია

ერთი თვის წინ მეგობარს რამდენიმე სცენარი ვუთარგმნე ფილმისთვის, რომელიც ოციოდე მოკლემეტრაჟიანი ნოველისგან შედგება და თბილისის, ზოგადად, ქალაქების თემაზეა. ამ საქმეში ვიყავი, როცა თემამ ერთი აფხაზი ბლოგერი გამახსენა. „როცა ქართველ ნაცნობ-მეგობრებს ტელეფონით ვესაუბრები, ვერ ვიშორებ განცდას, თითქოს ორი ბეჯითი მოხელე მთელი არსებითაა ჩართული ჩვენს მოსმენაში – ერთი აქეთა მხრიდან, მეორე – იქიდანო“, – წერდა თავის ბლოგზე. „პიროვნული გამყოფი ხაზის გადაღმა, ადამიანები ერთმანეთს ვერ ხედავენ – მარტო წარმოუდგენიათ, უსმენენ, უთვალთვალებენ ერთმანეთს, და არამარტო ერთმანეთს – თავისიანებსაც“. ბლოგერს კომიკურად ჰქონდა აღწერილი ორი პატარა, მონდომებული მოხელის ჯახირი. ჩემი აზრით, საუკეთესო იდეა იყო პატარა მოკლემეტრაჟიანი ფილმისთვის. ვიფიქრე, ბლოგის ავტორს სცენარის დაწერას შევთავაზებ-მეთქი, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგა, გამახსენდა, რომ მას ომის დროს ოჯახის წევრები ჰყავს დაღუპული და კაცმა არ იცის, მოუნდება თუ არა ქართველებთან თანამშრომლობა, მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ გაბედული ადამიანია; მეორე, ძლივს ვიცნობ, ვირტუალურადაც კი. საბოლოოდ, ვერ შევძელი, მომერიდა. თუმცა, მეჩვენება, რომ მან საკუთარ თავს სძლია და ზოგიერთ ქართველში მაინც, პირველ რიგში, ადამიანს ხედავს.

ეს ამბავი ასე დამთავრდა. უფრო სწორად, არც დაწყებულა. მერე ვიფიქრე, ხომ შეიძლებოდა, ამბავი, რომელიც მინდოდა სხვას მოეთხრო, მე დამეწერა? წარმომედგინა ერთი ანონიმური ბლოგერი, რომელიც ჩვენს სამყაროს გარედან ადევნებს თვალს. ის „მტრის“ და „მეგობრის“ ნაზავია. მისი თვალებით ჩემს ქალაქს ვხედავ, ყველა აქაურ კიჩურ სატყუარას – ბათუმს, სიღნაღს, მესტიას, მცხეთას და მალე შეიძლება ლაზიკაც დავინახო, მაგრამ იმას, იმ ოხერს, მაინც თავის მოუწყობელ, ნახევრად დანგრეულ ლამაზ ქალაქში ურჩევნია ლაღად ცხოვრება. როგორი შეიძლება იყოს ეს დამკვირვებელი? ირონიული და შემწყნარე. მასში არის ტკივილი, ტრავმა, საძაგელი ზამთრების მოგონებები ბლოკირებულ ქალაქში, – კიდევ, დროთა განმავლობაში წარმოშობილი სულგრძელობა, წინააღმდეგობრივი განცდები, რომელთა წარმოდგენა არც მიცდია, იმიტომ, რომ სხვა სხვის ომში ბრძენია.

არ ვიცი, სხვა როგორ უყურებს ამ საკითხს. მე თვითონ დიდი ხანია, ასე ვფიქრობ: თუკი სადმეა შესაძლებელი ადამიანის ღირსების, მისი თავისუფალი ნების ყველაზე მძაფრი გააზრება, აქ, საქართველოში, კავკასიაში შეიძლებოდა მომხდარიყო. რაღაც თვალსაზრისით, მეჩვენება, რომ ჩვენს ტრავმირებულ რეგიონში ხსნა მხოლოდ ამ ფენომენის კულტივირებაშია, მის ისეთ „აბსურდამდე“ აყვანაში, როგორიც ვაჟა-ფშაველამ აღწერა და რომელზე ღირებული არაფერი გვაქვს კულტურაში.

თუმცა, ვის რაში აინტერესებს, ჩვენ რა გვგონია. აი, გუშინწინ ინტერნეტში ცნობას გადავაწყდი, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქირავებული ბლოგერების ორმოცდაათკაციანი ჯგუფი ჰყავს, რომელთა სამიზნე აფხაზი ინტერნეტმომხმარებლები არიან. წყარო აბსოლუტურად არასანდო იყო, მაგრამ, პრინციპში, ამ ამბის რეალურობაში ეჭვი არ შემპარვია. შთაბეჭდილება, რომელსაც ეს აგრესიული, ბრტყლად მოაზროვნე ანონიმები ქმნიან, ისეთია, რომ მის გაქარწყლებაზე მუშაობა ხვალ და ზეგ ქართულ სახელმწიფოს მოუწევს.

გამოდის, როცა მე, საქართველოს მოქალაქე, ჩემი შემოსავლის 20%-ს სახელმწიფოს ვუხდი, სახელმწიფო ამ ფულს იმისთვის იყენებს, რომ ადამიანებს, რომელთათვისაც მე, უგუნურად დაწყებული ომისთვის, ბოდიშის მოხდა მინდა, კიდევ ერთხელ განუახლოს ყველა უარყოფითი განცდა ჩემ მიმართ, ჩემი ხმა დაამახინჯოს და მათ ასე მიაწვდინოს. ახლა სწორედ ამაზე ვფიქრობ და არც ვიცი, ვის უნდა ვკითხო: აქვს კი ჩემს სახელმწიფოს ამდენის უფლება?

გალერეა

თაკო ბაქრაძე
„ნიანგი“, შერეული ტექნიკა, 2011 წელი

წიგნების გარდასახვა

ავტორი ნინო ნატროშვილი

ჯერ კიდევ შარშან ქართულენოვანი ელექტრონული წიგნები არ არსებობდა. გამომცემლობა „სანდროს წიგნები“ ერთ-ერთი პიონერია. პირველი ორი წიგნი, რომელიც ქინდლისთვის მომზადდა და ინტერნეტში განთავსდა „ვეფხისტყაოსანი“ და „სოციალური მედია სკოლაში“ იყო. მოგვიანებით მას კიდევ ორი – „მოპარული ვარსკვლავი“ და „თამარას წიგნი“ დაემატა. ოთხივე წიგნი გამომცემლობის ფეისბუქის გვერდზე და sandroasatiani.wordpress.com-ზე დევს. მათი ჩამოტვრითვა უფასოდ შეგიძლიათ, „თამარას წიგნის“ ფრანგული და იტალიური თარგმანი კი 0.99 დოლარად Amazon-ზეც იყიდება.

ბაზარზე განსაკუთრებული სიახლე შემოიტანა ქართულმა იოტა რიდერმა, რომელიც თვეში დაახლოებით 100 ცალი იყიდება. გაჯეტი, მართალია ცოტა ძვირი – 299 ლარი ღირს, თუმცა ამ ფასად ტყავის შალითას და ბალანსზე 30 ლარს იღებთ. იოტას მფლობელებს ონლაინ-მაღაზია lit.ge-ს დახმარებით, ქართულენოვანი ტექსტებით სარგებლობის უფრო ფართო არჩევანი აქვთ. lit.ge-ზე ძირითადად მხატვრული ლიტერატურაა. მათ შორისაა ასზე მეტი წიგნი ქართული კლასიკიდან, რომელიც იოტა რიდერის მფლობელებისათვის უფასოა, ასევე, თანამედროვე ავტორები, მსოფლიო კლასიკის თარგმანები და არამხატვრული ლიტერატურა. ყველაზე პოპულარული ავტორები კი იოტას მკითხველებში: გურამ დოჩანაშვილი, აკა მორჩილაძე და დათო ტურაშვილია.

lit.ge -ს კონტენტი დაშიფრულია და მისი წაკითხვა მხოლოდ იოტა წამკითხველი და პირადი კომპიუტერის საშუალებით შეიძლება. თუ სხვა ბუკრიდერი გაქვთ, მაშინ საკითხავის ძებნაც სხვაგან მოგიწევთ. მიზეზი ელექტრონული წიგნების არალეგალურად გავრცელებისგან დაცვაა: წიგნს სხვა მოწყობილობაზე თუ გადაწერთ, ვერ წაიკითხავთ. უახლოეს ხანში lit.ge -ს კონტენტს Android-ზე მომუშავე მოწყობილობების, მათ შორის, სონი რიდერის მხარდაჭერაც დაემატება.

თავად იოტას მფლობელები კი მხოლოდ lit.ge-ზე არ არიან დამოკიდებულები. რიდერი ყველა გავრცელებული ფორმატის წიგნს კითხულობს.

ელექტრონული წიგნები, ქართულ ენაზე, ონლაინ მაღაზია „ლიგამუსზეც“ იყიდება. რესურსზე ყველა ელექტრონული წიგნი ილიას უნივერსიტეტის გამომცემლობამ შექმნა. 21 გამოცემიდან უმეტესობა სამეცნიერო ლიტერატურაა, 12 ქართველ ავტორებს ეკუთვნის, დანარჩენი კი ქართულენოვანი თარგმანებია. წიგნები 2-5 ლარი ღირს, რაც უფრო იაფია, ვიდრე მათი ბეჭდური ვერსიები. ინტერნეტ-მაღაზიაში ამბობენ, რომ ელექტრონული წიგნები ქაღალდის წიგნებზე ორჯერ უფრო მეტად იყიდება.

როგორც ჩანს, ელექტრონული წიგნები ჩვენთანაც მიმზიდველი ხდება, თუმცა, ქართულენოვანი კონტენტის არჩევანის არარსებობა მკითხველებს დისკომფორტს უქმნის. თუ იოტა არ გაქვთ და არც სამეცნიერო ლიტერატურა გიტაცებთ, შეგიძლiaT kontenti lib.ge-sa da ბუკი.გე-ზე მოიძიოთ და მერე თქვენი ბუკრიდერისთვის შესაბამის ფორმატში დააკონვერტიროთ. საკმაოდ მდიდარი მასალაა განთავსებული ეროვნული ბიბლიოთეკის ვებ-გვერდზეც (www.nplg.gov.ge). საიტზე თავმოყრილი 1600-მდე წიგნი და 55 ჟურნალი ბეჭდური არქივისა და დისერტაციების, ქართული კლასიკური ლიტერატურის, სამოქალაქო საზოგადოების, ეკონომიკის, სამართლისა და ლექსიკონების კოლექციებს აერთიანებს. ცალკე კოლექციაშია გაერთიანებილი „ქართლის ცხოვრება“.

თუმცა ეროვნულ ბიბლიოთეკას დღემდე არ აქვს ლიტერატურის ციფრულ ფორმატში გადატანისთვის საჭირო ტექნიკური ბაზა და გამომცემლობებსა და ავტორებზეა დამოკიდებული. მათ თავად მიაქვთ კონტენტი ბიბლიოთეკაში.

ეროვნული ბიბლიოთეკის ვებ-გვერდზე ტექსტური ფორმატის და პდფ ფაილებია გაერთიანებული. კონვერტაცია შესაძლოა ამ შემთხვევაშიც მოგიწიოთ, სამაგიეროდ, კონტენტია უფასო. გასულ წელს ელექტრონული ბიბლიოთეკის PDF კოლექციაში ყველაზე ხშირად იმ გვერდებს სტუმრობდნენ, რომლებზეც საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ილია ჭავჭავაძე და ივანე ჯავახიშვილი, „ვეფხისტყაოსანი“ და მარკეტინგის შესახებ ლიტერატურაა განთავსებული. შარშანწინ კი ყველაზე პოპულარული წიგნები ქართულ გვარ-სახელებზე იყო.

მოკლედ, ჯერ ისევ გარდამავალ ეტაპზე ვართ, თუმცა თუ გავითვალისწინებთ, რა სისწრაფით ვითარდება მოვლენები, მომდევნო 5-10 წლის განმავლობაში, ან შეიძლება უფრო ადრეც, ელექტრონული წიგნი ყველა აქტიურ მკითხველს საქართველოშიც მიაკითხავს.

გიორგი ტოვსტონოგოვის სახელობის დიდი დრამატული თეატრის

გასტროლი

16 და 17 მარტი

კოტე მარჯანიშვილის თეატრში

კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი

www.marjanishvili.com

www.facebook.com / MARJANISHVILI.THEATRE

ვის არ ეშინია ეკატერინე გაბაშვილის...

ავტორი გიორგი ლობჟანიძე

ლელა კოდალაშვილის მოთხრობების კრებული ორიგინალური სათაურით „არა, ვამბობ მე“ 2011 წელს დასტამბა გამომცემლობა „აგორამ“, რომელიც, ძირითადად, თანამედროვე ფრანგული ლიტერატურის ნიმუშებს გამოსცემს, მაგრამ შიგადაშიგ ქართულ ლიტერატურასაც სწყალობს და, ალბათ, იმ ნიშნით, რომ აქ გამოცემული ქართული მწერლობა რაღაცით უნდა ჰგავდეს ფრანგულს.

სხვა შემთხვევაში ძნელი ასახსნელია, რითი მოხიბლა დებიუტანტი მწერლის ნააზრევმა საკმაოდ პრეტენზიული გამომცემლობის მესვეურნი, რომ მისი პირველი წიგნი ყოველგვარი რეკლამის ანდა ერთგვარი საბაზრო გარანტიების გარეშე დასტამბეს.

ეს შეკითხვა ლელა კოდალაშვილის პირველი წიგნის მკითხველს პირველივე მოთხრობის წაკითხვისთანავე გაუქრება და ამ ერთი მოთხრობითაც შესანიშნავად იგრძნობს, რომ ქართულ ლიტერატურაში ფიქრიანი, სხვანაირი, ორიგინალურად მოაზროვნე მწერალი მოვიდა.

რახან ფრანგულ ლიტერატურასთან მსგავსებაზე მივუთითეთ, კოდალაშვილის მოთხრობებმა რამდენიმე წლის წინათ მზია ბაქრაძის მიერ შესანიშნავად თარგმნილი თანამედროვე ფრანგი მწერალი ქალის, ანი ერნოს მცირე რომანი „შიშველი ვნება“ გამახსენა.

მახსოვს, თავის დროზე როგორ გამაღიზიანა ამ ტექსტის აუტანლად შიშველმა ნატურლიზმმა, რომლის იქითაც ბევრი აღარაფერი იყო დასანახი. ერნოს რომანი იწყებოდა რომელიღაც 18 + ტელეარხზე ნანახი პორნოგრაფიის აღწერით, და პრინციპში, ამ აღწერითვე თავდებოდა, რადგან ადამიანის ერთადერთ დანიშნულებად, მწერალი, სექსუალური აქტით ბოლომდე ტკბობას მიიჩნევდა. სხვა ყველაფერი – მეორადი, მკრთალი და უინტერესო იყო. მთელი ტექსტი კი სპერმისა და ვაგინის სუნად ყარდა.

რაღაც დოზით „ერნოიზმს“ კოდალაშვილის მოთხრობებშიც შეამჩნევთ. ლელა კოდალაშვილი, ალბათ, არასოდეს გამოიყენებს სპერმასა და ვაგინასთან ასეთ ვულგარულ ზმნას „ყარდა“ და სიტყვა „სუნსაც“, ალბათ, უფრო „სურნელს“ ამჯობინებს, ოღონდ არა იმიტომ, რომ არქაიზმებით არის გატაცებული.

პირიქით, მისი ენა ხაზგასმულად თანამედროვეა და თუკი არქაიზაციას ან სხვა ენობრივ თამაშებს ალაგ-ალაგ მიმართავს, არა რომანტიკული ფონის შესაქმნელად, არამედ პირიქით, ნაგვიანევი რომანტიზმის მასხრად ასაგდებად.

ამ ენობრივი თამაშის მხრივ ყველაზე დიდ შთაბეჭდილებას კრებულის პირველი მოთხრობა ახდენს, რომელშიც ქალის რამდენიმე ასაკი და სულიერ-ემოციური მდგომარება შესაბამისი ასაკობრივი ლექსიკითა და ფრაზეოლოგიით არის მოყოლილი.

თხრობას იწყებს პატარა გოგონა, აგრძელებს ქალიშვილი, მერე მოწიფული ქალი და ბოლოს მოხუცი, რომელთა მონათხრობსაც მსჭვალავს მსუბუქი სევდა და ძალიან ღრმა ეროტიზმი.

ოღონდ იმის გაფიქრება, თითქოს მწერალს ასე მარტივად უნდოდა ეჩვენებინა, რომ ქალი ყველა ასაკში ქალია, რა თქმა უნდა, შეცდომა იქნებოდა. უფრო სწორად, გარკვეულწილად, ალბათ, ესეც არის, მაგრამ მთავარი აქ სხვა რამაა: ლელა კოდალაშვილი ცდილობს დაგვანახოს, რომ არსებობს „დიდი გონება“ – სხეული, რომელიც მთლიანად წარმართავს ჩვენს ინტელექტუალურ და სულიერ მისწრაფებებს.

არსებითად, ამას გვეუბნება კოდალაშვილი ყველა მოთხრობაში, ოღონდ წარმატებულ კომუნიკაციას, თავისი სათქმელის მკითხველამდე მოტანას, ყველაზე უკეთ, ალბათ, მაინც, ამ პირველ მოთხრობაში ახერხებს. მიზეზი მარტივია: ეს მოთხრობა ყველა დანარჩენზე მხატვრული და ლიტერატურულად შეკრულია.

პატარა გოგონას პირველივე ფრაზა, სადაც გრამატიკული დროებია აღრეული, მთელი მოთხრობის სათქმელს თავიდანვე ამბობს. გრძნობებისათვის დრო არ არსებობს და როცა სექსის, სიკვდილისა და სიყვარულის პირისპირ დგება, ქალი მუდამ პატარა, დაუცველი გოგონაა.

კრებულის მეორე ტექსტი, როგორც ეპიგრაფიდანაც დავინახავთ, დათო ბარბაქაძის გახმაურებული „წამებულთა ტრფობით“ არის ინსპირირებული. ბარბაქაძის ტექსტი, რომელიც, თავის დროზე, ანგაჟირებულმა კრიტიკამ მწერლის დისკრედიტაციის მცდელობისთვის გამოიყენა, სინამდვილეში არც ისეთი მარტივი იყო, როგორც თამაზ წივწივაძეს მოეჩვენა. ბარბაქაძე ამ პოეტურ მოთხრობაში, სადაც არქაიზაციით, და უფრო მეტიც, წმინდა წერილის ტექსტზე და ჰაგიოგრაფიაზე აპელირებით, ენის საგანგებოდ გროტესკული რეგისტრი იყო აჟღერებული, გვეუბნებოდა არსებითს: ამ საზოგადოებაში, სადაც ყველა ერთმანეთს ტყნავს, ანუ ამდაბლებს, ანუ ტყვედ იგდებს, ანუ ჩაგრავს, მაღალ იდეალებზე ლაპარაკი ისევე სასაცილოდ გამოიყურება, როგორც ამ კონტექსტში სახარებისეული

ალუზიები და ჰაგიოგრაფიული ციტატები.

პრინციპულად, ამავე პათოსს ეხმიანება ლელა კოდალაშვილის მოთხრობა, რომელიც, შთაბეჭდილება დამრჩა, თითქმის ბარბაქაძის ტექსტის თანადროულად არის დაწერილი, მაგრამ რაკიღა „ტრფობა წამებულთა“ უკვე დიდი ხნის გამოქვეყნებული იყო, ამიტომაც ლელა კოდალაშვილმა თამაშის პატიოსანი წესი აირჩია და მოთხრობას დათო ბარბაქაძის ტექსტის ფრაგმენტი ეპიგრაფად წაუმძღვარა, რითაც მისი უპირატესობა ინტელიგენტურად აღიარა.

ერთი ეგ არის, რომ თუ ბარბაქაძის ტექსტში პოეტური რიტმი და ფრაზების უსასრულო გამეორება დაჭიმულობის ეფექტს ქმნის, ლელა კოდალაშვილის მოთხრობაში იმის გარკვევა, თუ ვინ ვისი საყვარელია, ძალზე გაჭიანურებული და მოსაწყენი პროცესია და ვფიქრობ, ესეც საგანგებო ხერხია უვნებო, ყოველგვარი ადამიანური შინაარსისაგან დაცლილი სექსუალური აქტის მოყირჭების გადმოსაცემად.

ყოველ შემთხვევაში, მე პატიოსნად ორჯერ წავიკითხე მოთხრობა, რომ დამემახსოვრებინა, ვინ როდის შეირთო ცოლად და რამდენი ხნით, ვინ ვის დაუსაყვარლდა და როგორ, მაგრამ მივხვდი, რომ არაფერი გამომივიდა.

ეს არის თავისებური „სექსი პატარა ქალაქში“, სადაც ყველა ერთმანეთს იცნობს, სადაც არჩევანი შეზღუდულია და, ბოლოს და ბოლოს, მოსატყნავადაც ხელში ერთმანეთის მეტი არავინ რჩებათ, თვით ისეთ სიტუაციაშიც კი, როცა თბილისიდან გაღწეულებს თითქოსდა ფართო გასაქანი მიეცემათ.

საერთოდ, ლელა კოდალაშვილს აინტერესებს სექსის ფენომენის კვლევა შეზღუდულ გარემოებებში, ამიტომაც მისი წიგნის მესამე მოთხრობა, რომელსაც უკვე ნამდვილად ფრანგული სათაური აქვს, რაც ქართულად მოითარგმნების, როგორც „სამი არის სტრესი“, არა იმდენად ტრადიციული სასიყვარულო სამკუთხედის თემას ეძღვნება, რამდენადაც იმას, თუ როგორ იქცევიან მეგობრები, როცა

გალერეა

თაკო ბაქრაძე
„მოდა“, აკვარელი, ფერადი ფანქარი, 2009 წელი

ერთი კაცი უყვარდებათ და შესაძლებელია თუ არა სამში სრულყოფილ სექსი.

საერთოდ, ამ მოთხრობაში აშკარად გამოჩნდა ლელა კოდალაშვილის, როგორც მთხრობელის ერთი არცთუ სასიამოვნო თავისებურება: ავტორის ლირიკული მე, ანდა პერსონაჟი, რომელიც ავტორის პროტაგონისტს წარმოადგენს, ზედმეტად არის დაკავებული თავის თავით და თითქოს ყველას უმტკიცებს, როგორი მართალი და უბრალოა სხვადასხვა ცხოვრებისეულ სიტუაციებში, სხვა ადამიანის, უცხოს პრობლემებს კი ის ან არ უღრმავდება ან საგანგებოდ იგნორირებას უკეთებს. ტექსტებში ისე ძალუმად ჟონავს თავის მართლების, საკუთარი სიმართლის სხვებისათვის დამტკიცების ეგოისტური ჟინი, რომ სხვა პერსონაჟების მიმართ მწერლის ინტერესსაც კი აღემატება.

ყოველ შემთხვევაში, ამ კრებულის, ჩემი აზრით, ყველაზე გამორჩეულ მოთხრობაში „მარტოდროშიც“ კი, რომელიც ჯემალ ქარჩხაძის მხატვრული ფსიქოლოგიზმის საუკეთესო ტრადიციით არის დაწერილი, მწერალ-პროტაგონისტს ისეთ ადგილას ეპარება ეგოიზმი, რომ შეუძლებელია, ამან არ გაგაღიზიანოს.

მოთხრობაში არის ასეთი მონაკვეთი, როცა ბათუმისაკენ მიმავლს და ფოთის სადგურზე დარჩენილ პერსონაჟ მთხრობელს, ქუჩაში შემთხვევით გაცნობილი ორი ყმაწვილი, ღამის გასათევად მეგობარ ქალთან დაპატიჟებს.

ორმოც წლამდე ასაკის ქალს, გულისოს, პატარა ბიჭუნა ჰყავს. ღამით ყველანი ერთად რჩებიან და გოგონას გვერდით, საწოლში, გულისო და ერთ-ერთი ეს ყმაწვილი ღამის სექსუალური აღვირახსნილობის მაგალითს იძლევიან.

ყოველ შემთხვევაში, ავტორი გვეუბნება, რომ იმ ღამით გელამ რვაჯერ გაათავა და მე ამაში, პერსონაჟის ახალგაზრდობის მიუხედავად, რატომღაც მაინც ეჭვი მეპარება.

მაგრამ აქ ეს არ არის მთავარი. მთავარია, რომ მწერალი გვიყვება, როგორ გაიღვიძებს პატარა ბიჭი ღამით, როგორ შეესწრება დედამისისა და გელას სასიყვარულო განცხრომას და როგორ შეეშინდება ამ სიტუაციისა.

მაგრამ ეს ყველაფერი ტექსტშიც თითქმის ისევე მშრალად არის მოთხრობილი, როგორც ახლა მე გიყვებით. არავითარი თანაგრძნობა ბავშვის მიმართ, არავითარი მცდელობა იმისა, რომ ფსიქოლოგიურად და მხატვრულად ამოიხსნას და გაიხსნას მისი შიში.

მიზეზი კი უბრალოა: მთხრობელი-პროტაგონისტი საკუთარი თავით,

საკუთარი სექსუალური შიშებისა და სურვილების აღწერით არის დაკავებული.

მეორე მოთხრობაში, რომელსაც „ვარდნა“ ჰქვია და სადაც პერსონაჟი მაღალსართულიანი სახლის სახურავიდან ხტება, შესაშური ოსტატობითაა დახატული მთელი ის უიმედო ფონი, რაც ახალგაზრდა კაცს თვითმკვლელობისაკენ უბიძგებს, აქაც თვალსაცემია ერთგვარი მიკერძოება, როცა ამ ტრაგიკული ამბის უმთავრეს მიზეზად პერსონაჟის მამა სახელდება.

ლიტერატურულ დონეზე ბრალდებაც გამოტანილია და სიტუაციის მთელი ტრაგიკული არსიც გახსნილია იმ მონაკვეთში, როცა სამსახურიდან ახალდაბრუნებულ მამას, რომელიც, ის-ის არის, ტანსაცმელს გამოიცვლის და ფანჯრიდან იყურება, შენობის სახურავიდან გადმომხტარი შვილი ჩაუქროლებს, წამით გაუსწორდება და თვალის დახამხამებაში მიწას დაასკდება.

მოთხრობა აქ მთავრდება. მერე კი იწყება ზედმეტი განსჯები, რითაც საერთოდ, ჩემი აზრით, სცოდავს ლელა კოდალაშვილის პროზა.

ეს ზედმეტი განსჯა განსაკუთრებით თვალში მოგხვდებათ ქალის სექსუალობისა და საერთოდ სექსუალური ურთიერთობის ფილოსოფიის „ჩამოყალიბებისას“. ზოგჯერ ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს მოთხრობას კი არა, გენდერულ თემაზე დაწერილ ფემინისტურ ტრაქტატს კითხულობდე.

ჩემს ახალგაზრდობაში, როცა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 90-ე აუდიტორიაში საინტერესო ლიტერატურული საღამოები და ახალი ლექსებისა თუ მოთხრობების მძაფრი განხილვები იმართებოდა, ერთ-ერთ დამწყებ პოეტ გოგონას კრიტიკოსებმა მოჭარბებული სექსუალური მგრძნობელობისთვის უსაყვედურეს. არასოდეს დამავიწყდება პოეტი გოგონას მიერ ამ კრიტიკის პასუხად ხაზგასმული პათეტიკით წარმოთქმული ფრაზა: „რას იზამ, ჩემო კარგო, ყველა ქალი იმაზე წერს, რაც აკლია!“

ჩემი აზრით, იმ გოგონამ, მაშინ, ეპოქალური სათქმელი თქვა. მოსწრებულად მიანიშნა იმაზე, რა შეიძლებოდა ეწერათ ქართველ ქალებს და ვერ კი გაეგო, რატომ იყვნენ პირში წყალჩაგუბებულები...

დროსთან ერთად იცვლება ეროტიკასთან და უხამსობასთან ჩვენი დამოკიდებულება. თავის დროზე, იზა ორჯონიკიძისა და ლია სტურუას ლექსებშიც პოულობდნენ ჭარბი სექსუალური მგრძნობელობის ფლუიდებს, ნაირა გელაშვილს კი, საერთოდ, „სექსუალური პროზის დედამთავარი“ ტელეეკრანიდან უწოდა ერთმა პოლიტიკურად ანგაჟირებულმა კრიტიკოსმა, რომანისათვის „ამბრნი, უმბრნი და არაბნი“... და მაშინ, გაქანებული კომუნიზმის ეპოქაში, ეს ლამის სასიკვდილო განაჩენის გამოტანის ტოლფასი იყო...

თუმცა, დამეთანხმებით, რომ არც ხსნებეულ პოეტებსა და არც აღნიშნულ პროზაიკოსს, ალბათ, აზრადაც არ მოუვიდოდათ, ისე ეწერათ ქალისა და მამაკაცის ურთიერთობაზე, როგორც ამას ლელა კოდალაშვილის წიგნში დაინახავთ. აქ, ცხადია, მხატვრულობის ხარისხზე არ ვსაუბრობ. ლაპარაკია საკითხთან დიამეტრალურად განსხვავებული მიდგომის თაობაზე.

როგორ, განა იმ წინა ეპოქებში არა ტყნაურობდნენ? – მაგრამ იყო რაღაც, რაზეც თავისი დროის ყველაზე უფრო თამამი ქალები ან დუმილს არჩევდნენ, ანდა ამ ურთიერთობას რომანტიკულ და ამაღლებულ რეგისტრში წარმოაჩენდნენ, ერიდებოდნენ თემის ზედმეტ გახსნასა და დესაკრალიზებას...

არა! – გვითხრა ლელა კოდალაშვილმა და პრინციპულად სხვა გზა აირჩია. მან ისე დაამიწა სექსუალური ურთიერთობები, ისე გადახსნა ჩვენ წინაშე ამ ურთიერთობათა არსი, რომ წიგნი ლიტერატურულს კი არა საპროტესტო აქციას დაამსგავსა და, ვფიქრობ, ძირითადად, უფრო წააგო, ვიდრე რამე მოიგო...

ერთი ჩემი ახლობელი ამაყობდა იმით, რომ მისმა ოთხი წლის ბავშვმა „ცუდი სიტყვები“ არ იცოდა და არათუ თვითონ არ იყენებდა ამ სიტყვებს, საერთოდ, არცკი გაგეგონა და წარმოდგენაც არ ჰქონდა მათ შესახებ. ერთხელაც, ოჯახში დიდი ხნის უნახავი მეგობარი ეწვიათ, სერიოზული ქალბატონი, რომელიც ზედმეტად იყო გატაცებული საკუთარი მნიშვნელოვნებით და ძვირფასი სუნამოს სურნელივით აფრქვევდა ირგვლივ თავდაჯერებულობას.

უცებ, ეს ბავშვი, ეს უბიწო კრავი მივიდა, წინ დაუდგა ქალბატონს და ყველა უხამსი სიტყვა დახარჯა, რაც კარგად ესწავლა და რასაც მანამდე გულდაგულ მალავდა... ოჯახი შოკში იყო..

ლელა კოდალაშვილის წიგნის წაკითხვამ, რატომღაც ეს ამბავიც გამახსენა და გამეღიმა...

რადაგან ამ ამბის უნებურმა შემსწრემ მაშინ პირველად გავიფიქრე, რომ არ არსებობს „ცუდი სიტყვები“ და ბავშვისათვის, ისევე როგორც მწერლისათვის, ყველა სიტყვა ერთნაირად საინტერესოა. ერთგვაროვანი საშენი მასალაა, რომლითაც ხან წარმოსახვითი და ხანაც ლიტერატურული სამყარო იგება.

სწორედ ამიტომ დიდი შეცდომა იქნებოდა ლელა კოდალაშვილის წიგნში მხოლოდ ეს სექსუალური ასპექტი დაგვენახა და არ შეგვენიშნა ავტორის დიდი ლიტერატურული ნიჭიერება.

ყველა მოთხრობა საოცრად დინამიკურია. პერსონაჟები ცოცხლები და ალაგ-ალაგ, როგორც მოგახსენეთ, მეტისმეტად ცოცხლები არიან...

მოკლედ, სავსებით ვეთანხმები წიგნის ყდაზე გამოტანილ ცნობილი ქართველი მწერლის, ზურაბ ქარუმიძის აზრს, რომ ამ წიგნს მკითხველი უთუოდ ეყოლება...

დანარჩენი ყველაფერი – ეპოქის, სითამამისა და გემოვნების ამბავია...

დიახ, ეპოქისაც, რადგან იქნება ვცდები, მაგრამ მაინც მგონია, ამ ყველაფრის სათავეებთან კნეინა ბარბარე ჯორჯაძისა და ეკატერინე გაბაშვილიც დგანან....

და ახლა, აბა, ვის ეშინია ეკატერინე გაბაშვილის....

ისე, კაცმა რომ თქვას, ვის არ ეშინია?....



გოგონა დრაკონის ტატუი

ანუ როგორ იქმნება XXI საუკუნის ბესტსელერი

ავტორი მაშო სამადაშვილი

სტიგ ლარსონი – „ქალთმოძულე კაცები“
დეტექტივი
მთარგმნელი ნიკა სამუშია
ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2011

1966 წელს, ჩრდილოეთ შვედეთში, მიყრუებულ კუნძულ ჰედებიზე, ტრადიციულ, ოჯახურ სადილზე დასასწრებად ვანგერების მთელი ოჯახი, 60-მდე ადამიანი შეიკრიბა. იმავე დღეს ავარია მოხდა ერთადერთ ხიდზე, რომელიც კუნძულს მატერიკთან აკავშირებდა და ჰედებიზე მიმოსვლა დროებით შეწყდა. ავარიის გამო, სადილის დაწყება დაგვიანდა. საერთო აურზაურში კი, ვერავინ შენიშნა, როგორ გაუჩინარდა თექვსმეტი წლის ჰარიეტი.

იმ დღის შემდეგ, გოგონა აღარავის უნახავს. ოჯახის უფროსს, 82 წლის ჰენრიკ ვანგერს კი, 40 წლის შემდეგაც არ ასვენებს კითხვა – ოჯახის რომელმა წევრმა მოკლა მისთვის შვილივით საყვარელი ჰარიეტი და ვინ ცდილობს მის ჭკუიდან შეშლას, როცა ყოველ წელს, დაბადების დღეზე, ჩარჩოში ჩასმულ, გამხმარ ყვავილებს უგზავნის ისე, როგორც ამას ჰარიეტი აკეთებდა.

ამ მტანჯველი საიდუმლოს ამოხსნას ვანგერი ჟურნალისტ მიქაელ ბლუმკვისტს და ახალგაზრდა ჰაკერ, ლისბეთ სალანდერს ანდობს. მათ ხელჩასაჭიდი არაფერი აქვთ, მაგრამ გამოძიებას მაინც იწყებენ.

უკვე თვეზე მეტია, ამ ორი დეტექტივის საქმიანობას ვადარებ ჩემი და თამარ ბაბუაძის მცდელობას, ვიპოვოთ პასუხი კითხვაზე – რატომ ვერ ხდება ქართული წიგნი მსოფლიო ბესტსელერი.

ფიქრობთ, რომ სტიგ ლარსონის გავლენის ქვეშ ზედმეტად მოვექეცი და გამომძიებლის როლში ასე ძალიან ამიტომ შევიჭერი? არც ასეა საქმე.

უბრალოდ, „გოგონა დრაკონის ტატუთი“ ჩემთვის იმის თვალსაჩინო მაგალითი გახდა, რასაც ქართული გამოცემები, ჯერჯერობით, ვერაფრით აღწევენ – თავი სულმოუთქმელად წაგაკითხონ იმისგან დამოუკიდებლად, თუ რა ეროვნების მკითხველი ხარ – შვედი, ქართველი თუ ინგლისელი.

არსებობს რამდენიმე სტანდარტული წესი, რომელთა დაცვის გარეშეც უცხოენოვან წიგნს მსოფლიო ბესტსელერობა არ უწერია. 1. მწერალი უნდა იყოს ცოცხალი. 2. სასურველია, თუ მწერალი იქნება ახალგაზრდა და ლამაზი. 3. ბესტსელერობას ხელს შეუწყობს ისიც, თუ ავტორს ექნება „კონკიას ამბავიც“, ანუ ერთგვარი ბონუსი, რომელიც წიგნს მოჰყვება.

როცა „გოგონა დრაკონის ტატუთი“ შვედურმა გამომცემლობამ პირველად გამოსცა, სტიგ ლარსონი ერთი წლის გარდაცვლილი იყო. ესეც რომ არა, აბსოლუტურად უცნობი იყო მისი სახელი იმ საგაზეთო წრის მიღმა, სადაც ლარსონი მუშაობდა. მის წიგნს ბესტსელერობის მიღწევაში ხელს ავტორის წარმომავლობა და ენაც უშლიდა.

ამ მიზეზების გამო, გამომცემლობები, სრულიად ლოგიკურად, დიდი ხნის განმავლობაში იკავებდნენ თავს თითქმის ხუთასგვერდიანი წიგნის დაბეჭდვისგან.

„გოგონა დრაკონის ტატუთი“ ბოლოს და ბოლოს, 2005 წელს შვედეთის უძველესმა გამომცემლობა „Nordstedts“-მა დაბეჭდა. წიგნი გამოსვლისთანავე პოპულარული გახდა, 2011 წელს კი გაზეთმა „გარდიანმა“ ლარსონის ტრილოგიის სამივე ნაწილი წლის საუკეთესო წიგნების ათეულში შეიყვანა. საბოლოოდ, ტრილოგია 43 ქვეყანაში 45 მილიონიანი ტირაჟით გაიყიდა.

სტიგ ლარსონმა ყველანაირი „ოქროს წესი“ დაარღვია, მსოფლიო ბესტსელერი გახდა ისე, რომ არცერთი ლოგიკური წინაპირობა არ დაიცვა. მეტიც, დღეს აღარ დავობენ არც იმაზე, რომ ამ ავტორმა შვედური დეტექტივის ბრენდი შექმნა.

ლარსონის წარმატების მთავარი მიზეზი დინამიკური და დახვეწილი ნარატივი გახდა. ამბავი ერთდროულად ძალიან ლოკალური და ამავე დროს, მკაფიოდ უნივერსალურიცაა; თან ისტორია იმდენად არაპროგნოზირებადია, იმდენი ერთმანეთისგან დამოუკიდებელი სიუჟეტური ხაზი და კვანძის გახსნა აქვს, რომ მკითხველი დაუფიქრებლად მიჰყვება ავტორს ამბის გამოსაძიებლად შვედეთის მიყრუებულ კუნძულზე, სადაც თერმომეტრი მინუს 23 გრადუსს აჩვენებს, და სულ 30 სახლი, ერთი ეკლესია და ერთიც მაღაზია დგას.

ლარსონის რომანში გაიცნობთ ოჯახს, რომლის წევრებიც თაღლითები, ფაშისტები და ფსიქიკურად გაუწონასწორებელი მდიდარი ადამიანები არიან; ჩაერთვებით რვა სასტიკ, რელიგიურ თემასთან დაკავშირებულ დანაშაულში, ვერაფრით დაივიწყებთ მარტოსული ჰაკერი გოგონას ამბავს, რომელსაც საზოგადოება გონებაშეზღუდულად მიიჩნევს და რომელიც საკუთარი მეურვის სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ხდება და გულშემატკივრობთ გამოცდილ გამომძიებელ ჟურნალისტს, რომელსაც მნიშვნელოვან სტატიაზე მუშაობისას ყალბ მასალებს შეაპარებენ და მყისიერად საერთო გაკიცხვის ობიექტად აქცევენ.

კიდევ ერთი საგულისხმო დეტალი, რამაც ამ დეტექტივს არაჩვეულებრივად საინტერესო კონტექსტი შესძინა და ჟანრის გამორჩეულ მაგალითად აქცია, თემების დამუშავების ტექნიკაა. წიგნის კითხვისას სულ აღტაცებული ვიყავი, თუ რამდენად ღრმად იცნობს ავტორი თემებს, რომლებზეც გვიამბობს. მის რომანში ზოგიერთი რამ ხანგრძლივი კვლევის და არქივების დამუშავების შედეგია, ზოგს კი საფუძვლად ავტორის პირადი მოგონებები უდევს. მაგალითად, ადგილი, სადაც მოქმედება ვითარდება, სავარაუდოდ, ძალიან უნდა ჰგავდეს ჩრდილოეთ შვედეთის იმ მიყრუებულ სოფელს, რომელშიც ლარსონი ბებოსთან ერთად ცხოვრობდა ბავშვობა-

ში. ქალებზე სექსუალური ძალადობის თემაც ლარსონის პირად მოგონებას უკავშირდება – 14 წლის იყო ავტორი, როდესაც გოგონას, სახელად ლისბეთის გაუპატიურების თვითმხილველი გახდა. წიგნში იმდენად ზუსტადაა ასახული კრიზისში მყოფი გაზეთის პერიპეტიები და დილემაც, რომ ფაქტია, ლარსონი ამ პასაჟებზე წერისას საკუთარ ჟურნალისტურ გამოცდილებას ეყრდნობოდა.

თუმცა, როგორც უკვე გითხარით, ამ პირადი თუ „სპეციფიკურად შვედური" მოგონებების მიუხედავად, „გოგონა დრაკონის ტატუთი" მაინც უნივერსალური საკითხავია, ანუ თანაბრად გასაგები და ახლობელი ყველა ეროვნების მკითხველისთვის – თანამედროვე ტექნოლოგიების შესაძლებლობებს, მორალურ კრიზისს, ადამიანურ ურთიერთობებს ხომ ეროვნება არ აქვს.

რა თქმა უნდა, შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ბესტსელერობა უპირობოდ მაღალმხატვრულ ნამუშევარს ნიშნავს, თუმცა, ისიც ფაქტია, რომ სტიგ ლარსონმა შეძლო, დეტექტიური საკითხავის ვიწრო საზღვრები გაერღვია და მკითხველთა უფრო ფართო წრის გულები დაეპყრო – თუნდაც მაღალი ლიტერატურული გემოვნების მქონე მკითხველებისა.

რა თქმა უნდა, ამ წიგნსაც აქვს სუსტი მხარეები. მაგალითად, რელიგიური კონტექსტი, რომელიც წიგნში მოთხრობილ ყველა დანაშაულს ახლავს, ლოგიკურად არ ვითარდება და ბოლოს თითქოს, აზრსაც კარგავს, პერსონაჟი კი, რომელიც წიგნის დასაწყისში ხშირად გვხვდება და ერთ-ერთ ცენტრალურ ეჭვმიტანილად მიიჩნევა, მოულოდნელად, ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე ქრება. გარდა ამისა, ქართულად წიგნი არა შვედურიდან, არამედ ინგლისურიდანაა თარგმნილი და არცთუ იდეალურად. თუმცა, იმდენად „ჩამთრევი" თხრობა აქვს ლარსონს, რომ სტილისტურ-ორთოგრაფიულ ლაფსუსებს ჩემისთანა დაკვირვებული მკითხველიც კი ივიწყებს.

ასეთი მრავალმხრივი შეგრძნებები თანამედროვე ქართველი ავტორების კითხვისას დიდი ხანია, არ მქონია, მიუხედავად იმისა, რომ ვცდილობ, მათი ახალი ნამუშევრები არასდროს გამოვტოვო. ალბათ, ამიტომაც გამახსენა სტიგ ლარსონის წარმატებამ თემა, რომელსაც „ცხელი შოკოლადის" შემდეგი ნომრისთვის ვამუშავებთ. ჩვენი კვლევა-ძიებისას ხომ უკვე აშკარად გამოიკვეთა, რომ ხშირ შემთხვევაში ქართველ ავტორებს აკლიათ ის, რაც ლარსონის წიგნს უხვად აქვს – თემის საფუძვლიანი გააზრება, ღრმა კონტექსტი, მარტივი თხრობა, იდეის საინტერესო განვითარება და ერთდროულად უნივერსალურობაცა და ეგზოტიკურობაც. რჩება შთაბეჭდილება, თითქოს, ქართველი ავტორები „იმედისმომცემი"-ს ეტაპს ვერ სცდებიან და გამუდმებით იმ თემებში „იხარშებიან", რომელთაც უნივერსალურობისა არაფერი სცხია. არადა, რამდენი საინტერესო ისტორია იქნება გამოსაკვლევი, თუ მონდომებული ავტორი თუნდაც საბჭოთა არქივებს ჩაუჯდება.

როგორ ვიკითხოთ რომანივით?

ავტორები: სალომე აფხაზიშვილი, გიორგი გოგუა

დანიელ პენაკი – „რომანივით საკითხავი"
მთარგმნელი ია ბერსენაძე
გამომცემლობა „დიოგენე"
2011

შეიძლება თუ არა სტენდალი არ გიყვარდეთ?

ამ კითხვაზე, დიდი შანსია, დაუფიქრებლად მიპასუხოთ: „რას ამბობ, ის ხომ გენიოსია!", მაშინაც კი, თუ „წითელი და შავი" არ გაქვთ წაკითხული.

თუმცა, სანამ მიპასუხებდეთ, ეგებ, დანიელ პენაკის მიერ ფორმულირებული მკითხველის 10 უფლებისთვის გადაგვეხედა? არ გაინტერესებთ? რა პრობლემაა, შეგიძლიათ, ახლავე გადაშალოთ შემდეგ გვერდზე - ეს თქვენი უფლებაა, გამოტოვოთ გვერდები ან საერთოდ არ გადაშალოთ, რადგან ასევე თქვენი უფლებაა, არ წაიკითხოთ!

როდესაც ეს წიგნი ძილის წინ, ხუთი წუთის მოსაკლავად გადავშალე, კითხვაში, ჩემდაუნებურად, მთელი 2 საათი და 238 გვერდი „შემომაკვდა". არადა, ვინ მაძალებდა. მე ხომ მაქვს სრული უფლება, ბოლომდე არ წავიკითხო.

შეიძლება ითქვას, ლიტერატურული ძალადობის მსხვერპლი გავხდი! ხაფანგია, აბა რა? კითხვის დამთავრებისთანავე გადავწყვიტე, გამომეყენებინა ჩემი უფლება – ხელახლა წამეკითხა.

თუ ზემოთ ჩამოწერილ ოთხ უფლებას გამოიყენებთ, მახეში ჩემსავით არ გაჰყოფთ თავს და ძალიან მარტივად ასცდებით ამ ხათაბალას. წარმოიდგინეთ, თავიდან ბოლომდე ავტორის მოსაზრებებზე დამყარებული თხრობა, რომელზე მოსაწყენიც, წესით, არაფერი უნდა იყოს! ეს კიდევ მიდის, რიტმს მიჰყვება და არ ჩერდება, არადა, ხომ მაქვს სრული უფლება, რაც მინდა, ის წავიკითხო?!

სულ რამდენიმე დღეა რაც დავამთავრე და ისევ ამის წაკითხვა მინდა! მგონი ბოვარიზმი დამემართა. თუმცა, პრინციპში, მე ხომ სრული უფლება მაქვს ბოვარიზმისა!

ჰოდა, ავიღებ ახლა და ხვალ პირდაპირ ავტობუსში გადავშლი წიგნს, ან შუა ქუჩაში, როგორც ამას ერთგული, მორწმუნე მლოცველები აკეთებენ. იმას გავაკეთებ, რისი სრული უფლებაც მაქვს: სადაც მინდა, იქ წავიკითხავ!

გადავშლი იქ, სადაც ავტორი ჩემს ბავშვობაზე მიყვება: როდესაც ზაფხულის განმავლობაში, გეგმის მიხედვით, მინიმუმ, 5 წიგნი უნდა წამეკითხა, რომელთა შინაარსიც, სექტემბერში, უკეთეს შემთხვევაში, ბუნდოვნად მახსოვდა. 11 წლისას, „ბიძია თომას ქოხის" იძულებით წაკითხვას, მერჩივნა, დედას ჩემთვის ძმები გრიმები ხმამაღლა წაეკითხა. მაშინ არცკი ვიცოდი, რომ მკითხველს უფლება ჰქონდა წაეკითხა ხმამაღლა.

მაინც, რა ხათბალაში გაგხვევენ ხოლ-

მე ეს მეგობრები! მე ხომ სრული უფლება მაქვს არ ვილაპარაკო წაკითხულზე?!

არადა, მთელი ამ ხნის განმავლობაში პენაკის „რომანივით საკითხავზე“ ვყბედობ. ესეც შენი კანონმორჩილი მკითხველი. არადა, რა უწყინრად დავიწყე წერილი:

„– განა შეიძლება, სტენდალი არ გიყვარდეთ?

– შეიძლება!“ – ამტკიცებს დანიელ პენაკი.

გამომცემლობა „დიოგენემ“ ქართველ მკითხველს ფრანგი ავტორის – დანიელ პენაკის პირველი ქართული თარგმანი შესთავაზა. „რომანივით საკითხავი“ – ასე ჰქვია წიგნს, რომელიც კითხვის სასიამოვნო გზაზე მიანიშნებს. ლიტერატურული ნაწარმოების ლაიტმოტივიც ეს არის – ვიკითხოთ სიამოვნებისთვის და კითხვისთვის!

„ყოველდღიურ ცხოვრებაში წიგნი გულის გამაწვრილებელი წვიმისაგან თავშესაფარია, ჩუმი აღფრთოვანებაა მეტროს მონოტონურ ჩაქჩაქში, სამუშაო მაგიდის უჯრაში დამალული რომანია, რომელსაც მასწავლებელი უჩუმრად კითხულობს, სანამ მოსწავლეები საპასუხოდ ემზადებიან “...

„...სამას ოთხმოცდათვრამეტი გვერდი – ერთ ღამეში! რა ქნას! საქმეს შეუდგა. გვერდს გვერდი მიჰყვება. წიგნის სიტყვები „უოქმენის“ ყურსაცვამებს შორის დახტიან. ვერაფერი სიამოვნებაა! სიტყვებს თითქოს ტყვიის ფეხები გამოუბამთ და ქანცგაწყვეტილი ცხენებივით, ერთიმეორის მიყოლებით, მძიმედ და მდუმარედ ეცემიან...ისე კითხულობს, გეგონება, გაგანია ომში ხმალს იქნევსო. რა ქნას, უნდა წაიკითხოს! 62-ე გვერდი, მალე 63-ზე გადავა...“

ამ ორ ამონარიდს შორის სხვაობა ადვილი შესამჩნევია – პირველი მკითხველის სიამოვნებაზე მოგვითხრობს, მეორე კი, პირიქით, ტანჯვაზე. სორბონას უნივერსიტეტის პროფესორი მოსწავლეებისა და წიგნის ურთიერთობის მისეულ გამოცდილებას გვაცნობს, ზომიერი და სასიამოვნო იუმორით „მოძალადე“ მშობლებსა და მასწავლებლებს აკრიტიკებს და იმ მოზარდებს თანაუგრძნობს, რომლებიც, უფროსების წყალობით, ასეულგვერდიანი წიგნის „მძიმე ასოების“ წინაშე სრულიად მარტონი რჩებიან. მოსვენებადაკარგული მშობლები კი, ღამეც ვერ იძინებენ იმაზე ფიქრით, როგორ წააკითხონ შვილებს ძალით, ასაკისთვის ან სულაც, კონკრეტული მომენტისთვის, შეუფერებელი წიგნები.

პენაკის „ძალიან ფრანგული ენის“ მიუხედავად, მისი თარგმანი, თითქოს ქართულ რეალობასაც ასახავს. ეს თავად პენაკის გენიალური მწერლური ნიჭის მიუხედავად, მთარგმნელის დამსახურებაცაა. ია ბერსენაძემ „რომანივით საკითხავის“ თარგმნის განსაკუთრებული საჭიროება, პენაკის მსგავსად, პირად გამოცდილებაზე დაყრდნობით გააცნობიერა. ის თავის ამოცანას მშობლის და პედაგოგის პოზიციიდან მიუდგა:

„პრობლემა არა პრეზიდენტში და ოპოზიციაში, არამედ ჩვენშია. ეს წიგნი რადიკალურად ვერ შეცვლის სიტუაციას, მაგრამ, ის მუხტს ნამდვილად ატარებს იმისთვის, რომ კითხვა დაიწყო. ამაზე მეტი რა უნდა ქნას წიგნმა? ეს შეიძლება, არ იყოს წიგნიერების დონის ამაღლების მიზეზი, თუმცა აუცილებლად გახდება საბაბი“, – ამბობს მთარგმნელი.

ჩარგეიშვილის საადვოკატო დარბაზი

ბიზნეს და საგადასახადო დავები

სამეწარმეო
კორპორაციული სამართალი

შრომის სამართალი

სამოქალაქო სამართალი

სისხლის სამართალი
(ეკონომიკური დანაშაულები)

ადმინისტრაციული სამართალი

მისამართი: ვაჟა-ფშაველას 15ა ოფისი 28ა. ქ.თბილისი
ტელ: (+995 32) 237 93 00
ფოსტა: info@chargeishvili.ge
ვებ-გვერდი: http://www.chargeishvili.ge

ველური დასავლეთის მხედრები
ირაკლი მახარაძე
ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა
გამოცემის წელი 2011
ფასი 6.90 ლარი
კინორეჟისორისა და მკვლევრის, ირაკლი მახარაძის მიერ დოკუმენტურ მასალაზე დაყრდნობით მოთხრობილი გურული ქალ-ვაჟების თავგადასავალი, რომლებმაც შეუდარებელი ჯირითით ამერიკა და ევროპა გააოცეს და სამუდამოდ შევიდნენ „ბაფალო ბილის“ შთამბეჭდავი შოუების ისტორიაში.
ირაკლი მახარაძე არის ავტორი წიგნებისა: „გურული მხედრები ამერიკაში“, „ერთი მუჭა ვესთერნი“, „გურული ფირალები“, „რუსულ-ქართული ტერორი 1880-1924“ და „ქართველები ამერიკაში“. მისი სტატიები იბეჭდება ქართულ და ამერიკულ ჟურნალებში. არის ავტორი საფოსტო მარკისა „გურული მხედრები ამერიკაში“.

Laterna Magica
ინგმარ ბერგმანი
მთარგმნელი ლიკა ჩაფიძე
ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა
გამოცემის წელი 2011
ფასი 9.90 ლარი
„წარსულის თითოეულ სურათს ლუპით ვაკვირდები და ვცდილობ, ჩემს ბუნდოვან გრძნობებში გავერკვე“.
ინგმარ ბერგმანი

თეატრისა და კინოს ცნობილი შვედი რეჟისორი, ინგმარ ბერგმანი, რომელიც არაერთი თეატრალური და კინოპრემიის ლაურეატია, მემუარული ჟანრის წიგნში „Laterna Magica“ მკითხველს გულახდილად უამბობს თავისი მეტად საინტერესო და ვნებებით სავსე ცხოვრების შესახებ და დაწვრილებით იხსენებს ყველაზე პოპულარული და მნიშვნელოვანი ფილმებისა თუ სპექტაკლების შექმნის დეტალებს.

სვანური სიმღერების კვალდაკვალ
დავით წერედიანი
გამომცემლობა „დიოგენე“
გამოცემის წელი 2011
ფასი 5.90 ლარი
„სვანური ტექსტების უმეტესობა ლიროპიკურია. წინამდებარე კრებულში, ჩემი სუბიექტური მიდრეკილებისდა მიხედვით, იმგვარი ნიმუშები ჭარბობენ, სადაც ლირიკის ხმა უფრო მკაფიოდ ისმის...“
დავით წერედიანი

წლების წინ გამოცემული კრებულის დამუშავებულ გამოცემაში შესულია დავით წერედიანის მიერ შეკრებილი და თარგმნილი სვანური ფოლკლორის ნიმუშები.

სოდგარენელი შ
გელა ჩქვანავა
გამომცემლობა „დიოგენე“
გამოცემის წელი 2011
ფასი 9.90 ლარი
კრებული ოთხი დიდი მოთხრობისაგან შედგება. „მონადირე“, „სოდგარენელი შ“, „აგარაკზე“ და „ნიკო“. კრებული მთლიანად სასპენსის ეფექტზეა აგებული. აქ ზღაპრული და რეალური სამყარო ბუნებრივად იკვეთება, დრამატულ ეპიზოდებს კომიკური სცენები ცვლის. წიგნში შესული ოთხივე მოთხრობა პირველად ქვეყნდება.

ღირსი ჯენტლმენი და პოეტი
უილიამ შექსპირი
გამომცემლობა „ლოგოს პრესი“
გამოცემის წელი 2011
ფასი 29.90 ლარი
1613 წელი – სამწერლო კარიერის მიწურულს პოეტი და დრამატურგი უილიამ შექსპირი ამ წიგნში თავის ქალიშვილს, ჯუდითს მთელი განვლილი ცხოვრების ამბავს მოუთხრობს.

ჭიანჭველები
გელა ჩქვანავა
გამომცემლობა „დიოგენე“
გამოცემის წელი 2011
ფასი 11.90 ლარი
გელა ჩქვანავას ახალ კრებულში „ჭიანჭველები“ ბოლო წლებში დაწერილი 13 მოთხრობა შევიდა. მოთხრობების ნაწილი ლიტერატურულ პერიოდიკაში დაიბეჭდა, ნაწილს კი მკითხველი პირველად გაეცნობა.

არა, ვამბობ მე
ლელა კოდალაშვილი
გამომცემლობა „აგორა“

გამოცემის წელი 2011
ფასი 6.60 ლარი

„არა, ვამბობ მე“ ლელა კოდალაშვილის პირველი პროზაული კრებულია, სადაც ავტორი დახვეწილი ოსტატობით ძერწავს პერსონაჟებს, აშიშვლებს გრძნობებს, თავს უყრის და სახელს არქმევს დროში განფენილ და მჭიდროდ შეკრულ განცდებს. აქ არის საკუთარი თავის ძიება და უსუსურობის განცდა, მარცხი და გამარჯვება, ეროტიკული განცდების აპოთეოზი და დაუფარავი პროტესტი ყველაფერ იმის მიმართ, რასაც, ჩვეულებრივ, ადამიანები არ გაურბიან ხოლმე.

რომანივით საკითხავი

დანიელ პენაკი
მთარგმნელი ია ბერსენაძე
გამომცემლობა „დიოგენე“
გამოცემის წელი 2012

გრძელი ანოტაციები სიტყვების უსარგებლო რახარუხია და მეტი არაფერი. ორი წინადადებაც საკმარისია იმისთვის, რომ ადამიანს წიგნის წაკითხვა მოანდომო“.

დანიელ პენაკი

მაღალი ლიტერატურული გემოვნებით და დახვეწილი ფრანგული იუმორით დაწერილი წიგნი იმაზე, თუ როგორ უნდა შევაყვაროთ ბავშვებს კითხვა. ეს არ არის მეცნიერული ენით დაწერილი მეთოდოლოგია, ეს „რომანივით საკითხავია“, რომელშიც თითოეული მკითხველი აუცილებლად იპოვის საკუთარ თავს.

მშობლის ენციკლოპედია

ლიუბოვ პავლოვა
მთარგმნელი დალი კერესელიძე
ელფის გამომცემლობა
გამოცემის წელი 2011
ფასი 22 ლარი

„მშობლის ენციკლოპედია“, რომელშიც დაბადებიდან 3 წლის ჩათვლით ბავშვის განვითარების სრული ციკლია წარმოდგენილი – საქართველოში პირველად გამოიცა. წიგნის ავტორი, ლიუბოვ პავლოვა დაწვრილებით, მარტივად უხსნის მშობლებს, თუ როგორ აღზარდონ შვილი, როგორ გაუგონ მას და როგორ მოიქცნენ რთულ სიტუაციაში.

ტერორის ტოპოგრაფია – საბჭოთა თბილისი

ესეების ავტორები: ანა კორძაია-სამადაშვილი, მალხაზ ხარბედია, ირაკლი ხვადაგიანი, ნიკა მახარაძე, აკა მორჩილაძე, ნინო ზაალიშვილი.

Cafe Kala: 8/10 Erekle II str. tel: 599 799 737. **Cafe KGB:** 8/10 Erekle II str. tel: 832 2985013, 599 674 488 **Acid Bar /1/:** 3a Kazbegi Ave. tel: 599 101 238.
Acid Bar /2/: 37 Abashidze str. tel: 591 681 000 **Acid Bar /3/:** 9 Leonidze st. tel: 592 221 131. **Cafe Near Opera:** 2 Lagidze str. tel: 599 681 166

რედაქტორები: ლაშა ბაქრაძე, ნინო ლეჟავა.
გამომცემელი „საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორია“
გამოცემის წელი 2011
ფასი 8 ლარი
ტერორის ტოპოგრაფია – საბჭოთა თბილისი – თბილისის და საბჭოეთის ისტორიით დაინტერესებული სხვადასხვა პროფესიის მქონე ექვსი ავტორის ესეების კრებულია. ესეები მოგვითხრობს როგორც უშუალოდ რეპრესიებისა და ტერორის ფაქტებზე, ასევე, საბჭოთა თბილისის კონტექსტში ამ პერიოდში მომხდარ საინტერესო მოვლენებზე და, რა თქმა უნდა, ადამიანებზე, რომლებიც ამ ყველაფრის მომსწრენი და მონაწილენი იყვნენ.
წიგნისთვის დართული დისკი შეიცავს დამატებით მასალას (სტატიებსა და ფოტოდოკუმენტებს), რომელიც საინტერესოა აღნიშნული საკვლევი ეპოქისა და თბილისის ისტორიის გააზრებისათვის.

დღიური
ნიკოლას სპარკსი
გამომცემლობა „დიოგენე“
გამოცემის წელი 2012
ფასი 9.90 ლარი
„დღიური“ ნიკოლას სპარკსის პირველი და ყველაზე სახელგანთქმული რომანია. წიგნი 1996 წელს გამოიცა და დღესაც მსოფლიო ბესტსელერების სიაშია, მისი ავტორი კი – ხმაურიანი დებიუტის წყალობით – სხვადასხვა თაობისა და გემოვნების მკითხველის საყვარელ მწერლად იქცა.
წიგნის მსოფლიო პოპულარობას ხელი მის მიხედვით 2004 წელს გადაღებულმა ფილმმა „The Notebook“ -მაც შეუწყო.

დედალი ვირთაგვა
გიუნტერ გრასი
მთარგმნელი ნანა გოგოლაშვილი
ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა
გამოცემის წელი 2012
ფასი 13.90 ლარი
ნობელის პრემიის ლაურეატი მწერალი, გიუნტერ გრასი რომანში „დედალი ვირთაგვა“ პოსტმოდერნისტული წერის მანერით უღრმავდება ისეთ პრობლემებს, როგორებიცაა ომი და მშვიდობა, კაცობრიობის ბედი ატომური ბომბით გამოწვეული „დიდი ზათქის“ შემდეგ, ეკოლოგიური კატასტროფები და სხვა.

გოგონა, რომელიც ცეცხლს ეთამაშებოდა
სტიგ ლარსონი
მთარგმნელი ნიკა სამუშია
ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა
გამოცემის წელი 2012
ფასი 10.90 ლარი
იძებნება სამმაგი მკვლელობისთვის! პოლიცია ეძებს ფსიქოპათ მკვლელს!
პოლიცია ლიზბეთ სალანდერს ეძებს. სასამართლოს მიერ გონებაშეზღუდულად გამოცხადებული სალანდერი შვედური პოლიციის ერთადერთი ეჭვმიტანილია – მას თავისი მეურვისა და ჟურნალ „მილენიუმის“ ჟურნალისტების მკვლელობაში ედება ბრალი. გოგონა ცეცხლს ეთამაშება...
„გოგონა, რომელიც ცეცხლს ეთამაშებოდა“ მეორე წიგნია სტიგ ლარსონის „მილენიუმის ტრილოგიისა“, რომელიც გამოცემისთანავე მსოფლიო ბესტსელერად იქცა.

ნავიგატორი
ლაშა ბუღაძე
ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა
გამოცემის წელი 2012
ფასი 6.90 ლარი
ლაშა ბუღაძის პიესა – „ნავიგატორი“ – ტრაგიკომედიაა, რომელიც ადამიანის გაუცხოებასა და მარტოობაზე მოგვითხრობს. რადიოპიესის ფორმით დაწერილი დრამის აბსურდულობამდე მისული, ამავდროულად, რეალური სიუჟეტი დინამიკურად ვითარდება და ღრმა შთაბეჭდილებას ტოვებს მკითხველზე.
2011 წლის შემოდგომაზე პიესამ BBC-სა და ბრიტანეთის საბჭოს თაოსნობით გამართულ რადიოპიესების კონკურსში გაიმარჯვა, ამავე წლის ბოლოს, ბრიტანელი მსახიობების მონაწილეობით დაიდგა BBC-ს რადიოში.

ცხელი თემები

სტილი

თარგმანი
იოგას ძალა

ინტერვიუ
შივა რე

სპეცპროექტი
იოგას ინსტრუქტორები საქართველოში

ფიტნესიდან ჯანსაღი ცხოვრების წესამდე

თამარ ალავიძე

სხეულის ჯანსაღ და ლამაზ ფორმაში შენარჩუნების იდეა ყოველთვის მხიბლავდა და ამას ყოველგვარი ტანჯვა-წამების გარეშე ვაკეთებდი. მეტიც, ვარჯიშის პროცესი ჩემთვის მუდამ დადებით ემოციებთან იყო დაკავშირებული: უპირველეს ყოვლისა, იმის გამო, რომ ვიზუალური შედეგით ვიყავი კმაყოფილი და მეორეც, ვიცოდი, რომ საკუთარი ჯანმრთელობისთვის რაღაცას მაინც ვაკეთებდი, თუნდაც მცირედს.

ახლა სხვაგვარად არის. პრიორიტეტები შეიცვალა და შედეგად, ჯანმრთელობაზე ზრუნვა წინა პლანზე წამოიწია. მხოლოდ ჩემთვის არა, გლობალურად, ასობით ათასი ადამიანისთვის. არ ვიცი, ამ ტალღაში მოვყევი თუ დამოუკიდებელი ტრანსფორმაცია განვიცადე, მაგრამ ფაქტია, რომ ჯანმრთელობაზე ზრუნვა, ფიზიკური წვრთნის გზით, დღეს ჩემი ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცა – ამ ეტაპისთვის ჰობის დონეზე, საუკეთესო პერსპექტივა კი, ცხოვრების წესად ქცევაა.

იოგას შესახებ მონაყოლს ადრე მითივით ვისმენდი – თითქოს ის მხოლოდ განსაკუთრებულთა ხვედრი და რიგითი მოკვდავებისთვის შორეული, მიუღწეველი მიზანი ყოფილიყო. ეს განწყობა ბევრს გამოუცდია, მათაც მიაჩნდათ სხვებივით, რომ იოგას პრაქტიკა აუცილებლად უნდა გულისხმობდეს ბუდიზმში ან ინდუიზმში გადავარდნას, და რომ იოგები მიწისგან და ხორცისგან განყენებული ადამიანები არიან.

ამ ყველაფრის გათვალისწინებით, ძალიან კომფორტულია იმის გაცნობიერება, რომ სინამდვილეში იოგა ყველასთვის თანაბრად ხელმისაწვდომი და ხელშესახებია, რელიგიური აღმსარებლობის, ეროვნების, მოქნილობის ხარისხისა და ასაკის მიუხედავად. მთავარია, იცოდე, რომ გინდა და ეს ყველაფერი ძალდაუტანებლად გააკეთო, რადგანაც, როგორც ერთ-ერთმა ქართველმა იოგმა აღნიშნა, ხელოვნურად და „მოდას აყოლილობის“ გამო იოგას პრაქტიკა სასურველ შედეგს არასდროს მოიტანს.

ამ ნომერზე მუშაობისას საინტერესო იყო იმის აღმოჩენა, რომ იოგას დღეს, საქართველოში ბევრი მიმდევარი ჰყავს და მათ დიდ ნაწილს სწორედ ის ადამიანები შეადგენენ, რომლებიც გადატვირთული და დაძაბული სამუშაო გრაფიკის მიუხედავად, მაინც ახერხებენ კვირაში 2-3 საათის გამოძებნას ამ „იდუმალებით მოცული“ პრაქტიკისათვის. რამდენიმე ათწლეულის წინ დასავლეთში აგორებულმა ტალღამ, როგორც იქნა, ჩვენამდეც მოაღწია – ტალღამ, რომელმაც ყველაზე ჭარბწონიანი მოსახლეობის მქონე ამერიკა ყველაზე ჯანსაღ ერად აქცია. ყოველ შემთხვევაში, სტატისტიკა ამაზე მიუთითებს, რის საილუსტრაციოდაც გადავწყვიტეთ, ამ თემისადმი მიძღვნილი Times-ის სტატიის თარგმანის შეთავაზება მკითხველისათვის.

ამას გარდა, „სტილის“ ამ რუბრიკაში შეძლებთ ვინიასა ფლოუ იოგას ერთ-ერთი საუკეთესო პედაგოგის, შივა რეს ისტორია წაიკითხოთ და თბილისში მოღვაწე იოგას ინსტრუქტორებს გაეცნოთ. ასე რომ, იოგასადმი ჯერ კიდევ სკეპტიციზმით თუ უკვე ნდობით გამსჭვალულ მკითხველს, საინტერესო მოგზაურობას გისურვებთ!

MANGO.COM

თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. №16 პეკინის გამზ. №19
TBILISI, 16 CHAVCHAVADZE AVE. 19 PEKINI AVE.

MANGO

იოგას ძალა

ავტორი რიჩარდ კორლისი
ინგლისურიდან თარგმნა თამარ ალავიძემ

ვარსკვლავები, სპორტსმენები, უმაღლესი სასამართლოს მოსამართლეები – ყველა ირჩევს იოგას, გასხივოსნებისკენ მიმავალ გზას, რომელსაც დასაბამი 5000 წლის წინ ინდოეთში დაედო. იოგამ სრულად დაიპყრო ამერიკის კონტინენტი – ჰოლივუდში, 20 მილიონიანი ჰონორარის მქონე მსახიობები იოგას სახელგანთქმულ გურუ-ინსტრუქტორებთან სავარჯიშოდ რიგებში დგანან, ვაშინგტონის უმაღლესი სასამართლოს სატრენაჟორო დარბაზში კი, მოსამართლე სანდრა ოკონორი, 15 კოლეგასთან ერთად, ყოველ სამშაბათ დილას, გულმოდგინედ მედიტირებს იოგას გაკვეთილზე.

დანარჩენი ამერიკელები კი, სამსახურებიდან ძლიერი სტრესის მოსახსნელად, მშვიდი ხმით მოსაუბრე ინსტრუქტორებთან გარბიან, რომლებიც მათ სხეულისა და გონების გაერთიანებისკენ მოუწოდებენ. 15 მილიონი ამერიკელის ფიტნეს ცხოვრებაში იოგას თავისი ადგილი უკავია; ამერიკის ფიტნეს კლუბების აბსოლუტური უმრავლესობა, იმავდროულად, იოგას გაკვეთილებსაც სთავაზობს თავის კლიენტურას. ამ გაკვეთილების დამსწრეთა ნაწილი – შინაგანი, გონებრივი თუ სულიერი მხარის ნაცვლად, გარეგან ეფექტზე არის ორიენტირებული. „ჩემს ზოგ მეგობარს, უბრალოდ, ლამაზი უკანალი სურს და მეტი არაფერი!“ – ამბობს ყოფილი მოდელი, ქრისტი ტარლინგტონი, რომელიც იოგას გამორჩეული აქტივისტია. თუმცა, ბევრი იოგას სხეულის ჰარმონიის აღდგენის იმედით მიმართავს. ისინი ამბობენ, რომ იოგას დამსახურებით, თავს უკეთ გრძნობენ და ტკივილისა და ავადმყოფობისგან განკურნების იმედიც აქვთ. მაგრამ, შესწევს კი იოგას უნარი, განკურნოს სიმსივნე? ან გულის დაავადებების პრევენცია მოახდინოს? ან თუნდაც პოსტმენოპაუზის პერიოდის ქალები გააახალგაზრდავოს? სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, არის თუ არა იოგა მეცნიერება?!

თავად ამ კითხვის დასმით, ჩვენ, ფაქტობრივად, ორი განსხვავებული, თვითმყოფადი კულტურის შეჯახებას ვუწევთ პროვოცირებას – იმ კულტურებისა, რომლებიც სამყაროს განსხვავებულ აღქმებს ეხება. ინდური ტრადიცია იმ გზებსა და მეტაფორებს გვთავაზობს, რომლებიც სხეულის შიგნიდან გარეთ აღქმას აღწერს. დასავლურ ტრადიციაში კი პირიქითაა – სხეულს გარედან შიგნით უყურებენ. აღმოსავლეთი ადამიანს კურნავს, დასავლეთი კი – დაავადებას.

ამერიკაში იოგას შესახებ ცოტა რამ თუ იყო ცნობილი 1968 წლამდე – ამ წელს, მსახიობმა მია ფეროუმ და ბიტლზებმა ინდოეთში იმოგზაურეს მაჰარიში მაჰეშ იოგისთან. მას შემდეგ, იოგას მეშვეობით ცნობიერებამ მრავალმხრივი ევოლუცია განიცადა: საწყის ეტაპზე, წინა პლანზე სულიერი განწმენდა და ხელახალი დაბადება წამოიწია, როგორც ნეტარების მიღწევის არატოქსიკური გზა. შემდგომ ეტაპზე იოგა უკვე პრევენციულ მედიცინად განიხილებოდა, რომლის მეშვეობითაც სტრესის შემცირება და მართვა იყო შესაძლებელი. მესამე ტალღა უკვე ფიტნეს-ტალღა იყო, როდესაც ძალა, მოქნილობა და გამძლეობა გახდა მამოძრავებელი.

ყოველ ეტაპზე, იოგას ყველაზე დამაჯერებელი ადვოკატები კინოს ვარსკვლავები და როკ მომღერლები იყვნენ. თუ მათ, თავის დროზე, მაგალითად ტატუირება და კოკაინი აქციეს მოდურად, მასების ფიზიკური და სულიერი გასხივოსნების იდეით მოხიბვლა არ უნდა გასჭირვებოდათ.

თმის მოვლა სალონში და სახლში: განსხვავება და უპირატესობა

მამაკაცთა უმრავლესობის აზრით, არაჩვეულებრივად ლამაზი, მშვენიერი თმა თანამედროვე ქალბატონის საუკეთესო აქსესუარია. ქართველი ქალები ბუნებით დაჯილდოებულნი არიან ამ სიმდიდრით, მაგრამ დღევანდელი ეკოლოგია, ცხოვრების აჩქარებული რითმი და სტრესი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქალის გარეგნობაზე და რა თქმა უნდა, აისახება თმის ხარისხსა და ვარცხნილობაზე. როგორ შევინარჩუნოთ ბუნების ეს საჩუქარი, გამოვასწოროთ თმის ხილული და შინაგანი დაზიანება, იცის თმის მოვლის საშუალებათა პროფესიონალურმა ბრენდებმა.

პრემიუმ კლასის თმის მოვლის საშუალება Kerastase-ის გამოყენება იწვევს გარდაუვალ, მკაფიოდ გამოხატულ დადებით შედეგს. ნიშნავს ეს თუ არა, რომ შესაძლებელია შემოვიფარგლოთ მხოლოდ სახლის პირობებში თმის მოვლით?

სახლის პირობებში თმის მოვლას გააჩნია ორი უპირატესობა: პირველ რიგში: მისი ეკონომიურობა, მეორე უპირატესობა: ის შეიძლება ჩაიტაროთ თქვენთვის მოსახერხებელ ნებისმიერ დროს. ამით, ძირითად, უპირატესობები მთავრდება, ვინაიდან იმისათვის, რომ თმის მოვლა სახლის პირობებში არ განსხვავდებოდეს სალონში შესრულებულისაგან, აუცილებელია სპეციალური აღჭურვილობისა და ინსტრუმენტების შეძენა, თმის ოსტატის კვალიფიკაციის არსებობა, ხოლო შემდეგ– სპეციალური შემსწავლელი კურსის გავლა Kerastase-ის თმის ოსტატ-კონსულტანტთან.

სალონში Kerastase-ის საშუალების გამოყენების ეფექტი ძლიერდება პროფესიონალების მიერ ჩატარებული სპეციალურად შემუშავებული რიტუალების მეშვეობით. თუ თქვენ მიმართეთ სალონს, არ მოგიწევთ ამა თუ იმ საშუალების გამოყენების ნიუანსების დამოუკიდებლად გამორკვევა - ყველაფერს შეასრულებენ კონსულტანტები, რომლებიც წინასწარ ჩაატარებენ თმისა და კანის მდგომარეობის დაწვრილებით დიაგნოსტიკას.

საშუალებათა შერჩევა სალონში უფრო "მობილურია" - მაგალითად, მოცემული მომენტისთვის აუცილებლობიდან გამომდინარე სპეციალისტს შეუძლია ჩართოს თქვენი თმის მოვლის კოსმეტიკის ინდივიდუალურ ნაკრებში სხვადასხვა გამის საშუალებები. საკუთარი ძალებით ამის განხორციელება გარკვეულ სირთულეს წარმოადგენს: მოგიწევთ დეტალურად შეისწავლოთ ამა თუ იმ საშუალების ზემოქმედების თავისებურება, რომ მათ შეავსონ და არ მოახდინონ ერთმანეთის დუბლირება, ან რაც უარესია, არ ახდენდნენ ართმანეთის ნიველირებას.

სპეციალურად თქვენთვის მოვლის პროგრამის შერჩევის შემდეგ ოსტატი ჩაატარებს თმისა და კანის აბაზანა-მასაჟს შერჩეული რიტუალის შესაბამისად: მოსადუნებელს, აღმდგენს, აღმოსავლური მეთოდების ელემენტებით.

აბაზანა-მასაჟის შემდეგ მოვლის საშუალებათა დატანების ალგორითმიც მკაცრად განსაზღვრულია: ოსტატის ხელის ყველა მოძრაობა მიმართულია თმისთვისა და თავის კანისთვის ენერგიისა და კვების მაქსიმალურ მიწოდებაზე. რიტუალის ფინალური ნაბიჯია თმის დამცავი და მისი სილამაზის ხაზგამსმელი ვარცხნილობის მოდელირება.

თმის მოვლას სახლის პირობებში აუცილებლად დაუმატეთ სალონში პერიოდული სტუმრობა - აუცილებლობის შემთხვევაში, თქვენი ინდივიდუალური პროგრამის კორექციის, თმაზე და თავის კანზე ინტენსიური პროფესიონალური ზემოქმედების სეანსის ჩატარების მიზნით. ყველა შემთხვევაში - სალონ Kerastase-ში სტუმრობა ყოველთვის სიამოვნებაა, რომელიც სრულდება თმის გარდაქმნით: ახლა ის მშვენიერია!

დღეისთვის იოგათი იმდენი ვარსკვლავია გატაცებული – მადონა, გვინეტ პელტროუ, სტინგი, მეგ რაიანი, ჯენიფერ ანისტონი – რომ უფრო მარტივი იქნებოდა მათი ჩამოთვლა, ვინც ჯერ კიდევ არ მისდევს იოგას. მადონა აშტანგა იოგას, დევიდ დუჰოვნი კი კუნდალინი იოგას თაყვანისმცემელია. ჯეინ ფონდამ აერობიკას მიანება თავი იოგას სასარგებლოდ, ანჯელინა ჯოლი კი „Tomb Rider"-ის გადაღებებისათვის უნიკალური ასანების დახმარებით მოემზადა.

იოგას მეშვეობით შეგიძლიათ განსაკუთრებულად გამოყურებოდეთ ან თავი იგრძნოთ განსაკუთრებულად, რაც იოგას არცთუ ისე უმნიშვნელო ასპექტია.

მეცნიერეული კვლევების შედეგად დასტურდება, რომ იოგა ლიმფური სისტემის სტიმულირებას და, შესაბამისად, ორგანიზმის ტოქსიკური ნარჩენებისაგან გაწმენდას ახდენს:იოგას გარკვეული პოზები (ასანები) სწორედ იმ კუნთებს ჭიმავს, რომლებიც ლიმფური სისტემის აქტიურ მუშაობას ახალისებს, მაგალითად, „თავდაწეული ძაღლის" პოზა, როდესაც ხელები ძაღლის თათების მსგავსად არის გაჭიმული, სისხლის მიმოქცევას აუმჯობესებს.

იოგა რელაქსაციაშიც გვეხმარება, რელაქსაცია კი – განკურნებაში. „ავტონომიური ნერვული სისტემა სიმპატიკურ და პარასიმპატიკურ სისტემებად არის დაყოფილი. პირველი მომეტებული აღგზნებადობის რეაქციასთან არის დაკავშირებული (ე.წ. „თავს დაესხი-ან-გაიქეცი" რეაქცია), მეორე რელაქსაციასთან. ღრმა სუნთქვითი სავარჯიშოები, გაწელვა, კუნთების დაჭიმულობის მოსადუნებელი მოძრაობები, რომელთაც იოგას ვარჯიშის დროს ვიყენებთ, „თავს დაესხი-ან-გაიქეცი" რეაქციას თიშავს და რელაქსაციის რეაქციას ააქტიურებს. ეს ყველაფერი სხეულზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს: გულისცემა მშვიდდება, სუნთქვა და არტერიული წნევა სტაბილური ხდება. ამ ცვლილებებს კი, ორგანიზმი სამკურნალო მექანიზმების ასამუშავებლად იყენებს.

თუმცა ეს პროცესი ავტომატურად არ ხდება. განსაკუთრებით ეს საწყის ეტაპს ეხება, როდესაც მაქსიმალურად ვცდილობთ, საკუთარ შესაძლებლობებს გადავაჭარბოთ. „ჰათჰა იოგა მცდელობის და რელაქსაციის ბალანსია", – აღნიშნავს ჟურნალ „Yoga Journal" – ის ერთ-ერთი რედაქტორი, ექიმი მაკკელი, „თუმცა იოგას დარბაზში მოსწავლეები ხშირად ეჯიბრებიან ერთმანეთს: ყველა ცდილობს, სხვებზე უკეთ გამოუვიდეს ესა თუ ის რთული ასანა". აუცილებელია იმის გაცნობიერება, რომ იოგა სპარტანული წვრთნა არ არის. საკუთარი სხეულის დასჯა გამარჯვებას არ მოგიტანს. იოგა ბრძოლაზე მეტად დათმობას გულისხმობს.

იოგაში გარკვეული დრო სჭირდება განსაკუთრებული მდგომარეობის მიღწევას, როდესაც პრაქტიკოსს შეუძლია რეალურად შეიგრძნოს და გააცნობიეროს იოგას ჭეშმარიტი არსი, მაგრამ როცა ეს მოხდება, ეს ერთგვარი ეპიფანიაა – თითქოს მოულოდნელად აღმოაჩენ, რომ თვეების განმავლობაში შესწავლილი უცხო ენა უკვე ძვალ-რბილში გაქვს გამჯდარი. იოგაში ამას გონება-სხეულის ენა ჰქვია.

ყოველდღიურ ცხოვრებაში სამსახურებრივი, ოჯახური თუ ნებისმიერი სხვა ტიპის ურთიერთობების გამო სტრესის ხარისხი სულ უფრო

UN 1 DEUX 2 TROIS 3
PARIS
11 PEKINI STR. TBILISI
WWW.1-2-3.FR

მზარდია. სხვადასხვა კვლევების საფუძველზე დაყრდნობით, ექიმები ადასტურებენ, რომ იმ დაავადებათა დიდი ნაწილი, რომლებიც ბევრ ჩვენგანს აღმოაჩნდება ხოლმე, ძლიერი სტრესით არის გამოწვეული. სტრესის შედეგად არტერიული წნევა მაღლა იწევს და გამოიყოფა კატექოლამინები – ეს ნივთიერებები სხეულის მეტაბოლიზმს არეგულირებენ. კატექოლამინების დიდი რაოდენობა კი, გულის დაავადებების და შეტევების რისკს აძლიერებს. ამიტომაც, არაერთი ექიმი, სამკურნალო მიზნით, იოგას პრაქტიკას უნიშნავს პაციენტებს. „ყველა იმ პრეპარატს, რომელთაც პაციენტებს ვუნიშნავთ, გვერდითი მოვლენები გააჩნია“, – აღნიშნავს ექიმი მაკკელი, – „იოგასაც გააჩნია თავისი გვერდითი მოვლენები: სხეულის გაძლიერება, მეტი ბალანსი, გონებრივი სიმშვიდე, უფრო ძლიერი ძვლოვანი სტრუქტურა, გულ-სისხლძარღვთა ჯანსაღი სისტემა და კიდევ მრავალი. იოგას სახით არსებობს ჯანმრთელობის შენარჩუნების ბუნებრივი სისტემა, რომლის პრაქტიკა სახლშიც შეიძლება, ძირითადი პრინციპების და ტექნიკის შესწავლის შემდეგ. ეს ყოველივე კი, საბოლოო ჯამში, ძვირადღირებულ ქირურგიულ და ფარმაკოლოგიურ ჩარევებს აგაცილებთ თავიდან“.

დღეისთვის აშშ-ს კლინიკებში გულ-სისხლძარღვთა დაავადებების მქონე პაციენტებს სარეაბილიტაციო პროგრამაში, თერაპიის სხვა მეთოდებთან ერთად, იოგასაც სთავაზობენ. სტატისტიკის მიხედვით, იმ პაციენტებში, რომლებიც იოგას პრაქტიკას იწყებენ, ქოლესტერინის დონე და მაღალი არტერიული წნევა დაბლა იწევს, სისხლის მიმოქცევა აქტიურდება და რიგ შემთხვევებში, არტერიული ბლოკადის უკუპროცესიც კი ფიქსირდება.



იოგას სამკურნალო ეფექტი პოსტმენოპაუზის ასაკის ქალებშიც დასტურდება. იმ ასანებს, რომლებიც წინ გადახრით სრულდება, მწყობრში მოჰყავს ჰორმონალური პროცესები, რასაც შედეგად მენოპაუზის თანმდევი უძილობის და ხასიათის ცვალებადობის მდგომარეობის შემსუბუქება მოჰყვება. თუმცა, ეს სავარჯიშოები ჰორმონების ჩანაცვლების თერაპიის დამატებით კომპონენტად განიხილება და არა შემცვლელად.

ერთი მხრივ, ამერიკელები მსოფლიოში ყველაზე ჯანსაღებად ითვლებიან, მეორე მხრივ კი ამერიკაში ყველაზე მეტი ჭარბწონიანი ადამიანი ცხოვრობს. როგორც წესი, იოგას ჯანსაღი ცხოვრების წესის მოყვარული ამერიკელები მისდევენ – სხეულზე ზრუნვა მათთვის მეორე სამსახურივით არის. თუმცა, რეალურად, იოგა სწორედ იმ კატეგორიის ადამიანებისთვის არის აუცილებელი, რომლებიც სწრაფი კვების ობიექტებში „ფრის“ უზარმაზარი პორციებით იკვებებიან და რომლებიც კვირაში რამდენიმე საათის იოგასათვის დათმობას, რამდენიმე აბის გადაყლაპვას ამჯობინებენ.

ტექნოლოგიური ბუმით გაჯერებულ თანამედროვეობის მორევში, სიჩუმისა და სიმშვიდისაკენ მიქცეული იოგას პრაქტიკა და მედიტაცია, თავდაპირველად, სრულიად არანორმალურად, შემდეგ კი, ინსპირაციულად შეიძლება მოგეჩვენოთ. მოსაზრება იმის შესახებ, რომ სხეულის დასვენების შედეგად სულიერი სიმშვიდის მიღწევაა შესაძლებელი, თავისუფლების მომგვრელია. ამიტომაც, ჭეშმარიტი ნეტარება, ალბათ, სწორედ იმაშია, რომ გამოვეთიშოთ ამ სიშმაგეს, უარი ვთქვათ ყველაფერზე და ჩავუღრმავდეთ იმას, რაც ყოველივეს მიღმა, ან თუნდაც ჩვენს შიგნით ხდება.

ციმბირსა და შორეულ აღმოსავლეთში შენარჩუნებულია ნაკრძალები უნიკალური ფლორით. იქ მცენარეები იზრდება ბუნებრივად, თავისუფლად, უხვად. მკაცრ კლიმატში მუდმივად სიცოცხლისთვის ბრძოლას მიჩვეული ციმბირის ველურად მზარდ ბალახები უძლიერეს პოტენციალს ფლობენ. ამ ცოცხალი ენერგიის სილამაზისა და ჯანმრთელობის სასიკეთოდ გამოსაყენებლად Natura Siberica-ს მწარმოებლები მიმართავენ ხელოვნური დანამატების მინიმუმს, იყენებენ ყველაზე თანამედროვე ტექნოლოგიებს და მკაცრად აკონტროლებენ წარმოების ყველა ეტაპს. ამის წყალობით ველური ბალახები მაქსიმალურად ამჟღავნებენ თავიანთ პოტენციალს.

სახის გამწმენდი სერია

მშრალი, მგრძნობიარე და განსაკუთრებულად მოსავლელი სახის კანისათვის

ცხიმიანი და კომბინირებული კანისთვის

სახის დამბალი ფოლიანი გამწმენდი მეხი

სახის მატონიზირებელი ლოსიონი

სახის გამწმენდი ტონიკი

სახის კანის ინტენსიური სერუმი (კანის ძალიერმდგომი და მოწყვლადი)

გამწმენდი დამბალი ფლუიდი

დამატენიანებელი რძე

ოფლის მაკიაჟის მოსაცილებელი დამატენიანებელი ქაფი

სახის გამდიდრებული ტონიკი „Anti-Age"

სახის ნაბი ბალიში (კანის მოუმტკიცებელი გასახლება) მშრალი და ნორმალური კანისთვის

ჩრდილოეთის საკრეა – დეტოქსი დაშაქვებული გაძლიერებული ნახშირის – მაღალეფექტური ადსორბენტის, რომელიც ადვილად იწოვს ზედმეტ ულ და ღრმა დაბინძურებას კანის ფორებიდან და „ჩრდილოეთის ნაკრებს" – რუსეთისა და ციმბირის ჩრდილოეთში მოკრეფილი, ველურად მზარდი ბალახებისა და კენჭის ზეთებისა და ენტრაქტების საფუძველზე. მას აქვს შესანიშნავი გამწმენდი, ანტიოქსიდანტური, დამატენიანებელი და დამარბილებელი მოქმედება, რაც განპირობებულია მის შემადგენლობაში ქაცვის ზეთისა და შორეული აღმოსავლეთის ლიმონჭრის არსებობით.

0% SLS 0% PARABENS 0% SILICONES

Audrey
ᲐᲣᲓᲠᲔᲘ

ოფიციალური დისტრიბუტორი საქართველოში
საქართველო, თბილისი 0171, კოსტავას ქ., 67/85
ტელ/ფაქსი: +995 32 221 30 96; ელ-ფოსტა: audrey@audrey.ge

ინტერვიუ შივა რესთან

ავტორი თამარ ალავიძე

კალიფორნიაში, სერფერი მშობლების გარემოცვაში გაზრდილ შივას იოგასადმი ინტერესი ჯერ კიდევ ბავშვობაში გაუჩნდა. მოძრაობისადმი ლტოლვა, რაც გარკვეულწილად წყნარი ოკეანის რიტმით იყო ინსპირირებული, მოგვიანებით, მისი ცხოვრების ძირითად მამოძრავებელ მუხტად იქცა. დღეს შივა რე მსოფლიოს საუკეთესო იოგების რიცხვში შედის და სწორედ მის სახელს უკავშირდება ვინიასა ფლოუ იოგას პოპულარიზება მთელ მსოფლიოში.

საიდან დაიწყო ეს ყველაფერი?

14 წლის ვიყავი, როდესაც ძენ ბუდიზმის შესახებ წიგნს გადავაწყდი – მამა, თავის დროზე, ძალიან გატაცებული იყო ინდური ხელოვნებით და ბუდიზმით (სახელიც მამამ შემირჩია – შივა, ცეკვის ღმერთი ნატარაჯასადმი სიყვარულის გამო). შემდეგ, იოგას შესახებ ჰიმალაის ინსტიტუტის მიერ გამოცემული წიგნი ჩამივარდა ხელში, სახელწოდებით „ასანა“. მახსოვს, ამ წიგნს მისაღებ ოთახში გავიტანდი ხოლმე და როცა თავს მარტო დავიგულებდი, ვარჯიშს ვიწყებდი. ჩემი პირველი ასანაც მახსოვს, „ვასისტჰასანა“ და ის გარდატეხა, რაც ამ ასანის შედეგად ჩემმა ცნობიერებამ განიცადა: ამ გრძნობამ თითქოს სადღაც წამიღო.

თავდაპირველად, ბავშვობაში, მინდოდა, მოცეკვავე გამოვსულიყავი. ჩემი მშობლები ძალიან ახალგაზრდები იყვნენ და ყველგან თან დამატარებდნენ; მახსოვს, ძალიან ბევრს ვცეკვავდი სტუმრად როცა მივდიოდით, კლუბებშიც კი დავყვებოდი. მოგვიანებით, აფრიკული ცეკვის გაკვეთილებიც კი გავიარე. ათლეტური ყოველთვის ვიყავი: ერთი ხანობა, ხელბურთს და ბეისბოლს ვთამაშობდი. 16 წლისა ევროპაში წავედი სამოგზაუროდ, შემდეგ აფრიკაში აღმოვჩნდი: რამდენიმე წელი კენიასა და ზამბიაში მოხალისედ ვმუშაობდი სხვადასხვა სოფელში. შემდეგ, კალიფორნიის უნივერსიტეტში მსოფლიო ხელოვნებისა და კულტურის პროგრამა აღმოვაჩინე, განაცხადი შევიტანე და ასე გავხდი ცეკვის ანთროპო-

ლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი. ერთი წელი განას უნივერსიტეტში გავატარე, მომდევნო წელი კი, დელის უნივერსიტეტში. განსხვავებულ კულტურულ გარემოში ცხოვრებამ დიდი გავლენა იქონია სამყაროს აღქმაზე.

ტრანსფორმაციის როგორი გზა გაირეთ იოგათი გატაცებიდან დღემდე?

როგორც წესი, არსებობს განსხვავებული გავლენების პერიოდები. ერთი კონკრეტული პერიოდი ინდოეთში ხანგრძლივ მოგზაურობას და ბუდიზმის, იოგას, ხელოვნებისა და ცეკვის შესწავლას მოიცავდა. ამ ეტაპს ახალი ათწლიანი პერიოდი მოჰყვა, რაც აშტანგა იოგაში ჩაღრმავებას და კრიშნამაჩარიას ხაზის მიმდევარ არაერთ პედაგოგთან ხანგრძლივ მეცადინეობას გულისხმობდა.

მომდევნო ეტაპი ტანტრის და აიურვედას შესწავლა იყო, რასაც, იმავდროულად, დედობის პერიოდიც დაემთხვა, რამაც კიდევ უფრო მეტად გამოკვეთა და გააღრმავა პრანა-შაკტის (ინ და იან ენერგიების ბალანსი) კულტივაციის პროცესი.

ეს ორთოდოქსული სისტემები მეტწილად სინთეზზე ორიენტირებულ მასწავლებლებთან მაქვს შესწავლილი. რაღაც პერიოდში ჩემთვის დადგა მომენტი, როდესაც აშტანგა იოგას დათმობა მომიწია იმისათვის, რომ შემდგომ განვვითარებულიყავი. არ არის სავალადებულო, რომ ეს ყველასთვის ასე მოხდეს, მაგრამ ჩემს შემთხვევაში, ეს ასე იყო.

თქვენ არაერთხელ გითქვამთ, რომ იოგას შესწევს ძალა ადამიანი მუდმივი ევოლუციის პროცესში ამყოფოს.

დიახ, ასეა. იცით, ყველაზე მეტად რა მხიბლავს იოგაში? ის, რომ იოგა სრულად აღწევს ჩვენს ცხოვრებაში. ის ცნობიერებას ამაღლებს, ეს ისეთი ტიპის გამოცდილებაა, რომელიც ჩვენს შინაგან კეთილდღეობას ემსახურება, ისევე, როგორც იმ ურთიერთობების ხარისხს, რომელსაც ჩვენი ოჯა-

ხის წევრებთან, მეგობრებთან და ზოგადად, ახლობლებთან ვამყარებთ.

იოგა – ეს არის ვარჯიშების კომპლექსი, ერთდროულად ფილოსოფიაც და ტექნიკაც იმისა, თუ როგორ მიაღწიოს ადამიანმა საკუთარ თავთან ჰარმონიას.

საერთოდ, არსებობს იოგას უნივერსალური გაგება, რომელიც ამბობს, რომ იოგა ერთდროულად მდგომარეობაც არის და მოქმედებაც, რომელსაც ადამიანი ჰარმონიაში მოჰყავს. ის აერთიანებს ჩვენი არსებობის ყველა განზომილებას. ხშირად, ფიზიკურ სხეულს, მენტალური სხეულისგან განცალკევებულად შევიგრძნობთ, თავად მენტალურ სხეულს კი – ემოციური სხეულისგან. ყველა ეს განზომილება კი, თავის მხრივ, ჩვენი ენერგეტიკული სხეულისგან, სულისგან არის განყენებული. ამიტომაც მიმაჩნია, რომ იოგა გლობალური წვრთნაა და არ არის შეზღუდული ადამიანების რელიგიური მრწამსით.

თქვენ განსაკუთრებული წვლილი შეიტანეთ ვინიასა ფლოუ იოგას დახვეწასა და პოპულარიზებაში, რატომ? რა არის უნიკალური ამ „დინებაში“?

21-ე საუკუნეში ადამიანებს გაუჩნდათ საჭიროება ტრანსფორმაციული, ღია, დინამიკური და შემოქმედებითი იოგა გამოეცადათ. სწორედ ეს გამოცდილება მომცა ვინიასა იოგამ, რომელსაც, ხშირად, პრანა ფლოუსაც (Flow – დინება) უწოდებენ.

ვინიასა არა იმდენად სხვადასხვა პოზების ერთობლიობაა, რამდენადაც უნარი, დააკავშირო ერთი კონკრეტული მომენტი, სუნთქვა თუ მოძრაობა, მომდევნოსთან. ხშირად ვამბობ, რომ ვინიასა ჯაზივითაა: არსებობს ძირითადი ტექნიკები, რომლებიც იმპროვიზაციის საშუალებას იძლევა და ეს ერთდროულად სარისკოც არის და უპირატესობასაც გაძლევს.

თუ კარგად დავაკვირდებით ბუნებას და საერთოდ, ჩვენს ცხოვრებას, აუცილებლად დავინახავთ დინების რიტმს, რაც არის კიდეც ვინიასა. იმ ადამიანებს, რომლებიც იოგას გაკვეთილებზე მოდიან, აქვთ დინების მდგომარეობის გამოცდილება, მაგრამ იოგა მეთოდია, რომელიც ამ მდგომარეობის ცხოვრებაში კულტივაციის შესაძლებლობას იძლევა. ვფიქრობ, ფლოუ ერთდროულად საკუთარი ცხოვრების გადახედვაცაა და მისი განცდაც. დღეს უკვე კვანტური ფიზიკაც ამას ამბობს, ყველაფერი, რაც ჩვენ მყარად მიგვაჩნია, სინამდვილეში, ცვალებადია – ცნობიერება დინებაა, ცხოვრებაც დინებაა, სიკვდილის დროსაც დინებას განვიცდით, ტრანსფორმაციის პროცესში ვიმყოფებით.

ამ ყველაფრის ცოდნა ყოველდღიურ ცხოვრებაში როგორ გვეხმარება?

ცხოვრების, როგორც დინების დანახვა, გვეხმარება სტაგნაციის მომენტების აღმოჩენაში. მხოლოდ ამ მომენტების გაცნობიერების შემდეგ შეგვიძლია მათზე რეაგირება, რასაც უნდა ეხებოდეს ეს პრობლემები – სხეულს, ფიქრებს, მოქმედებას, შემოქმედებას, სიყვარულს.

თუმცა, უნდა გვახსოვდეს, რომ დინების არაერთი რიტმი არსებობს, ამიტომაც, აუცილებელია ცხოვრების სრულ სპექტრს დავაკვირდეთ. სწორედ დინების ამ მრავალფეროვან რიტმებს ვემსახურები მე, იოგაშიც და ცხოვრებაშიც.

თქვენ ამბობთ, რომ იოგა ადამიანის ბუნებრივი მდგომარეობაა?

თითოეულ ადამიანს თავისი იოგა გააჩნია. ეს აზრი მე-12 საუკუნის სწავლულს, აბჰინავაგუპტას ეკუთვნის, რომელიც ამბობდა, რომ იოგა „საკუთარი თავის ძირითად ვიბრაციებთან შერწყმა“ იყო. სწორედ ამას ვსწავლობთ იოგას მეშვეობით, საკუთარ არსებასთან შერწყმას.

იოგას გაკვეთილებზეც ამიტომ მივდივართ – თავს დისჰარმონიულად ვგრძნობთ. ჩემი აზრით, მხოლოდ ადამიანებს შეგვწევს უნარი, დავანგრიოთ საკუთარი არსება იმის ძიებაში, რასაც უკვე ისედაც წარმოვადგენთ. მაგალითად, ვეფხვმა კარგად იცის თავის ბუნება, მაშინ როდესაც ადამიანებს გვავიწყდება საკუთარი ვინაობა და მუდმივად მის ძიებაში ვართ.

ეს დაბნეულობა იმაზე მიანიშნებს, რომ საკუთარ თავს არ ვუსმენთ. თუ გვშია, რაღაცნაირად ვთრგუნავთ მადას იმის შიშით, რომ წონაში არ მოვიმატოთ. დაღლილობისას კოფეინით გაჯერებულ სასმელს ვსვამთ. ადამიანებს გვაქვს უნიკალური უნარი, წავიდეთ საკუთარი თავის წინააღმდეგ. დასავლეთში ჩვენ გვაქვს აბები, რომლებიც გასაჭირის ჟამს გვეხმარება: უძილობა თუ გვაწუხებს, უძილობის საწინააღმდეგო აბებს მივმართავთ, კუჭ-ნაწლავის დისფუნქციისას – შესაბამის აბებს.

მოკლედ რომ ვთქვათ, თქვენ ადამიანებს „დინების მიყოლას“ ასწავლით, როგორც ცვლილების გადალახვის გზას?

დიახ, დასავლეთი გამოცდილების ინტელექტუალიზებისკენ არის მიდრეკილი, ძირითადად, გარედან მიღებული გამოცდი-

ლება შეაქვთ შიგნით. ამიტომაც, ძალიან მნიშვნელოვანია, ინსტინქტური ენის და სხეულის დინების აღდგენა იმისათვის, რომ იოგას სიღრმეს ჩავწვდეთ.

იოგა რომ დღევანდელ დღეს შემოსულიყო დასავლურ კულტურაში და არა 100 წლის წინ, განვითარდებოდა თუ არა სხვაგვარად?

დარწმუნებული ვარ, რომ არა. იოგას გაკვეთილებზე მოდიან ადამიანები, რომელთა სიმპტომებიც, სავარაუდოდ, 100 წლის წინაც იგივე იქნებოდა, როგორიც დღეს არის. ჩემს სამაგისტრო ნაშრომში, რომელიც ჰათჰა იოგას ეხებოდა, დასავლეთში სხეულისადმი დამოკიდებულების 2000 წლიან ისტორიას გადავხედე. ვიქტორიანულმა ეპოქამ, მოგვიანებით კი ინდუსტრიულმა რევოლუციამ გავლენა იქონიეს ადამიანების მიერ საკუთარი სხეულის აღქმაზე. სხეული, ცოდვების წყაროდ ან ერთგვარ მანქანად უფრო აღიქმებოდა, ვიდრე არსებობის წმინდა საწყისად.

შემიძლია თამამად განვაცხადო, რომ ყველამ, ვინც იოგას მიმდევარი გახდა, სხეულისადმი დამოკიდებულების ტრანსფორმაცია განიცადა. პირველ გაკვეთილზე ხშირად ისიც კი არ იცი, თუ როგორ შეიგრძნო საკუთარი გავის ძვალი, რა არის მენჯი ან თუნდაც, როგორ უნდა ისუნთქო.

დღევანდელ დღეს ინტერნეტის და მობილური ტელეფონების მიერ მოტანილ ტექნოლოგიურ ცვლილებებთან ადაპტაციის პროცესში ვიმყოფებით, იმავდროულად ვეგუებით გარემოსა და საკვებში არსებულ ტოქსიკურობის ხარისხს. ამ ცვლილებებთან გამკლავება სომატურ დონეზე შეგვიძლია და ინსტინქტურად ვცდილობთ, ვიზრუნოთ ჩვენს ცხოვრებისეულ ძალაზე, როგორც შემდგომი რეალიზაციის წინაპირობაზე. თუ ცხოვრების ძალები დეზორგანიზებულია, მაშინ რეალიზაციაც ვერ მოხდება.

ახალმოსულ მოსწავლეებს როგორ ეხმარებით დინების გაგებაში?

არ მიყვარს, როდესაც ახალბედები თავიანთი თავის გარეთ იყურებიან. როგორც მასწავლებელი, მე მათი ცხოვრების ძალების, სუნთქვის, მოძრაობის და ცოდნის მსახური ვარ. ჩემი ძირითადი დანიშნულებაც ეს არის – დავეხმარო ადამიანებს დინებასთან დაკავშირებაში, ხელშესახები და პრაქტიკული გამოცდილების მისაღწევად.

როგორ ახერხებთ პოპულარული მასწავლებლის, მსოფლიოს ირგვლივ მოგზაურისა და დიასახლისის ფუნქციებისა და როლის შეთავსებას?

რაღაცეები პოზიტიურად ვითარდება, მაშინ როცა სხვა რამეები ინგრევა. ეს ცეკვაა! უპირველეს ყოვლისა, ჩვენი არსებობის რეალიზება სუხა-შაკტის მდგომარეობას უდრის: სუხა ჩვენი შინაგანი ბედნიერებაა, შაკტი კი – ძალა, ამ ბედნიერების მისაღწევად. ეს ყოველივე კენიაში და ძველ დელიში მოხალისედ მუშაობისას ვისწავლე. იქ შევხვდი ადამიანებს, რომელთაც არაფერი გააჩნდათ, არავითარი ქონება. ზოგს, ფეხი ან ხელი არ ჰქონდა, მაგრამ მათი თვალები-

კლინიკა „ხერხემალი“

საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის მკურნალობა

ზურგის ტკივილი განაჩენი არ არის!

მკურნალობისა და პროფილაქტიკის პროგრამები

ორთოპედიული აქსესუარები

კვალიფიციური მედპერსონალი

თანამედროვე სამედიცინო აპარატურა

მეთოდები, რომლებსაც ვიყენებთ:

- აუტოგრავიტაციული დაჭიმვა სპეციალურ ტახტზე
- ფიზიოთერაპია
- სამკურნალო მასაჟი
- მანუალური თერაპია
- სამკურნალო ვარჯიში
- ლიმფოდრენაჟი (პნევმომასაჟი)
- რეფლექსოთერაპია
- ლოკალური ინექციები
- მედიკამენტოზური თერაპია
- მეტაბოლიზმის აქტივაცია და ანტიოქსიდანტური თერაპია

- ოსტეოქონდროზი
- ხერხემლის მალთაშორისი დისკის თიაქარი
- ტანდეგობის დარღვევა (სქოლიოზი, კიფოზი, ლორდოზი)
- რადიკულიტი
- იშიაზი
- ართროზი
- ოპერაციის შემდგომი რეაბილიტაცია

10 წლამდე -50%

10-14 წლამდე -25%

ზურგის ტკივილს კომპლექსური მკურნალობა სჭირდება!



მისამართი: ქ.თბილისი, პეკინის 5,
მე-2 სადარბაზო, მე-3 სართული
ტელ: 214 33 97, 790 91 51 97
www. vertebra.ge

დან ისეთი სიხარული გამოსჭვიოდა, რომ, მსგავსი რამ მხოლოდ გასხივოსნებულ ადამიანებს შეუძლიათ. ამდენად, დედისა და მეუღლის სტატუსის მქონე ქალებისათვის ძალიან მნიშვნელოვანია მოვახერხოთ, სიხარულის მდგომარეობის შეგრძნება და მის ბუნებრივ მდგომარეობად ქცევა.

რა რჩევებს მისცემდით დამწყებ იოგებს?

დაიწყეთ იქიდან, სადაც იმყოფებით. არ შეზღუდოთ საკუთარი უნარები, მიეცით საკუთარ თავს შესაძლებლობა, რომ შინაგანი და გარეგანი ტრეინინგი და ტრანსფორმაცია ბუნებრივი გზით და დროულად განიცადოთ.

მიჰყევით თქვენს სუნთქვას და იყავით საკუთარი თავის გულშემატკივარი ევოლუციის პროცესში. იყავით თანმიმდევრულები: ვარჯიში პირდაპირ არის დაკავშირებული რიტმის პოვნასთან. სცადეთ ვარჯიში დღის განსხვავებულ მონაკვეთებში, ვიდრე იმ დროს არ აღმოაჩენთ, როდესაც თქვენი დღიური ენერგიის რიტმი ყველაზე ბუნებრივად შეესაბამება ვარჯიშს.

იოგა თავისებური ფილოსოფიით ცხოვრების სტილია, რომელიც კვებაზეც უნდა ვრცელდებოდეს, არის თუ არა აუცილებელი საკუთარი თავისთვის შეზღუდვების დაწესება?

ჩემი აზრით, საკვები ჩვენი საწვავია და ამდენად, მას დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ. 16 წლის განმავლობაში ვეგეტარიანელი ვიყავი, მაგრამ შემდეგ, აღმოვაჩინე, რომ ძალიან მიყვარს თხის და ცხვრის ყველი (ჩემი შვედურ-ირლანდიური წარმომავლობის გათვალისწინებით, არ უნდა იყოს გასაკვირი). მიყვარს ასევე თევზიც, მარცვლოვანი კულტურები, ხორცს კი საერთოდ არ ვჭამ. დიდი რაოდენობით ვიყენებ ზეითუნის ზეთს – ფაქტობრივად, ვარსებობ ამ ზეთით.

წელიწადში რამდენჯერმე სამკვირიან გამწმენდ, დეტოქს-დიეტას ვაკეთებ – ეს ერთგვარი დასვენებაა ორგანიზმისთვის. ისე კი, ტრადიციული საუზმე მიწისთხილის რძის, მიწისთხილის კარაქის, კაკაოს ფხვნილის, ბანანისა და ფინიკის შეიქისაგან შედგება – საკმაოდ ნოყიერი სასმელია.

ყავას და ალკოჰოლს რაც შეეხება, არცერთის მომხმარებელი გახლავართ. საერთოდ, ეს ყველაფერი ინდივიდუალურ აგებულებაზე და გენეტიკაზე არის დამოკიდებული. მაგალითად, იტალიელების ან ფრანგებისთვის ღვინის სასარგებლო ეფექტი მეცნიერულად დადასტურებულია, სხვებისთვის კი ღვინოში არსებულ პესტიციდებს მავნე შედეგი შეიძლება ჰქონდეს. ყავას რაც შეეხება, აქაც სიფრთხილეა საჭირო, ვინაიდან გარკვეული აიურვედული აგებულების ადამიანებისთვის, ის, სიმჟავის დონის აწევას იწვევს. ამიტომაც, სასურველია, არჩევანი შავი ან მწვანე ჩაის სასარგებლოდ გააკეთოთ.

პერიოდულად თავს უფლებას ვაძლევ, ქოქოსის რძისგან დამზადებული ნაყინი მივირთვა. ხანდახან შოკოლადსაც ვამზადებ – კაკაოს ფხვნილის, კაკაოს კარაქისა და აგავას ნექტარით. უნდა ისიამოვნოთ მსგავსი დესერტებით, ოღონდ, ზომიერად – აიურვედაში ყველაფერი ზომიერად უნდა მოხდეს.

იოგას დამახასიათებელიც ეს არის: საკუთარ სხეულთან ჰარმონიას აღწევ და ჭეშმარიტად სიამოვნებას განიჭებს ის, რითიც იკვებები.

რა არის მასწავლებლის მთავარი მისია?

გურუ (მასწავლებელი) ნიშნავს „ადამიანს, რომელიც უმეცრებისგან, სიბნელისგან განთავისუფლებს“. ეს არის ადამიანი, რომელსაც შემოაქვს სინათლე და თავიდან გაცილებს წინააღმდეგობებს. იოგას ამერიკელი პედაგოგების მთავარი გამოწვევა ასაკია: ინდოეთში, როგორც წესი, პედაგოგები 50 წელს გადაცილებული ადამიანები არიან, ჩვენთან კი საკმაოდ ახალგაზრდა მასწავლებლებს შეხვდებით. თუმცა, ვთვლი, რომ ასაკი დაბრკოლებად არ უნდა იქცეს – არსებობენ სხვადასხვა კატეგორიის მასწავლებლები, უფრო სწორად, არსებობს პედაგოგისათვის დამახასიათებელი განსხვავებული ფუნქციები, რომელთა ნაწილიც ადრეულ ასაკშიც შეიძლება გავააქტიუროთ. ერთ-ერთი ასეთი ფუნქცია იოგას ტექნიკის ტრანსფორმაციას გულისხმობს, თუმცა, იოგას პედაგოგისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი „მიტრად“ ქცევა არის. მიტრა სპირიტუალურ მეგობარს გულისხმობს, მეგობრის საუკეთესო თვისებებით აღჭურვილ ადამიანს, რომელსაც შეუძლია მხარში დგომა, სიყვარულის და მხარდაჭერის უპირობოდ გამოვლენა. მეგობარი ხომ ის ადამიანია, რომელიც ყოველთვის სიმართლეს გვეუბნება, მხოლოდ შედარებით მსუბუქად.

მასწავლებლის მეორე მნიშვნელოვანი ფუნქცია მოგზაურობის გაძღოლაა. ის უნდა დაეხმაროს მოსწავლეს, უდიდეს გურუსთან კონტაქტის დამყარებაში – უპირველეს და უმთავრეს პედაგოგთან, ღმერთთან, რომელიც ჩვენში ცხოვრობს.

SINCE 1884

SARAJISHVILI

სარაჯიშვილი

იოგას ინსტრუქტორები საქართველოში

ავტორი სალომე აფხაზიშვილი
ფოტო ლევან ხერხეულიძე

იოგა სულიერი, ფიზიკური და მენტალური დისციპლინაა, რომელიც სათავეს ძველი ინდოეთიდან იღებს. სანსკრიტული სიტყვა „ერთობლივ მართვას“ აღნიშნავს და სხეულის და გონების ერთიან ჰარმონიაში მოქცევით აიხსნება და სამ ძირითად კონცეპტს აერთიანებს – ვარჯიში, სუნთქვა და მედიტაცია, რომელთაგან ვარჯიში ფიზიკურ სიჯანსაღეს უზრუნველყოფს, სუნთქვა კი, ადამიანის სხეულში არსებულ სიცოცხლის წყაროს აღვიძებს. ამ ორი ადამიანური მდგომარეობის მიღწევის შემდეგ, სუბიექტი მედიტაციის მდგომარეობაში გადადის და ყოველდღიური სტრესისგან თავისუფლდება. იოგას სწავლების მიხედვით, ეს არის ადამიანის გასხივოსნების, ყოველდღიური რუტინული არსებობის საზღვრების გადალახვის მეთოდი. შედეგი კი, მრავალფეროვანია: ფიზიკური და სულიერი სიჯანსაღე, ნერვული ბალანსი, გონებრივი კონცენტრაციისა და აზროვნების მაღალი ხარისხი, უბრალოდ, ცხოვრება იმაზე უკეთესად, ვიდრე ამას იოგას ენის – ასანების (პოზების) და პრანაიების (სუნთქვის) გარეშე შეძლებდით.

იოგა ქართული საზოგადოებისთვის ცნობილი 1995 წლიდან გახდა, როდესაც საქართველოში, იოგას ფილოსოფიის შესახებ, უძველესი ნაშრომი – „უპანიშადები“ ქართულ ენაზე გამოიცა. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა ეპოქისთვის მიუღებელი ფილოსოფიის თემით, ადამიანების მცირე ნაწილი მაინც ინტერესდებოდა და ცხოვრების ამ სტილით, გახმაურების გარეშე ცხოვრობდა, იოგა ტრადიციულ ქართულ კულტურაში მყარად დღემდე ვერ დამკვიდრდა.

საზოგადოების წახალისებას, თავად ადამიანები ვერა, მაგრამ კეთილმოწყობილი ცენტრები, ნამდვილად ცდილობენ. მომსახურების ღირებულება ინსტრუქტორის გამოცდილებითა და იოგას სტილის მიხედვით განისაზღვრება, და დაახლოებით 80 ლარიდან 150 ლარამდე მერყეობს. თბილისში რამდენიმე მსხვილი იოგა-ცენტრია: იოგას გამოქვაბული (yoga cave), იოგას-სივრცე (yoga space), იოგას სახლი, იოგას ცენტრი – „ანანდა“ და სხვები, რომლებიც მსურველებს, მომსახურების მრავალფეროვან პირობებს სთავაზობენ: იოგა დამწყებთათვის; სტრესის მოხსნა; წონის კორექცია; ზურგისა და სახსრების ტკივილის მოხსნა; იოგა ქალებისთვის; მედიტაცია; ელასტიკურობის განვითარება; საბავშვო იოგა და სხვა. მძიმე სამუშაო რეჟიმის მქონე ადამიანებისთვის, კორპორატიული და ინდივიდუალური მეცადინეობებიც ტარდება.

საქართველოში არსებული იოგა ტრანსფორმირებული ფორმაა იმ იოგასი, რომელიც ინდოეთში ჩაისახა და ფიზიკურ და სულიერ სიჯანსაღესთან ერთად, რელიგიურ განსაზღვრებას შეერწყა. ქართველი ინსტრუქტორების უმეტესობა სწორედ „ჰათჰა-იოგას“ წესებით ხელმძღვანელობს, რომელიც, შინაგანი და გარეგანი ჰიგიენის მიღწევის პირობებში, საერთო კეთილგანწყობას აძლიერებს.

იოგას, როგორც შინაგანი სიმშვიდის მიღწევის გზას, ერთ-ერთი ქართველი ინსტრუქტორი ასე განმარტავს: „ცხოვრება თეატრში თამაშს ჰგავს. ყველას თავისი როლი აქვს. ცხოვრების მსახიობსა და თეატრის მსახიობს შორის ის განსხვავებაა, რომ ადამიანი თავის როლს ცხოვრების ბოლოს იგებს, თეატრის მსახიობი კი, საკუთარ როლს სცენაზე გასვლამდე ეცნობა და ამის შემდეგ თამაშობს. თავისი როლის შეცნობას ადამიანი მხოლოდ შინაგანი სიმშვიდით შეძლებს...“. საკუთარი გზის შეცნობის მიზნით, შინაგანი სიმშვიდის მდგომარეობამდე მიღწევა იოგას ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიზანია.

დავით კანდელაკი

ასაკი 27 წლის
სტილი ჰათჰა იოგა

„იოგამ მომცა ყველაფერი, რასაც ცხოვრებაში ვეძებდი – შინაგანი სიმშვიდე და ფიზიკური ჯანმრთელობა“, – ამბობს დავით კანდელაკი, რომელიც იოგათი 12-13 წლის ასაკში დაინტერესდა, ბოლო ოთხი წელია, იოგას ცხოვრების წესად ქცევაში უკვე სხვებსაც ეხმარება. დავითი, პროფესიით ექიმი-რეაბილიტოლოგია და ალბათ, მისი ძირითადი საქმიანობის გათვალისწინებით აკითხავს მას განსხვავებული ტიპის აუდიტორია: ფეხმძიმეები, რომელთაც იოგა ფიზიკურ და ნერვულ სიჯანსაღეს სძენს, შედეგი კი, ყველაზე დადებითად ნაყოფის ნერვულ სისტემაზე აისახება; ჭარბი წონის და ხერხემლის პრობლემების მქონე ადამიანები; ბავშვები, რომელთა ზრდის პროცესიც უფრო მოწესრიგებული და ჯანსაღი ხდება.

„იოგა რელიგია არ არის. რასაც ჩვენ ვაკეთებთ, ეს არის, უბრალოდ, ჯანმრთელობის გზა. აი, წარმოიდგინეთ – ფეხი მოხარეთ, გაშალეთ, ჩაისუნთქეთ, ამოისუნთქეთ. ეს რელიგიაა? არა, რა თქმა უნდა! ეს არის ჯანსაღი ცხოვრების წესი. ეს ვარჯიშები იოგას მცირე ნაწილია, უბრალოდ, საშუალებაა და არა საბოლოო მიზანი“.

სად

იოგას ცენტრი „Yoga Space“

გივი გივიშვილი

ასაკი 31 წლის
სტილი ჰათჰა იოგა

თორმეტი წელია, რაც იოგა მისი ცხოვრების წესია. ჯანმრთელობის პრობლემების გამო მივიდა, წლების წინ, გულის პრობლემებით დაავადებული მამაც სწორედ იოგას ვარჯიშებით განიკურნა. საწყის ეტაპზე დროდადრო ვარჯიშობდა, მოგვიანებით კი, იოგა ცხოვრების წესად ექცა. იოგამ, ჯანმრთელობასთან ერთად, მას მეტი ენერგია, სტიმული და ცხოვრებისადმი ოპტიმისტური განწყობაც მოუტანა. გვირჩევს, დღის განმავლობაში, დილით ან საღამოს იოგას ერთი საათი მაინც დავუთმოთ, ზოგადი რეჟიმისთვის კი, კვირაში სამი დღე ოპტიმალურად მიაჩნია.

„ცხოვრების ის რიტმი, რომლითაც დღეს ვცხოვრობთ, ძალიან ფიტავს ადამიანის ორგანიზმს, იოგა კი, ამ მხრივ, ძალიან სასარგებლოა. ნებისმიერი პროფესიის ადამიანს იოგა თავისი საქმის გაცილებით ხარისხიანად კეთებაში ეხმარება – მშვიდდება გონება, მარტივდება კონცენტრაცია და ამ ყველაფერთან ერთად, ფიზიკურად უფრო მოქნილი და ძლიერი ხდები“ – აღნიშნავს გივი გივიშვილი.

სად
საქართველოს იოგას ეროვნული ფედერაცია

ოლგა რომერი

ასაკი 42 წლის
სტილი ჰათჰა იოგა

„იოგა ჩართულ კამერას ჰგავს, რომელიც, შენდაუნებურად, ცხოვრების ისეთ მომენტებს აფიქსირებს და ინახავს, რომელსაც ვერ ხვდები. როდესაც მეხსიერებით უკან ბრუნდები, ყველაფერი დეტალურად გახსენდება, ბავშვობის ამბებიც კი...“ – ამბობს ოლგა, რომელიც იოგათი სრულიად შემთხვევით, მეგობრის რჩევით დაინტერესდა. რამდენიმე ვარჯიშის შემდეგ მიხვდა, რომ იოგა ცხოვრებისეული ფილოსოფიაა, პოზიციაა, რომელიც იძლევა პასუხს კითხვებზე – ვინ ვარ მე, რისთვის ვცხოვრობ, რა მინდა, რა მომელის. ამბობს, რომ ეს მისთვის ერთგვარი საჩუქარი იყო, ისევე როგორც ყველა იმ ადამიანისთვის, ვინც იოგას იწყებს: „შენს თავთან უფრო მეტად იხსნები, უზარმაზარ ენერგიას იღებ და ასანების შემდეგ არაბუნებრივად სასიამოვნო განცდა გეუფლება“.

სად
„Yoga Cave“

იაკობ გოგოტიშვილი

ასაკი 26 წლის
სტილი ჰათჰა იოგა

მის ცხოვრებაში, ცეკვა და იოგა უკვე რამდენიმე წელია თანაარსებობს. იაკობი ბავშვობიდან ცეკვავს, თუმცა, ფიზიკური მომზადების მიუხედავად, ერთი წელი დასჭირდა იმისთვის, რომ იოგას ინსტრუქტორი გამხდარიყო. გარკვეული მოძრაობების მსგავსების მიუხედავად, „იოგას გრამატიკის“ მიხედვით, განსხვავებები ცეკვასა და იოგას შორის მაინც დიდია: „საჭიროა მეტი კონცენტრაცია და მოძრაობებში მეტი ჩართულობა. ამ დროს შენს სხეულს ფლობ და ამ მდგომარეობაში მისი გაკონტროლებაც შეგიძლია. შედეგიც სწორედ ესაა – უნარი, მართო საკუთარი სხეული“.

იაკობ გოგოტიშვილმა ასანებისა და ცეკვის ილეთების შერწყმა მოახერხა: „ცეკვაც მაშინ არის სანახაობრივი, როდესაც, მრავალფეროვანი მოძრაობების მიუხედავად, შენს სხეულს ფლობ და სასურველ მოძრაობებს ზუსტად და „სუფთად“ ასრულებ – ძალიან სასიამოვნო შეგრძნებაა. გარდა ამისა, ხვდები, რომ ემოციურად გაწონასწორებული და მშვიდი ხდები. ფიზიკურ მხარეს რაც შეეხება, ძალიან ამაღლებული შეგრძნებაა, როცა შეგიძლია შენს სხეულს რაიმე გააკეთებინო. საოცარი მუხტია, იყო ჯანმრთელი და აკეთო უფრო მეტი, ვიდრე იოგას გარეშე შეძლებდი“.

სად

საქართველოს იოგას ეროვნული ფედერაცია

ზაზა ბარკალაია

ასაკი 38 წლის
სტილი კუნდალინი-იოგა

იოგა მის ცხოვრებაში, რთულ პერიოდში გამოჩნდა. 1991 წელს ინდოეთში, გოაში გურუს შეხვდა, რომელმაც იოგას შესახებ მოუთხრო, ზაზაც დაინტერესდა და შედეგად, ინდოეთში 5 წლით დარჩა საცხოვრებლად. სწორედ აქ შეიცვალა მისი ცხვორება ძირფესვიანად: „სამყარო შეიცვალა და შესაბამისად, შევიცვალე მეც. ჩვეულებრივ, სამყაროს შეცვლა წარმოუდგენელია, მაგრამ თუ შენ შეიცვლები, სამყაროს შენეული აღქმაც შეიცვლება“.

სხვა ქართველი ინსტრუქტორებისგან განსხვავებით, ის კუნდალინი იოგას მიმდევარია. იოგას ეს სახეობა, სუნთქვითი მეთოდების მეშვეობით ნებისმიერი ადამიანის სხეულში არსებულ მძლავრ, მაგრამ მიძინებულ ენერგიას აღვიძებს, და სუნთქვის კონტროლის საშუალებას იძლევა. ვარჯიშის დასკვნით ფაზაში, ინდივიდუალური ცნობიერება მარადისობის იდეას ერწყმის, პროცესი კი ძალიან სწრაფად მიმდინარეობს, 16-ჯერ უფრო სწრაფად, ვიდრე ჰათჰა-იოგა და 11-ჯერ უფრო სწრაფად, ვიდრე აშტანგა იოგა, რაც ადამიანისგან ფიზიკურ და სულიერ მომზადებას მოითხოვს. კუნდალინის გამოღვიძება, მხოლოდ შიდა ცნობიერებაში შესვლის ხერხია და უშუალოდ ღმერთის რეალიზაციას არ ნიშნავს. დედამიწაზე ათასობით ადამიანია, ვისაც კუნდალინი გაღვიძებული აქვს და ისინი აცნობიერებენ კიდეც თავის შინაგან ფსიქიკურ ძალას, თუმცა აცნობიერებდე შინაგან ფსიქიკურ ძალას, სავსებით არ ნიშნავს ღვთის რეალიზაციას. კუნდალინი-იოგა, როგორც „გასხივოსნების“ უსწრაფესი საშუალება, პირდაპირი გზაა იოგას ფილოსოფიის უმაღლეს საფეხურამდე – რაჯა-იოგამდე.

ვარჯიშს და მედიტაციას დილიდან იწყებს და სამი საათის განმავლობაში ვარჯიშობს. ხორცს არ ჭამს და თვლის, რომ ხორცის ჭამით ძალიან რთულია მიაღწიო ჭეშმარიტებას: „ჩემთვის ეს გზა ერთადერთია, შეიძლება სხვა გზებიც არსებობს, უბრალოდ, მე არ ვიცი. რაც შეეხება ჭეშმარიტებას, ამას მხოლოდ იგრძნობ და გაიაზრებ, მისი ენით გადმოცემა კი, შეუძლებელია“, – ამბობს ზაზა ბარკალაია.

სად

სასტუმრო „მუზასთან“ არსებული იოგას ცენტრი

კლინიკა „კარაპს მედლაინი“

ჭავჭავაძის გამზ. № 5
222 4417; 222 5769; 577 22 99 22

რა სიახლეს ვთავაზობთ პლასტიკური ქირურგიის კლინიკა "კარაპს მედლაინი" და ალექსანდრე კალანტაროვის გუნდი ქალბატონებს ახალ, 2012 წელს

გასული დღესასწაულების შემდგომ დავუბრუნდით ჩვეულ რეჟიმს ჩვენს კლინიკაში. ახალ წელს სიახლეები ბევრი გვექნება, უმთავრესი ის არის, რომ სულ მალე მოგემსახურებით სრულიად ახალ კლინიკაში ახალ მისამართზე (დიღომი, ლიუბლიანას ქ. 42).

კლინიკის მოცულობა მნიშვნელოვნად გაიზარდა, გავფართოვდით, ახლა ჩვენს პაციენტებს შევთავაზებთ იდეალურ პირობებს დასვენებისა და მკურნალობისათვის, ინდივიდუალური ოთახები, კომფორტული და სასიამოვნო გარემოცვა და რაც მთავარია, ჩვენი პერსონალის ზრუნვა, რომელიც აქამდეც მაღალ დონეზე იყო და ახალ გარემოცვაში კიდევ მეტი ენთუზიაზმით ჩაერთვება საქმიანობაში.

პლასტიკური ქირურგია კლინიკის პრიორიტეტია, შესაბამისად მაქსიმალური ენერგია იქნება ჩადებული, რომ ახალ სამედიცინო ცენტრში მეტი სიახლე შევთავაზოთ ქალბატონებს. ჩვენ ბოლო 5 წლის განმავლობაში მივაღწიეთ დიდ წარმატებას. გამომდინარე ქვეყნის დინამიკური განვითარებიდან და ჩვენი აქტიურობიდან, ჩვენი დარგის ...მიღწევები დღეს მსოფლიო კონკურენციის სრულად თანამდევია. ბ-ნი ალექსანდრე კალანტაროვის ქირურგიული ნიჭის და ჭეშმარიტი ცოდნის საფუძვლებზე აღებული და დაფუძნებული საქმიანობა მაქსიმალურ და რეალურ შედეგებს იძლევა.

ჩვენთან შესაძლებელია ნებისმიერი სახის პლასტიკური ოპერციისა და პროცედურის წარმოება. ლიპოსაქცია, მკერდის ფორმების კორექცია, რინოპლასტიკა, სახის ნებისმიერი ზონის დეტალური პლასტიკა, სხეულის პლასტიკა, მუცლის წინა კედლის პლასტიკა და კიდევ უამრავი სხვა პროცედურა.

დღეს თბილისში ბევრი ესთეტიკური მედიცინისა და პლასტიკური ქირურგიის ცენტრი ფუნქციონირებს, თუმცა ვფიქრობთ, რომ ჩვენი კლინიკის ტრადიციებითა და პროფესიონალი მედიკოსების გუნდით უპირობოდ ლიდერის პოზიციაზე ვიმყოფებით, ამას დაემატება ახალი, ფეშენებელური გარემო და შედეგად მხოლოდ საუკეთესო რეზულტატებისაკენ ორიენტირებული საქმიანობა.

სიახლეებიდან შემოგთავაზებთ კვლავ მხოლოდ იმას, რაც მსოფლიო ბაზარზე არსებობს. განსაკუთრებული პოზიციები ეთმობა სახის ქირურგიისას ენდოსკოპიური ტექნოლოგიების გამოყენებას (ჭრილობების გარეშე გაახალგაზრდავების ეფექტი). ამ ტიპის პროცედურების წარმოება დავიწყეთ 7 წლის წინ ჩვენი ამერიკელი კოლეგის ო. რამირესის გამოცდილების გაზიარების შემდგომ და უკვე უამრავი სახეგაახალგაზრდავებული მანდილოსანიც დავუბრუნეთ საზოგადოებას.

ლიპოსაქციის მსოფლიო პოპულარობა ჩვენთანაც იგრძნობა. "კარაპს მედლაინში" დანერგილია ლიპოსაქციის კლასიკური მეთოდები და შესაძლებლობები. პაციენტები მეტად კმაყოფილნი არიან მიღებული შედეგებით, 1 დღეში სრულიად ახალი ფიგურით უბრუნდებიან ცხოვრების ჩვეულ რიტმს, თუმცა ამის შესახებ არ საუბრობენ....

მკერდის იმპლანტებთან დაკავშირებულ მსოფლიო აურზაურსაც გამოვეხმაურებით: ჩვენს კლინიკაში კომპანია PIP –ის იმპლანტი არასოდეს გამოგვიყენებია, სხვა კლინიკების შესახებ ინფორმაციას ჩვენ არ ვფლობთ, თუმცა ვიცით, რომ საქართველოში ამ კომპანიის იმპლანტები არასოდეს ყოფილა პოპულარული.

რჩევის სახით იმ პაციენტებს, ვისაც გაკეთებული აქვს მკერდის ოპერაცია და არ იცის თუ რა კომპანიის იმპლანტი აქვს სხეულში, ვურჩევთ აუცილებლად მოიძიონ ეს ინფორმაცია და დადასტურების შემთხვევაში მოგვმართონ ან მიმართონ იმ კლინიკას, სადაც გაკეთდა ოპერაცია.

აქვე, როგორც მსოფლიო ესთეტიკური ქირურგიის საზოგადოების წევრი, ვალდებული ვარ მოგაწოდოთ ინფორმაცია ბოტოქსის, დისპორტისა და ბიოგელების შესახებ – მხოლოდ კომპეტენტურ სპეციალისტებთან აწარმოეთ აღნიშნული პროცედურები, სხვა შემთხვევაში საკმაოდ ცუდი შედეგები დგება. ჩვენთან ნებისმიერი ამ ტიპის პროცედურის წარმოებაა შესაძლებელი.

ექსკლუზიური ოპერაციებიდან და შედეგებიდან ვამაყობთ რინოპლასტიკით. მხოლოდ და მხოლოდ დაგეგმილი და წინასწარ შეთანხმებული რეზულტატი ანიჭებს პაციენტს კმაყოფილებას. ჩვენთან ვიზიტის შემდგომ თქვენ გეცოდინებათ თუ რა ტიპის ჩარევა უნდა განხორციელდეს, წინასწარ ნახავთ რამდენიმე ვარიანტს და თქვენ თვითონ მიიღებთ გადაწყვეტილებას. აგრეთვე, ექსკლუზიურად კარგი შედეგები გვაქვს მეორადი რინოპლასტიკების მხრივ. ეს თემა საინტერესოა იმ ადამიანებისთვის, ვისაც არ აკმაყოფილებს ადრე გაკეთებული რინოპლასტიკა და სურს გამოისწოროს შედეგი. ჩვენ ამ სურვილს სრულფასოვნად ვაანალიზებთ და საკუთარი გარეგნობით კმაყოფილ პაციენტებს ვუშვებთ სახლში.

დასასრულს გეტყვით, რომ სამედიცინო ბაზარზე მხოლოდ ჩვენი შრომით და საქმისადმი სიყვარულით მოვიპოვეთ ჩვენი ადგილი, ჭეშმარიტად ვამაყობთ პაციენტების და საზოგადოების მხრიდან მიღებული გამოხმაურებებით და ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი დარგი მეტ პოპულარობას მოიპოვებს საქართველოში და ამ ახალ დინამიკურ და თანამედროვე ქართულ რეალობაში კვლავ შევინარჩუნებთ ლიდერობას. ქალბატონებს კი გისურვებთ წარმატებას და უსაზღვრო სილამაზეს ჩვენი ცხოვრების მეტად დასამშვენებლად.

პატივისცემით, კლინიკა „კარაპს მედლაინი"-ს
პლასტიკური ქირურგი კოტე მათითაშვილი

ნიდინ კოჩათ სუგათან

ასაკი 30 წლის
სტილი ჰათჰა იოგა

ჰიმალაებში, ერთ-ერთ გურუსთან მიღებული გამოცდილების შემდეგ ინდოელი ნიდინ კოჩათ სუგანი საქართველოში ჩამოვიდა. ნიდინი აღნიშნავს, რომ მისი მოსწავლეები, ასანების შესრულების გარდა, კვების რეჟიმის დაცვასაც ცდილობენ და რაც უფრო მეტს ვარჯიშობენ, მით უფრო მეტი ფილოსოფიური კითხვებიც უჩნდებათ.

„დღეს ადამიანების ერთ-ერთ მთავარ საზრუნავს ფულის შოვნა წარმოადგენს, რომელსაც, სამწუხაროდ, შემდეგ, საავადმყოფოებში ხარჯავენ, ჩემთვის კი, იოგას სტილით ცხოვრება – ჯანმრთელობაა, ეს ჩემი ცხოვრებაა“.

სად
იოგას ცენტრი – „ანანდა“

დავით ჯიჯავაძე

ასაკი 47 წლის
სტილი ჰათჰა იოგა

იოგამ მის ცხოვრებაში ბევრი რამ შეცვალა. იხსნებს, რომ სკოლის პერიოდში ფიზიკურადაც სუსტი იყო და გონების კონცენტრაციაც უჭირდა, თუმცა, უკვე უმაღლესში სწავლისას, საკმაოდ მაღალი შეფასებები დაიმსახურა. ეს ზუსტად ის დრო იყო, როცა იოგას სერიოზულად მიუდგა და შედეგიც მიიღო – გაძლიერდა კონცენტრაცია და აზროვნების უნარი.

საქართველოში მიღებული მრავალპროფილიანი განათლების გარდა, გაეროს ეგიდით იოგას საერთაშორისო ინსტრუქტორის სტატუსიც მოიპოვა. დღეს ჯანმრთელობისა და შრომის უსაფრთხოების ექსპერტია და იოგა თავისი საქმის უკეთესად შესრულებაში ეხმარება.

იოგა – ეს არის ცხოვრების ჯანსაღი წესი. ყველამ თავისი გზა უნდა აირჩიოს. მე ვერავის ვერაფერს ვურჩევ. ადამიანის გასხივოსნება, თოხზე მუშაობით ან სპორტის რომელიმე სახეობით – ცხენოსნობით, ფარიკაობით და სხვა სახეობებითაც შეიძლება. ყველას თავისი გზა აქვს. მთავარია განსაზღვრო, თუ რა გსურს.“

სად
ადამიანის ჰარმონიული განვითარების ცენტრი

ლაქტაციდი

ის, რაც ყველა ქალის სჭირდება

ჰიგიენა ბერძნული სიტყვაა და ზოგადად გულისხმობს ჯანმრთელობასთან და მის პრევენციასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა ერთობლიობას და სისტემას. ადამიანები ცდილობენ სისუფთავესთან დაკავშირებული ღონისძიებები ბავშვებს თავიდანვე ჩაუნერგონ პირადი ჰიგიენის უნარების სახით.

ინტიმური ჰიგიენა სისუფთავის ნორმატივების მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია, თუმცა მასზე ღია საუბარს, საკითხის დელიკატურობიდან გამომდინარე, გარდა ექიმთა საზოგადოებისა, აშკარად გაურბიან. ამ თვალსაზრისით, უფრო მეტ ყურადღებას იმსახურებს ქალის ინტიმური ჰიგიენა – ქალის გენიტალიების ანატომიურად ინფექციების მიმართ მიდრეკილების გამო. და არა მარტო... ქალს ფუნქციურად რეპროდუქციული სისტემა უფრო დატვირთული აქვს – ქალს აქვს მენსტრუალური ციკლი, ის ორსულდება, მშობიარობს, ქალი მელოგინეა და ბოლოს და ბოლოს ქალი ქალია – მომხიბვლელი, ლამაზი, მიმზიდველი, სასურველი.

რატომ გახდა ინტიმური ჰიგიენა დღეს განსაკუთრებით აქტუალური? შეიცვალა სქესობრივი ქცევა – მომატებული სქესობრივი აქტიურობა, სქესობრივი პარტნიორის ცვლა, ის თავისებურებებია, რომლებიც ცხოვრებამ მოიტანა. ასევე „დამნაშავეა" მოდის გარკვეული გამოძახილი, მჭიდრო, მოუხერხებელი და სინთეტური ტანსაცმელი. ექიმ-გინეკოლოგებს შორის გამოკითხვამ წარმოაჩინა არასაკმარისი ჰიგიენის პრობლემაც. ქალების უმრავლესობამ არც კი იცის გენიტალიების სწორად მოვლის წესები, უმეტესობა დღემდე ჩვეულებრივი საპნის მომხმარებელია. დადგენილია, რომ საპონი ინტიმური ტერიტორიების მტერია! ამას მისი ქიმიური შემადგენლობა და ქსოვილებზე ზეგავლენა განაპირობებს.

ლაქტაციდი არის მსოფლიოში ქალის უპირველესი დასაბანი საშუალება, რომელიც შეიცავს რძის ექსტრაქტებს და ჩვეულებრივი საპნისგან განსხვავებით ინარჩუნებს ბუნებრივ ინტიმურ ბალანსს და უზრუნველყოფს არა მხოლოდ სისუფთავეს, არამედ დაცვას გაღიზიანებისგან, უსიამოვნო სუნისგან და ტოვებს სისუფთავის, თვითდაჯერებულობის, სიახლის შეგრძნებას. ლაქტაციდი არის ქალის გარეგანი დასაბანი საშუალება ფრანგული ფარმაცევტული კომპანია სანოფი - ავენტისისგან, რომელიც შეიცავს რძის მჟავას და რძის შრატს (lactoserum), გამოიყენება ყოველდღიური ინტიმური ჰიგიენისთვის. ასევე გამოიყენება როგორც დამხმარე საშუალება გარეთა სასქესო ორგანოების ინფექციების დროს.

ლაქტაციდი არის :

- ქალის ყოველდღიური ჰიგიენა
- უზრუნველყოფს სისუფთავის ხანგრძლივ შეგრძნებას
- თავიდან აცილებს გაღიზიანებას, წვის შეგრძნებას, უსიამოვნო სუნს, ინფექციების, მენსტრუალური ციკლის, ორსულობის, მშობიარობის შემდეგ
- ხელს უშლის და არ იწვევს სიმშრალეს
- არის ჰიპოალერგიული
- მოწოდებულია გინეკოლოგების მიერ
- მოსახერხებელია ორსულებისათვის
- შეიძლება გამოვიყენოთ ჩვილებში, ბავშვებში
- იკითხეთ აფთიაქებში

მაკა გეგეჭკორი
მედიცინის დოქტორი, ექიმი-რეპროდუქტოლოგი
ი.ჟორდანიას სახ. ადამიანის რეპროდუქციის ს/ქ ინსტიტუტი

მათთვის, ვისაც იოგა აინტერესებს
წიგნები და ციფრული დისკები სახლში პრაქტიკისათვის

წიგნები



იოგას სიბრძნე: გზამკვლევი განსაკუთრებული ცხოვრების მაძიებლებისათვის
ავტორი სტივენ კოუპი
გამოცემის თარიღი 2007 წელი
წიგნში იოგას მოსწავლეებისათვის თანამედროვე ენით არის ახსნილი იოგას ძირითადი სხავლებების და ტრადიციების შესახებ.

იოგას ფარული ძალა
ავტორი ნიშალა ჯოი დევი
გამოცემის თარიღი 2007 წელი
იოგას უძველესი სწავლების ემოციური და სულიერი სარგებლის შესახებ ცნობილი ექსპერტი, ნიშალა დევი ახლებური, დინამიური ინტერპრეტაციებით მოუთხრობს კონკრეტულად ქალ მკითხველს.



იოგას ანატომია (მეორე გამოცემა)
ავტორები: ლესლი კამინოფი, ემი მეთიუ
გამოცემის თარიღი: 2011 წლის ოქტომბერი
ეს წიგნი საინტერესო არჩევანია იოგათი დაინტერესებული ნებისმიერი ადამიანისათვის, მასში მოცემული დეტალური, ფაქტობრივად, ენციკლოპედიური ილუსტრაციების გამო, რომლებიც იოგას თითოეულ პოზას ანატომიურ ჭრილში განიხილავს.

იოგას შესახებ: დიპიკა იოგა
ავტორი ბ.კ.ს აიენგარი
გამოცემის თარიღი 1995 წელი
იოგას ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი პედაგოგი (აიენგარი 2004 წელს ჟურნალ Times-ის მიერ დასახელებულ მსოფლიოს 100 ყველაზე გავლენიან ადამიანთა სიაში შევიდა), აიენგარი წიგნში იოგას ასობით ასანას და სუნთქვითი ვარჯიშების შესრულების ტექნიკას მიმოიხილავს, რასაც შესაბამისი ილუსტრაციებიც ერთვის თან.

ციფრული დისკები

იოგა დამწყებებისთვის (იოგა სტრესის მოსახსნელად/დილის-საღამოს იოგა/იოგა მოუქნელი ადამიანებისთვის)
ხანგრძლივობა 600 წუთი
გამოშვების თარიღი 9 დეკემბერი, 2010 წელი
ნაკრებში შედის 3 დისკი, სადაც შეგიძლიათ ნახოთ 40 სხვადასხვა ტიპის 15-60 წუთიანი სესია და მოდიფიკაციები ნაკლებად მოქნილი ადამიანებისთვის.

როდნი იი – დილის იოგა
ხანგრძლივობა 110 წუთი
გამოშვების თარიღი 3 ივნისი, 2008 წელი
პროგრამაში შედის 5 განსხვავებული ასანების და სავარჯიშოებისგან შემდგარი სესია, რომელთაგან არცერთი აღემატება 25 წუთს, რაც დილის რუტის გათვალისწინებით, ძალიან მოსახერხებელია.

თამალ დოჯი – ჰათჰა და ფლოუ იოგა დამწყებებისთვის
ხანგრძლივობა 67 წუთი
გამოშვების თარიღი 6 დეკემბერი, 2011 წელი
დისკზე ორი 30 წუთიანი პროგრამა არის მოცემული. ჰათჰა იოგას ნაწილი სტრესთან გამკლავებაზე და მოქნილობის გაუმჯობესებაზე არის ორიენტირებული, ფლოუს ნაწილი კი – ძალების და სასიცოცხლო ენერგიის დაგროვებაზე.

შივა რე – ყოველდღიური ენერგია – ვინიასა ფლოუ იოგა
ხანგრძლივობა 168 წუთი
გამოშვების თარიღი 1 დეკემბერი, 2009 წელი
პროგრამაში შედის შვიდი 20 წუთიანი სესია, 5 წუთიანი მზის და მთვარის მედიტაციები და 6 წუთიანი რელაქსაცია-შავასანა, რომლებიც მატრიცის ფორმატით არის აგებული და თავად შეძლებთ, ყოველ ჯერზე, თქვენთვის სასურველი სავარჯიშო სესიის აწყობას.



მაია ფაინზი – კუნდალინი იოგა, დეტოქსი და სტრესისგან გათავისუფლება
ხანგრძლივობა 60 წუთი
გამოშვების თარიღი 2007 წელი
მოძრაობები და სუნთქვა სულიერების გამოცოცხლებაზე, სხეულის ენერგიით დამუხტვაზე და გონების განტვირთვაზე არის მიმართული.

FM 101.9
ქალაქი
WWW.RADIOKALAKI.GE
რადიოქალაქი წარმოგიდგენთ
ყოველ სამუშაო დღეს
17:30
გადაცემას
დღის ბიზნეს სტუმარი
მაია ჯავახიშვილთან ერთად

DEKOM
VISUAL SOLUTIONS

versatile know-how

highly certified

low hierarchies

advisor

we implement individual scalable solutions

Our aim is to increase visual communication.

interdisciplinary

customer proximity

economic solid

direct reference persons

We live with our hearts and heads visual communication.

specialized manpower

we reclaim new technologies

And we are good in what we do.

experienced process quality

vendor neutral

international

we help you to create value

we integrate advantages in solutions

flexibility

creative ideas

transparent

www.dekom.com